საქართველო ზ[illegible] ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველ[illegible] ჟურნალი №5 (631) 3 თებერვალი * ფასი 1,50 ლარი



ვინ გაიყვანა ვაჟა მანია ამერიკაში ყოფნისას კოსმოსში და ვინ ცხოვრობდა თბილისში მის გამო ამერიკული დროით

გვ. 43

გვ. 15

რატომ არის ელისო ჩაფიძე ორჯერ ნასამართლევი და რაში ემადლიერება ის პავლე კუბლაშვილის მეზობლებს

გვ. 10

რა ნახა საკუთარი თვალით ციხეებში ბაჩო ახალაიას ცოლმა



გვ. 14

ვის ჩაუტარა ჰიპნოზი მეტაფიზიკოსმა მალხაზ გველუკაშვილმა საკანში და რატომ იყო ის ციხის გამორჩეული პატიმარი



გვ. 19

როგორ შეგვიძლია გაახალგაზრდავება გენეტიკურ ანალიზზე დაყრდნობით



ვისთან ერთად ისვენებდა დიანა ღურწკაია ზღაპრულ სანაპიროზე და ვის ეხმარება ის ოცნებების ასრულებაში

გვ. 35



გვ. 75

როგორ ეჩვევა თორნიკე შენგელია ამერიკულ ცხოვრებას და რატომ არასდროს ეგება ის მოწინააღმდეგის პროვოკაციაზე



რამ შეცვალა ქეთი ქემოკლიძის ცხოვრება და როგორ გახდა ის კარლოს საურასა და პლასიდო დომინგოს ახლობელი, საყვარელი ადამიანი

გვ. 74



გვ. 46

რაზე ბუზღუნებდა საქართველოში ჩამოსული რობერტ დენირო და რით გააოცა ნანა თუთბერიძემ ჰოლივუდის ვარსკვლავები

ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი

წიგნი 6.50 + ჟურნალი 1.50 = 8 ლარი

მგლები



ბოლო, მესამე წიგნი

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ ჰპირდება სომეხ ამომრჩეველს პრეზიდენტობის კანდიდატი ვარდან სედრაკიანი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებას, სამცხე-ჯავახეთის შეერთებას და ქუთაისის, დასავლეთ საქართველოიანად, აფხაზებისთვის დაბრუნებას ........ 6

რა უნდა გაითვალისწინონ მესაკუთრეებმა, რომლებსაც უკანონოდ ჩამოართვეს ქონება ან ბიზნესი და ვინ აუნაზღაურებს ზარალს მესაკუთრეს, თუ მისთვის ქონების უკანონოდ ჩამომრთმევლის ბალანსზე არც ქონებაა და არც ფული ........ 7



რა პოლიტიკური გზავნილი გამოუგზავნა პუტინმა თბილისს, რის დათმობისთვისაა მზად საქართველო და რას შეიძლება, გამორჩეს რუსეთთან გარიგებით ........ 8

რა ნახა საკუთარი თვალით ციხეებში ბაჩო ახალაიას ცოლმა ........ 10

რამდენი ათასი ავტომობილი ჰყავს ოთხსართულიან ავტოფარეხში ბრუნეის სულთანს და რით არის გამორჩეული მისი ისტან ნურულ იმანის სასახლე ........ 12

ვინ არის 2012 წლის ყველაზე უიღბლო ამერიკელი მილიარდერი და რომელი პოზიცია უკავია ამერიკელი მილიარდერების ტოპ-ოთხასეულის რეიტინგში ნიუ-იორკის მერს, მაიკლ ბლუმბერგს ........ 13

ვის ჩაუტარა ჰიპნოზი მეტაფიზიკოსმა მალხაზ გველუკაშვილმა საკანში და რატომ იყო ის ციხის გამორჩეული პატიმარი ........ 14

რატომ არის ელისო ჩაფიძე ორჯერ ნასამართლევი და რაში ემადლიერება ის პავლე კუბლაშვილის მეზობლებს ........ 15

ადვოკატი გირჩევთ ........ 17

როდის ხვდება კაცი ქალის ვერაგობას და რატომ გრძნობს თავს მის მსხვერპლად ........ 20

როგორ ეძებს ხარკოვში მცხოვრები ქალი ბაბუას და რა იცის მან მის შესახებ ........ 21



ყველაზე ცნობილმა ქართველმა ჯაშუშმა, ვახტანგ აბაშიძემ, ჯეიმს ბონდის პროტოტიპი – „ჯაშუშთა მეფე“ სიკვდილს გადაარჩინა ........ 22

ვინ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ხუროთმოძღვარი და სად მდებარეობდა ალექსანდრე მანთაშევის სავაჭრო სკოლა ........ 23

რა ცხრა საეკლესიო მცნების აღსრულება ევალებათ მორწმუნე ქრისტიანებს და რის დახმარებით შეუძლია ადამიანს საკუთარი სულიერი მდგომარეობის შემოწმება ........ 24

მოძღვარი გვირჩევს ........ 25

ევროპულ კლუბებში მოთამაშე ყველაზე ძვირად ღირებული აზიელი ფეხბურთელების ტოპ-თერთმეტეული ........ 26

ექიმის რჩევები ........ 29

რა კავშირშია დათო დვალიშვილი ილია ჭავჭავაძის მკვლელის დაკითხვის ოქმთან ........ 30

რა ინფორმაციას გაწვდით საყვარელი ადამიანის ბავშვობის სურათები და მის კონკრეტულ თითზე გაკეთებული სამკაული ........ 32

რისი შიშები აქვს ჯასტინ ტიმბერლეიკს და რატომ იჭრის ის საკუთარი ხელით თმას ........ 34

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 47

რას საქმიანობს მექსიკაში გადახვეწილი 52 წლის ქართველი ძებნილი, მეტსახელად „ხარო“ ........ 48

ერთი ცოლი ორმა მამაკაცმა ვერ გაიყო .. 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ........ 51

ვეტერინარის რჩევები ........ 56

ფლორის სამყაროში ........ 56

მე – დაქირავებული მკვლელი ........ 58

როგორ ეხმარებოდა დეგოლი სტალინს შვილის საფლავის აღმოჩენაში........62

მგლები 5........66

შეკითხვა ასტროლოგს........72



როგორ უნდა დაბლოკოთ ორგანიზმიდან სასიცოცხლო ენერგიის გადინება და რას აფიქსირებს ადამიანის ქვეცნობიერი საშიშროების მოლოდინში ........ 72



## „ისი-პარის“ 2013 წლის წამახალისებელი გათამაშების შედეგები

| პრიზების დასახელება | | მოგებული ბილეთის ნომერი |
|---|---|---|
| 1 | ტელევიზორი | 103044 |
| 2 | ტელევიზორი | 097057 |
| 3 | ტელევიზორი | 022128 |
| 4 | მობილური ტელეფონი blackberry | 115199 |
| 5 | მობილური ტელეფონი blackberry | 095789 |
| 6 | მობილური ტელეფონი blackberry | 050339 |
| 7 | მუსიკალური მოსასმენი i pod | 012880 |
| 8 | მუსიკალური მოსასმენი i pod | 007991 |
| 9 | მუსიკალური მოსასმენი i pod | 066887 |
| 10 | ვიდეოკამერა | 108873 |
| 11 | ვიდეოკამერა | 013108 |
| 12 | ვიდეოკამერა | 049513 |
| 13 | კომპიუტერი ლეპტოპი | 079768 |
| 14 | კომპიუტერი ლეპტოპი | 043409 |
| 15 | კომპიუტერი ლეპტოპი | 112976 |
| 16 | ციფრული ფოტოაპარატი | 015585 |
| 17 | ციფრული ფოტოაპარატი | 089621 |
| 18 | ციფრული ფოტოაპარატი | 046788 |
| 19 | 2-კაციანი საგზური ეგვიპტეში | 019008 |
| 20 | ავტომანქანა KIA PICANTO | 089759 |



# შავ-თეთრი სცენარი

## გამრავლების ფორმულა

რადგან ჩვენს ქვეყანაში ოქროს კვეთი მაინცდამაინც დიდ პატივში არ გვყავს, როგორც წესი, მოვლენებს მხოლოდ მკვეთრად დადებითად ან უარყოფითად ვაფასებთ. ჰოდა, რაკი ეს ჩვენი ცხოვრება ასეთი შავ-თეთრია და სხვა არანაირ გრადაციას არ ცნობს, სავსებით ბუნებრივია, რომ მოვლენები პრეზიდენტის გადადგომა-არგადადგომის საკითხის გარშემო სწორედ შავ-თეთრი სცენარით განვითარდა.

კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მომხრეებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს და რამდენიმეკვირიანი მუშაობის შემდეგ განაცხადეს, რომ ამ გადაწყვეტილებას თავისი ხელმოწერით მხარს უჭერს საქართველოს მილიონი მოქალაქე. ამის პარალელურად, ინიციატორთა მეორე ჯგუფმა (ბ-ნი მაზმანიანის თაოსნობით) საქართველოს იმ მოქალაქეებს ჩამოუარა, რომლებიც პრეზიდენტს ეაჯებიან, დარჩეს პოსტზე 2013 წლის ოქტომბრამდე.

საბოლოოდ, ბ-ნმა მაზმანიანმა საზოგადოებას ამცნო, რომ პრეზიდენტის არგადადგომას მხარს ორ მილიონამდე მოქალაქე უჭერს. სახელდობრ, მილიონზე მეტს ეს მხარდაჭერა სოციალურ ქსელ „ფეისბუქით“ დაუდასტურებია. მართალია, საპასუხოდ, მაგალითად, ბ-ნი შაშიაშვილი აცხადებს, რომ „ფეისბუქით“ საქართველოს 200 000 მოქალაქე სარგებლობს და მილიონი საიდანო (იქნებ, „ტუმბოჩკიდან“), მაგრამ, ეს სულ სხვა საუბრის თემაა.

ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე ვითარება შემდეგნაირია: მილიონი მომხრე ჰყავს მოსაზრებას, რომ პრეზიდენტი ოქტომბრამდე უნდა გადადგეს (რადგან ხუთწლიანი ვადა 2013 წლის 20 იანვარს ამოეწურა), ორ მილიონზე მეტი კი იმას ფიქრობს, რომ პრეზიდენტი მყარად უნდა იჯდეს საპრეზიდენტო სკამზე 2013 წლის ოქტომბრამდე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ, ცესკოს მონაცემებით, საქართველოს ზრდასრული მოქალაქეების რაოდენობა სამ-ნახევარი მილიონია, თუმცაღა, დემოგრაფები ამტკიცებენ, რომ ეს ციფრი ფრიად ოპტიმისტურია და რეალურად, სამ მილიონს დიდი გაჭირვებით ვაღწევთ, ზემონახსენებ გამოკითხვებში რაღაც მთლად რიგზეც ვერ უნდა იყოს.

მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ დემოგრაფიაში გარღვევა გვაქვს, კვლევის შედეგები გულს ხომ მაინც მოგვფხანს: თუ „რეალში“ ვერა, იქნებ ქაღალდზე მაინც ვიბარტყოთ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“?!

# მაშასადამე, ევროპელები

## „გამშველებელს მეტი მოხვდა, რაც მართალია“

ისე მოხდა, რომ ამ ჩვენს ქვეყანაში კუნთებს ძირითადად მხოლოდ ის ათამაშებს, ვინც უმრავლესობაშია. შესაბამისად, თუკი აქამომდე „ნაცმოძრაობის“ როგორც წამყვანი, ისე რიგითი სახეები უპრაგონოდ უბრაგუნებდნენ ოპონენტებს (პირველ ოქტომბრამდე „ქართული ოცნების“ წევრების სისხლით იყო მორწყული ქართული წინასაარჩევნო გარემო), როლები შეიცვალა: დამრტყმელის როლში „ოცნებაა“, გალახულის – „ნაცმოძრაობა“ (თუმცა, სამართლიანობის გამო უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელები შიგადაშიგ უშნოდ იქაჩებიან).



შეხლა-შემოხლა გასულ კვირასაც მოხდა, რის პროცესშიც, კერძოდ, კასპში, საკრებულოს სხდომაზე თავმჯდომარე დავით მესროფაშვილი შემოეცემათ. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: საკრებულოს სხდომას „ოცნების“ 40-მდე აქტივისტი ესწრებოდა, რომლებიც, ბუნებრივია, თავმჯდომარის გადადგომას მოითხოვდნენ. საბოლოოდ, მონასტერი დაახლოებით ასეთი სცენარით აირია: „ვეცი გახელებით, ყმას თუ მებატონეს, ჩოხის ნახევები ხელში შევატოვე“. მართალია, ჯერჯერობით უცნობია, ვინ ვის და სად დაარტყა, რაკი საკრებულოს თავმჯდომარეს სახეზე ჩალურჯებები აქვს (თუმცაღა „ოცნების“ აქტივისტები ირწმუნებიან, კარი შემთხვევით მიირტყაო), საქმეში პოლიცია ჩაერია. ჩაერია და „ქართული ოცნების“ წევრიც დააკავა (მას ბრალს საკრებულოს თავმჯდომარის ცემაში სდებენ).

ჩვენ, ბუნებრივია, არ ვიცით, რით დასრულდება მოკვლევა, თუმცა, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ტრადიცია – ძალა აღმართს ხნავს – გრძელდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად პოლიცია მოძალადეს იჭერს. ასე რომ, პროგრესი აშკარაა, როგორც ის, რომ ქართულ ხალხურ მიდგომას: „წაქცეული, მტერიც რომ ნახო, წამოაყენე“, მაინც ისევ ნიცშესეულს ვამჯობინებთ: „წაქცეულს წიხლიც მიაყოლე“, ვითომ იმიტომ, რომ, მაშასადამე, ევროპელებად ვგრძნობთ თავს?!

# კოლიბაქტერიების გარემოცვაში

## საჭმელი თუ უსაჭმლობა – საკითხავი აი, ეს არის?!

მართალია, თანამედროვე საქართველოს რიგითი მოქალაქის სუფრა ისეც კი ვერ გამოიყურება, როგორც ეგზეკუციის მიერ დაწიოკებულის გოგია უიშვილის ოჯახისა, მაგრამ, თუკი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგებს გავეცნობით, იქნებ ეს უკეთესიც იყოს.



როგორც აღმოჩნდა, 100-მდე სახეობის საკვები პროდუქტი მიკრობიოლოგიურად დაბინძურებულია (მათ შორის არის „ნიკორას“, „ლიდერფუდისა“ და „მაკდონალდსის“ პროდუქციაც და ისეთებიც, რომლებიც „გუდვილში“ იყიდება). კერძოდ, პროდუქტებში უხვად იმყოფებიან კოლიბაქტერიები, რომლებიც, საბოლოოდ, იწვევენ ნაწლავურ ინფექციებს, აზიანებენ შარდსადენ გზებსა და სასქესო ორგანოებს.



ერთი სიტყვით, კრიტიკას ვერ უძლებს ხორცპროდუქტების (ვერც ნახევარფაბრიკატი და ვერც სოსის-ძეხვეული), თევზეულის, ნაყინის, კარაქის, მაწვნის, არაჟნისა და ვერც თვით პურპროდუქტების დიდი ნაწილი. ეს უკანასკნელი იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს მოქალაქეების რაციონში პურს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: ჯერ ერთი, ბუნებრივი სიყვარულის მიზეზით, რაც მთავარია, არცთუ დალხენილი ყოფის გამო და, შესაბამისად, ამ ნიუანსზე უფრო დეტალურად შევჩერდები.



როგორც აღმოჩნდა, რამდენიმე ქარხნის პური კარტოფილის სენითაა დაავადებული, ოღონდ, სპეციალისტები გვაიმედებენ, რომ კარტოფილის ჩხირით დასნებოვნებული პურის მირთმევით, ჰა და ჰა, ფაღარათმა შეგვაწუხოს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კოლიბაქტერიებით დასნებოვნებული პროდუქტების დიდი წილი ძვირად ღირებულია და მას საქართველოს მოქალაქეები მასობრივად ვერ მიირთმევენ (თხელჯიბიანობის გამო), ზოგჯერ ქამას, იქნებ, მართლაც, უჭმელობა სჯობდეს?!


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

განყოფილებები
პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჭღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

რედაქციის მისამართია: თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14 სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის“ უკან)
ტელ: 233-42-24; 599 10-15-20 221-31-12
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 221-31-34
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ბარკლებს გაფიცებ!

## დასაქმებულთა ქუჩაზე – გაზაფხული

მე არ ვიცი, ელოდნენ თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ **გაზაფხული დასაქმებულთა ქუჩაზეც მოდის.** ჰოდა, რაკი მოდის, **„შრომის კოდექსში“ ცვლილებებიც შედის**. რადგან **დასაქმებულებში ყველაზე დიდ შეშფოთებას** „შრომის **კოდექსის“ ის ნაწილი იწვევდა, რომელიც დამსაქმებელს თანამშრომლის უმიზეზოდ დათხოვნის აბსოლუტურ უფლებას ანიჭებდა** და, ზედაც, **მოკლევადიანი ხელშეკრულების გაფორმების ნებასაც რთავდა**, ქ-ნი **წულუკიანი გვპირდება, რომ ეს ორივე საჩოთირო თემა მოგვარდება**: შრომითი **ხელშეკრულებაც ხანგრძლივი გახდება** და **სამსახურიდან გათავისუფლებასაც წონიანი არგუმენტი დასჭირდება**. ერთი სიტყვით, **სახელმწიფო გვაიმედებს,** რომ, **თუკი აქამომდე მხოლოდ დამსაქმებლებს იცავდა, აწი წყალობის კალთას დასაქმებულებსაც გადმოგვაფარებს.**



ჯერჯერობით ამ საკითხზე **ხმამაღალი კომენტარი არ გაუკეთებიათ ადგილობრივ დამსაქმებლებს,** მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ **მოსალოდნელი ცვლილებებით კმაყოფილია საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები** (ახალ პროექტში სამუშაო ჯგუფმა თითქმის სრულად გაითვალისწინა ყველა ჩვენი მოთხოვნაო), უნდა ვივარაუდოთ, რომ **დამსაქმებლები მთლად კმაყოფილნიც ვერ უნდა იყვნენ დასაქმებულთა ქუჩაზე გამოგაზაფხულებით**. თუმცა, მაგალითად, **გულისწყრომა არ დამალა** საქართველოს ვაჭრობის საერთაშორისო პალატის თავმჯდომარემ – **ფადი ასლიმ** (შრომის ახალი კოდექსი **ბევრ პრობლემას შექმნის ბიზნესისთვის ისედაც პრობლემურ სივრცეშიო**). პრობლემა კი იმის გამო იქმნება, რომ **პატ. ასლის არ ესმის** (მოვიხმობ ციტატას): „მე, **როგორც დამსაქმებელს, რატომ არ მაქვს იმის უფლება, რომ სამსახურიდან გავუშვა ის, ვინც აღარ მჭირდება**? რა თქმა უნდა, გადავუხდი კომპენსაციას, მაგრამ. **დასაბუთების ტვირთი რატომ მეკისრება?!“**

შესაბამისად, იგი **დარწმუნებულია, რომ ახალი კოდექსი მის უფლებებს დაარღვევს** და თავის **მოსაზრებას მეტად პოეტური არგუმენტითაც ამყარებს**: „როდესაც ოჯახში სიყვარული კვდება, **ცოლ-ქმარი შორდება. ისინი, უბრალოდ, შორდებიან ერთმანეთს და, დამსაქმებელი დასაქმებულს როგორ ვერ უნდა დაშორდეს, არ მესმის!“** არგუმენტი იმდენად რკინისებურია, რომ **უნებლიეთ გებადება კითხვა: აბა, ბარკლები** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქათმის, რასაკვირველია) **დაიფიცე?!**

# გულმობრუნებული

## ანუ, „ამ ქალბატონს მე გავჩხრეკ“

რაკი **დიდმა პუტინმა ბრძანა, ემბარგოს მოვხსნი ქართულ პროდუქტსო** (და მერე რა, რომ ემბარგო არც არასდროს დაუწესებია რფ-ს და ქართული პროდუქცია უხარისხობის გამო დაიწუნა), **მთავარ სანიტარ გენადი ონიშჩენკოსაც მოუბრუნდა ჩვენკენ გული**, თუმცა ისიცაა, რომ, **სახელდობრ, „ზედაზნისკენ“ გული კარგა ხნის წინათ მიიბრუნა:** მოგეხსენებათ, ეს კომპანია უკვე მუშაობს რფ-ის ბაზარზე.

ჯერჯერობით **საქმე სიტყვას თითქმის არ გასცდენია**, მაგრამ, რუსული მედიის ცნობით, **„როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელ გენადი ონიშჩენკოს განუცხადებია, რომ რუსულ ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლების დაბრუნების სისტემური საკითხების განსახილველად საქართველოში ჩამოსვლას „სობსტვენნოი პერსონოი“ აპირებს.**

რფ-ის მთავარი **სანიტარი პიონერულ მზადყოფნაშია ჩამოსასვლელად**, ოღონდ, **მას შემდეგ, რაც რფ-ის გულში 4 თებერვალს ქართულ დელეგაციას შეხვდება** რუსულ ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლების დაბრუნების საკითხზე მოსალაპარაკებლად.

მართალია, **სტუმარი ღვთისაა** (ისე, სტუმარსაც გააჩნია), მაგრამ, **პატ. ონიშჩენკოს აქეთ ჩამოსვლას ჩვენი ღვინისა და მინწყლების იქ წასვლა არ აჯობებდა?!**

# რობოტებით დაზღვეულები

## ალიბი – ინტიმური ცხოვრებისთვის

თუკი ადრე მხოლოდ **მოარული ხმებით ვიცოდით, ახლა უკვე ვიდეოჩანაწერებმაც დაადასტურა**, რომ **საქართველოს მოქალაქეების პირადი ცხოვრება გადაშლილი წიგნი იყო** (იქნებ არის კიდეც) დაინტერესებული **ორგანოებისთვის**. ბუნებრივია, იმ ფარულ ვიდეოჩანაწერებს ვგულისხმობ, რომლებიც ახლახან გამოაქვეყნა საქართველოს პროკურატურამ, ხოლო, რაკი **საქმე ჰომოსექსუალური ურთიერთობის დეტალებს ეხებოდა**, ამ ფაქტმა, განსაკუთრებით, **უმცირესობის უფლებების დამცველ საზოგადოებაში გამოიწვია დიდი ვნებათაღელვა** (იმ უბრალო მიზეზით, **ვაითუ, ვინმემ ვინმე იცნოო**). თავის მხრივ, **იუსტიციის მინისტრმა დაგვამშვიდა, სუბიექტთა ამოცნობა შეუძლებელია**, ვინაიდან, მათი აღნაგობა შევცვალეთო, **გენპროკურორმა კი დაამატა**, რომ **ფარულ ჩანაწერებში მოქმედი პირები არა მხოლოდ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, არამედ, პოლიტიკოსებიც არიან.**

მართალია, **სამართალდამცველები გვპირდებიან, ამ მავნე პრაქტიკას ისე საფუძლიანად აღმოვფხვრით, ინტიმური ცხოვრების დეტალები ლამის თვით ამ ინტიმის მონაწილეებისთვისაც კი უცნობი დარჩესო**, მაგრამ, **რაკი ეშმაკს არ სძინავს**, ვფიქრობ, უპრიანია, თუ **უსაფთხოებისთვის რამე სხვა გზას გამოვნახავთ**.

როგორც გაირკვა, ამ ბოლო დროს სამყაროში **ფრიად ფართოდ ინერგება რობოტებთან სექსი** და **მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ ამ კავშირმა სიცოცხლე, შესაძლოა, ათი წლით გაახანგრძლივოს,** ოღონდ, **იმ პირობით, თუ ამ საქმით საკმარისად ხშირად დაკავდებით** (და, რა თქმა უნდა, ხარისხიანადაც).

მე არ ვიცი, **მიენდობიან თუ არა ჩვენი მოქალაქეები უცხოელ მკვლევართა შეგონებებს,** მაგრამ, მეორე მხრივ, **თუკი ინტიმურ ცხოვრებაში რობოტებს ჩავრთავთ**, ზემონახსენები **ორგანოებისგანაც დავიხსნით თავს**: თუ **რობოტების გარდა ინტიმურ ურთიერთობას არავისთან დაამყარებ**, ფარული **ჩანაწერით დაშანტაჟების ალბათობაც ნულს უტოლდება.**

# ჟალუზებით დაკავებულები

## თბილისში, ქუთაისში თუ ვენერაზე?

იმის მიუხედავად, რომ **ქუთაისში პარლამენტის ყოფნა-არყოფნა კითხვის ნიშნის ქვეშაა,** გამჭვირვალე შენობაში, ბუნებრივია, **სამუშაო კაბინეტები 150-ვე დეპუტატისთვისაა მოწყობილი**. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, **კანონმდებელთა ნაწილი საკუთარ ოთახს არ იყენებს.** ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ **შენობის აგება 360 მილიონი ლარი დაჯდა** (ზედაც, დამატებითი თანხა სჭირდება რაღაც-რაღაცეების გამართულად მუშაობისთვის და არანაკლები – გამჭვირვალების გასაგრილებელ-გასანიავებლად), სხვა რომ არაფერი, ეს ფაქტი საწყენია.

რაკი **360 მილიონი შთამბეჭდავი თანხაა** (შთამბეჭდავი, ცხადია, საქართველოს მოქალაქისთვის, თუმცა, ლამის ჯიბის ფული – ხალხის რჩეულთა ხელფასისთვის), ბუნებრივია, რომ **შენობა აპარტამენტების ნაკლებობას არ უჩივის,** ოღონდ, მხოლოდ **კომიტეტების თავმჯდომარეებისთვის, ვიცე-სპიკერებისთვის, ფრაქციის თავმჯდომარეებისა და უმცირესობისა და უმრავლესობის ლიდერებისთვის.** რიგით **დეპუტატებს ჩვეულებრივი სამუშაო ოთახებით უწევთ საკანონმდებლო ჟინის მოკვლა.**

როგორც აღმოჩნდა, **სამუშაო ოთახებს უმეტესწილად უმცირესობის წევრი ის დეპუტატები არ იყენებენ, რომლებსაც გამორჩეული აპარტამენტები არ ერგოთ**, ანუ, **პარლამენტის რიგითი წევრები ბრძანდებიან,** საპარლამენტო თანამდებობების გარეშე. **რიგითი უმცირესოელები,** თურმე, **ხალხის რჩეულ გოკა გაბაშვილის ფრაქციისთვის** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) **განკუთვნილ კაბინეტში იკრიბებიან.**

მაგრამ, რაკი **ერთიც მგლისკენო**, ისიც **უნდა ითქვას, რომ დეპუტატებს სამუშაო კაბინეტში დისკომფორტს ჟალუზების არარსებობა უქმნიდათ**, თუმცა, **ეს ხარვეზი უკვე აღმოფხვრილა** და, **რათა ჩვენს რჩეულებს თვალებში მზემ არ შეუჭიტინოს,** მათ **100 მილიონი ლარის ჟალუზები უკვე შეუძინეს.**

რადგან **საგაზაფხულო სესია 5 თებერვალს იწყება**, მხოლოდ **ამის შემდეგ თუ გავარკვევთ, რამდენად დააკავებს თავიანთ სამუშაო კაბინეტებში კანონმდებლებს ჟალუზები**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **პარლამენტის თბილისში დაბრუნების წინააღმდეგი ძირითადად უმცირესობის წევრები არიან**, ზედაც, დავამატებთ, რომ ისინი **თავიანთ სამუშაო კაბინეტებს დანიშნულებისამერ არ იყენებენ**, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, **საკუთრივ პარლამენტის შენობა თბილისში იქნება, ქუთაისში თუ, საერთოდაც, ვენერაზე?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



**არასწორი იყო სომხეთში წინასაარჩევნო კამპანიის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლა. ეს ჩვენს შიდა პოლიტიკაში ჩარევის უხეში მცდელობაა**

**ჩვენს მეზობელ სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები, სულ რაღაც, ერთ თვეში უნდა გაიმართოს. ერთ-ერთი კანდიდატი ვარდან სედრაკიანია, რომელიც ირწმუნება, რომ, წინასწარი გამოკითხვებით, სწორედ მას უჭერს მხარს სომეხი ამომრჩევლის ყველაზე მეტი რაოდენობა. ბუნებრივია, სომეხი ამომრჩევლის გასარკვევია, ვის მიანდობს თავისი ქვეყნის მესაჭეობას, თუმცა ბ-ნი სედრაკიანი იმ უბრალო მიზეზით მოხვდა ჩვენი ყურადღების ცენტრში, რომ საქართველოსთან მიმართებით მეტად ორიგინალური მიდგომები გამოამჟღავნა: ჯერ ერთი, თავის ამომრჩეველს დაჰპირდა, რომ გაპრეზიდენტებისთანავე აღიარებს აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას“ დამოუკიდებლობას, მიიერთებს სამცხე-ჯავახეთს და ქუთაისს აფხაზეთს დაუბრუნებს. ამ გადაწყვეტილების მიზეზების გაგებისთვის პირველწყაროს, ანუ სომხეთის პრეზიდენტობის კანდიდატს – ვარდან სედრაკიანს დავუკავშირდით.**

# რატომ ჰპირდება სომეხ ამომრჩეველს პრეზიდენტობის კანდიდატი ვარდან სედრაკიანი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებას, სამცხე-ჯავახეთის შეერთებას და ქუთაისის, დასავლეთ საქართველოიანად, აფხაზებისთვის დაბრუნებას

**– ფიქრობთ, რომ სომეხი ამომრჩევლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება თუ ქუთაისის დაბრუნება?**

– მე ამაზე დეკემბრის ბოლოსაც ვილაპარაკე, მაგრამ პირველად 2012 წლის ივნისში განვაცხადე, რომ მონაწილეობას მივიღებდი საპრეზიდენტო არჩევნებში. ვერ გავიგე, დამოუკიდებლობა აფხაზეთის და კიდევ რის?

**– ცხინვალის რეგიონის, თქვენ რომ „იუჟნაია ოსეტიას“ უწოდებთ.**

– მე ვიფიქრე, კიდევ რამეს ხომ არ ვაღიარებმეთქი ***(იცინის, მეც ვიცინი)?!*** აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას“ აღიარებას აქვს თავისი მიზეზი. ეს კომპლექსური საკითხია, თქვენ მხოლოდ ერთი ნაწილი თქვით. როდესაც პრეზიდენტი გავხდები, პირველი განკარგულებით, სომხეთს შემოვუერთებ არცაახს, რასაც თქვენ უწოდებთ ყარაბაღს და ყველა იმ ტერიტორიას, რომელიც ყარაბაღის ომის დროს გათავისუფლდა სომეხი ხალხის ძალისხმევით. მეორე განკარგულებით, სომხეთს მიუერთდება ნახჭევანი, ისიც სომხეთის ტერიტორია იყო, მაგრამ ყარაბაღთან ერთად მისცეს აზერბაიჯანს 1921 წელს. შემდეგ მოდის აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას“ აღიარება. რა არის ამ გადაწყვეტილების არსი: თუ ჩვენ, სომხები, ვფიქრობთ, რომ სომეხი ხალხის ბრძოლა ყარაბაღისთვის სამართლიანია, რადგან ყარაბაღელებს არ უნდათ ცხოვრება აზერბაიჯანის შემადგენლობაში და ვუბრაზდებით დანარჩენ სამყაროს იმის გამო, რომ ისინი არ აღიარებენ ყარაბაღის დამოუკიდებლობას, მე სომეხ პოლიტიკოსებს ვეკითხები: რატომ უნდა აღიაროს სამყარომ თქვენი ბრძოლა სამართლიანად, თუ თქვენ არ აღიარებთ სამართლიანად სხვა ხალხების ბრძოლას?!

**– მაგრამ თქვენი პირველი განკარგულებით ხომ იერთებთ ყარაბაღს და რა შუაშია აქ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება?**

– ორი ეტაპია: ჯერ ყარაბაღის დამოუკიდებლობა უნდა ვაღიარო და შემდეგ, რეფერენდუმით ან სხვა საშუალებით, შევუერთოთ სომხეთს. მეორე ვარიანტია პირდაპირი შეერთება. ყარაბაღში ბრუნავს სომხური ფულის ერთეული, ყველაფერი სომხურია, დგას სომხური არმია, მაგრამ ის ოფიციალურად არ არის აღიარებული სომხეთის მიერ. რატომ უნდა მოიხადოს ჩემმა ვაჟმა, ერევნელმა ბიჭმა, სამხედრო-სავალდებულო სამსახური ყარაბაღში?! მე არ ვარ სომხების დაცვის წინააღმდეგი, მაგრამ, მოდი, გავაფორმოთ ეს ოფიციალურად. როდესაც სხვებისგან ითხოვ სამართლიანობას, თვითონაც უნდა იყო სამართლიანი.

**– და ამ სამართლიანობის აღდგენის მიზნით, აღიარებთ ჩვენს აფხაზეთსა და ცხინვალსაც. ამის გარდა, კიდევ რას გააკეთებთ?**

– ჩემს პირველ პრესკონფერენციაზე ივნისში ეს საკითხები საერთოდ არ წამომიწევია. მაგრამ, როდესაც თქვენთან არჩევნები ჩატარდა და ქვეყნის სათავეში მოვიდა ახალი პრემიერ-მინისტრი, ნოემბრის დასაწყისში მან თქვა, ქართველები ძალიან კეთილი ხალხია და სომხებსაც აძლევენ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების უფლებასო.

**– ასე არ უთქვამს, მან განმარტა, რაც თქვა. არ დავაბრალოთ ის, რაც არ უთქვამს.**

– დავასრულებ. ისე მოხდა, რომ ჩემი მეორე პრესკონფერენცია ჯინაზე ჩავატარე, თუ ასეთი მძიმე ტვირთია საქართველოსთვის სომეხი მოსახლეობა, ისე გავაკეთებთ, რომ სომხებმა აღარ იცხოვრონ საქართველოში.

**– ჯინაზე გავაკეთე სამცხე-ჯავახეთის სომხეთისთვის მიერთებაზე განცხადებაო, მაგრამ, თუ პრეზიდენტი გახდებით, მოიყვანთ სისრულეში?**

**მე არ მიმაქვს უკან ჩემი სიტყვები. მაგრამ ეს აფხაზების გადასაწყვეტია, მე ხომ არ შემიძლია, მარტო შემოვიდე საქართველოში და დავიპყრო?!**

– ამას გადაწყვეტენ თავად სომხები: მათი ნებაა, იცხოვრებენ თუ არა საქართველოს შემადგენლობაში. მე არ ვიცი, თქვენ სააკაშვილის მომხრე ხართ თუ ივანიშვილის...

**– ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მე ჟურნალისტი ვარ და კითხვებს გისვამთ.**

– მე როგორც ვიცი, ბოლო წლებში ბევრი ფინანსური დაბანდებები მოხდა „ჯავახშკი“ და იქ სომხები უფრო უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ჩვენთან, სომხეთის სოფლებში. ასე რომ, მათი გადასაწყვეტია, სად იცხოვრებენ. ეს დამოკიდებულია საქართველოს ხელისუფლების გაწონასწორებულ პოლიტიკაზე. თუ საქართველო ფიქრობს, რომ სატრანზიტო ქვეყანაა და ამიტომ შეუძლია, გონორით ელაპარაკოს სომხეთს, ცდება.

**– საქართველო-სომხეთის ურთიერთობა არ ტოვებს დაძაბულის შთაბეჭდილებას, თქვენ რამე სხვა ინფორმაცია გაქვთ? პრეზიდენტი ხშირად ჩამოდის თქვენთან, სულ ახლახან იყო პრემიერ-მინისტრიც და თითქოს ყველაფერმა კარგად ჩაიარა. თქვენ რამე არ მოგეწონათ?**

– პრესკონფერენციის დროს გავაკეთე განცხადება, რომ არასწორია სომხეთში წინასაარჩევნო კამპანიის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლა. ეს ჩვენს შიდა პოლიტიკაში ჩარევის უხეში მცდელობაა.

**– რატომ? რა ზემოქმედება შეეძლო საქართველოს პრემიერ-მინისტრს სომეხი ამომრჩევლის არჩევანზე?**

– ჩვენ პრეზიდენტობის რვა კანდიდატი გვყავს. მე, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, არათანაბარ ვითარებაში აღმოვჩნდი მოქმედ პრეზიდენტთან შედარებით. ალალად მითხარით, რა ისეთი მწვავე საკითხი იდგა საქართველოსა და სომხეთს შორის, რომ აუცილებელი იყო ასე უცბად ჩამოსვლა?! ომია თუ რა ხდება?!

**– როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი თავისი ინიციატივით ჩამოვიდა? რომ არ მიეპატიჟებინა სომხურ მხარეს, ხომ ვერ ჩამოვიდოდა?**

– ვიზიტი ყოველთვის შეთანხმებულია ორივე მხარესთან, მაგრამ არის მორალური მხარეც. მე რომ ვყოფილიყავი საქართველოს პრემიერ-მინისტრი, დელიკატურად ვიტყოდი, შევხვდეთ ერთმანეთს მარტში-მეთქი.

**– ანუ არჩევნების შემდეგ.**

– დიახ. არანაირი დოკუმენტისთვის არ მოუწერიათ მხარეებს ხელი. არ ვიცი, თქვენ იცით თუ არა, მაგრამ თქვენი პრემიერ-მინისტრი რამდენიმე საათს იჯდა კაფეში და უსმენდა ჯაზს. რას ნიშნავს ეს?!

**– არ ვიცი, იქნებ მოეწონა თქვენი კაფე და იქაური ჯაზი. ეს ცუდია?**

– პრემიერ-მინისტრმა იმ დღეს დასვენება გადაწყვიტა?! არ გეწყინოთ, მაგრამ ეს პოლიტიკური „სინაგლეა“. სომხეთი, რა, მილიარდერ ივანიშვილის დიდი ვილაა?!

**– ძალიან უცნაური ინტერპრეტაციაა, მაგრამ თქვენი საქმისა თქვენ იცით.**

– მას უნდოდა ეჩვენებინა მთელი სომხეთისთვის, რომ მსოფლიო დგას სომხეთის მოქმედი პრეზიდენტის გვერდით და კვლავ ის იქნება პრეზიდენტი. რადგან, თუ შენ არ იცი, ვინ იქნება სომხეთის პრეზიდენტი 20 დღის შემდეგ, რატომ ხვდები მოქმედ პრეზიდენტს?! თუ ვარდან სედრაკიანი გაიმარჯვებს, მაშინ რას ეტყვის მას?!

**– მაშინ სტუმრად ჩავა პრეზიდენტ სედრაკიანთან.**

– არ მგონია.

**– რატომ? არ მიიწვევთ?**

– პოლიტიკურად ულამაზო იყო მისი ასეთი ჩამოსვლა საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ინტერნეტში არის რამდენიმე დამოუკიდებელი საიტი, ყველგან მე ვლიდერობ. 35 პროცენტი მაქვს, სერჟიკ სარქისიანს კი – მხოლოდ 17 პროცენტი.

**– ჩვენს ძირითად თემას დავუბრუნდეთ: როგორ აპირებთ ქუთაისის დაბრუნებას აფხაზეთისთვის?**

– ქუთაისი იყო აფხაზეთის დედაქალაქი.

**– კი ბატონო, იყო.**

– იყო ისტორიკოსი აბაევი, სხვებიც, მათგან ვიცით, რომ ლეონ მეორე, აფხაზეთის მეფე, იჯდა ქუთაისში. მე რა, რამეს ვიგონებ?!

**(გაგრძელება მე-9 გვერდზე)**

# რა უნდა გაითვალისწინონ მესაკუთრეებმა, რომლებსაც უკანონოდ ჩამოართვეს ქონება ან ბიზნესი და ვინ აუნაზღაურებს ზარალს მესაკუთრეს, თუ მისთვის ქონების უკანონოდ ჩამომრთმევლის ბალანსზე არც ქონებაა და არც ფული

*მართალია, თაფლობის ექვსი თვე ჯერ არ გასულა, თუმცა, რაკი ახალი ხელისუფლება მინისტრთა კაბინეტსა და საკანონმდებლო შტოს აგერ უკვე 100 დღეზე მეტია, აკონტროლებს, სავსებით ბუნებრივია, რომ ის ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საკუთრება უკანონოდ ჩამოართვეს, მოუთმენლად ელიან დაკარგული ქონების დაბრუნებას. რა სამართლებრივი მექანიზმი არსებობს ამ პროცესის დასაწყებად და ვის რა შანსი აქვს დაკარგული კერძო საკუთრების თავიდან საპოვნელად, თემას საიას იურიდიული სამსახურის იურისტი, ქეთევან კრაწაშვილი განგვიმარტავს.*

**– გასაგებია, რომ უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრება მფლობელს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ შესაძლოა, ეს საკუთრება უკვე მეორე, მესამე ან მეათე კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი მყიდველის ხელში იყოს. რა სამართლებრივი მექანიზმი არსებობს საიმისოდ, რომ არც ძველი დაზარალდეს და არც ახალი კეთილსინდისიერი მფლობელი დაიჩაგროს?**

– ეს საკითხი საკმაოდ ვრცელია. თქვენ რაც ბრძანეთ, ერთ-ერთი შემთხვევაა, როდესაც უკანონოდ ჩამორთმეული ქონება უკვე გასხვისებულია და რამდენიმე მესაკუთრეც ჰყავს შეცვლილი. უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საკითხი წინა პლანზე წინასაარჩევნოდ და არჩევნების შემდგომ პერიოდში წამოიწია, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, როგორ დადგინდება ეს და კონკრეტულად რომელი უწყების მიერ იქნება შესწავლილი. უკანონოდ ჩამორთმეული ქონება საჭიროებს როგორც სისხლისსამართლებრივად, ისე სამოქალაქოსამართლებრივად შესწავლას. სისხლისსამართლებრივი შესწავლისას შეიძლება, საუბარი იყოს სხვადასხვა მუხლზე.

**– კერძოდ?**

– მაგალითად, გამოძალვა, უფლებამოსილების გადამეტება, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაადგინოს გამოძიებამ.

**– ეს სისხლისსამართლებრივი ძიება შეიძლება, გახდეს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საფუძველი თუ უბრალოდ, დადგინდება დამნაშავე და ის დაისჯება?**

– როდესაც ფაქტი დადგინდება, ეს არის მნიშვნელოვანი მტკიცებულება სამოქალაქო კუთხით განსახილველი საქმისთვის, რომლის საფუძველზეც შესაძლოა, საქმე სასამართლომდე არც მივიდეს. თუ იმ კონკრეტული მომენტისთვის დამნაშავის ბალანსზე იარსებებს დანაშაულის შედეგად შეძენილი ქონება, შესაძლოა, ის სასამართლოს გარეშე გადაეცეს დაზარალებულ პირს, რომელსაც უკანონოდ ჩამოართვეს ქონება.

**– სასამართლოს გარეშე, ანუ?**

– სადავო არ გახდეს ის საკითხი, რომ ნამდვილად უნდა გადასცეს ქონება დაზარალებულ პირს. შესაძლოა, თვითონ დამნაშავე პირმა დაუბრუნოს, როდესაც დადგინდება, რომ ის დამნაშავეა ან მხარეები მორიგდნენ, ანუ პრობლემა აღმოიფხვრას ისე, რომ არც მოსარჩელე და არც მოპასუხე არ წავიდეს სასამართლოში.

**– თუ დამნაშავის ბალანსზე არის ქონება, ის დაუბრუნდება დაზარალებულს, მაგრამ თუ ის უკანონოდ ჩამორთმეული ქონება უკვე გაყიდა დამნაშავემ ან სხვის სახელზე, ოჯახის წევრზე გადააფორმა?**

– ამ შემთხვევაში, ბრალეულმა პირმა უნდა აანაზღაუროს შესაბამისი ზიანი ფულადი სახით. კომპენსაციას აანაზღაურებს ის პირი, ვისი ბრალითაც დადგა ზიანი.

**– გარკვეულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ შესაძლოა, სახელმწიფო ბიუჯეტს მოუწიოს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების ანაზღაურება, მაგრამ, როგორც მივხვდი, ბრალეულ პირს მოუწევს ამის გაკეთება საკუთარი ჯიბიდან.**

– გააჩნია, ვინ იქნება ბრალეული პირი: კონკრეტული სუბიექტი თუ იურიდიული პირი. წინასწარ ვერ ვიტყვით.

**– თუ იმ მომენტისთვის მათ არანაირი ქონება და არც ფული არ ექნებათ, მაშინ რა ხდება?**

– არ აქვს მნიშვნელობა, ბრალეული სუბიექტი ფიზიკური პირია, იურიდიული თუ ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად, რეალურია, დადგეს კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობაც. ეს შეიძლება იყოს, საჯარო რეესტრი ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო. კონკრეტული თანამშრომელი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს სახელით გვესაუბრება, პასუხს აგებს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთად სოლიდარულად. ეს ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანოც აგებს პასუხს.



არ არის გამორიცხული, ვისაც კეთილსინდისიერ მყიდველად ვგულისხმობთ, მათგანაც მოხდეს ქონების გამოთხოვა და, რეალურად, დაზარალებული პირი აღმოჩნდეს ის, ვინც თავს კეთილსინდისიერ მყიდველად მიიჩნევს

**– ანუ ბიუჯეტი?**

– დიახ. შესაბამისად, ეს საკითხი ძალიან ფართოა და წინასწარ არავინ იცის, ვინ აგებს პასუხს. ყველა კონკრეტულ საქმეში, სავარაუდოდ, სხვადასხვა სუბიექტი იქნება პასუხისმგებელი. სამართლებრივი პრინციპით, თუ ბრალეული პირის სახელზე, ბალანსზე არანაირი ქონება არ აღმოჩნდება, ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით, თუკი მივმართავთ იძულებითი აღსრულების მექანიზმებს, როგორებიცაა: მოვალეთა რეესტრში მისი რეგისტრაცია და ასე შემდეგ. თუ ბრალეული პირი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ვერ დააგროვებს იმდენ ქონებას, რომ აანაზღაუროს ზარალი, შესაძლოა, კონკრეტულმა დაზარალებულებმა კომპენსაცია ვერ მიიღონ.

**– რადგან სავარაუდო სცენარებზე ვსაუბრობთ, ასეთი ვარიანტიც განვიხილოთ: ვთქვათ, თავდაპირველად, უკანონოდ მიითვისა კერძო საკუთრება მეორე პირმა, მესამე პირმა კი მისგან ის კანონიერად შეიძინა, მაგრამ იცოდა, რომ თავის დროზე ეს ქონება უკანონოდ იყო წართმეული, მისი პასუხისმგებლობა არ დადგება?**

– ეს რთული სამართლებრივი საკითხია. კანონი უძრავ ქონებასთან მიმართებაში კეთილსინდისიერ მყიდველად მიიჩნევს პირს, რომელმაც საჯარო რეესტრის ჩანაწერზე დაყრდნობით შეიძინა ქონება. მაგრამ, თუ ის ქონება მესაკუთრის ნების გარეშე მოხვდა რეესტრის ჩანაწერში, სასამართლოს პრაქტიკით, კეთილსინდისიერი შემძენის პოზიცია სუსტდება და უპირატესობაში აღმოჩნდება თავდაპირველი მესაკუთრე. არ არის გამორიცხული, ასეთ შემთხვევაში, ვისაც კეთილსინდისიერ მყიდველად ვგულისხმობთ, მათგანაც მოხდეს ქონების გამოთხოვა და, რეალურად, დაზარალებული პირი აღმოჩნდეს ის, ვინც თავს კეთილსინდისიერ მყიდველად მიიჩნევს.

**– უშუალოდ ქონების დაბრუნება სამოქალაქო საქმეა და, როგორც ვიცით, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.**

– სამივე ინსტანციის სასამართლოს დადგენილი აქვს განხილვის ვადები. საუბარია ორთვიან ვადაზე, განსაკუთრებით რთული საქმეების შემთხვევაში – 5-თვიან ვადაზე, უზენაესში კი – 6-თვიანი ვადაზე. თუ რთული კატეგორიის საქმედ ჩაითვლება კონკრეტული საქმე, რასაც ხშირად მიმართავს ხოლმე სასამართლო, უნდა ვივარაუდოთ, 5 თვეს პლუს 5 თვე და პლუს 6 თვე, ანუ 16 თვე. 16 თვე არის მაქსიმალური ვადა საიმისოდ, რომ სამივე ინსტანციის სასამართლოში დასრულდეს სასამართლო დავა. ასევე, უზენაეს სასამართლოში ექვსთვიან ვადაზე ძალიან ცოტა საქმე გავა, რადგან დასაშვებობის საკითხი ერთხელ გაირკვევა და შემდგომ უკვე დაუშვებლად იქნება ცნობილი სარჩელების ძირითადი ნაწილი. შესაბამისად, 6-ის ნაცვლად 3-თვიანი ვადა იქნება საჭირო. ანუ ერთი წლიდან 16 თვემდე ვადაში სამოქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა უნდა დასრულდეს.

**– ძირითადად, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის რა ფორმებზე ჩიოდნენ დაზარალებულები? ჩუქება, საკუთრების უფლების მიტოვება, კიდევ?**

– ჩვენი ბენეფიციარები, რომლებიც აქტიურად მოგვმართავენ ასეთ საკითხებზე, საუბრობენ მუქარაზე მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიმართ. ანუ ჩუქება არის უკვე გამოხატული ფორმა, შედეგი, მაგრამ მთავარია, რა უძღოდა წინ ამ კონკრეტულ შედეგს. საუბრობენ იმაზე, რომ მათ, სხვა სუბიექტებისგან განსხვავებით, უამრავი გადასახადი დააწერეს, რამაც განაპირობა ამ გადასახადების ჩამოწერის მიზნით, გაკოტრების პროცესის არდაწყების მიზნით, მასა და სახელმწიფოს შორის გარკვეული კაბალური გარიგების დადება ან მეორე ვარიანტი, მათ და მათი ოჯახის წევრებს ემუქრებოდნენ სიცოცხლის ხელყოფით და ამის გამო მიიღეს ასეთი კაბალური გადაწყვეტილებები. ძირითადად, გამოდის, რომ ქონების გადაცემისას ადამიანის ნება მონაწილეობას იღებს, მაგრამ ეს ნება არ არის ნამდვილი. თუ ნების ნამდვილობა დადგინდება, ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, ქონების უკანონოდ ჩამორთმევაზე საუბარი შეუძლებელია.

არის კიდევ ერთი მომენტი: საუბარი არ არის მხოლოდ უძრავი ან მოძრავი ქონების მიტოვებაზე, უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებად მიიჩნევენ, ასევე, ბიზნესებს. ამ ბიზნესების მფლობელი ადამიანები მიიჩნევენ, რომ მათთან მიმართებაში ისეთი სიტუაციები შეიქმნა, რომ მათი ბიზნესები უკან წავიდა და ისინი გაკოტრდნენ რამდენიმე დღესა თუ თვეში.

**– ასეთ რამესაც ამბობენ, რომ, თუკი მავანი მოიფიქრებდა მომგებიან ბიზნესს, რამდენიმე თვეში მას ამ ბიზნესს ან უბრალოდ ართმევდნენ, ან ამის პარალელურად ქმნიდნენ იმავე ტიპის ბიზნესს და ხელოვნურად აკოტრებდნენ.**

– ეს თემაც ძალიან ფართოა და კონკრეტულადაა შესასწავლი. წინასწარ ვერ გათვლი, რა ფაქტები შეიძლება, გამოიკვეთოს. ძალიან

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

**სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (უფრო, ალბათ, სამწუხაროდ), ჩრდილოეთით მეზობელს არავინ შეგვიცვლის. მეტიც, არც ის იცვლება. უფრო ზუსტად, მისი პოლიტიკა, მას შემდეგ, რაც კავკასიაში შემოაბიჯა, უცვლელია. გასაგებია, რომ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პაუზა მუდმივად ვერ გასტანდა და, საქმეს ისეთი პირიც უჩანს, რომ ის საცაა დაირღვევა. როგორ მიმდინარეობდა რუსულ-ქართული დიალოგი 20-ზე მეტი წლის წინათ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლების დროს და რა გაკვეთილის გამოტანა შეიძლება იმ გამოცდილებიდან – თემას იმ პროცესების მონაწილესთან, აკაკი ასათიანთან, ერთად განვიხილავთ.**

# რა პოლიტიკური გზავნილი გამოუგზავნა პუტინმა თბილისს, რის დათმობისთვისაა მზად საქართველო და რას შეიძლება, გამორჩეს რუსეთთან გარიგებით



**არ მოგვისმენია ბუში მამის განცხადება, საბჭოთა კავშირში უნდა დარჩეთო, უკრაინას რომ უთხრა?! ამიტომ მთლად ასეთი დაუჯერებელიც არ არის შეთქმულებათა თეორიები**

**– როგორ იწყებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ურთიერთობა, ასევე, დამოუკიდებელ რუსეთთან და რის გათვალისწინება შეგვიძლია მაშინდელი ვითარებიდან?**

– პირდაპირი ანალოგია არ არის და პირდაპირ გამოცდილებას ვერ გამოიყენებ, რადგან მაშინ გაორებული იყო სიტუაცია. პერსონიფიცირება რომ მოვახდინოთ: იყვნენ გორბაჩოვი და ელცინი და ამას, მართლაც, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამერიკის ელჩი მეტლოკი პირდაპირ წერს, რომ არ ყოფილიყო ამ ორი პიროვნების დაპირისპირება, დღეს ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის კომპარტიის „ობკომი" იქნებოდაო. ანუ საბჭოთა კავშირი ასე განწირულიც არ ყოფილა და ეს კიდევ ცალკე თემაა. სავსებით გულწრფელად გეტყვით: მზაობა რაღაც კომპრომისისა ჩვენთან, საქართველოსთან, ორივეს მხრიდან, საბჭოეთის, ანუ გორბაჩოვის და რუსეთის, ანუ ელცინის მხრიდანაც არსებობდა და პირდაპირ იყო გამოხატული. ზვიადს არ ჰქონდა ურთიერთობა გორბაჩოვთან, ძალიან არ უყვარდა, მაგრამ თავიდან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ელცინთან. ელცინის ინაუგურაციის შემდეგ გამართულ ბანკეტზე თამადა იყო ზვიადი. ეს ბევრმა არ იცის. ეს ურთიერთობა მოგვიანებით გადაჰყვა ჩეჩნეთს, მაგრამ პირად საუბარში ელცინს ჩემთვისაც უთქვამს და ზვიადისთვისაც, მოვძებნოთ რაღაც ფორმა ურთიერთობისო. საბჭოეთი დავშალეთ ჩვენ, ბალტელებმა, ეკონომიკურმა სიტუაციამ, დასავლეთის ზეწოლამ და გორბაჩოვის შეცდომებმა, მაგრამ, როდესაც მიხვდა, რომ რუსეთი უკვე იშლებოდა და ელცინის პოლიტიკური ალღო ამაშიც გამოვლინდა, ის გამოეცალა საბჭოეთს და ამან დაშალა საბჭოეთი. შემდეგ ელცინმა დაიწყო დსთ-ის მოკრება, რომ რუსეთში იმპერიის ნოსტალგია არ გამწვავებულიყო. ეს იდეა დღეს გრძელდება ევრაზიის კავშირის სახით, რომელიც, ჩემი აზრით, მაინც ილუზიაა და უფრო შიდა მოხმარებისთვისაა გამიზნული, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, პუტინი მაინც საკმაოდ რაციონალური პოლიტიკოსია. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ წიგნების მაღაზიაში წიგნების სამი მეოთხედი საბჭოთა იმპერიაზეა და მათგან 90 პროცენტი სტალინზეა. გარეკნებიდან ჩვენი თანამემამულე გვიყურებს, იმიტომ რომ ის უდიდეს იმპერატორად მიიჩნევა. ჩვენდამი რუსების ერთგვარი ქვეცნობიერი რიდი ამითაცაა ნაკარნახები.

**– და ამიტომაც არ გვიშვებენ, სამწუხაროდ.**

– 1921 წელს, როდესაც საქართველო დაიკავეს, ხომ გახსოვთ, რა ეწერა დეპეშაზე? „აიღე ქალაქი, დასტურია"; არც ლენინს და არც ტროცკის არ უნდოდათ საქართველოს დაკავება, რადგან სტალინი ასეთ შემთხვევაში უცხოელად დარჩებოდა და მისი მაქსიმალური პოსტი იქნებოდა სახალხო კომისარი ეროვნებათა საკითხებში.

**– ეკავა კიდეც ეს პოსტი.**

– დიახ და დარჩებოდა, რადგან ის იმ ქვეყანაში მცხოვრები ერის წარმომადგენელი არ იქნებოდა. კორსიკა რომ დღეს საფრანგეთში არ იყოს, მაშინ იტალიელი ყოფილა ნაპოლეონი. არადა, იტალიელები არიან კორსიკელები. ექვგარეშეა, რომ ნაპოლეონი დიდი ფრანგი პატრიოტი იყო, მაგრამ ნაპოლეონის დაბადებამდე ორი თვით ადრე შეიერთა საფრანგეთმა კორსიკა და ორ თვეში ხომ ვერ გაფრანგდებოდნენ?! კორსიკა რომ საფრანგეთი არ იყოს დღეს, ფრანგებსაც კი, ამ ცივილიზებულ ხალხს, უხერხულობა შეექმნებოდათ, რომ ის, ვისაც ისინი ყველაზე დიდ მოღვაწედ მიიჩნევენ, უცხოელია, იტალიელია.

ერთი სიტყვით, მაშინ რუსეთის მხრიდან იყო მზაობა კომპრომისისთვის და უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ეს ვერ გამოვიყენეთ. იყო ასეთი ფორმულა: ჩვენ და რუსეთი ვამყარებდით განსაკუთრებულ ურთიერთობას, როგორც ორი მართლმადიდებელი ქვეყანა, არ მოვაწერდით ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე და ჩვენი, განსაკუთრებული ურთიერთობა გვექნებოდა. ელცინი თანახმა იყო, ზვიადიც ამ გზით მიდიოდა, თუმცა შემდეგ ჩეჩნეების გამო პრობლემა წარმოიშვა. ზვიადმა არ დათმო ჩეჩნების მხარდაჭერა, ელცინისთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რაც შეეხება გორბაჩოვს: ის გვთავაზობდა საბჭოთა კავშირის ასოცირებულ წევრობას 3 წლით და ამის შემდეგ ეს ავტომატურად გაუქმდებოდა, თუ ჩვენ მოვინდომებდით. გორბაჩოვს დროის მოგება უნდოდა, მაგრამ ზვიადმა ეს არ გააკეთა. მე მგონია, რომ ამაზეც შეიძლებოდა ფიქრი, რადგან საბჭოეთი მაინც ვერ გადარჩებოდა და ამიტომ საკუთრივ რუსეთთან უნდა გაგვეგრძელებინა ურთიერთობა. ზვიადი ნეიტრალიტეტის დაჯერებული მომხრე იყო, რუსეთს მაშინ ეს არ ესმოდა, თუმცა ახლა კი გაუხდათ თავში საცემი ნატოს გამო. მით უმეტეს, დასავლეთი მაშინ შეჰპირდა რუსეთს, რომ არ მიიერთებდნენ არათუ ბალტელებს, ცენტრალურ ევროპასაც კი. თუ გორბაჩოვს დროის მოგება უნდოდა, ელცინს იმის ჩვენება, რომ მე კი არ დავშალე საბჭოთა კავშირი, არამედ გადავარჩინეო. ამით სარგებლობა შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ ვერ ვისარგებლეთ. ზვიადი უფრო კავკასიურ ერთობას ემხრობოდა, რაც ელცინისთვის სრულიად მიუღებელი იყო.

**– ჩემი აზრით, თუ რუსეთს მიეცა საშუალება, ისევ მოგვიქციოს თავისი გავლენის ქვეშ, ის არ გაიმეორებს 1921 წლის „შეცდომას" და აღარ დაუშვებს აქ სახელმწიფოს შექმნას.**

– თუ მენშევიკურ სამ წელს გვერდზე გადავდებთ, მანამდე საქართველო, როგორც ასეთი, არ არსებობდა, იყო ორი გუბერნია.

**– და ამიტომაც მგონია, რომ ჩვენს სახელმწიფოებრიობას ბოლომდე დაშლის, მათ შორის, საბჭოთა კავშირის დაშლის გათვალისწინებითაც.**

– ეს აზრი გამოსჭვივის ხოლმე რუსი ანალიტიკოსების წერილებში. რომ მცირე ზომის ქვეყანა აქვთ, მაგრამ იმპერიული ხალხია, თუ თვითონ ახერხებენ დაპყრობას, იპყრობენ სხვებს, მაგრამ, ჩვენი ხელქვეითები რომ იყვნენ, იქაც კი მოიწყვეს იმპერია და ფრთხილად უნდა ვიყოთ. ამიტომ იმის საფასურად, რომ სადმე არ შევიდნენ, ნუ გავუკეთებთ იმპერიასო. მართალი ბრძანდებით, იქ არის ასეთი განწყობა, მაგრამ არის განწყობაც, რომ, თუ არ გავუწევთ ანგარიშს, მოდი, მათ დაშლაზე მაინც ვიმუშაოთო. თუ ჩვენ ტერიტორიების პრობლემა არ მოვაგვარეთ, ეს ასე არ დასრულდება და ჯერ კიდევ დიდი იმედი მაქვს, რომ ამის მოგვარება შეიძლება.

**– 2008 წლის აგვისტოში, განსაკუთრებით, სამეგრელოში, ჩემი შთაბეჭდილებით, რუსეთის ჯარი ელოდა, რომ სამეგრელოს მოსახლეობა მათ მიემხრობოდა, თუმცა ეს არ მოხდა და ვერც მოხდებოდა.**

– ფაქტია, რომ ისინი ფრთხილობდნენ. მე მგონია, რომ ამას ორი მიზეზი ჰქონდა: დიდხანს ვიყავით ერთად, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეორე მსოფლიო ომის თემა და ომზე ფილმს ვერ ნახავთ, ქართველი არ ერიოს. რაც მთავარია, შესაძლოა, ჰქონდათ ბრძანება, ისე მოქცეულიყვნენ, რომ შიში არ დარჩენოდა ხალხს, გადადებულ პარტიას თამაშობდნენ. ამერიკას დიდი როლი არ შეუსრულებია იმაში, რომ თბილისში არ შემოსულიყვნენ. სარკოზიმ იაქტიურა, კაჩინსკიმ იაქტიურა და მისი სახელობის ქუჩა ნამდვილად უნდა იყოს თბილისში. თვითონ რუსეთის ხელმძღვანელობის ქცევა ასეთი იყო: ჩვენ ეს შეგვიძლია, მაგრამ არ გავაკეთეთო, იმიტომ რომ მათ თბილისში შემოსვლას უსათუოდ მოჰყვებოდა სერიოზული დაპირისპირება. ვიღაც მომხრეც იქნებოდა.

**– წინააღმდეგი უფრო მეტი, არა?**

– და ჩათვალეთ, უკვე აღარაფერი ეშველებოდა რუსულ-ქართულ ურთიერთობას, ანუ ვიღაცამ ამაზე იფიქრა. თვით პუტინის ის ფრაზაც, არ ვიცი რა ეშველება ამ აღიარების საქმესო, ანუ, იფიქრეთო, ოპტიმიზმის მარცვალს შეიცავს. ის რომ ლაპარაკი მაინც დაიწყო, ვფიქრობ, დიდი ნაბიჯია. არ ვიცი, ვინ რას ელოდა აბაშიძის შეხვედრიდან, რომ მას მოსკოვში ფიანდაზად გაეფინებოდნენ?!

**– მაშინ ვინ დაგვიტოვებდა ჩვენ აბაშიძეს, გაცოცხლებული ბისმარკი იქნებოდა.**

– დიახ და არათუ აფხაზეთსა და ცხინვალს, რუსები სოჭსაც დაგვიბრუნებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთის გინება შეწყდა, რაც აქამდე იყო, განსაკუთრებით, ჩვენი მხრიდან: შეიძლება, ობიექტურად არსებულ პრობლემას გონიერმა კაცმა კიდევ სუბიექტური პრობლემა დაამატოს?! მაგრამ იყო პოლიტიკა, რომ ეს შტატებში ვიღაცას მოეწონებოდა და მხარს დაუჭერდა ამათ ხელისუფლებაში ყოფნას და ეს დაუჯდათ ფასად.

**– მე ისიც მენიშნა, როდესაც პუტინმა თქვა, ვერც საქართველო აღიარებს ამ ტერიტორიებსო. ჩვენ კი ვიცით, რომ არ ვაღიარებთ, მაგრამ მანაც თქვა.**

– მარკოვმაც კი თქვა ომის შემდეგ პერიოდში, არც ერთი ქართველი, ვინც გინდა იყოს, ამაზე არ მოდის, ამ თემას არც კი განიხილავენო. ეს საქართველოში დიდად არ გაშუქებულა. მეც შევხვედრივარ მათ და იციან, რომ ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ახლა, როგორც ჩანს, რუსები ცოტათი დამშვიდდნენ და რაღაც გარიგებაზე მიდიან დასავლეთთან. ავღანეთში რუსეთი მხარს უჭერს ამერიკას, თუნდაც, იმით, რომ არ ეხმარება თალიბებს. გარწმუნებთ, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნებოდათ ამერიკელებს და, განსაკუთრებით, ჩვენს ბიჭებს, რუსეთი რომ თალიბებს მხარს უჭერდეს.

**– არის კიდეც მოსაზრება, რომ ავღანეთიდან ამერიკელების გასვლა დიდ პრობლემას შეუქმნის რუსეთის უსაფრთხოებასო.**

– როგორც ჩანს, რომელიღაც იმპერია იქ უნდა იყოს. რუსეთის გამოსვლის შემდეგ ისეთი ვაკუუმი წარმოიქმნა, რომ ამერიკელი გახდა იძულ-

(მეექვსე გვერდიდან)

**– მე არ მითქვამს, რომ რამეს იგონებთ. საერთოდაც, დასავლეთ საქართველოს ერქვა აფხაზეთი და ქუთაისი იყო ამ დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის დედაქალაქი, მაგრამ მერე რა?**

– ლეონ მეორე ფინანსურად და ჯარით დაეხმარა სომხეთს არაბთა ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლაში. აფხაზეთის მეფეები იყვნენ ბაგრატიდები და ჩვენი მეფეებიც ბაგრატიდები იყვნენ. ლეონ მეორე სომხეთს ეხმარებოდა ფინანსურადაც და ჯარითაც. საბჭოთა ისტორიკოსებისგან ვიცი, რომ ქუთაისი იყო აფხაზეთის დედაქალაქი.

**– მაშინ რატომ უბრუნებთ მხოლოდ ქუთაისს? ბარემ მთელი დასავლეთი საქართველო დაუბრუნეთ? მე მხარს გიჭერთ, იმიტომ რომ მაშინ ქართველები უმრავლესობაში აღმოვჩნდებით და სეპარატისტული აფხაზეთი ავტომატურად აღარ იარსებებს.**

– ესე იგი, მე ვთქვი ის, რაც მოსწონს ქართველ ხალხს.

**– მე არ მითქვამს, მომწონს-მეთქი. მაინტერესებს, როგორ აპირებთ, დაუბრუნოთ ქუთაისი აფხაზეთს?**

– მე ვთქვი, თუ აფხაზებს უნდათ, აღადგინონ თავიანთი ძველი საზღვრები, როგორც ისინი დაგვეხმარნენ მეშვიდე საუკუნეში, ჩვენც მზად ვართ, დავეხმაროთ მათ დღეს-მეთქი. არ მიმაქვს უკან ჩემი სიტყვები, მაგრამ ეს აფხაზების გადასაწყვეტია. მე ხომ არ შემიძლია, მარტო შემოვიდე საქართველოში და დავიპყრო?!

**– როგორც მივხვდი, თუ აფხაზები გადაწყვეტენ, თქვენ მზად ხართ, შემოხვიდეთ საქართველოში, შეგვებრძოლოთ და დასავლეთ საქართველო დედაქალაქ ქუთაისიანად დაუბრუნოთ აფხაზეთს?**

– თუ აფხაზები ამას გადაწყვეტენ. ამას გარდა, თქვენ იცით, რომ სომხეთის უზარმაზარი ტერიტორიაა დღეს თურქეთის შემადგენლობაში.

**– სწორედ ეს უნდა მეკითხა: განკარგულებას არ გამოსცემთ, რის მიხედვითაც, სომხეთს უნდა დაუბრუნდეს თურქეთში არსებული ტერიტორიები? თუ თურქეთი ძლიერია და არ მოსთხოვთ?**

– მე ეს პუნქტიც მაქვს ჩემს საარჩევნო პროგრამაში. ყოფილი სამივე პრეზიდენტის დროს

# რატომ ჰპირდება სომეხ ამომრჩეველს პრეზიდენტობის კანდიდატი ვარდან სედრაკიანი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებას, სამცხე-ჯავახეთის შეერთებას და ქუთაისის, დასავლეთ საქართველოიანად, აფხაზებისთვის დაბრუნებას

აპირებდნენ თურქეთთან დიპურთიერთობის აღდგენას: ეს ხან რუსეთს უნდოდა, ხან – ამერიკას. შარშან კინაღამ მოეწერა ხელი ამ შეთანხმებას. სომხეთის პრეზიდენტები ყოველთვის ამბობდნენ, მზად ვართ, დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან წინაპირობების გარეშეო. იცით, როგორ პასუხობდნენ თურქები? პირობა პირველი



– ყარაბაღი. ჩემს პროგრამაში წერია, რომ არანაირი ურთიერთობა თურქეთთან, არანაირი შეთანხმებები და მოლაპარაკებები, სანამ თურქეთი არ აღიარებს სომხების გენოციდს და არ დააბრუნებს სომხურ ტერიტორიებს.

**– აზერბაიჯანთან ტერიტორიული პრობლემა გაქვთ, საქართველოსთან აპირებთ ომს, თუ აფხაზები მოინდომებენ ქუთაისის დაბრუნებას, ზედაც, სამცხე-ჯავახეთის მიერთებას, თურქეთსაც ედავებით. სომხეთისთვის ასეთი პოლიტიკა გონივრული იქნება?**

– მეორე მხრიდან მივუდგეთ საკითხს: საიდან მოდის ეს პრობლემები? ჩვენ ვინმეს წავართვით ტერიტორიები?!

**– ამას რაღა მნიშვნელობა აქვს?**

– თუ მე ყოველდღე გირტყამთ თავში და ერთ დღესაც თქვენ გადაწყვეტთ, შური იძიოთ, ეს უსამართლო იქნება?!

**– მოერევით-მეთქი ამდენს? აქვს საამისო სამხედრო ძალა სომხეთს?**

– ძლიერი არის ის, ვინც უფრო ჭკვიანია. საქართველო და აზერბაიჯანი ახორციელებენ ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტებს, რომლებშიც სომხეთი არ იღებს მონაწილეობას. თქვენი აზრით, ეს სამართლიანია?!

**– აზერბაიჯანთან ტერიტორიული კონფლიქტი გაქვთ და გასაგებია, ალბათ, თქვენთვის, რომ აზერბაიჯანი სომხეთზე არ გაატარებს თავის ნავთობსა და გაზს?**

– ეს სხვა სიმღერაა: საქართველოს ხელისუფლებამ სიბრძნე უნდა გამოიჩინოს.

**– სომხეთი იტყოდა უარს საერთაშორისო პროექტზე საქართველოს გამო?**

– აუცილებლად. იმარჯვებს ის, ვინც შორსმჭვრეტელია. მაპატიეთ, მაგრამ თქვენი პრემიერ-მინისტრი შორსმჭვრეტლის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

**– ძალიან შეურაცხყოფილი დარჩენილხართ მისი ვიზიტით.**

– ეს არ მოეწონა სომეხ ხალხს. მხოლოდ სერჟიკ სარქისიანს მოეწონა. ცაში დაფრინავდა სიხარულით, მაგრამ ივანიშვილმა მასაც ჩაურტყა: იმედი გვაქვს, სომხეთში სამართლიანი არჩევნები ჩატარდებაო და ჩვენი პრეზიდენტი გაშავდა, რადგან ასეთ რამეს არ ელოდა. რას ფიქრობს ივანიშვილი, როდესაც ლაპარაკობს?!

**– არჩევნები არ უნდა ჩატარდეს სამართლიანად?**

– ჩვენთან ერთპარტიული ქვეყანა, პატარა საბჭოთა კავშირია. ივანიშვილმა თქვა, იმედია, სამართლიანი არჩევნები ჩატარდებაო და წავიდა ჯაზის მოსასმენად. მას ბიზნესში შეიძლება, რამე გამოსდის, მაგრამ პოლიტიკაში...

**– ექვსი მილიარდი „რაღაცაა“?**

– სომხური გაგებით, რაღაცაა. ერევანში ასეთები ბევრი გვყავს.

**– მილიარდერები გყავთ?**

– იცით, რომ ფულის პრობლემა არ აქვთ სომხებს.

**ნინო ხაჩიძე**

ებული, შესულიყო. აი, ეს არის გეოპოლიტიკა, დედამიწა არ იმართება ენერგეტიკის გარეშე. თვითონ ავღანეთს არაფერი აქვს, მაგრამ მის გარშემოა თავმოყრილი ქვეყნები, რომლებსაც გლობალური მნიშვნელობა აქვს: ჩინეთი, რუსეთი, ცენტრალური აზია, ირანი, პაკისტანი. ეს არის ენერგორესურსებისა და ამბიციების მქონე ქვეყნები. ასე რომ, ავღანეთს სხვა დატვირთვა აქვს.

**– გარიგება ახსენეთ, ანუ?**

– ორივე თავის გლობალურ ინტერესებს იცავს. ჩვენს შესახებ არ მგონია, ასეთი გარიგება შედგეს, მაგრამ, თუ ვარაუდის დონეზე ვიტყვით, თუ სირიას კარგავს რუსეთი, მეორემ შეიძლება, დათმოს საქართველო. გავყვეთ შეთქმულების თეორიას.

**– სირიას კარგავს რუსეთი, ეს თითქმის აშკარაა.**

– მე ვფიქრობ, რომ ასე იქნება. მეგონა, ბაშარ ასადი უფრო რაციონალური იქნებოდა, ის დასავლეთში გაზრდილი კაცია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ შველის, რაც ჩვენების მაგალითზეც ვნახეთ. მივყვეთ შეთქმულებათა თეორიას. რა, არ წაგვიკითხავს სტალინისა და ჩერჩილის მოლაპარაკებები ევროპის გაყოფაზე?! ფაშიზმი დაამარცხეს და თვითონ ისე ინაწილებდნენ ევროპას, რომ არც პოლონელს ეკითხებოდნენ, არც ჩეხს და არც ვინმე სხვას. არ მოგვისმენია ბუში მამის განცხადება, საბჭოთა კავშირში უნდა დარჩეთო, უკრაინას რომ უთხრა?! ამიტომ მთლად ასეთი დაუჯერებელიც არ არის შექმულებათა თეორიები.

პარადოქსულ რაღაცას ვიტყვი: თუ დიქტატს დავანებებთ, რატომაც არ დაამყარებენ რუსები, მაგრამ მათ მხოლოდ გავლენა სურთ და ეს გავლენაც უფრო ენერგეტიკულია. ჩრდილოეთით გაზსადენი უკვე დაამთავრეს, სამხრეთით დაამთავრებენ, უკრაინასთან, ასე თუ ისე, ლაგდებიან, ბელორუსიასთანაც დალაგდებიან: ლუკაშენო თავისი ქვეყნისთვის ვაჭრობს, რომ მეტი დარჩეს. თუ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს არ დაგვამსგავსებს, მინიმუმ უნდა, რომ ფინეთები შექმნას თავის გარშემო, რომლებიც არ შევლენ რუსეთის მოწინააღმდეგე ბლოკში. რუსებს ჰგონიათ, რომ ნატო მათი მოწინააღმდეგე ბლოკია, თორემ რამდენიმე ათწლეულში რუსეთიც იქ იქნება. სხვა გზა არ აქვს უბრალოდ ისტორიულ ლოგიკას. ბზეჟინსკი რომ დაწერს და, მით უმეტეს, კისინჯერი, ბოლოს აქ იქნებიან და რუსეთის ევროპეიზაციის პროცესი მიდისო, ყველაფერი ნათელია. მაინც პროგრესია რუსეთში, თუნდაც, იმიტომ რომ შუა ფენა იქმნება, რომელიც გამოდის ქუჩაში. მათ საქმე რევოლუციამდე არ მიჰყავთ, მაგრამ ერთხელაც ქუჩაში მილიონ-ნახევარი ადამიანი გამოვა და ეს დაემთხვევა პუტინის წასვლას. ეს ჩვენ ვერ ვითმენთ, თორემ არც დასავლეთს და არც შეერთებულ შტატებს არსად ეჩქარებათ. თუ რუსეთი 10-15 წლით დაწყნარდება იმით, რომ თავისი გავლენა ექნება აქ, 10-15-20 წლის შემდეგ სად წავა?! მაინც ერთიანი სივრცე იქნება ევროპული კულტურის განშტოებები: ოკეანის გაღმა, ჩრდილოეთი და ლათინური ამერიკა, აქეთ – რუსეთი და ბიზანტიური სივრცე. ჩვენ რა ვქნათ? ველოდოთ ამას?! თუმცა არც სიჩქარე ვარგა: ზურაბ აბაშიძის პოსტის შემოღება სწორი ნაბიჯი იყო, ისევე, როგორც ამ პოსტზე ზურაბ აბაშიძის დანიშვნა.

**– რას ელის რუსეთი, თქვენი აზრით, ამ დაყვავებიდან?**

– ისეთი მდგომარეობაა რუსეთის მხრიდან, რომ არ მინდა რამის თქმა, შეიძლება, მეტს გამოვრჩეთ. ჩვენთვის ბაზარი მნიშვნელოვანია, ამაზე ადვილად წამოვა რუსეთი, მაგრამ ჩვენ უფრო მკაფიო სათქმელი გვაქვს. არც ჩვენ გვინდა იმის თქმა, რას რის სანაცვლოდ ვთავაზობთ. მეეჭვება, ჩვენებს ჩამოყალიბებული ჰქონდეთ.

**– მერედა, იფიქრონ და ჩამოაყალიბონ.**

– იმედი მაქვს, ფიქრობენ, ჩვენც უნდა ვიფიქროთ, საზოგადოების მიერაც უნდა ხდებოდეს წინადადებების განხილვა. რაკი პუტინი ამბობს, მე არ ვიციო, იქნებ ვიღაცამ გამოიცნოს, რაზე მოდის რუსეთი?! მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ის უსაშველო ჩიხი აღარ არის. ვნახოთ...

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**დღევანდელი პოპულარული დაჭერების ფონზე საზოგადოების ინტერესი ყველაზე მეტად ძმები ახალაიებისკენ არის მიმართული. ბევრს აღარ გავაგრძელებ და გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ბაჩო ახალაიას მეორე ნახევართან – ანი ნადარეიშვილთან, საიდანაც გაიგებთ, როგორია ცოლის თვალით დანახული ბაჩო ახალაია, რა ნაკლოვანებები და ღირსებები გააჩნია მას, სად და როდის დაუშვა შეცდომა...**

# რა ნახა საკუთარი თვალით ციხეებში ბაჩო ახალაიას ცოლმა

**– ანი, მოგვიყევით თქვენი და ბაჩოს გაცნობისა და შეუღლების ისტორია. ჩემთვის ესეც საინტერესოა იმ პასუხებთან ერთად, რაც ჩემს კითხვებს მოჰყვება და რომლებიც ფართო საზოგადოებას ასე ძალიან აინტერესებს.**

– ერთმანეთი სამსახურებრივ ვითარებაში გავიცანით, შემდეგ საერთო მეგობრების წრეში შევხვდით რამდენჯერმე და დავახლოვდით. მაშინ ბაჩო ომბუცმენის მოადგილედ მუშაობდა, მე – პროკურატურაში ადამიანთა უფლებათა დაცვის კუთხით და რამდენჯერმე შევხვდით სამსახურებრივად. ვინც იცნობს ბაჩოს, ყველას უყვარს, ვინც არ იცნობს – ყველას სძულს. ეს არის ძალიან კეთილი ადამიანი, ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს, დიდი პატრიოტია თავისი ქვეყნის, ყოველთვის 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა და თავს არ ზოგავდა.

**– ანი, ანი, ერთი წუთით! მოდი, გავაგრძელოთ პირველი შეკითხვის პასუხი, თორემ, თქვენი გაცნობისა და შეუღლების ისტორია დაუსრულებელ ისტორიას ჰგავს, რომელიც გაცნობით დაიწყო და სხვა აღარაფერი ყოფილა... ასე პირდაპირ შეუღლდით?**

– თავიდან დავმეგობრდით, მერე მივხვდით, რომ სხვა გრძნობები გვქონდა ერთმანეთის მიმართ. თავიდანვე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, იმიტომ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვმეგობრობდით და ვიცოდი, როგორი ადამიანი იყო. ძალიან განათლებული, ძალიან მოწესრიგებული პიროვნებაა და თავიდანვე მომწონსხა. შემდეგ, რომ დავახლოვდით, მისი პიროვნული თვისებები უფრო კარგად დავინახე. მართლა ძალიან შემიყვარდა და დღეს თავდავიწყებით მიყვარს. შემიძლია, მის გამო სიცოცხლე დავთმო. უკვე ცოლ-ქმარი ვიყავით, რომ ორი წლის შემდეგ ჯვარი დავიწერეთ. რომანტიკული, როგორც ასეთი, ბაჩო არ არის, მაგრამ, ყოველთვის გაგრძნობინებს სიყვარულსა და სითბოს. მე უფრო სხვა თვისებებით მომხიბლა. ჩვენ მანამდე ვიყავით დაოჯახებულები. ბაჩოს ჰყავს 9 წლის შვილი, მე – 13 წლის. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ოჯახები დაინგრა. არც არანაირი ხელის შემშლელი გარემოებები ყოფილა, გარშემო ყველამ იცოდა, რომ თავდავიწყებით გვიყვარდა ერთმანეთი, ამიტომ, არც არავის გაჰკვირვებია, პირიქით, ყველას ის უკვირდა, რომ ჩვენი დაქორწინების ამბავი ასე გაიწელა დროში. ასე თუ ისე, ერთხელ ორივე უკვე ვიყავით დაოჯახებულები და მაინც დაფიქრება იყო საჭირო, თორემ, სხვა არაფერი.



ბაჩო ძალიან ძლიერი პიროვნებაა და ვერაფრით გატეხენ

**– აი, წეღან თქვენ თქვით, ვინც არ იცნობს ბაჩოს, მისთვის ცუდი ადამიანიაო. ბაჩო ახალაია უკვე ბევრი წელია, ძალიან გამოკვეთილი ფიგურაა ქართულ საზოგადოებაში. ხომ არ შეიძლება, საქართველოში მცხოვრები თითოეული კაცი მას ძალიან ახლოს იცნობდეს და, თან, მასზე დადებითი შეხედულება ჰქონდეს. თქვენს მეუღლეზე საზოგადოებაში დღემდე მხოლოდ ერთი აზრია შექმნილი – ბაჩო ახალაია არის სადისტი, დემონი.**

– მესმის, მაგრამ, ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, არ ვიცი, რა შეიძლება იყოს მისი უარყოფითი. ჩემთვის მისი უარყოფითი, ალბათ, ის იქნებოდა, რომ ის 24 საათი მუშაობდა, მისთვის საქმე იყო უპირველეს ყოვლისა და, ალბათ, ეს რეჟიმი იყო ჩემთვის ცოტა მიუღებელი. არც ახალი წელი, არც რაიმე დღესასწაული ჩემთვის არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მისთვის არასდროს მისაყვედურია, რადგან, დიდი ხანია, მიჩვეული ვარ ამას. მამაჩემიც ასე იყო ზუსტად ***(აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, – ავტორი).*** ჩემთვის ჩემი ქვეყანა ბევრს ნიშნავდა და, როცა ვიცი, რომ ამას ჩემი ქვეყნისთვის აკეთებდა, არ გამომითქვამს საყვედური.

**– მე კარგად მესმის, რომ, ის საუბრები, სამსახურებრივი თუ პირადი, რაც, შეიძლება, რომ ოჯახის წევრებმა ერთმანეთს გაანდონ, ასე საჯაროდ არ ითქმის და ჟურნალისტებთან არასოდეს იტყვით. ცხადია, ნებისმიერი ასე მოიქცეოდა. მაგრამ, რამდენად გულახდილები იყავით ერთმანეთთან, რა არის რეალობა?**

– ჩვენი დევიზი სწორედ ეს იყო, რომ ერთმანეთთან ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში, გულახდილები ვყოფილიყავით. მე არასდროს დამიმალავს მისთვის, თუ რამე არ მომწონდა მასში და, ასევე, მას – ჩემთვის. სამსახურებრივად ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ მის საქმიანობაში არასდროს ჩავრეულვარ, ყოველთვის ვცდილობდი, მისთვის სამსახურზე არაფერი მეკითხა და ვერც ვასწრებდი კითხვის დასმას, იმდენად ცოტა დროს ატარებდა ბოლო დროს ოჯახში, ჩვენ სულ სხვა, ყოფით საკითხებზე ვსაუბრობდით. პირიქით, მე ახლა ვიგებ ბევრ ისეთ რამეს, რაც თურმე მას უკეთებია და მე არ ვიცოდი ამის შესახებ.

**– რა?**

– თუნდაც ის, რომ, თურმე, სრულიად უცხო ადამიანებს ეხმარებოდა, რამდენი სიცოცხლე აქვს გადარჩენილი... ის ადამიანები ახლა გვიკავშირდებიან და ასეთ რამეებს მეუბნებიან. სახელებიც ვიცი მათი, გვარებიც, არც იმალებიან და, მინდა გითხრათ, რომ შოკში ვარ.

**– ბატონი ბაჩოს საზოგადოებაში გამოჩენის დღიდან, მას ყოველთვის ძალიან უარყოფით პიროვნებად ახასიათებენ, რას აღარ ლაპარაკობდენ მასზე, ახლა კი – უფრო მძაფრად. ამ ყველაფერს, ალბათ, თქვენც იგებდით. აქედან გამომდინარე, არასდროს დაგისვამთ კითხვა ქმრისთვის – რა ხდება, ბაჩო. ამას რატომ ამბობენ შენზე, რა წამებებზე, რა ფინანსებზე ლაპარაკობს ეს ხალხიო?!**

– იცით, რა არის? ამასთან დაკავშირებით კითხვაც კი არ გამჩენია, იმიტომ, რომ ბაჩო არის ძალიან კანონმორჩილი ადამიანი. არ ვეკითხებოდი, რადგან, არ მინდოდა, გამეღიზიანებინა ჩემი ამგვარი კითხვებით. ბავშვობიდან მიჩვეული ვარ ამ ჭორებს და ყურადღებას არ ვაქცევ. იმდენი ცილისწამება და ტალახის სროლა იყო მამაჩემის მიმართ, სულ გაოგნებული ვიყავი. რომ გარდაიცვალა, მერე დააფასეს. ბაჩოს დიდი დანაშაული ისაა, რომ არ ურთიერთობდა პრესასთან, არ ურთიერთობდა ხალხთან.

**– არა მხოლოდ ბაჩო ახალაია, საერთოდ, ნაციონალური მოძრაობის გუნდი იყო ხალხთან დისტანციური. პრეზიდენტმა ამაზე არაერთხელ მისცა სახალხოდ შენიშვნა თითოეულ მათგანს, პირად ტელეფონებზე ზარებს არ პასუხობდნენ.**

– გეთანხმებით. ყველაზე მეტად ბაჩო არ ურთიერთობდა! მაგრამ, იცით, მას ჩუმად ჰქონდა ურთიერთობა ადამიანებთან და, აფრთხილებდა ყველას, არ თქვათ, რომ მე გეხმარებითო. ბავშვთა სახლებშიც დადიოდა და ეხმარებოდა და ამაზე ჩემთანაც კი არაფერი უთქვამს. ყოველთვის დარდობდა თავისი ქვეყნის მდგომარეობაზე და, შეიძლება, ამასთან დაკავშირებით ეთქვა რამე, მაგრამ, კონკრეტულ გაკეთებულ საქმეებზე არ ლაპარაკობდა. არც მე არ ავყოლივარ რაიმე ჭორს და არაფერი მიკითხავს, რადგან როცა პროკურატურაში ვმუშაობდი მაშინ, რაღაც პერიოდის განმავლობაში ბაჩო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობდა და თვითონ ვხედავდი, რას და როგორ აკეთებდა. ძალიან კარგად მახსოვს რევოლუციამდელი მდგომარეობა ციხეებში და შემდგომაც. თვითონ მინახავს წამების იარაღები – ხელით დასაქოქი, დენის, ფრჩხილების დასაძრობი აპარატები... მინახავს პატიმრები, რომლებიც საერთოდ ვერ წვებოდნენ ლოგინში და, შეიძლებოდა, ერთი საათი რიგში დგომის შემდეგ დაწოლილიყვნენ.

**– ანუ, რას და როგორ აკეთებდა ბაჩო? რა გაქვთ ნანახი?**

– მერე ვნახე ბაჩოს მიერ გაკეთებული საქმეები – ის დიდი მონდომებით აკეთებდა ყველაფერს. იმ დროს სულ არ ვიყავი ბაჩოს ცოლი, მაგრამ, ვაფასებდი მის მუშაობას. ამას სოზარ სუბარი თავის ანგარიშებში აღწერს – რა მდგომარეობაში იყო მანამდე და შემდეგ.

**– რატომ არავინ არაფერი იცის ბაჩო ახალაიას ოჯახის შესახებ? თქვენ, როგორც მისი მეუღლე, მხოლოდ ახლა გამოჩნდით, ახლა ლაპარაკობთ; ბევრი ახლა იგებს, რომ თამაზ ნადარეიშვილის ქალიშვილი ხართ; ახლა იგებს, რომ ახალაიას, თურმე, ასეთი კარგი ცოლი ჰყოლია; რომ ბაჩოს მანამდეც ჰყავდა ოჯახი, შვილი... უმრავლესობამ ეს არ იცოდა.**

– ჩვენ, ზოგადად, ჩაკეტილ ცხოვრებას ვეწეოდით, რაც ძალიან სამწუხაროა და რასაც ახლა ძალიან ვნანობ. არ დავდიოდით არც თეატრში, არც კონცერტებზე, არც სადმე სტუმრად ან რესტორან-ბარებში. თვითონაც ნანობს ამას. შავი ფიარის მანქანა კარგად მუშაობდა მის წინააღმდეგ. ხალხმრავლობა სადაც იყო, არ ვჩნდებოდით.

## არც ერთი წუთით არ მინანია, რომ ბაჩოს ცოლი ვარ

**– რატომ არ დადიოდით? იცოდით, რომ ხალხი უარყოფითად იყო განწყობილი და ერიდებოდით გამოჩენას?**

– შეიძლება, ასეც ითქვას, რომ ვერიდებოდით, იმიტომ, რომ ბაჩოს მიმართ შავი ფიარი იყო აგორებული. მაშინ, უნდა გამოხვიდე და ვიღაცას საწინააღმდეგო დაუმტკიცო, რომ ეს ასე არ არის, რაც ძალიან ძნელია. არასდროს, არც ერთ ეტაპზე არ მიმიცია ინტერვიუ პრესისთვის, ვიყავით ჩუმად. ბაჩოს მიაჩნდა, რომ საკმარისი იყო ის საქმე, რასაც აკეთებდა. მაგრამ, ჩვენს საზოგადოებაში, რეალობაში, სხვანაირად უნდა იცხოვრო – უნდა გამოხვიდე და ყველას პასუხი გასცე. მაგრამ, არა უშავს, ახალგაზრდაა და შემდგომში გამოასწორებს ამას, გავითვალისწინებთ.

**– როგორი იყო სახლში?**

– ავადაც რომ ყოფილა ბაჩო, სიცხიანი, ფილტვების ანთებაც რომ ჰქონია, არც ერთი წუთ-

# რა უნდა გაითვალისწინონ მესაკუთრეებმა, რომლებსაც უკანონოდ ჩამოართვეს ქონება ან ბიზნესი და ვინ აუნაზღაურებს ზარალს მესაკუთრეს, თუ მისთვის ქონების უკანონოდ ჩამომრთმევლის ბალანსზე არც ქონებაა და არც ფული

(მეშვიდე გვერდიდან)

მნიშვნელოვანია, რომ ლეგიტიმური ორგანოს გადაწყვეტილებით, ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში დადგინდეს, რა იყო უკანონოდ ჩამორთმეული ქონების ფაქტი. და ეს ქონება შეიძლება, იყოს უძრავი და მოძრავი, მოთხოვნის უფლებები, წილები, აქციები და ასე შემდეგ.

**– ბუნებრივია, რომ ამ პროცესს მიტმასნილებიც ეყოლება, იმ იმედით, იქნებ რამეს გამოვრჩეთო, რაც სიმართლის დადგენის თვალსაზრისით, არ არის პრობლემა, მაგრამ დროს წაიღებს.**

– ასეთი შემთხვევებიც არის. ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება, გითხრათ, რომ ჩვენთან უკანონოდ ჩამორთმეული ქონების პრობლემით რამდენიმე ასეული ადამიანი მოსულა და მათი უმეტესობა – ოქტომბრის შემდეგ, მაგრამ ეს არ არის სრული სტატისტიკა. მოქალაქეების განცხადებები, ერთი მხრივ, შედის პარლამენტში, მეორე მხრივ, იუსტიციის სამინისტროში. მიუხედავად იმისა, რომ განხილვის კონკრეტული მექანიზმი არ არის დადგენილი, მოქალაქეები აქტიურად წერენ განცხადებებს. უპრიანიცაა, დაწერონ განცხადებები, რადგან უფრო ადრე მოხდება მათი განხილვა.

**– დიახ, საქმეების განხილვის რიგითობაც საინტერესო თემაა: ანბანის მიხედვით იქნება თუ ცოცხალი რიგით?**

– სავარაუდოდ, არც ერთი და არც მეორე. განხილვა უნდა დაიწყოს იმისდა მიხედვით, თუ ვისი განცხადებაა უფრო ადრე რეგისტრირებული. ვინც ადრე მიმართა, მას უფრო ადრე უნდა გაეცეს პასუხი.

**– ვისაც აქვს ეს პრობლემა და ფიქრობს, რომ უკანონოდ ჩამოართვეს ქონება ან წაართვეს ბიზნესი, რას ურჩევთ?**

– ჩამოწერონ ის ფაქტები, რაც მათ სუბიექტურად უქმნის შთაბეჭდილებას, რომ უკანონოდ ჩამოართვეს ქონება. აუცილებლად აღწერონ ფაქტები, მაგრამ თავი შეიკავონ სამართლებრივი შეფასებებიდან და კონკრეტული დანაშაულებების ჩამოთვლისგან, რადგან შესაძლოა, ცრუ დასმენა გამოუვიდეთ და ამის გამო საქმე მათ წინააღმდეგ შეტრიალდეს. ამიტომ უბრალოდ, ფაქტ-



ები აღწერონ მაქსიმალურად დეტალურად და კონკრეტულად, სამართლებრივი შეფასება კი სამართალდამცავ ორგანოებს მოსთხოვონ.

**– ვის უნდა მიმართონ ამ განცხადებებით?**

– პარლამენტს, იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურას.

**– გარდა უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისა, შესაძლებელია, რომ მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურებაც?**

– მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ესენია: ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი და ადამიანის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანი. თან, ამ უფლებებზე ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება.

**– ვინ იხდის მორალური ზიანის კომპენსაციას?**

– ვედავებით მას, ვისგანაც შემელახა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და ჩემს ჯანმრთელობას მიადგა ზიანი.

**– ესე იგი, თუ ადმინისტრაციული ორგანოა – ბიუჯეტი, თუ იურიდიული ან ფიზიკური პირი – ეს პირები?**

– როგორც წესი, ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მონაწილეობას იღებდნენ მაღალი სიძლიერის სუბიექტები: ჩვეულებრივ სუბიექტს უკანონოდ ქონების გამორთმევა გაუჭირდება. ამდენად, ამ განცხადებების დიდი ნაწილი სწორედ ადმინისტრაციული უფლებამოსილების პირების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ან მათ მიერ უფლებამოსილების გადამეტებაზე მოვა. ჩვენთან მოსული მოქალაქეების უმეტესობაც ადასტურებს, რომ საუბარია ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან უკანონო ზემოქმედებებზე. თუ დადგინდება იმ კონკრეტული სუბიექტის ბრალეულობა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა, თავისთავად ცხადია, რომ ზიანი ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა აანაზღაურონ.

**ნინო ხაჩიძე**

---

ით არ გაჩერებულა სახლში და არ ჩაწოლილა ლოგინში. ყოფილა შემთხვევები, სახლში დილის შვიდ საათზე მოსულა, გადაუვლია წყალი და ისევ სამსახურში გაქცეულა. სახლში, როგორც ასეთი, ბაჩო დიდხანს არ რჩებოდა. მოდიოდა ან წყლის გადასავლებად, ან – დასაძინებლად. თუმცა, როდესაც ერთ-ორ საათს გამონახავდა დროს და მოვიდოდა, სამზარეულოში შედიოდა. ძალიან კარგად ამზადებს საჭმელებს – ეს მისი ჰობია. ისე მონდომებით, გემრიელად და ლამაზად აკეთებდა, ძალიან მსიამოვნებდა.

**– იცით, რა მინდა, გკითხოთ? თქვენთვის, როგორც მეუღლისთვის, აბსოლუტურად მიუღებელია ყველა ის ჭორი თუ ბრალდება, რაზეც საუბრობენ? არაფერი არ არის სიმართლე? გასაგებია, რომ თქვენ ცოლი ხართ, ძალიან გიყვართ და ვერასოდეს დაინახავთ მის ნაკლოვანებებს, მაგრამ, მაინც...**

– რა თქმა უნდა, ბაჩოს პიროვნებიდან გამომდინარე, აბსურდულია ყველა ის ბრალდება. ამ ქვეყანაში დავიბადე და გავიზარდე, ბევრი ჭორი მსმენია სხვა ადამიანებზეც და, მივხვდი, რომ მართლა ჭორებით საზრდოობს ხალხი. ვიღაც რომ სულ გაიძახის, ვიღაცაზე – მონსტრია, მონსტრიაო და ეს სულ ჩაგესმის ყურში, შეიძლება, შენც ასეთივე აზრი შეგექმნას. ხეს რომ უძახო სულ – გახმიო, მართლა გახმება. ბაჩო ძალიან კანონმორჩილი ადამიანია, არ არსებობს, კანონს გადაუხვიოს. წითელზე არ გაუვლია არასდროს, ელემენტარულად, ღვედის გარეშე არ უვლია და ამაზე ჩემთვისაც მოუცია შენიშვნა. ყოველთვის ფიქრობდა თავის ქვეყანაზე, მომავალზე, რადგან, იცის, რომ მისმა შვილებმა ამ ქვეყანაში უნდა იცხოვრონ – სწორედ ამიტომ არასდროს ჩაიდენდა ცუდს. ბაჩო არის ამ ხელისუფლების მძევალი, რომელსაც ძალიან უნდათ, რომ ხელები, ფეხები შეაწმინდონ და ყველაფერი დააბრალონ. მართლა ჩალით კი არ არის ეს ქვეყანა დახურული, ხვალ და ზეგ აუცილებლად გამოჩნდება სიმართლე და ყველაფერი გაირკვევა, ასე არ დარჩება. ძალიან გამაღიზიანებელია უსამართლობის განცდა. მინდა, ყველასთან სათითაოდ მივიდე და სიმართლე დავუმტკიცო, რომ ეს ასე არ არის, არ დამეზარება. მეტი ვერაფრის გაკეთებას მე ვერ შევძლებ. მინდა, სიმართლისთვის ვიბრძოლო. ბუნებით ძლიერი ადამიანი ვარ, გენეტიკაში მაქვს ეს. არ მიყვარს ტირილი და გოდება, ამით მაინც არაფერი ეშველება ბაჩოს. იქიდან გამომდინარე, რომ, მინდოდა, რაღაც გამეკეთებინა, ჩამოვაყალიბე არასამთავრობო ორგანიზაცია – „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრი“ და, მარტო ბაჩოს კი არა, ყველა ადამიანს დავეხმარებით, ვინც მოგვმართავს.

**– თქვენი შეფასებები ბაჩოს მიმართ გადაჭარბებული ხომ არ არის?**

– მესმის, მაგრამ მე ვერ მათქმევინებთ ბაჩოზე ცუდს, გამორიცხულია. იმ დღეს ჩემს მეგობარს ვეუბნებოდი, რამე წყენა მაინც გამახსენდეს ბაჩოსგან, რომ რაღაც მაინც ვთქვა-მეთქი. ძალიან მომთხოვნი და მკაცრი იყო სამსახურში. ყველამ იცოდა, რომ მასთან ოთახში ვერ შევიდოდა მოუმზადებელი – რაღაც რომ ეკითხა, პასუხი ამომწურავი უნდა ყოფილიყო. ყველაფერი მაღალ დონეზე უნდა გაკეთებულიყო. სახლშიც იმავეს ითხოვდა. თუ ბოდიში აქვს მოსახდელი ვინმესთან, აუცილებლად მოიხდის. ფეთქებადია, მაგრამ, მეორე წუთს ისე მოგიდგება, ისეთ თბილ სიტყვებს გეტყვის, არ არსებობს, ნაწყენი დარჩე. ძალიან თბილი ადამიანია. არ მახსოვს ბაჩო გაბუტული, დაბოღმილი, მხოლოდ წუთიერი გაბრაზება იცის.

**– მან პრობლემები შეუქმნა ოჯახს იმით, რომ საპატიმროშია. თქვენ, მისი ცოლი, ფაქტობრივად, აღმოჩნდით უსუსურ მდგომარეობაში, მარტო, ბავშვთან ერთად; გაჩნდა ათასი საზრუნავი, საფიქრალი... ამ ყველაფერმა თუ დაგაფიქრათ ერთი წუთით მაინც, ერთხელ მაინც თუ გინანიათ – ნეტავი მასთან არ დამეკავშირებინა ჩემი ცხოვრებაო?**

– არა, არც ერთი წუთით არ მინანია, იმიტომ, რომ ბაჩოს ისეთი არაფერი ჩაუდენია, რაც, შეიძლება, სანანებელი გახდეს. ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო, ეს ღმერთის ნებაა. არა უშავს, ყველაფერს გავუძლებ და ასე მარტივად ვერ დავნებდები.

**– ახლა როგორ ცხოვრობთ? ალბათ, ეს მდგომარეობა საგრძნობლად აისახება თქვენს ოჯახზე.**

– რა თქმა უნდა, აისახება. მე ამჟამად არ ვმუშაობ, ეს ოფისიც ძლივს ვიქირავე. ზოგმა მაგიდა მოიტანა, ზოგმა კომპიუტერი – ვისაც რა შეეძლო. საერთო ძალებით ვიქირავეთ ოფისი, დედაჩემიც მეხმარება – მამაჩემის სახლი გვაქვს გაქირავებული. არც პირადი მანქანა მყავს, არც აგარაკი გვაქვს, არც ბათუმში სახლი და არც არაფერი, მით უმეტეს, უცხოეთში არანაირი ქონება არ გაგვაჩნია, მხოლოდ ერთი სამოთახიანი ბინა გვაქვს ნუცუბიძეზე. ბაჩოს უცხოეთში სიარულზე მეტად ბუნებაში გასვლა უყვარს. კახეთში, სიღნაღში მივდიოდით ხოლმე, თორემ, ისე არსად არ უყვარს წასვლა. არც არასდროს მქონია პრეტენზია, მეტი მქონოდა, რაც მაქვს, ისიც მყოფნის და ისედაც ბედნიერი ვარ. მთავარია, ახლა ყველაფერი გაირკვეს და ბაჩო დაგვიბრუნდეს, მეტი არაფერი მჭირდება. ერთადერთი, რაც მიჭირდა, იყო ის, რომ ვერასდროს ვხედავდი – ვერ იცლიდა. ახლა პატარა გოგო გვყავს და მისი გაზრდით ვარ დაკავებული. ღამეები არ მძინავს, უძილობა დამჩემდა და ლაპარაკში გამყავს დრო – ახლობლები, მეგობრები, ვსხედვართ და ვსაუბრობთ. ბაჩოზე არანაირი მტკიცებულება, სამხილი არ არსებობს, უბრალოდ, ვიღაცის ნათქვამის ნათქვამზე გავრცელდა ჭორი, რომ ვითომ ბაჩო იქ იყო, როცა ვიღაცას აწამებდნენ, როცა ვიღაც ჯარისკაცს სცემდნენ. თუ ბაჩო ამდენი წელი ხალხს აწამებდა, სცემდა, ვიღაცას ხომ შეეძლო, ეს გადაეღო, ხომ შეიძლება, ამის დამადასტურებელი თუნდაც ერთი კადრი არსებობდეს, ან – მოწმე, მესამე პირი?!

**ეკა პატარაია**

# რამდენი ათასი ავტომობილი ჰყავს ოთხსართულიან ავტოფარეხში ბრუნეის სულთანს და რით არის გამორჩეული მისი ისტან ნურულ იმანის სასახლე

***ის არის უკანასკნელი აბსოლუტური მონარქი კაცობრიობის ისტორიაში და იმ სამეფო დინასტიის 29-ე წარმომადგენელი, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნიდან მართავს ამ სახელმწიფოს. საუბარია ბრუნეის სასულთნოსა და მის მმართველზე, ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მონარქზე მსოფლიოში, მის უდიდებულესობა სულთან ჰასანალ ბოლკიაჰზე.***

* ჰასანალ ბოლკიაჰი დაიბადა 1946 წელს, ბანდარ-სერი-ბეგავანში, ბრუნეის დედაქალაქში. 1961 წელს იგი გამოცხადდა ტახტის მემკვიდრედ, ხოლო, მას შემდეგ, რაც მამამისმა, ბრუნეის 28-ე სულთანმა ჰაჯი ომარ ალი საიფუდინ ჰაირი ვადინმა, უარი განაცხადა სამეფო ტახტზე, 1968 წლის 1 აგვისტოს დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეთ მეორემ ჰასანალი სულთნად აკურთხა (1984 წლამდე ბრუნეი დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა). ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე მონარქმა უმაღლესი განათლება მალაიზიაში, კუალა-ლუმპურის „ვიქტორიის" სამხედრო ინსტიტუტში მიიღო და 1967 წელს ის კაპიტნის ჩინით დაასრულა. წლების შემდეგ კი იგი ოქსფორდისა და აბერდინის უნივერსიტეტების დოქტორის ხარისხის მფლობელი გახდა სამართლის საკითხებში.



* ლეგენდის თანახმად, სასულთნოს დინასტიას სათავე დაედო 1365 წელს, როდესაც ქვეყნის სათავეში „ღვთიური წარმოშობის გმირებად" წოდებული 14 ძმა მოვიდა. ამ უძველესი დინასტიის შთამომავალია ბრუნეის რიგით 29-ე სულთანი – ჰაჯი ჰასანალ ბოლკიაჰ მუიზადინ ვადაულაჰი, რომელსაც აბსოლუტური ძალაუფლება უპყრია ხელთ და პრემიერ-მინისტრის, თავდაცვისა და ფინანსთა მინისტრების თანამდებობებიც უკავია. ის, ასევე, არის ერის რელიგიური ლიდერი და ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მონარქი მსოფლიოში. ცნობისთვის, ბრუნეის სულთნის სრული სახელია შრი ბაგინდა სულთან ჰაჯი ჰასანალ ბოლკიაჰ მუიზ უდ-დინ ვადაულაჰიბნი ალ-მარჰუმ მაულანა პადუკა შრი ბეგაუვან სულთან მუდა ომარ ალი საიფ უდდინ საად ულ-ჰაირ უა უდ-დინი.

* ბრუნეის სულთნის ფერი ყვითელია და არავის აქვს უფლება, ატაროს ამ ფერის ტანსაცმელი, გარდა ჰასანალ ბოლკიაჰისა. სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს იგი ყვითელი ფერის ბალიშზე ზის, მეორე პირი ბრუნეიში – თეთრზე, მინისტრთა კაბინეტის დანარჩენ წევრებს კი სხვადასხვა ფერის ბალიშები აქვთ. ბრუნეის ყველა მოქალაქე ვალდებულია, ზეპირად იცოდეს სულთან ჰასანალ ბოლკიაჰის სრული სახელი და მკრეხელობად ითვლება შეხსენების მიზნით მისი სახელის ფურცელზე დაწერა.

* ბრუნეის სულთანი ყველაზე ცნობილი და მდიდარი ავტოკოლექციის მფლობელია მსოფლიოში. სულთნის ფარეხში არსებული ავტომობილების ზუსტი რაოდენობა უცნობია. „გინესის რეკორდების" წიგნის თანახმად, ეს რიცხვი ციფრი 3 000-დან 6 000-მდე მერყეობს. ყველაზე დიდი ადგილი „მერსედესის" მარკის ავტომობილებს უკავია (531 ცალი), შემდეგ მოდის „როლს-როისი" (500), „ბენტლი" (362), „ასტონ მარტინი" (300), „ბეემვე" (185), „იაგუარი" (177). ასევე, მის კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სპორტულ ავტომობილებს: „ფერარის" (200), „პორშე" (150) და „ლამბორჯინი" (100). გარდა ამისა, სულთნის სპეციალური დაკვეთით, „ბუგატი" და „მაიბახი" მისთვის ყოველწლიურად ექსკლუზიურ მოდელებს ამზადებენ, ისეთებს, როგორებიც სხვას არავის ჰყავს. ცნობილი საავტომობილო მარკების გარდა, სულთნის ფარეხში, რომელიც ორ კვადრატულ კილომეტრზეა გაშენებული, ჩვეულებრივი მოდელებიც ფიგურირებს, ისეთები, როგორებიცაა: „ნისანი" (135), „ტოიოტა" (127), ერთი ცალი „ფიატი სინქუეჩენტო" და ორი ცალი ლონდონური ტაქსი, რომელიც სულთნის სპეციალური დაკვეთით დამზადდა. სულთანი, ასევე, „ფორმულა 1-ის" ბოლიდების დიდი მოყვარულია და მის კოლექციაში, 1980 წლიდან მოყოლებული, თითქმის ყველა გრანპრის გამარჯვებული ავტომობილია. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სპორტული ბოლიდების უმეტესობა დაზიანებული ან ნაავარიებია, მაგრამ, ეს ფაქტი მის მფლობელს არანაირ დისკომფორტს არ უქმნის. მისი აზრით, ბოლიდი, რომლითაც მიხაელ შუმახერს ავარია მოუვიდა, ნამდვილი რელიკვიაა.

* სულთანი თვითმფრინავების მოყვარულიც გახლავთ. მის განკარგულებაშია რამდენიმე თვითმფრინავი, შვეულმფრენი და უნიკალური მოდელის „ბოინგ 747", რომლის ფასი 233 მილიონი დოლარია და მისი ინტერიერი არ ჩამოუვარდება ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმროს ნომრებს, მით უმეტეს, რომ მთელი სანტექნიკა, ისევე, როგორც სულთნის სასახლეში, ოქროთია გაკეთებული.

* მიუხედავად იმისა, რომ სულთანი ჰასანალი ცდილობს, თავისი პირადი ცხოვრება მაქსიმალურად იდუმალებით იყოს მოცული, რამდენიმე სკანდალურმა ფაქტმა მაინც გაჟონა პრესაში. მაგალითად, 1997 წელს „მის ამერიკა 1992-მა" შენონ მარკეტიკმა სულთანს სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 10 მილიონი დოლარი მოსთხოვა. მაგრამ, სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად იყო: შენონი და კიდევ რამდენიმე ამერიკელი მოდელი ბრუნეიში იყვნენ მიწვეულნი ერთ-ერთ წვეულებაზე, სადაც ისინი სულთანს წარუდგინეს, რომელიც მოიხიბლა გოგონების სილამაზით და თითოეულს 100 ათასი დოლარის ღირებულების ბრილიანტის კოლიე გადასცა საჩუქრად. შენონს არასაკმარისად მოეჩვენა სულთნის საჩუქარი და ძალადობის ისტორიაც ამიტომ მოიგონა. მეორე ისტორია დაკავშირებულია იტალიელ მსახიობთან მარია გრაცია კუჩინოტისთან და შავკანიან სუპერმოდელ ტაირა ბენქსთან. სულთანმა მათ თავის ჰარამხანაში გაწევრიანება შესთავაზა, სანაცვლოდ კი მათთვის თავისი ოქროს სასახლის (1 788-ოთახიანი სასახლის ფართობი ვატიკანის სახელმწიფოზე ორჯერ დიდია) კარებს აღებდა, თითოეულ მოდელს მოოქრულ ყვითელ „ფერარის", საფირონებითა და ბრილიანტებით შემკულ გვირგვინსა და წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულების ჩუქებას ჰპირდებოდა. ორივე ლამაზმანმა საჩუქრებზე თავაზიანი უარი განაცხადა.

* ბრუნეის პრინცი, სულთან ჰასანალ ბოლკიაჰის უმცროსი ძმა, ჯეფრი ბოლკიაჰი, ერთ დროს პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლებოდა, დღეს კი იგი თითქმის ბანკროტია და უსახლკარო ადამიანის სახელით არის ცნობილი. ჯეფრის სახელმწიფო ქონების დახარჯვა ედება ბრალად, თანხა კი ფანტასტიკურია – 15 მილიარდი ამერიკული დოლარი. რა თქმა უნდა, პრინცი უარყოფს ყველაფერს, თუმცა, რთული დასაჯერებელია, რომ ადამიანს, რომელიც თვეში 20 ათას დოლარს იღებდა ხელფასის სახით, შეეძლო, პირად კოლექციაში ჰქონოდა დეგას, მონეს, პიკასოსა და რენუარის ტილოები, შეეძინა 475 მილიონი დოლარის ღირებულების სპეციალური დაკვეთით დამზადებული ავტომობილი „როლს-როისი" და 385 მილიონ დოლარად ეყიდა ბრიტანული საიუველირო კომპანია „ასპრეი." სულთანმა ჰასანალ ბოლკიაჰმა სპეციალური ბრძანებით ჩამოართვა ქონება საკუთარ ძმას, რომელიც დღესდღეობით ბრიტანეთში ცხოვრობს. ამბობენ, რომ ჯეფრი ბოლკიაჰი ყველაზე მეტად თავის შვიდ ცოლსა და 18 შვილზე დარდობს, რადგან, მას აღარ აქვს საშუალება, რათა შეინახოს ისინი და გადაუხადოს სწავლის საფასური საკუთარ შვილებს, რომელთა უმეტესობა შვეიცარიის პრესტიჟულ კოლეჯებში სწავლობს.

* ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა იმ საჩუქრების ჩამონათვალი, რაც ჯორჯ ბუშმა უმცროსმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში მიიღო, რომელთა შორის ყველაზე იაფფასიანი საჩუქარი ბრუნეის სულთნის – ჰასანალ ბოლკიაჰისგან იყო: მილიარდერმა მონარქმა პრეზიდენტ ბუშს აჩუქა წიგნი, სახელწოდებით – „როგორ უნდა შეიყვარო აზია" და ჯაზური მუსიკის დისკი. საჩუქრის ღირებულება სულ რაღაც 70 ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

* 60 წლის იუბილე ჰასანალ ბოლკიაჰმა ბრუნეის დედაქალაქ ბანდარ-სერი-ბეგავანში გადაიხადა და მას 10 ათასი დაპატიჟებული სტუმარი დაესწრო. დაბადების დღის დილას სულთანმა საკუთარი „როლს-როისით" ჩაიარა ქალაქის ქუჩებში, სადაც მას სკოლის ათასობით მო-

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# ვინ არის 2012 წლის ყველაზე უიღბლო ამერიკელი მილიარდერი და რომელი პოზიცია უკავია ამერიკელი მილიარდერების ტოპ-ოთხასეულის რეიტინგში ნიუ-იორკის მერს, მაიკლ ბლუმბერგს

ფინანსური კომპანიებისა და სოციალური ქსელების ბუმი წარსულში დარჩა, ამის საუკეთესო ინდიკატორად „ფორბსის" მიერ ამერიკის შეერთებული შტატების ტოპ-ოთხასეულის მილიარდერის ახალი რეიტინგი გამოდგა. „ფეისბუქის" თანადამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი წლის ყველაზე უიღბლო მილიარდერი გახდა, მან რეიტინგში მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა და მე-14 პოზიცია 36-ზე გადაცვალა. ტოპ-ათეულიდან გაუჩინარდა საქართველოში კარგად ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსიც. ახალ რეიტინგში 20 ახალწვეულიდან არც ერთი არ გამოდგა სოციალური მედიის სფეროდან. თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით მილიარდერი რომ გახდე, ამერიკაში, გაცილებით იოლია ეს რესტორნების გახსნით ან მაისურების გაყიდვით, ვიდრე სოცქსელის შექმნით.

„ფორბსის" ვერსიით, ამერიკის უმდიდრესი ადამიანების პირველ ხუთეულში, გასული წლების მსგავსად, სტაბილური სიტუაციაა. ყველაზე მდიდრები კვლავ თავიანთ ადგილებს იკავებენ. „მაიკროსოფტის" მფლობელი, ბილ გეითსი 7 მილიარდით გამდიდრდა და 66 მილიარდით ლიდერობს. მეორე პოზიცია უკავია ინვესტორს, უორენ ბაფეტს, რომელიც გეითსის მსგავსად, 7 მილიარდით გამდიდრდა და 46-მილიარდიან კაპიტალს განაგებს. „ორაკლის" დამფუძნებელი ლარი ელისონის ჯიბე 8 მილიარდით შეივსო და 41-მილიარდიანი კაპიტალით მესამეა. მეოთხე და მეხუთე ადგილებს კი რეიტინგში ძმები – დევიდ და ჩარლზ კოხები იკავებენ. ჰოლდინგ „კოხ ინდასტრისის" მფლობელებს, სათითაოდ 31 მილიარდი დოლარი აქვთ. პირველ ათეულში 2012 წელს დიდი გადანაცვლება მოხდა. ათეულიდან გავარდა ჯორჯ სოროსი, რომელმაც სამი მილიარდი დოლარი დაკარგა და მე-7 ადგილიდან მეთხუთმეტეზე გადავიდა 19-მილიარდიანი კაპიტალით. პირველ ათეულში შევიდა ნიუ-იორკის მოქმედი მერი მაიკლ ბლუმბერგი. მისი კაპიტალი 5,5 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 25 მილიარდი შეადგინა. ბლუმბერგის კაპიტალის ზრდა მისმა საინფორმაციო სააგენტო „ბლუმბერგმა" განაპირობა, რომლის შემოსავალმა წლის განმავლობაში 20-პროცენტიანი მატება განიცადა და 7,6 მილიარდი დოლარი შეადგინა. „ფეისბუქის" აქციებთან დაკავშირებული წარუმატებლობა მარკ ცუკერბერგს მე-15 პოზიციის დაკარგვად დაუჯდა. მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ამერიკელ მილიარდერებს შორის 36-ე ადგილზეა და მისი კაპიტალი თითქმის ორჯერ შემცირდა – 17,5 მილიარდი 9,4 მილიარდად იქცა. ცუკერბერგი წლის ყველაზე უიღბლო და წარუმატებელი მილიარდერია.

თუკი გასულ წელს მილიარდერთა რეიტინგის 18 ახალწვეულიდან 7 დაკავშირებული იყო სოციალურ ინტერნეტ-ტექნოლოგიებს, წელს მსგავსი ტენდენცია არ განმეორდა და სოცქსელთან დაკავშირებული ვერც ერთი ახალი მილიარდერი ვერ მოხვდა რეიტინგში. ფორმალურად შესაძლოა, სოციალურ ქსელთან იყოს დაკავშირებული „ტვიტერის" თანადამფუძნებელი ჯეკ დორსიც, რომლის კაპიტალი 1,1 მილიარდი ამერიკული დოლარია. თუმცა, რეიტინგში მისი მოხვედრა არა მიკრობლოგის, არამედ გადახდის სისტემის ახალ სერვისს „სქუეირს" უკავშირდება. „სქუეირი" – ყავის მწარმოებელი კომპანია „სტარბაქსის" კაფეების პარტნიორი გახდა 2012 წლის აგვისტოში და სწორედ ამ სერვისით მოხდება ამიერიდან გადახდა საკრედიტო ან სადებეტო ბარათებით. გარდა ამისა, „სტარბაქსმა" 25-მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა კომპანია „სქუეირში", ხოლო თავად კომპანიის ღირებულება ბაზარზე 3,25 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს.




რეიტინგის ახალი მილიარდერების კაპიტალი სხვადასხვა სფეროს უკავშირდება. 20-დან 16-მა ახალმა მილიარდერმა ქონება ნულიდან დააგროვა. მაგალითად, კევინ პლანკმა, რომლის ქონება 1,35 მილიარდ დოლარად არის შეფასებული და რეიტინგში 345-ე ადგილი უკავია, კაპიტალი ოფლის შემწოვი მაისურის წარმოებით მოიპოვა. მერილენდის უნივერსიტეტის ამერიკული ფეხბურთის გუნდის მოთამაშე პლანკმა საკუთარი დიზაინით შექმნილი მაისურების წარმოება 1996 წელს, ბებიასთან, სახლის, სარდაფში დაიწყო და შექმნიდან პირველივე წელს მისმა კომპანიამ „ანდერ არმორმა" 17 ათასი დოლარის ღირებულების მაისურები გაყიდა. მაშინ ჯერ კიდევ უცნობი პროდუქციით მხოლოდ პლანკის ნაცნობი სპორტსმენები და სხვა კოლეჯისა და უნივერსიტეტის მოთამაშეები ინტერესდებოდნენ. დღევანდელი მონაცემებით კი პლანკი მილიარდერია და მისი კომპანია გასულ წელს 60 პროცენტით უფრო მომგებიანი გახდა, ვიდრე წინა წლებში.

კიდევ ერთმა ახალმა მილიარდერმა ტილმან



ფერტიტამ კაპიტალის დაგროვება ტეხასის შტატში არსებული ორი რესტორნით დაიწყო და ამჟამად მთელ იმპერიას ფლობს, რომელიც მოიცავს 421 სამორინეს და რესტორნების ქსელს, სადაც 56 სხვადასხვა ბრენდია გაერთიანებული. ფერტიტას ბიზნესის წარმოების მეთოდი მარტივია. ის გაკოტრების პირას მყოფი რესტორნებით ან სამორინეებით ინტერესდება, უკეთებს რებრენდინგს და რენტაბელობის ახალ საფეხურზე აჰყავს. ფერტიტას კაპიტალი 1,6 მილიარდი დოლარია და ის 298-311 ადგილებს იყოფს რეიტინგში.

ამერიკელ ახალწვეულ მილიარდერთა ტოპ-რეიტინგში ემიგრანტებიც ფიგურირებენ, რომლებმაც „ამერიკული ოცნების" ახდენა მოახერხეს. ისინი სულ ოთხნი არიან და რთული გზა გაიარეს, სანამ საკუთარი თავი „ფორბსის" რეიტინგში იხილეს. ენდრიუ ჩანგი ჩინეთიდან ამერიკის კონტინენტზე 1966 წელს გადმოსახლდა და 1973 წელს მამასთან ერთად, რომელიც წარსულში იაპონიაში შეფ-მზარეულად მუშაობდა, ჩინური რესტორანი გახსნა. 1983 წელს ენდრიუმ პირველი სწრაფი კვების რესტორანი გახსნა ჰიპერმარკეტში „პანდა ექსპრესის" სახელით. ენდრიუს ჰყავს მეუღლე, რომელიც მასთან ერთად იყოფს ადგილს „ფორბსის" რეიტინგში. პეგი წარსულში პროგრამისტი იყო, ამჟამად კი მეუღლის „მფარველი ანგელოზია". ჩანგების ოჯახს 1 500 რესტორნისგან შემდგარი ქსელი აქვთ და მათი კაპიტალი 2 მილიარდი დოლარია.

დანარჩენი ემიგრანტი-მილიარდერები არიან: ინდოელი მანოჯ ბხარგავა, ყოფილი ბუდისტი ბერი, რომელმაც 1,5-მილიარდიანი კაპიტალი ენერგეტიკულ სასმელ 5-Hour Energy-ით შექმნა; პაკისტანელი შახიდ ხანი ავტონაწილების მწარმოებელი კომპანია „ფლექს-ენ-გეითის" და ამერიკული ფეხბურთის კლუბ „ჯექსონვილ იაგუარსის" მფლობელია. მისი კაპიტალი 2,5 მილიარდი დოლარია. სამხრეთ აფრიკელი ელონ მასკი კი, ინჟინერია, კომპანია „სფეის იქსის" დამფუძნებელი – პირველი არასამთავრობო კომპანიის მფლობელი კოსმოსურ სფეროში. მასკის ქონება 2,5 მილიარდი დოლარია.

„ფორბსის" ვერსიით, 400 ამერიკელი მილიარდერის საერთო კაპიტალი 1,7 ტრილიონი დოლარია, რაც 200 მილიარდი დოლარით მეტია 2011 წლის მონაცემებთან შედარებით. მილიარდერების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკში. კაპიტალის ზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: აქციების ფასის ზრდამ საფონდო ბირჟებზე, უძრავ ქონებასა და ხელოვნების ნიმუშებზე ფასის მატებამ. საინტერესოა, 2013 წლის რეიტინგში როგორი ტენდენციები და სიახლეები იქნება აქტუალური. ცნობისთვის, „ფორბსის" ახალ რეიტინგს მსოფლიო საზოგადოება მარტის შუა რიცხვებში შეიტყობს.

**უშანგი რუხაძე**

სწავლე ყვავილებით ხელში შეეგება. საკუთარ დაბადების დღესთან დაკავშირებით, პირველად უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ბრუნეის მოსახლეობას ხელფასი მოემატა. დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო კი სულთნის 1 700-ოთახიან სამეფო სასახლეში გაიმართა, სადაც ისეთი ქვეყნების ლიდერები იყვნენ მიწვეულნი როგორებიც არიან ფილიპინები, ტაილანდი და სინგაპური. სუფრის თავში მჯდარ სულთანს გვერდით მისი მეუღლეები ესხდნენ, რომელთა თავებს ბრილიანტის დიადემები ამშვენებდა.

* ბრუნეის სულთანი ჰასანალ ბოლკიაჰი დაინტერესებულია რუსული სამხედრო ტექნიკით. ამასთან დაკავშირებით, იგი ხშირად ჩადის მოსკოვში და მოლაპარაკებებს აწარმოებს რუს გენერლებთან და პოლიტიკოსებთან სამხედრო შეიარაღების შეძენის შესახებ. ბოლო პერიოდში სულთნის დაინტერესების სფეროში მოხვდა ახალი თაობის რუსული სამხედრო შვეულმფრენი – „ალიგატორი," რომელსაც ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შუძლია ფრენა და რომელსაც რუსი გენერლები „მფრინავ ტანკს" უწოდებენ.

* 2010 წელს ჰასანალ ბოლკიაჰი დაშორდა თავის მესამე მეუღლეს, აზრინაზ მაზკარ ჰაკიმს, ყოფილ მალაიზიელ ტელეჟურნალისტს, რომელსაც ქმართან გაყრის შემდგომ ჩამოერთვა ყველა სამეფო პრივილეგია. მანამდე იგი მეორე ცოლს, ყოფილ სტიუარდესას, მარიამ აბდულ აზიზსაც დაშორდა და ამჟამად ჰყავს მხოლოდ ერთი ცოლი – ანაკ სალეჰი. ბრუნეის კანონმდებლობის თანახმად, ქვეყანაში დაშვებულია მრავალცოლიანობა, თუმცა, სულთანი ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ცოლთან ცხოვრობს.

* ბრუნეის სულთანი ჰასანალ ბოლკიაჰი ისტან ნურულ იმანის სასახლეში ცხოვრობს ბრუნეის დედაქალაქ ბანდარ-სერი-ბეგავანში. სასახლის მშენებლობა სულთანს, სხვადასხვა მონაცემებით, 500 მილიონიდან 1,4 მილიარდამდე დოლარი დაუჯდა და ეს სასახლე შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ქვეყნის მმართველის ყველაზე ძვირად ღირებული რეზიდენცია. სასახლეში განთავსებულია სულთნის აპარტამენტები, სამთავრობო ოფისები, მეჩეთი, რომელიც იტევს 1 500 ადამიანს, საბანკეტო დარბაზი 4 ათას ადამიანზე, 257 საპირფარეშო და სააბაზანო ოთახი, 18 ლიფტი, 5 საცურაო აუზი, 153 ავტომობილზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოფარეხი და 200 ცხენზე გათვლილი საჯინიბო.

**უშანგი რუხაძე**

**მეტაფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი ციხიდან ახალი წლის წინა დღეებში გათავისუფლდა. ბრალდებები, რომლებსაც მას უყენებდა გამოძიება, იმდენად მძიმე იყო, რომ, როგორც თავად ამბობს, ამ ბრალდებებით მინიმუმ გუანტანამოს ციხეში უნდა მოხვედრილიყო. ცნობილი მეტაფიზიკოსი, რომელიც ალქიმიასა და მეტალოგიკაზე მუშაობდა, არც ქვეყნის გადამტრიალებელს რომ არ ჰგავდა და არც სახელმწიფო ტერორისტს, ეს ყველასთვის ნათელი იყო, ამიტომაც, გუანტანამოს ნაცვლად, გლდანის ციხეში „გაამგზავრეს" ხუთი წლით. იქ გატარებულ პატიმრობის წლებს, ჩვენი რესპონდენტი დღეს ექსკლუზიურად უამბობს „თბილისელებს".**

# ვის ჩაუტარა ჰიპნოზი მეტაფიზიკოსმა მალხაზ გველუკაშვილმა საკანში და რატომ იყო ის ციხის გამორჩეული პატიმარი

**მალხაზ გველუკაშვილი**: პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმით გავთავისუფლდი, მაგრამ, პოლიტიკური ამნისტიაც შემეხო. ორი კვირით დავასწარი ამნისტიას. პრობაციის სამსახურმა დღეს გამიუქმა პრობაცია და პოლიტიკური პატიმრის საბუთი მომცა. დარჩენილი ერთი წელიც რომ ციხეში გამეტარებინა, პრობლემა არ იყო. რაღაცნაირად, თითქოს შევეჩვიე კიდეც ჩემს მდგომარეობას. ჩემზე ამბობდნენ, ნერვი არ აქვს, ფეხებზე ჰკიდია ყველაფერიო. ემოცია არ მქონია მთელი ოთხი წლის განმავლობაში, მაგრემ, რაც გავთავისუფლდი, მას მერეა „ცუდად" ჩემი საქმე ***(იცინის).*** ეტყობა, ორგანიზმში ფიზიკურად შეიცვალა ბევრი რამ, თორემ, სულიერად ჩემი „წაშლა" შეუძლებელი იყო. 51 წლის ვიყავი, როცა დამიჭირეს. თითქმის მთელი ცხოვრება გავლილი მქონდა. წყნარი და მშვიდი ცხოვრება არასდროს მქონია, ყოველთვის სირთულეებს ვეძებდი და ციხე მე ვერ გამტეხდა. კონფლიქტიც კი მომივიდა ციხეში იმის გამო, რომ კარცერში წაყვანას ვითხოვდი. ყველაფერზე ჭიჭყინებდნენ: წვერზე, დღისით დაძინებაზე, რაც ბოლო ერთი წელი აკრძალული იყო. მე ვწვებოდი დღისით. შემომძახებდნენ ხოლმე საკანში – სული ამოგძვრება ამდენი ძილითო. ეს ადმინისტრაციისთვის მიუღებელი იყო, წესების დარღვევად ითვლებოდა, მაგრამ, მაინც არ ჩავყავდი კარცერში. პატიმრობის ოთხივე წელი გავატარე „ბ" სექტორში. ეს ყველაზე მძიმე სექტორია, იქ მარტო კრიმინალებს ათავსებენ. მაგრამ, იმ კრიმინალებსაც რომ ვუყურებდი, არც მთლად ისეა საქმე, როგორც ესენი უთხზავდნენ. ბევრი ისეთი პატიმარიც ვნახე, არაფერი რომ არ დაუშავებია. მათ საქმეებს რომ ვკითხულობდი, ვხარხარებდი, იმ დონეზე სასაცილოდ ჰქონდათ შეთხზული ბრალდება. ხელისუფლებისთვის დაუმორჩილებლები იყვნენ და იმიტომ მოხვდნენ იქ. „ბ" სექტორზე იყო ზედგამოჭრილი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", ბევრი ნიკოლსონის პერსონაჟი იჯდა ჩემს გვერდით. ჩვენს კამერას ჩემ გამო ბოლოს „აკადემიას" ეძახდნენ. რვა კაცი იყო კამერაში, ყველა იცვლებოდა, მხოლოდ მე ვიყავი №123 საკნის უცვლელი ბინადარი, ბოლოს, როცა სიტუაცია შეიცვალა, მე თვითონ მოვითხოვე და „ე" სექტორში გადავედი, რომელიც „ბ" სექტორთან შედარებით სამოთხე იყო. „ბ" სექტორი ციხეც კი არ იყო – საგიჟეთსაც ჰგავდა, „კონცლაგერსაც". ციხეში ყველაზე დიდი ალბათობაა, გაგიჟდე, მაგრამ, მე ამის არ მეშინოდა, რადგან, ყველაზე ადვილად ვლავირებ გიჟებთან. ბავშვობიდან ისეთი თემებით ვიყავი დაინტერესებული, ძალიან მყარი ფსიქიკა მაქვს. ძალიან ემოციური ვარ და, მე თუ ავფეთქდი, ადამიანებს საქმე ცუდად მისდით. ამაში ბევრჯერ დავრწმუნდი და, ამიტომაც, ცოტა მეტად ვცდილობ ემოციების მოთოკვას. ეს ციხემაც მასწავლა.



**ოც წუთზე მეტხანს არც ერთი გამომძიებელი არ მიჯდებოდა. ბადრაგებს უთხრეს: ფრთხილად იყავით, თვალებში არ უყუროთ, დაგაზომბებთო**

**– ბრალდებები, რითაც დაგაკავეს, ძალიან მძიმე იყო: სახელმწიფო გადატრიალების შეიარაღებული მცდელობა, ტერორიზმი... ნაწილობრივ, აღიარეთ კიდეც დანაშაული.**

– ის ჩვენება იმ სამ დღეში იყო გაკეთებული, რომელიც არ მახსოვს. ჩემთან რომ შემოდიოდნენ გურჯიევზე და სენჟერმენზე მელაპარაკებოდნენ, რა უნდა მეღიარებინა? სპეციალურად იყვნენ მომზადებულები ჩემთან საუბრისთვის. ოც წუთზე მეტხანს არც ერთი გამომძიებელი არ მიჯდებოდა სასაუბროდ, პანიკაში იყვნენ. ერთ-ერთმა თანამშრომელმა ბადრაგებს უთხრა: ფრთხილად იყავით, თვალებში არ უყუროთ, დაგაზომბებთო. ჩემს გონებაში წაიშალა პატიმრობის პირველი სამი დღე – არ მახსოვს არც ერთი დაკითხვა. როცა „კაპეზეზე" მიმიყვანეს, თავი მტკიოდა და ციტრამონი მოვითხოვე. ორი აბი დავლიე, მაგრამ, ალბათ, რამე დამალევინეს, თორემ, ციტრამონი არაფერს მიზამდა. როგორც ამბობენ, იმ დღეებში არაადეკვატური ვიყავი, საერთოდ არ მახსოვს არაფერი. ამათ ჩემ წინააღმდეგ რამე რომ ჰქონოდათ, ამ ბრალდებებით, სულ მცირე, გუანტანამოს ციხეში უნდა წავეყვანე ***(იცინის).*** ორი ისეთი მუხლი მქონდა, მინიმუმ 28 წლიდან იწყებოდა პატიმრობის ათვლა. მე ხუთი წელი მომცეს, თან, ჩემი ხმაც არ დაემთხვა ექსპერტიზის დროს იმ ხმას, რომელიც ფარულ ჩანაწერში ისმოდა. ნახევარმილიონიანი აპარატიც გაფუჭდა ჩემი ხმის იდენტიფიკაციის დროს, რასაც მერე დიდი ამბები მოჰყვა. პრაქტიკულად, არაფერსაც არ მაბრალებდნენ, თვითონაც არ სჯეროდათ არაფრის. მთავარი იყო ჩემი „ჩაკეტვა", იზოლაცია, რადგან, წლების განმავლობაში არ შევეკარი ნაციონალებს, რისი მცდელობაც ძალიან ხშირად იყო. როდესაც დამაკავეს და ვანო მერაბიშვილის კაბინეტში მიმიყვანეს, იქ იყო ახალაიაც. ვანო მერაბიშვილმა ვისკი გამიხსნა – არ დავლევო, არ ვარ დალევის ხასიათზე-მეთქი, ვუთხარი. ახალაიამ ყავა მომიტანა. მერაბიშვილმა მკითხა, ჩემს ფსიქოტიპზე რატომ არაფერი დაწერეო. გამეცინა და ბევრი რამ ვუთხარი პირისპირ. მერე მითხრეს: იცი, რა გემუქრება, თუ არ ითანამშრომლებ ჩვენთანო? მე ვუთხარი: რამდენიც არ უნდა მომცეთ, მაქსიმუმ 2013 წლამდე გარეთ ვიქნები-მეთქი. ორივე ხომ ცოცხლები არიან, კიდევ ჩემთვის უცხო რვა კაცი ესწრებოდა ჩვენს საუბარს. ეგ როგორო, – მკითხეს. 2013 წლის შემდეგ თქვენ აღარ იქნებით ხელისუფლებაში, ასე რომ, მომისაჯეთ, რამდენიც გაგიხარდებათ-მეთქი, – ვუპასუხე. ამის მეტი ჩვენ შორის არაფერზე ყოფილა საუბარი. ძალიან კეთილგანწყობით მექცეოდნენ. როგორც მერე გავიგე, ვანო მერაბიშვილს ჩემი გაშვებაც უნდოდა იმ ღამესვე, მაგრამ, თურმე, ადეიშვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა და ამიტომაც მომისაჯეს ხუთი წელი. ძველმა ხელისუფლებამ, რომელსაც, ვატყობ, ლინჩის წესით გასამართლება არ ასცდება, თუმცა, მე მაინც კანონის ფარგლებში მათ დასჯას ვამჯობინებ, პასუხი უნდა აგოს ყველა იმ დანაშაულზე, რაც ჩაიდინა, რომ სხვა ხელისუფლებებს აღარ გაუჩნდეთ უკანონო ქმედებების სურვილი. რა მინდოდა მე პოლიტიკაში?! ვიყავი ჩემთვის, ვაკეთებდი ჩემს საყვარელ საქმეს, მქონდა ოჯახი, მოდიოდნენ ჩემთან ჩემი მეგობრები: მეცნიერები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები. ვსაუბრობდით სამყაროს კანონებზე, მეცნიერებებზე... მაგრამ, როგორც კი გამოვდიოდი გარეთ და ვხვდებოდი ადამიანებს, ვხედავდი, რომ ბედნიერი სახით კაცი არ დადიოდა, ეს ჩემში საოცარ პროტესტს იწვევდა, რასაც შემდეგ ჩემი პოლიტიკური აქტივობა მოჰყვა სხვადასხვა გადაცემაში მონაწილეობითა და მწვავე განცხადებებით. მე არ ვიცი, ვისთვის რა არის საქართველო, მაგრამ, ჩემთვის საქართველო არც კავკასიონის ქედია და არც ალაზნის ველი, რომელიც, შესაძლოა, სხვაზე მეტადაც კი მიყვარდეს. ჩემთვის საქართველო არის ქართული ენა და ადამიანები, რომლებიც ძალიან მძიმე დღეში ჩაყარა ნაციონალურმა ხელისუფლებამ. ამიტომაც იყო ჩემთვის მთავარი ამ ხელისუფლების შეცვლა და ცხოვრება ისეთ ქვეყანაში, სადაც ხალხს ღიმილიანი სახე აქვს.

**ხმის იდენტიფიკაციის დროს ნახევარმილიონიანი აპარატიც გაფუჭდა, რასაც მერე დიდი ამბები მოჰყვა**

**– როგორ შეგხვდნენ ციხეში პატიმრები? როგორც ამბობენ, განსაკუთრებული პატიმრის სტატუსი გქონდათ. იმასაც ამბობდნენ, რომ პატიმრებს აჰიპნოზებდით, რის გამოც თქვენი ეშინოდათ. იყო ასეთი შემთხვევები?**

– ციხეში ამ თემებზე მუშაობის სიტუაცია არ არის. მედიტაციას რომ აკეთებ, უნდა გაითიშო, ეს კი საკანში, სხვა ადამიანებთან ერთად, შეუძლებელია. ვაკეთებდი ისეთ მედიტაციებს, რაც ფიზიკური ფორმის შენარჩუნებაში მეხმარებოდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც თვითონ მოდიოდნენ ჩემთან და მთხოვდნენ, მელაპარაკა მათზე. ერთს ჩავუტარე ჰიპნოზი მისივე თხოვნით, მაგრამ, ეს ძალიან მარტივი ფორმით მოხდა. თავიდან, როცა საკანში შემიყვანეს, პატიმრები აზრზე არ იყვნენ, ვინ ვიყავი. საკანში ლადო ბედუკაძემ შემიყვანა. ჩემთვის კუთხის ქვედა საწოლი იყო გამზადებული, „ქურდულს" რომ ეძახიან. ლადოს ისეთი თანამდებობა ჰქონდა, ფაქტობრივად, ყველაფერს ის აკონტროლებდა. არ მინდა, მასზე ზედმეტი ვთქვა რამე, მაგრამ, მე რაც ვნახე, პატიმრებს ძალიან ეხმარებოდა. არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ყავის დალევის საშუალებასაც მაძლევდა, რის გარეშეც გაძლება ძალიან მიჭირდა. ლადო

**(გაგრძელება 70-ე გვერდზე)**

**ელისო ჩაფიძე ქართულ პოლიტიკაში რეზონანსული ჟურნალისტური წარსულის წყალობით მოხვდა. ხმაური ჟურნალისტიკაში დებიუტიდანვე დაებედა, როცა 18 წლის დამწყები ჟურნალისტი ცნობილ სასამართლო პროცესზე მოხვდა. ამის შემდეგ მას ხან მოკვლით ემუქრებოდნენ, ხან პატიმრობით. სწორედ ამ სკანდალების დამსახურება იყო, რომ ელისო ჩაფიძემ ორი ცნობილი პრემია, წლების შემდეგ კი ქართული პოლიტიკის „საგზური" მიიღო. როგორ ირგებს ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი პოლიტიკოსის ამპლუას და რატომ „გადააგდეს" ის ოკეანეში, ამას თავად ელისოსგან შეიტყობთ, რომელსაც ძველი და საყვარელი საქმის კვალი რესპონდენტის ამპლუაშიც კარგად „ახსოვს".**

# რატომ არის ელისო ჩაფიძე ორჯერ ნასამართლევი და რაში ემადლიერება ის პავლე კუბლაშვილის მეზობლებს

**– ელისო, როგორ შეეჩვიე ქართულ პოლიტიკურ პროცესებს და როგორ მოირგე პოლიტიკოსის ამპლუა?**

– სიმართლე გითხრათ, ეს ადვილი არაა. შარშან 15 თებერვალს, როდესაც პოლიტიკაში წასვლის შესახებ განვაცხადე, პრესკონფერენციის შემდეგ ისეთი შეგრძნება მქონდა, დიდი სიმაღლიდან ოკეანეში რომ გადაგაგდებენ, თან ისე, ცურვაც რომ არ იცი. პოლიტიკა რედაქციაში მუშაობა არაა, რასაც მთელი ცხოვრება სიამოვნებით ვაკეთებდი. მე მიჩვეული ვარ ურთიერთობას ადამიანებთან, რომლებიც მიყვარს და მსიამოვნებს. რედაქციაში, უნივერსიტეტში, სადაც დღემდე ვკითხულობ ლექციებს, ყველგან მქონდა ურთიერთობები ადამიანებთან, ვინც ჩემი თანამოაზრეები იყვნენ, ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკაში ისეთივე გარემოა, რომელსაც შეჩვეული ვიყავი. აქ მოქმედებს თამაშის სხვა წესები. პოლიტიკა არის ინტერესები, მაგრამ მე ვცადე, გამეჩინა თანამოაზრეები ჩემს გუნდში, რომ მქონდეს მათთან პიროვნული ურთიერთობები, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მე ბიძინა ივანიშვილის გვერდით ყოფნა, გადავწყვიტე იმ შეხვედრის შემდეგ, რომელიც ჩვენ გვქონდა. იმ შეხვედრაზე რომ მივდიოდი, ბევრი ჩემი ახლობლისგან ვიყავი „დარიგებული", გამერკვია ჩემი პოლიტიკური მომავალი. თუმცა, ორი საათის განმავლობაში ჩვენ იმდენ ადამიანურ თემაზე ვისაუბრეთ, არც სია გამხსენებია და არც რიგითობა. ასეთი ტიპის ვაჭრობას, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არ ვაპირებდი. მაგრამ, როდესაც ადამიანი მესაუბრებოდა საქმეზე, რომელიც მთელი ქვეყნის სასიკეთოდ უნდა გაკეთებულიყო, ჩემი კონკრეტული ადგილის ძებნა ნამდვილად არ დამიწყია.

**– ბიძინა ივანიშვილის „აღმოჩენა" არ ხარ, მასთან მიხვედი ძალიან საინტერესო და აქტიური ჟურნალისტური წარსულით, რაც გახდა კიდეც ამ პოლიტიკური კარიერისთვის გადამწყვეტი.**

– რა თქმა უნდა, გადამწყვეტი იყო ჩემი განვლილი გზა, რომელიც 18 წლის ასაკში დავიწყე. სულ ვამბობ, ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ორმა ადამიანმა – პოლიტოლოგმა ლაშა გელოვანმა, რომელიც ახლა კანადაში ცხოვრობს და მწერალმა აკა მორჩილაძემ. ისინი ჩემი რედაქტორები იყვნენ გაზეთ „რეზონანსში". მაშინ მე ვიყავი მეორე კურსის სტუდენტი სამყაროს შესახებ იდეალისტური წარმოდგენებით. ჩემი სტუდენტობა თბილისის ომის პერიოდს დაემთხვა, მყავდა ძალიან კარგი სამეგობრო. მაშინ, როცა ლექციები გვიცდებოდა და ეს ხშირად ხდებოდა ასე, ჩვენ დავდიოდით მთაწმინდაზე, დიდუბეში, ვკითხულობდით ტერენტი გრანელს, გალაკტიონს. ერთ დღეს, როცა გამიცდა ლექცია უცხოური ლიტერატურის ისტორიაში, მახსოვს, მე ჩემს მეგობართან ერთად ვავსებდი კროსვორდს. კროსვორდის გვერდით შევნიშნე განცხადება, რომ „რეზონანსი" ეძებდა ახალგაზრდებს, რომლებიც დაწერდნენ სტატიებს. ჩვენ წავედით „რეზონანსის" რედაქციაში, ყველაფერი დაიწყო იქ და მაშინ *(იცინის).*

**ხან ფანჯრიდან გადაგდებით მემუქრებოდნენ, ხან – დაპატიმრებით, ხან პროკურატურა მემუქრებოდა, ხან – სასამართლო**

**– გიწევდა მუშობა ძალიან სკანდალურ მასალებზე. არ იყო რთული დამწყები ჟურნალისტისთვის, პროკურატურასთან და სამართალდამცველებთან „ჭიდილი"?**

– რატომღაც ასე დამებედა. პირველივე დღეს გამგზავნეს სასამართლო პროცესზე, ისე, რომ არც კი ვიცოდი, ვინ იყო პროკურორი და ვინ მოსამართლე. მე აღმოვჩნდი დომუხოვსკი-გელბახიანის ცნობილ საქმეზე. განიხილებოდა 18 განსასჯელის საქმე, რომელთაგან ერთ-ერთი გულწასული მოიყვანეს სასამართლო პროცესზე. თუმცა, მოსამართლეს არც უფიქრია პროცესის გადადება. ამ პროცესის შემდეგ დაიწერა ცნობილი სტატია სათაურით „მოსამართლე – იგივე ჯალათი?!". ამ სტატიის გამო ლამის მიჩივლეს, სათაური რედაქტორებმა – აკამ და ლაშამ გამოიტანეს. მაგრამ, ახლაც მახსოვს, მოსამართლე მემუქრებოდა, რომ სისხლის სამართლის 186 მუხლით პატიმრობა არ ამცდებოდა. ასეთი ხმაურიანი იყო ჩემი ჟურნალისტური დებიუტი.



**საკანში აღმოვჩნდი ადამიანთან, რომელსაც სამუდამო პატიმრობა ოჯახის სამი წევრის მკვლელობისთვის ჰქონდა მისჯილი**

**– ხმაური არც მერე გაკლდა, თუ არ ვცდეები, ორჯერ აღმოჩნდი სასამართლო პროცესზე „განსასასჯელის სკამზე".**

– მე ორჯერ ნასამართლევი ვარ, მაგრამ არც ერთი პროცესი არ წამიგია, რადგან სიმართლე ჩემს მხარეს იყო. ჩემი პირველი ადვოკატი იყო კობა დავითაშვილი. მეგობრობა, რომელიც ჩემი სასამართლო პროცესის დროს დაიწყო, დღემდე გრძელდება.

**– სიძის, ზაზა ხატიაშვილის დახმარებაზე უარს ამბობდი? ის ხომ ერთ-ერთი ცნობილი ადვოკატი იყო იმ წლებში.**

– ზაზასთვის არასდროს მითქვამს, რომ ჩემს საქმეში გამოსულიყო ადვოკატად, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს ჩემთვის უფრო რთული იქნებოდა. ზაზა იმდენად კეთილია, უამრავ გაჭირვებულს დახმარებია უსასყიდლოდ, მაგრამ როცა საქმე შენი ოჯახის წევრს ეხება, ორმაგად ღელავ და განიცდი. არ მინდოდა, ზაზასთვის ეს მძიმე ტვირთი დამეკისრებინა. მე ყოველთვის ვცდილობ, არ გავრიო ჩემს საქმეებში ის ადამიანები, რომელთა მიმართაც დიდი ემოციები და სიყვარული მაქვს. მგონია, ასე უფრო მოვუფრთხილდები მათ. მე ისე ხშირად მემუქრებოდნენ ხან ფანჯრიდან გადაგდებით, ხან – დაპატიმრებით, ხან პროკურატურა მემუქრებოდა, ხან – სასამართლო, ამას მივეჩვიე კიდეც. ალბათ, გახსოვთ ზვიად გამსახურდიას მომხრე, ზაზა წიკლაურის ცნობილი საქმე. ის საშინლად იყო ნაწამები. მე და მისი მეუღლე ნინო, ერთად ვცდილობდით სიმართლის დადგენას. ამას მოჰყვა გახმაურებული მკვლელობები სამეგრელოში, ამ საქმეებზე მუშაობის დროს პროკურატურა დაკავებით მემუქრებოდა. ძალიან კარგად მახსოვს ანზორ ბალუაშვილი, რომელიც ამ საქმეების გამომძიებელი იყო. პროკურატურაში მუშაობის დროს ჩვენ დაძაბული ურთიერთობა გვქონდა. ბატონი ანზორი მემუქრებოდა, უნდა დაგიჭიროო. მერე ელჩად რომ გაუშვეს ისრაელში, იქ მეპატიჟებოდა სტუმრად. პროკურატურისგან მუქარა მოდიოდა ჩემი შეშინების მიზნით – პატარა გოგო ვიყავი, არ მქონდა იურიდიული განათლება და ინტუიციით უფრო ვხვდებოდი საქმის დეტალებს. თუმცა, მერე იურისპრუდენციაში ისე გავიწაფე, კარგ იურისტს რომ შეშურდებოდა *(იცინის).* არ დაგიმალავთ, თავიდან ამ საქმეებზე მუშაობა მეშინოდა. ერთხელ სამუდამო პატიმრობამისჯილმა ადამიანმა მოითხოვა ჩემთან შეხვედრა. მე ხელი მოვაწერე წერილს, რომ საკუთარი ნებით შევდიოდი მასთან შეხვედრაზე. აბსოლუტურად არ ვიყავი დაცული, ხომ შეიძლებოდა მძევლად ავეყვანე? მახსოვს, როგორ მიცემდა გული და როგორ მიკანკალებდა ხელები. ის პატიმარი ოჯახის სამი წევრის მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს. მისი წერილიდან მივხვდი, რომ რაღაც ძალიან აწუხებდა და რაღაც სათქმელი ჰქონდა. მან სცადა აეხსნა, რატომ ჩაიდინა ის დანაშაული. ძალიან ბევრი ვიმუშავე რუსთაველი მანიაკის გახმაურებულ საქმეზე. ვამაყობ იმით, რომ იმ ადამიანს, ვისაც ამ მძიმე დანაშაულს აბრალებდნენ, დავეხმარე და ინფორმაცია, რომელიც მის უდანაშაულობას ამტკიცებდა, საჯაროდ გავახმაურე.

**– როგორ ახერხებდი იმ ჩაკეტილ სისტემაში ინფორმაციის მოპოვებას?**

– მქონდა ჩემი მეთოდები. გარეგნულად არ მემჩნეოდა, რომ შემეძლო ინფორმაციის მოსაპოვებლად რისკზე წასვლა – ქალური სისუსტე იყო ჩემი სიძლიერე და ისიც, რომ როგორც ყველა ქალს, მეც შემიძლია ყველგან ვიცვალო ფერი *(იცინის).* მახსოვს, როგორ მომიყვა ერთ-ერთი გამომძიებელი საქმის დეტალებს ისე, რომ ვერ მიცნო. მეც დაზარალებულის ახლობელი ვეგონე, რადგან საავადმყოფოში

**(გაგრძელება 70-ე გვერდზე)**

# ინტიმური საუბრები

## შეიძლება, იტალიაში გავთხოვდე

ჩემი დაქალი ისე გახდა 37 წლის, სერიოზული შეყვარებული არ ჰყოლია, არადა, ჩვენს სამეგობროში ყველას სჯობდა გარეგნობითაც და ხასიათითაც, მაგრამ, ცოტა ზედმეტად მორცხვი იყო, თან რაღაც კომპლექსებიც ჰქონდა და ყოველი ფლირტი დაწყებიდან მოკლე ხანში მთავრდებოდა. მოკლედ, გათხოვებამდე ან ლოგინამდე კი არა, შეიძლება ითქვას, საქმე ვნებიან კოცნამდეც კი არც ერთხელ არ მისულა. თავიდან დოდო განიცდიდა ამ ამბავს, მაგრამ, მერე შეეგუა იმ აზრს, რომ ვერასოდეს ვერ გათხოვდებოდა და გადაწყვიტა, იტალიაში წასულიყო (სამუშაოდ, ცხადია) – აქ მაინც რას ვაკეთებ, იქ კი ცოტა ფულს მაინც ვიშოვი, რომ სიბერეში მაინც ვიყო უზრუნველყოფილიო.

წავიდა და მომვლელად დაიწყო მუშაობა: ხან პატარა ბავშვებს უვლიდა, ხან – ლოგინად ჩავარდნილ მოხუცებს და ასე ტანჯვა-წამებით აგროვებდა თანხას. ბოლოს ერთი მოხუცის მოსავლელად აიყვანეს. სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, ეს მოხუცი თავის სახლში ცხოვრობდა შუა ხნის უცოლო ვაჟიშვილთან ერთად და დოდოსაც მათთან მოუწია ცხოვრება. სამი წელი უვლიდა იმ საცოდავ დედაბერს, სახლსაც ულაგებდა და სადილებსაც უკეთებდა. ჯოვანის (დედაბრის შვილს) მოსწონდა დოდოს მომსახურება და ყველანაირად ცდილობდა, ისეთი პირობები შეექმნა, რომ ასეთი საქმიანი, პატიოსანი და ერთგული მოსამსახურე არ გაჰქცეოდა. მაგრამ, სამი წლის შემდეგ მოხუცი გარდაიცვალა და დოდო იძულებული გახდა, ახალი სამუშაო მოეძებნა. სხვათა შორის, ჯოვანი ძალიან დაეხმარა – თავის ახლობელთან გაუწია რეკომენდაცია და დოდოც ჩვეულ საქმიანობას შეუდგა.

დამავიწყდა მეთქვა, რომ დოდოს თბილისში (უნივერსიტეტის გარდა) მუსიკალური ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული და კარგად უკრავდა და მღეროდა.

ახალ ოჯახში გადასვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჩემს დაქალს ჯოვანიმ დაურეკა, მოიკითხა და უთხრა, შენი მომზადებული სადილები მომენატრაო. დოდომაც, რადგან თავი დავალებულად მიაჩნდა ჯოვანისთან, უთხრა, როცა თავისუფალი დღე გექნებათ, მოვალ და რასაც გინდათ, იმას მოგიმზადებთო. დათქმულ დღეს ჯოვანიმ ყველა საჭირო პროდუქტი დაახვედრა, თვითონაც მიეხმარა და ერთად მოამზადეს ქართული საფირმო კერძები – ხინკალი და ხაჭაპური. ჯოვანიმ ვახშმად დარჩენა რომ შესთავაზა, დოდოს გაუკვირდა, მაგრამ, უარი არ უთხრა. გახარებულმა მასპინძელმა სასმელიც ამოიტანა და ძალიან რომანტიკული საღამო მოუწყო. ცოტა რომ დალია, დოდომ გადაწყვიტა, მადლობა ორიგინალური ფორმით გადაეხადა თავისი მასპინძლისთვის – პიანინოს მიუჯდა (სხვათა შორის, იტალიაში პიანინო ყველას არ აქვს, რადგან ინსტრუმენტი ძალიან ძვირი ღირს და ოჯახის მაღალი დონის გამოხატულებად ითვლება) და რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა (ცხადია, თან უკრავდა და თან მღეროდა). ჯოვანი გაოცებული და აღფრთოვანებული უსმენდა დოდოს, მერე კი მივიდა მასთან, მის წინ მუხლი მოიყარა და ცოლობა სთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ დოდო გრძნობდა მისგან სიმპათიებს, ამას მაინც არ მოელოდა და დაბნეულობისგან ტირილი დაიწყო. ჯოვანიმ ეს თანხმობად ჩათვალა, მაშინვე გავარდა მეორე ოთახში, საიდანაც პატარა კოლოფით ულამაზესი ბეჭედი გამოიტანა და აცრემლებულ დოდოს თითზე გაუკეთა.

დღეს დოდო ჯოვანის დიდი სახლის დიასახლისია. მართალია, შვილი არ ჰყავთ, მაგრამ, ძალიან უყვართ ერთმანეთი. აქ რომ ჩამოვიდნენ, ჯოვანიმ მითხრა (ინგლისური ორივემ ვიცით), ყველა ჩემს მეგობარსა და ნათესავს შურს ჩემი, ასეთი ცოლი რომ მყავს. დოდომ მთელ ჩემს საახლობლოს შეაყვარა ქართველები და, ყველა ჩემი უცოლო მეგობარი მეხვეწება, შენს ცოლს გაუთხოვარი მეგობარი თუ ჰყავს, გაგვაცნოსო. მე ხუმრობით ვუთხარი, ერთ-ერთი მათგანი ამ წუთას შენ გელაპარაკება-მეთქი. ჯოვანის ისე გაუხარდა, ტაში შემოჰკრა და მაშინვე ტელეფონს ეცა. მერე კი, სანამ ნომერს აკრეფდა, მკითხა, შენც უკრავ და მღერიო? მე სიცილით დავუქნიე თავი, რადგან, მეგონა, რომ თვითონაც ხუმრობდა, მაგრამ, ეს ხუმრობა იმით დასრულდა, რომ მან თავისი უახლოესი მეგობარი დაპატიჟა თბილისში და უთხრა, სასწრაფოდ ჩამოდი, თორემ, შენთვის შერჩეულ ქართველ ქალს ხელიდან ამაცლიანო. მერე ტელეფონით გადაღებული სურათები მაჩვენა, სადაც მასთან ერთად ჩემი „საქმროც" იყო. საკმაოდ ნორმალური კაცია, ქვრივი. ჩემი განათხოვრობა და ერთი შვილი, როგორც მერე გავიგე, მისთვის პრობლემა არ ყოფილა.

რამდენიმე დღეში ველით მთელი სამეგობრო იტალიელ სასიძოს. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, როგორ დასრულდება ეს ისტორია, მაგრამ, ჩემი მოსაწყენი და ერთფეროვანი ცხოვრება რომ შეიცვალა, აშკარაა. გამოგიტყდებით და, ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ ჩემს საბედოს.

ამ ასაკში თუ კიდევ გათხოვებას ვიფიქრებდი, ამას როგორ წარმოვიდგენდი.

**ირინა, 44 წლის.**

## არ ვიცი, როდის შევძლებ მამის პატიებას

დედისერთა ვარ, ოჯახის ნანატრი ბიჭი, რადგან, დედის მხრიდანაც და მამის მხრიდანაც, ბიძებსა და დეიდა-მამიდებს, ყველას გოგოები ჰყავს. მამაჩემი ყოველთვის ძალიან ამაყობდა, ვაჟიშვილის მამა რომ გახდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც სიარული და ლაპარაკი დავიწყე, შეიძლება ითქვას, რომ ჩემთვის არასდროს მოუცლია – არც მასეირნებდა, არც მეთამაშებოდა; უფრო რომ წამოვიზარდე, ვოცნებობდი, მამას ვეტარებინე სპორტზე, მომეყოლა მისთვის ბიჭური ამბები, მომხმარებოდა მეცადინეობაში... ერთი სიტყვით, კაცური ურთიერთობები მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ერთმანეთისთვის თავიდანვე უცხოები ვიყავით. რამდენჯერმე ვცადე კიდეც მასთან უფრო ახლოს მისვლა, მაგრამ, ისე უხეშად მომიშორა თავიდან, სურვილი აღარასოდეს გამჩენია, მამასთან რაიმე, თუნდაც ელემენტარული ურთიერთობა მქონოდა. დღესაც არ ვიცი, რატომ მექცეოდა ასე. დიდი თბილი და მზრუნველი არც დედის მიმართ ყოფილა, მაგრამ მე მთლად ეკლად ვესობოდი თვალში. კაცობაში რომ შევედი, უკვე ძალიან მაღიზიანებდა მისი საქციელი, მაგრამ, არასდროს არაფერი მიკადრებია, უბრალოდ, თავს ვარიდებდი. მერე, მუშაობა რომ დავიწყე, ავიჩემე, ბინა უნდა ვიქირაო და ცალკე გადავიდე საცხოვრებლად-მეთქი. დედა ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, არ უნდოდა ჩემი გაშვება და სულ ტიროდა, მაგრამ, მაინც თვითონ ჩამიწყო ბარგი, გამომყვა ჩემს ახალ ბინაში, იქაურობა დამიწკრიალა, სადილი დამიტოვა და წავიდა. თითქმის ყოველდღე მოდიოდა, ყველაფერს გამიკეთებდა და მიდიოდა ხოლმე. მამას ერთხელაც კი არ მოუკითხავს, ის კი არა, არც კი დაურეკავს, არც კი უკითხავს, რატომ წახვედი სახლიდანო. რამდენიმე წლის შემდეგ, ცოტა თანხას რომ მოვუყარე თავი, ჩემთვის ერთოთახიანი ბინის ყიდვა გადავწყვიტე, მაგრამ, ორივე ბაბუამ დამიმატა თანხა და კარგი სამოთახიანი ვიყიდე. დედას ძალიან უხაროდა, ქირა რომ აღარ უნდა მეხადა. ვეხვეწე, ჩემთან გადმოდი-მეთქი, მაგრამ, მამაჩემს ვერ ტოვებდა. მეუბნებოდა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიყვარსო, თუმცა, ჩემი აზრით, ეცოდებოდა, თან, რაღაცნაირი მონური მორჩილება ჰქონდა ქმრის მიმართ, რაც ძალიან მაღიზიანებდა, მაგრამ, ვერაფერს ვეუბნებოდი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა, ჩემთან ხალისიანი და მხიარული ყოფილიყო, ვხედავდი, როგორი სევდიანი და შეშინებული იყო მუდმივად. ათასში ერთხელ მივდიოდი ხოლმე მშობლებთან, უფრო ზრდილობის გამო. მამაჩემი ცალყბად მომიკითხავდა და თავის ოთახში გადიოდა. მერე მთლად ჩაიკეტა საკუთარ თავში, საერთოდ აღარავის ეკონტაქტებოდა, დედაჩემსაც კი. ბოლოს სმა დაიწყო, რამდენჯერმე „გარიაჩკაც" დაემართა და ერთ დილას ველარ გაიღვიძა. დედამ ძალიან დაიტირა, ისე დავასაფლავეთ, როგორც წესი და რიგი იყო. ორმოცი რომ გავიდა, დედა ჩემთან გადმოვიყვანე, ის ბინა შევარემონტე და გავაქირავე. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დედას შევატყვე, რომ შიში და ტკივილი გაუქრა თვალებიდან. მერე ცოლი შევირთე და შვილებს მიზრდიდა. რძალ-დედამთილი ძალიან შეხმატკბილებული ცხოვრობდა და ამით ბედნიერი ვიყავი, მაგრამ, არ მასვენებდა კითხვა: რატომ შემიძულა მამამ. ერთხელ კი დედას გადავეკიდე და ძლივს დავაცდენინე, რომ, თურმე, მე რომ გავჩნდი, დაახლოებით იმ პერიოდში მამაჩემის ძმაკაცის ცოლს სხვისგან გაუჩენია შვილი. იმ ძმაკაცს მერე გაუგია ამის შესახებ. ცოლი თავისი ბავშვიანად გაუგდია სახლიდან. მეგობრებში კი (მათ შორის მამაჩემიც იყო) უთქვამს სიმთვრალეში, არც ერთი ქალი არ არის სანდო; კაცმა არ იცის, გათხოვილი ქალები ვისგან აჩენენ ბავშვებს, ქმრებს კი თავიანთი შვილები ჰგონიათ და თან ჰყვებიანო. ეს სიტყვები ჩაუხვევია გულში მამაჩემს და, მართალია, ცოლისთვის არასდროს გაუბედავს, ასეთი ბრალდება წაეყენებინა, მაგრამ, ეჭვი მთელი ცხოვრება ტანჯავდა. ამ ეჭვის გამო გალოთდა და, საბოლოოდ, შეეწირა კიდეც ამ თავის ავადმყოფურ ეჭვებს.

ეს ამბავი რომ გავიგე, ძალიან შეურაცხყოფილი დავრჩი. დედაზეც გავბრაზდი – ასეთი საზიზღრობა როგორ მოუთმინე-მეთქი. მან კი მითხრა, რომ გავშორდებოდი, მთლად გაუბედურდებოდა, თან, წასასვლელიც არსად ჰქონდაო (ბინა დედაჩემის მშობლების იყო).

ძალიან მინდა, რომ დედას გავუგო, მაგრამ, არ შემიძლია. ვერაფრით მივმხვდარვარ, რატომ და როგორ უნდა გიყვარდეს ქმარი ასე ბრმად, რომ ყველაფერი აპატიო, ყველაფერი აიტანო და თან იქით შესციცინებდე თვალებში?!

წერილის ბოლოს კი ჩემს ცუდკაცობაში უნდა გამოგიტყდეთ: იმის მერე, რაც ეს ამბავი გავიგე, ვერაფრით ვაიძულე თავი, რომ მამის საფლავზე ავიდე და არც ვიცი, როდის შევძლებ მის პატიებას.

**ირაკლი, 37 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, შესაძლებელია თუ არა უკვე შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება თავიდან?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება შესაძლებელია. კერძოდ, თუ ზემდგომმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება ან სასამართლომ გააუქმა განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატსა და დაზარალებულს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, მოწმის დაკითხვის დროს შეიძლება თუ არა მას მხარემ დაუსვას ნებისმიერი კითხვა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისთვის. შესაბამისად მას კითხვა უნდა დაესვას მხოლოდ იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელსაც შემხებლობა აქვს კონკრეტულ ფაქტთან ან საქმესთან.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შეიძლება თუ არა დაკითხვის დროს მოწმეს დაესვას კითხვა არის თუ არა ის ნასამართლევი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ნასამართლ-



ობის შესახებ შეკითხვა მოწმეს შეიძლება დაესვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა მოწმის სანდოობის დადგენისთვის.

**კითხვა: მაინტერესებს და გთხოვთ, გამაცნოთ ზოგადად როგორია მოწმის დაკითხვის წესი და რა წესები უნდა დაიცვას მხარემ მოწმის დაკითხვისას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას. სასამართლო ფიცის დადების შემდეგ, მოწმეს განუმარტავს უფლება-მოვალეობებს – რა საქმეზეა გამოძახებული; რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცის, და აფრთხილებს, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისთვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ასევე, განუმარტავს, რომ ის ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი, ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება. სასამართლო კი ადგენს, რა დამოკიდებულება აქვს მოწმეს ბრალდებულთან და დაზარალებულთან. დაკითხვის დაწყებისთანავე მოწვევის ინიციატორმა მხარემ მოწმეს უნდა შესთავაზოს, თქვას ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცის. პასუხის გაცემისას, რომ შეაწყვეტინონ დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი იმ გარემოებებზე საუბრობს, რაც აშკარად არ ეხება საქმეს, მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით, შეუძლია მისი შეჩერება. ამის შემდეგ დასაკითხ პირს მისი ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით, შეიძლება დაკითხვის ინიციატორმა დაუსვას შეკითხვები. პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ კი, მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია მოწმის ჯვარედინი დაკითხვა აწარმოოს.

**კითხვა: მაინტერესებს, შეუძლია თუ არა მოწმეს დაკითხვის დროს თვალსაჩინოებისთვის სხვადასხვა ტექნიკური საშუალება გამოიყენოს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, თუ მოწმეს უჭირს რომ, სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც იყო, მას შეუძლია, თავისი ჩვენება სხვა ნიშნობრივი ფორმით ჩამოაყალიბოს, სახელდობრ, ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით. დაკითხვისას მოწმეს შეუძლია, ასევე, გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ განიხილავს პირისთვის ნასამართლეობის მოხსნის საკითხს და რა პროცედურებია ამისთვის საჭირო?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ნასამართლობის მოხსნის საკითხს, სასჯელმოხდილი პირის შუამდგომლობით, განიხილავს გადაწყვეტილების მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე. ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში, შუამდგომლობის ხელახლა დაყენება შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, შესაძლებელია თუ არა დამატებითი ექსპერტიზისთვის დანაშაულის შედეგად დაღუპული პირის გვამი საფლავიდან იქნეს ამოღებული და თუ შეიძლება, რა შემთხვევაში?**



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით შეიძლება ჩატარდეს ექსჰუმაცია (გვამის საფლავიდან ამოღება). მხარე შუამდგომლობით გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს მას დაყენებიდან 48 საათში. სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება. ექსჰუმაციის შესახებ განჩინება სავალდებულოა დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციისათვის (თუ ასეთი არსებობს), გარდაცვლილის ნათესავების და სხვა პირებისთვის.

**კითხვა: მაინტერესებს, რას ნიშნავს ბრალდებულის საბოლოო სიტყვა და რა შემთხვევაში აქვს ბრალდებულს საბოლოო სიტყვის თქმის უფლება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მხარეთა მიერ დასკვნითი სიტყვების წარდგენისა და რეპლიკით გამოსვლის შემდეგ, ბრალდებულს უფლება აქვს, სურვილის შემთხვევაში, საბოლოო სიტყვით გამოვიდეს. სხდომის თავმჯდომარეს უფლება არ აქვს, დაადგინოს ბრალდებულის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ მას შეუძლია, შეაჩეროს ბრალდებული, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან, ან რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, განაჩენის გამოტანიდან რა ვადაშია სასამართლო ვალდებული, ბრალდებულს ან მის დამცველს გადასცეს მის მიმართ გამოტანილი განაჩენის ასლი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღისა. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.



**ის ომი რომ არ მომხდარიყო, დღეს საქართველოში მანანა არჩვაძის გამგებლობა იქნებოდა**

**თენგიზ კიტოვანი ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა ნაციონალურ ხელისუფლებას გარიდებულ ექსჩინოვნიკებს შორის, ვინც თბილისში რამდენიმეწლიანი „პაუზის" შემდეგ დაბრუნდა. შვიდი წლის შემდეგ ნანახი თბილისი, თურმე, არ მოეწონა და სახლში დარჩენას ისევ იქ წასვლა არჩია, სადაც ის ბოლო წლებია, ცხოვრობს. როგორც თვად ამბობს, თავს საკუთარი ნახატების გაყიდვით ირჩენს, თუმცა ის მაინც არ გამიმხილა, რას ხატავს მოსკოვიდან 60 კილომეტრში, ტყეში, ქართული თავდაცვის ექსმინისტრი.**

# რატომ ცხოვრობს თენგიზ კიტოვანი ტყეში მარტო და ვის არ გაჰკარებია ის ოცი წელი

**თენგიზ კიტოვანი:** თბილისში საახალწლოდ ჩამოვედი, აქამდე არ მიშვებდა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი, რომ თბილისში ჩამოვსულიყავი. ბოლოს შვიდი წლის წინ ვიყავი საქართველოში, მენატრებოდა მანდაურობა – შვიდი წელი ცოტა დრო ხომ არაა! მთელი ოჯახი მელოდებოდა: მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. რაც მე მანდ არ ვყოფილვარ, 6 შვილთაშვილი გაჩნდა ჩვენს ოჯახში. ბავშვი – ბავშვია, იცოდნენ, ბაბუა ჩამოუვიდოთ და უხაროდათ, „ბაბუ, ბაბუს" მეძახდნენ სულ. მესიამოვნა მათი ჟრიამული.

**– აქამდე რატომ არ ჩამოხვედით საქართველოში, ხელისუფლების შეცვლას ელოდით?**

– ადრეც მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ, პასპორტი ჩამომართვეს. ვადაგასული პასპორტი გამოსაცვლელად მივიტანე საკონსულოში და ოთხი წლის განმავლობაში არც ძველი პასპორტი დამიბრუნეს და არც ახალი მომცეს. ახლა ყველა საბუთი წესრიგში მქონდა, რომლითაც შემეძლო საქართველოში ჩამოსვლა. ადრე სააკაშვილის ხალხი ელოდა, რომ მე უპასპორტოდ და უსაბუთოდ გადმოვკვეთდი საზღვარს – ეს იყო მაგათი ოცნება, მაგრამ, არ ავუსრულე ეს ოცნება. ახლა, როგორც კი ჩამოვედი, სააკაშვილი ტელევიზიით გამოვარდა: კიტოვანი ჩამოვიდაო და ჩვეული მანერით ბოდიალი დაიწყო, მაგრამ, მე მაგას არ ვუსმენ.

**– ასე მალე რატომ წახვედით საქართველოდან?**

– საქმეები მაქვს მოსკოვში, დიდხანს ვერ მივატოვებდი. თითქმის ერთი თვე დავრჩი თბილისში, მეტი რაღა მინდოდა. ჩემი მეგობრებიც ვნახე – ისინი, ვინც ცოცხლები დარჩნენ. მათგან ზოგი ჩემი გაზრდილია. ეს რა ვნახე თბილისში – დაუმახინჯებიათ ქალაქი, ხე აღარ დგას, ყველაფერი მოუჭრიათ. ამ ქალაქის სილამაზე მისი სიმწვანეც იყო. არ მომეწონა ის, რაც ვნახე ქუჩებში – როგორ გაუკეთებიათ ეს გადასასვლელები. მოსკოვში ქალაქი რომ არ დაამახინჯონ, მიწისქვეშა სამუშაოებით აკეთებენ ყველაფერს. გავგიჟდი გმირთა მოედანზე, არაპროფესიონალურად არის გაკეთებული, არქიტექტორი არ ჰყავდათ?

**– იმაზე ლამაზი ნამდვილად არის თბილისი, ომის შემდეგ რომ დაუტოვეთ საქართველოს.**

– ომის მერე სხვანაირად როგორ იქნებოდა?! ყველა ომს ეგ მოსდევს, თქვენ ის თქვით, ის ომი რომ არ მომხდარიყო, დღეს არაფერი არ იქნებოდა. საქართველოში მანანა არჩვაძის გამგებლობა იქნებოდა, არც შევარდნაძე მოვიდოდა, არც სააკაშვილი და არც არავინ. იმ ომმა საქართველო ბევრ რამეს გადაარჩინა, სხვა გზას დაადგა. ომის გარეშე არაფერიც არ ხდება, აბა, ვარდების რევოლუცია იყო, ყველაფერი რომ გარიგებული აღმოჩნდა?!

**– მოსკოვში როგორ ცხოვრობთ?**

– მოსკოვთან ახლოს, 60 კილომეტრში ვცხოვრობ, პატარა ხის სახლი მაქვს ტყეში. ძალიან კარგად ვარ, ესეც მყოფნის. ახლა თბილისში რომ ვიყავი, ვნახე, ოთხსართულიანი სახლები აუშენებიათ ვიღაც-ვიღაცეებს, გავგიჟდი.

**– არც თქვენ არ იყავით ღარიბი კაცი თბილისში.**

– მე ვიყავი მხატვარი. რაც მამაჩემმა დამიტოვა იქ ვცხოვრობდი, მეტი არაფერი შემიმატებია იმ სახლისთვის. იმ სახლის მეტი რომ არაფერი მაქვს, ყველამ კარგად იცით. იქაც 18 სული ვცხოვრობთ. ჩემზე ვერავინ იტყვის, რომ სახელმწიფოს ჯიბეში ხელი ჩავყავი და ფული წავიღე. ორი წელი იძიებდა შევარდნაძე ჩემს საქმეს, მაგრამ, ვერაფერი ვერ ნახა. ბოლოს ანზორ ბალუაშვილმა მაკოცა და მადლობა გადამიხადა – რა წესიერად გიცხოვრიაო. მე ვაჭრობის მინისტრი კი არ ვიყავი, რომ ფული მეშოვა, თავდაცვის მინისტრი ვიყავი. არ ვიცი, ჩემზე რატომ ხართ ჟურნალისტები ასე გამწარებულები?! რატომ სხვებს არ ეკითხებით, იმხელა სახლები როგორ ააშენეს? ოცი წელია, მანდ არავის გავკარებივარ და მაინც კიტოვანს უჩიჩხნებით.

**ჩემი არც ერთი ნახატი 25 ათას დოლარზე ნაკლები არ ღირს**

**– ახალ ხელისუფლებასთან გაქვთ კონტაქტები?**

– არა, არავითარი კავშირი არ მაქვს, არც ბიძინას არ ვიცნობ, მაგრამ, მინდა, რომ ყველაფერი და ყველა კარგად იყოს. ახალ ხელისუფლებას ერთი იმას კი ვეტყოდი, რომ, თუ დასაჭერია კაცი დაიჭირონ და 24 საათში დაუმტკიცონ დანაშაული. რუსებს ჰყავდათ ერთი მინისტრი, 24 საათში არკვევდა, კაცი დამნაშავე იყო თუ არა, ხალხს ყველა დროში ბეზრდება ასეთი ხმაურიანი დაჭერები.

**– მოსკოვში მარტო ცხოვრობთ?**

– სახლში მყავს კავკასიური ნაგაზი. ახლა თბილისიდან წამოვიყვანე ჩემი შვილი – ნათია, მოუნდა მამასთან ცხოვრება და იქნება ჩემთან. აქამდე მარტო ვიყავი, ამ ტყეში ვინ წამოვიდოდა ჩემთან საცხოვრებლად?! ადრე ჩემი ცოლი ჩამოდიოდა ხოლმე, მერე, სიტუაცია რომ აირია, გაჭირდა იქით-აქეთ სიარული, ვიზების მიღება და ამიტომაც დარჩა ჩემი ცოლი თბილისში. კარგად ვარ მარტო, მოსკოვში ჩავდივარ ხოლმე ხშირად. ხანდახან მეგობრებს ვიღებ სტუმრად – იმათ ვისაც ვუყვარვარ. სუფრებს არ ვშლი, არ მიყვარს დალევა. მარტო ცხოვრებას შევეჩვიე, ეს კარგია ხატვისთვის. ხშირად ვხატავ. აქ, სახლშიც, ბევრი ნახატი მაქვს. თბილისშიც ჩამოვიტანე ჩემი ნახატები – შეგიძლიათ, მიბრძანდეთ სახლში და ნახოთ.

**– ყიდით ნახატებს?**

– დიახ, ვყიდი. არც ერთი ნახატი არ ღირს 25 ათას დოლარზე ნაკლები. აბა, როგორ ვიცხოვრებ, აქ ბანკებს კი არ ვძარცვავ.

**– მოსკოვში ბევრი ქართველი ცხოვრობს. გაქვთ მათთან კონტაქტი?**

– არავისთან არ მაქვს ურთიერთობა. ადრე შემომთავაზეს გაერთიანებებში გაწევრიანება, მაგრამ არავისთან დამიჭერია საქმე. თან აქაური ქართველების 80 პროცენტი არასწორად ცხოვრობს და მათთან არ მინდა ურთიერთობა. მე მაქვს ახლო კავშირი ზურაბ წერეთელთან – ჩვენ ახალგაზრდობიდან, აკადემიის წლებიდან ვმეგობრობთ. მე ზურაბი ძალიან დამეხმარა, როცა მოსკოვში ჩამოვედი, დამეხმარა როგორც ფინანსურად, ისე მორალურად.

**– ახლა იყავით მასთან გამართულ მიღებაზე?**

– ეს ძალიან კარგი ამბავია, რომ რუსეთთან ასე თბება ურთიერთობა. ამ ქვეყანამ საქართველოს ბევრი სიკეთე გაუკეთა ერეკლეს დროიდან დაწყებული, მაგრამ, მიხეილ სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ ურთიერთობა გაეფუჭებინა. ყველაფერი ინგლისურზე რომ გადაიყვანა, უნდოდა, საქართველო დასავლურ ქვეყნად გადაექცია, მაგრამ, არ გამოუვიდა. ჩვენ მაინც, ასე თუ ისე, აზიელები ვართ და ასე დავრჩებით.

**– თბილისში როდის აპირებთ დაბრუნებას?**

– არ ვიცი, წინასწარ ვერ გეტყვით. ალბათ, ჩამოვალ, მაგრამ, როდის – ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. იმას კი გეტყვით, რომ საცხოვრებლად ჩამოსვლას ჯერჯერობით არ ვაპირებ.

**თამუნა სამადაშვილი**

**ოცდათხუთმეტწლიანი განშორების შემდეგ მედიცინის დოქტორი, ბიზნესმენი თამაზ მჭედლიძე სამშობლოში დაბრუნდა და კოჯრის ტყეში პრემიუმ-კლასის გამაჯანსაღებელ კომპლექსს აშენებს, რომელიც სრულიად ახალი სიტყვა იქნება ქართულ რეალობაში. ეგზოტიკური ცხოველებით სავსე ეზო, საოცარი ხედები, ექსკლუზიური დიზაინის განათება, უჩვეულო გარემო და, ყველაფერი ეს – ადამიანის გასაჯანსაღებლად.**

# როგორ შეგვიძლია გაახალგაზრდავება გენეტიკურ ანალიზზე დაყრდნობით

**თამაზ მჭედლიძე**: მამაჩემის სამსახურის გამო ჩემი ოჯახი რუსეთში ცხოვრობდა და 1960 წელს მეც იქ დავიბადე. 1961 წელს, ბაბუას გარდაცვალების შემდეგ, მამამ მთელი ოჯახით საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. მამაჩემი ხაშურიდან არის, დედა გურული მყავს.

**– განათლება სად მიიღეთ?**

– ჩემი ძმის მსგავსად, წავედი და ჩავაბარე სამხედრო სამედიცინო აკადემიაში. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ იქ ბანაკში უნდა ვყოფილიყავი, ხან ღამით მეგუშაგა, ხან სამზარეულოში კარტოფილი მეთალა, მარშირებაზე მევლო... ეს ჩემი საქმე არ იყო. წამოვიღე საბუთები და იმავე წელს გამოცდები ჩავაბარე ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში, პლასტიკურ ქირურგიაზე სწავლა მინდოდა. ძმამ მირჩია, ჯერ სტომატოლოგიურზე ჩამებარებინა, რადგან, ყბა-სახის ქირურგიიდან პლასტიკურ ქირურგიას იოლად დავეუფლებოდი. დავუჯერე ძმას. მეოთხე კურსამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ პლასტიკური ქირურგი ვიქნებოდი. მეოთხე კურსზე, სტომატოლოგიაში პრაქტიკების დროს, ერთი ლამაზი გოგონა მოვიდა. წინა კბილი გატეხილი ჰქონდა. მაშინდელი მასალებით ვიწვალე და ისეთი ლამაზი კბილი გამომივიდა, ძალიან გაუხარდა და გადამეხვია. მეც გამიხარდა და ვიფიქრე, რაღად მინდა პლასტიკური ქირურგია, სტომატოლოგად დავრჩები-მეთქი. ასე შემოვრჩი სტომატოლოგიას ***(იცინის).*** მეოთხე კურსზე ვიყავი, როდესაც სამი ბჟენი თვითონ, საკუთარი ხელით, სარკის წინ გავიკეთე. ექთანს მხოლოდ სარკე ეჭირა. მინდოდა, ზუსტად გამეგო, რას გრძნობს პაციენტი, როცა მის პირის ღრუში ვმუშაობ. დიდი მნიშვნელობა აქვს, ბურღი რა კუთხით გიჭირავს, კბილს რა ძალით აწვები. თან, მაშინ ასეთი ანესთეზიები ხომ არ იყო... ეს ექსპერიმენტი მომავალში ძალიან დამეხმარა. პაციენტს რომ ვმკურნალობდი, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს საკუთარ კბილს ვიკეთებდი.

**– ამ სფეროში მუშაობა განაგრძეთ?**

– მუშაობა არხანგელსკის ოლქში დავიწყე. კარგი მომარაგება მქონდა, ვერტმფრენი მემსახურებოდა. ვინც ხე-ტყის დამუშავებაზე ყველაზე უკეთ იშრომებდა, როგორც პრემიას – სტომატოლოგს უგზავნიდნენ ხოლმე. ჩავფრინდებოდი ვერტმფრენით, მიმქონდა სავარძელი, ბორმანქანები და კარგი ხარისხის მასალები. იქ გამომიყოფდნენ ხის სახლს და მთელი რაიონი დადიოდა სამკურნალოდ. მაგრამ, იმ ოლქში მხოლოდ სტომატოლოგი არ სჭირდებოდათ: 200 კილომეტრის რადიუსში ექიმი კი არა, ექთანიც არ ჰყავდათ. ყველა ტიპის სამედიცინო საქმიანობა მიწევდა, გარდა მშობიარობის მიღებისა. ყველგან ჰყავდათ თავისი ბებიაქალი.

გეტყვით, რატომ ავირჩიე მედიცინა: ბებიაჩემი მალამოს ამზადებდა თავისი საიდუმლო რეცეპტით, რომელიც წინაპრებისგან თაობებს გადმოეცა.

**– უშუალოდ თქვენი ბიზნესსაქმიანობა როგორ დაიწყო?**

– არხანგელსკის ოლქში ძალიან კარგი სამედიცინო გამოცდილება მივიღე. 1989 წელი იყო. მამაჩემი მეუბნებოდა: შვილო, ჩამოდი, შენ უნდა მოგვხედო მშობლებს, გეყოფა რუსეთში სიარული. თან, შეგიძლია, აქაც აიღო პატენტი და კაბინეტი გახსნაო. მეწარმეობისკენ სწრაფვა ყოველთვის მქონდა და ჩავედი ხაშურში. მაშინ აუცილებელი მოთხოვნა იყო, რომ სახელმწიფო სამსახურიც მქონოდა. ჯერ დავიწყე მუშაობა ხაშურის გალანტერიის ფაბრიკაში, მერე – პოლიკლინიკაში, და, ამის შემდეგ, სახლში, პირველ სართულზე ჩემი სტომატოლოგიური კაბინეტი გავხსენი. ორი წელი ვიმუშავე ხაშურში. დილის 8 საათიდან ღამის 11 საათამდე ჩვენს სახლთან რიგები იდგა. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, პეტერბურგში ნაცხოვრებ ადამიანს იქ ყოფნა ძალიან გამიჭირდა. მშობლებს ვუთხარი, მასალები გამითავდა, წავალ ლენინგრადში და ჩამოვიტან-მეთქი. ბოლოს მამა მიხვდა, რომ დამბრუნებელი აღარ ვიყავი... პეტერბურგში, „დესიატაია სოვეტსკაიას“ ქუჩაზე ვნახე ფართი – 67 კვადრატულმეტრიანი, 3-ოთახიანი ბინა პირველ სართულზე, სადაც კლინიკა გავხსენი. რემონტს მუშებთან ერთად საკუთარი ხელით ვაკეთებდი. კლინიკა იქ ახლაც არის, რომელსაც, ალბათ, მუზეუმად გადავაკეთებ. თანამედროვე მსოფლიო ტექნოლოგიები რუსეთში პირველად მე შემოვიტანე: ბახილები, ხელთათმანები და ნიღბები, რომელიც რუსეთში საერთოდ არ იყო, პირველად ჩვენს კლინიკაში შემოვიტანე. ორი წლის შემდეგ ნევის პროსპექტზე 550 კვადრატული მეტრი ფართის შენობა გაიტანეს აუქციონზე, რათა იმ შენობაში სტომატოლოგიური კლინიკა გახსნილიყო და 1995 წელს ამ შენობაში მე გავხსენი კლინიკა.



კომპანიის წლიური მოგება ათი მილიონი დოლარია, სისტემა გამართულად მუშაობს

**– სამედიცინო კლინიკები მაშინ სრულიად ახალი ხილი იყო.**

– დიახ, მაშინ ყველა ბიზნესი წავიდა ნავთობის და, ასევე, უფრო შემოსავლიან სხვა სფეროებში. მედიცინისთვის ვის ეცალა?! ჩემი მეგობრები, რომლებიც მაშინ მსხვილ ბიზნესში ჩაებნენ, ერთხელ მეუბნებიან: ოდესმე 5 მილიონი დოლარი გინახავს? თუ გინდა, გაჩვენებთო – და გამიყვანეს ოთახში, სადაც დოლარების 100 000-იანი დასტები ეწყო. გავგიჟდი. მედიცინაში მაშინ სად იყო ამდენი ფული.

როცა ჩემი სისტემა „მედი“ გაფართოვდა და პეტერბურგის ელიტამაც ჩვენთან დაიწყო სიარული, ჩამოყალიბდა სიტუაცია: „მედი“ და დანარჩენები. ჩემთან დადიოდა პეტერბურგის პოლიტიკური ელიტაც – ის ადამიანები, ვინც ახლა სახელმწიფო მმართველობაშია. ჩემი პაციენტი იყო ანატოლი სობჩაკი. ჩვენ ძალიან ახლო მეგობრები გავხდით. მის ოჯახთან დღემდე ვმეგობრობ. მისი სახელის უკვდავსაყოფად თბილისში სობჩაკის ძეგლი დავდგი.

სტომატოლოგიით დავიწყეთ, მაგრამ, შემდეგ პროფილი გავაფართოეთ: ესთეტიკური მედიცინა, პლასტიკური ქირურგია, საოჯახო მედიცინა, ლაზერული კორექცია. ახლა რამდენიმე კლინიკა მაქვს, სულ – 18. კომპანიის წლიური მოგება ათი მილიონი დოლარია, სისტემა გამართულად მუშაობს.

**– თქვენი ოჯახი ახლა პეტერბურგში ცხოვრობს?**

– დიახ, ჩემი ოჯახი ამჟამად სანკტ-პეტერბურგშია. მეუღლე თბილისელია – ირინე კანდელაკი. უფროსი გოგონა 19 წლის არის, მესამე კურსზეა, სამედიცინოზე სწავლობს. შარშანწინ ტყუპი ბიჭები შეგვეძინა, ასე რომ, მემკვიდრეები მყავს. მინდა, რაღაც სრულიად ახალი გავაკეთო. ეს არის გამაჯანსაღებელი სისტემის შექმნა. მით უმეტეს, რომ ამ გამაჯანსაღებელ სისტემაში 2004 წელს მთლიანად ჩავერთე. იმ დროს საშუალოდ 170-172 კილოგრამს ვიწონიდი. 164 კილოს რომ ვიწონიდი, მაშინ დავიწყე პროცედურების ჩატარება და 90 კილოგრამამდე ჩამოვედი. 74 კილოგრამი რომ გავხდი, ერთი წლის განმავლობაში. ექიმების გუნდთან ერთად შევიმუშავე გამაჯანსაღებელი და არა გასახდომი სისტემა. გაჯანსაღება ავტომატურად გახდომასაც იწვევს. გაჯანსაღებით გახდომა სხვაა და დიეტით წონის მოკლება – სხვა.

**– რას მოიცავს ეს გაჯანსაღების სისტემა?**

– სწორ კვებას, სწორ ფიზიკურ აქტივობას, ესთეტიკურ მედიცინას, გენეტიკურ ანალიზს, ორგანიზმის მდგომარეობის სისტემატურ კონტროლსა და კორექტირებას, რაც გულისხმობს სისხლის ანალიზზე დაკვირვებას, მიკროელემენტების მდგომარეობის ღრმა და საფუძვლიან კონტროლს. კარგი ექიმების გუნდი მყავს. Anti-Aging Medicine-ზე (დაბერების საწინააღმდეგო მედიცინა) მუშაობს ჩემი გუნდი.

**– როგორც გავიგე, საქართველოში „ველნეს“, ანუ გაჯანსაღების ტექნოლოგიები შემოგაქვთ.**

– საქართველო ასეთ გარემოს შექმნას იდეალურად მიესადაგება. ჩვენთან ბევრი კლიმატური ზონაა; მინერალური წყლების, სამკურნალო მცენარეების ყველაზე მეტი კონცენტრაცია საქართველოშია. ამიტომ, გადავწყვიტე, აქ განვავითარო „ველნეს“ ინდუსტრია. რატომ ავირჩიე კოჯორი?! ბუნებრივად კარგი ადგილია, თბილისთან ახლოს. მსოფლიოში ბევრი კარგი „ველნეს ცენტრი“ მინახავს, მაგრამ, მათი პრობლემა ქალაქიდან სიშორეა. მთასა და ტყეში მაღალი დონის პერსონალს ვერ ნახულობენ. კოჯორში ზღაპრული სამყარო იქმნება. ვმუშაობთ ორ პროექტზე: ერთი – ეს არის გამაჯანსაღებელი პრემიუმ-კლასის კომპლექსი მილიონერებისთვის – სამყაროს ყველაზე შეძლებული ფენისთვის, ექსკლუზიური განათების სისტემით, დახურული ეზოთი, სადაც ეგზოტიკური ცხოველები ისეირნებენ; ეს იქნება ცენტრი, სადაც ერთად მოიყრის თავს საქართველოს ყველა სიკეთე მაგნიტური ქვიშები ურეკიდან, სამკურნალო წყლები ბორჯომის ხეობიდან, წყაროს წყლები რაჭიდან, ტალახები სხვადასხვა რეგიონიდან აქამდე სპეციალური მანქანებით მოვა. მაგნიტური ქვიშა გაიცრება, გათბება და იმ მდგომარეობამდე მივა, როცა ის ყველაზე უკეთ მოქმედებს; იქნება სპეციალური მოვერცხლილი ხის აბაზანები ქვიშისა და ტალახისთვის; იქნება ყურძნის სპა-ოთახები. ღვინოთერაპია საკმაოდ პოპულარულია მდიდარ ადამიანებში და ჩვენ მისი გამოყენების დიდი რესურსი გვაქვს. ამ კომპლექსში სულ 15 ნომერი გაიხსნება, მაქსიმუმ 30 ადამიანზე და საწყისი ფასი დღე-ღამეში 1 500 დოლარი იქნება. პარალელურად ვმუშაობთ მეორე პროექტზე: კოჯრის ტყე-პარკის ღია სივრცეში განთავსდება მოსასვენებელი ადგილები, სადაც თითო ადამიანს თავისი ინდივიდუალური „ველნეს თერაპევტი“ ეყოლება და საკუთარი, ინდივიდუალური პროცედურები ექნება. აქ ყველა ფენის ადამიანები შეძლებენ სხეულის გაჯანსაღებაზე ზრუნვას. ეს იქნება საზოგადოებრივი ზონა ჯანსაღი სამზარეულოთი, საკონცერტო დარბაზით, საგამოფენო სივრცით და სხვა. ადამიანს ხომ არა მარტო ფიზიკური, არამედ, ფსიქოლოგიური გაჯანსაღებაც სჭირდება.

**სალომე გველესიანი**

# როდის ხვდება კაცი ქალის ვერაგობას და რატომ გრძნობს თავს მის მსხვერპლად



**ორი საპირისპირო სქესის ურთიერთობა და თანაცხოვრება ხშირად სერიოზულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმეში სტერეოტიპები, ცუდი გამოცდილება, აგრესია ან მცდარი წარმოდგენები ერთვება. ძალიან ცოტა ქალი და კიდევ უფრო ცოტა მამაკაცი ფიქრობს, რომ ისინი ერთი მთლიანობის ნაწილები არიან. რეალურად ეს მართლაც ასეა, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ, მიუხედავად კონფლიქტებისა, უერთმანეთოდ არსებობა მაინც არ შეუძლიათ. კომპრომისების გარეშე არანაირი ურთიერთობა არ არსებობს, მით უფრო – ქალისა და მამაკაცის. ხშირად დავობენ იმაზე, რომელი უფრო ადვილად მიდის კომპრომისზე, ვინ რა დოზით არის დაზარალებული, ან, მსხვერპლის როლში რომელი უფრო ხშირად აღმოჩნდება ხოლმე. არცთუ იშვიათად, მამაკაცები ქალებს ვერაგობაში სდებენ ბრალს და ამტკიცებენ, რომ მსხვერპლი თავად არიან, საზოგადოება კი ამ სიტუაციას მცდარად წარმოაჩენს.**

**ვახო** ***(31 წლის):*** ქალების შესახებ მე ჩემი აზრი მაქვს. არ ვაპირებდი ამ აზრის საჯაროდ „ამოფრქვევას“, მაგრამ, ძალიან გავბრაზდი. თქვენმა რესპონდენტმა გამაბრაზა, უფრო სწორად – რესპონდენტებმა. ვკითხულობ ხოლმე ამ თქვენს რუბრიკას და ზოგჯერ მეღიმება. ქალებზე მეღიმება – უნებლიეთ საკუთარ ვერაგობას თვალსაჩინოს რომ ხდიან, თან ისე, ამაზე წარმოდგენა რომ არა აქვთ.

**– იმას რატომ არ ამბობთ და ამჩნევთ, რას, ან, გნებავთ – ვის მიჰყავს ის ქალები ამ უკიდურესობამდე?**

– გინდათ, ისევ დამიმტკიცოთ, რომ ყველა ამ უბედურებისა და საქციელის თავი და თავი მამაკაცია?! კარგი, რა!.. ქალი რომ საზიზღრობას ჩაიფიქრებს და დაგეგმავს, კაცი იმას ვერასდროს მოიფიქრებს. მათ ჩვენზე გაცილებით მეტი გონებრივი შესაძლებლობები აქვთ ამ მიმართულებით – ეს ცნობილი ფაქტია.

**– დამიკონკრეტეთ, რა არის ცნობილი ფაქტი?**

– ის, რომ ქალები საშიში არსებები არიან. მე პირადად გამოვცადე ეს ყველაფერი საკუთარ თავზე და გაოგნებული ვარ. რატომ ხდება ისე, რომ ქალებს მაინც ყველაფერს აპატიებენ ხოლმე? ეს კიდევ არაფერი, ისეთ საცოდავებად, საწყლებად და მიამიტებად გამოჰყავთ, გული აგიჩუყდება. ტყუილია ეს ყველაფერი, ტყუილია და ფარსი. დღეს უკვე ყველა ქალისგან ველი „აკრძალულ ილეთებს“. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ერთნაირია, გამონაკლისების გარეშე. გააჩნია, რომელს როდის დასჭირდება თავისი ჭეშმარიტი ბუნების გამოვლენა. თუ არ დასჭირდა, – ასეც ხდება ხოლმე, – ჩათვალე, რომ გაგიმართლა.

**– ანუ, თქვენ არ გაგიმართლათ?**

– არა, მე მსხვერპლი ვარ. ქალის ვერაგობამ სერიოზული პრობლემები შემიქმნა. ფსიქოლოგიურიც, მათ შორის. არადა, თავიდან აბსოლუტურად სხვა წარმოდგენა მქონდა. ვფიქრობდი, ასეთი ანგელოზები როგორ იბადებიან-მეთქი. ისე კარგად იყო შენიღბული, მშვენივრად... რაღაც პერიოდი, თავი ბედნიერი კაცი მეგონა და თითქმის შემიყვარდა კიდეც. როგორი გულუბრყვილო ვიყავი, როგორ მეგონა, რომ ქალებში ვერკვეოდი!.. კიდევ უარესი – ვფიქრობდი, რომ მე ბევრად სხარტი ჭკუა მაქვს, კარგი ალღოც და ვერც ერთი ქალი ვერ შეძლებს, მომატყუოს-მეთქი.

**– კი მაგრამ, რატომ „აპროგრამებდით“ საკუთარ თავს ამ მიმართულებით? ურთიერთობები ხომ ბუნებრივად, თავისთვად უნდა გამოვიდეს?**

– ალბათ, ასე უნდა იყოს, მაგრამ, ფაქტია, რომ არ არის. ქალები მუდმივად თამაშობენ მათ მიერვე დადგმულ სპექტაკლს. ახლა, ალბათ, გააპროტესტებთ და მეტყვით, რომ სუბიექტური ვარ, მაგრამ მე ხომ დავზარალდი?! თანაც, ძალიან დავზარალდი.

**– ვინ იყო ეს ქალი, სიყვარულზეა საუბარი?**

– უფრო სწორად რომ ვთქვათ, ქალები. ბედის კაპრიზით, ერთდროულად გამოჩნდნენ ჩემს ცხოვრებაში. მართალია, სხვადასხვა ურთიერთობით, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს. ორივემ შეძლო და დამანგრია. ახლა ქალის დანახვა აღარ მინდა, ისეთ მდგომარეობაში ვარ. რას მერჩოდნენ, ეგეც არ ვიცი. წარმოდგენა რომ მაინც მქონდეს, იქნებ, ასე არ მენერვიულა. გაურკვევლობა საშინელებაა. ახალ ოფისში დავიწყე მუშაობა და იქვე გავიცანი, როგორც მაშინ მეგონა, ჩემი საბედო. პირველივე კვირას მომხიბლა და სიხარულით მივრბოდი ხოლმე სამსახურში. რომ გითხრათ, თანამშრომელი ქალების ყურადღების ეპიცენტრში ვიყავი-მეთქი, მოგატყუებთ – არ მაქვს ისეთი გარეგნობა, რომ ჩემზე დაფეთებულიყვნენ. თუმცა, იმასთან, ვინც მე მომეწონა, ურთიერთობა ავაწყვე. თავიდან, სანამ ვინმე შეამჩნევდა ჩვენს ფლირტს, ყველაფერი კარგად იყო.

**– ანუ, ფლირტი იყო ეს და არა სერიოზული ურთიერთობა?**

– სერიოზული მიზნები მქონდა, მაგრამ, მაშინვე ხომ არ დავეტაკებოდი, ხომ არ დავაფრთხობდი ადამიანს?! მართლა ძალიან მომწონდა და ლამის შემიყვარდა. ვფიქრობდი, ის

**ქალების უმრავლესობა, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ ორგული, ცბიერი და ვერაგია, რომ მამაკაცები მის გვერდით დაჩაგრულები არიან**

არის, ვისაც ვეძებდი-მეთქი. „ბიჭუშკა“ არ ვარ, რომ მეცანცარა და სისულელეები მეკეთებინა. ისე ვიქცეოდი, რომ ჩემზე ღირსეული წარმოდგენა შეჰქმნოდა – მხიარული, თავისუფალი, გახსნილი, პრეტენზიებისა და ხუშტურების გარეშე. იცით, როგორ ანგელოზად მაჩვენებდა თავს?!

**– რატომ გგონიათ, რომ გაჩვენებდათ, სუბიექტური ხომ არ არის თქვენი აზრი? იქნებ, ბრაზი გალაპარაკებთ ასე?**

– რომელი ბრაზი, რას ამბობთ!.. გაოგნებული ვარ. კიდევ არ მჯერა, რომ შეიძლება ერთი ადამიანი ასეთი მრავალსახოვანი იყოს. როცა ვფიქრობ, მეეჭვება, ეს მართლა მოხდა თუ ცუდი სიზმარი ვნახე. რატომ მომექცა ასე?

**– როგორ მოგექცათ?**

– საშინლად, მასხრად ამიგდო. ჯერ ჩემს მეგობართან გააბა გაცხარებული რომანი და თავიანთი ინტიმური სცენების ამსახველი ფოტოები გამომიგზავნა. ერთი კვირის წინ კი, საერთოდაც, ცოლად გაჰყვა.

**– რატომ? თქვენი მხრიდან არანაირი მიზეზი არ ჰქონია?**

– პროვოკაცია იყო. ოღონდ, უკვე აღარ ვიცი, აჰყვა პროვოკაციას თუ თავიდანვე შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ანუ, როგორც კი გავაქტიურდი, როგორც კი ოფისში ჩემი და ლელას ურთიერთობა შენიშნეს, უცებ, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად და მოულოდნელად, ერთმა ქალბატონმა წამოიწია წინა პლანზე.

**– ეგ რას ნიშნავს?**

– ჩემმა თანამშრომელმა ქალმა, გათხოვილმა და, რომ გეკითხათ, უმწიკვლო რეპუტაციის მქონემ, პირდაპირ იერიში წამოიწყო ჩემზე. დავახასიათებ, უფრო ნათელი რომ გახდეს: საკმაოდ კარგი გარეგნობის, დაახლოებით ორმოცდახუთ-ორმოცდაშვიდი წლის, მაგრამ მშვენივრად შენახული. იცვამდა არაჩვეულებრივად – ახალგაზრდულად და გემოვნებით. ქმრის შემოსავლებს მიზანმიმართულად განკარგავდა და ვითომ მისი ერთგულიც იყო... მისთვის არასოდეს შემიხედავს „სხვანაირად“. რა სისულელეა! ანგელოზი არ ვარ, მაგრამ, პრინციპულად ვერიდებოდი გათხოვილ ქალებს. არც „მეოჯახე ბოზების“ მიმართ ვარ ლოიალური და მათზე კარგი წარმოდგენის. ხომ შეიძლება, ხვალ იგივე შენმა ცოლმაც გააკეთოს?! კაცები მაგარი ბრიყვები ვართ. ქალმა თუ ნამუსზე ხელი აიღო, ისე გაგვასწორებს მიწასთან, აზრზეც ვერ მოვალთ. თან, ქალის გამყიდველობა და ორგულობა კაცისაზე „ხანდაზმულია“. იმას ვგულისხმობ, რომ ქალის ღალატი ძალიან დიდხანს რჩება საიდუმლოდ. ძალიან დიდხანს ივლი რქებდადგმული და ვერაფერს გაიგებ; მაშინ, როცა კაცის ღალატი მალევე „იშიფრება“ და ესეც ქალების ვერაგობასთან არის კავშირში. კაცი მალავს თავის „არალეგალურ“ ურთიერთობებს, მით უმეტეს, არაფრით არ გაამჟღავნებს რომანს გათხოვილ ქალთან, თუ ეს ქალი მართლა სერიოზულად შეუყვარდა და არ გადაწყვიტა მისი სამუდამოდ დასაკუთრება. ქალები კი – პირიქით, ყველა საშუალებით ცდილობენ, პირველად ცოლი ჩააყენონ საქმის კურსში, თან, ჯიბრით აკეთებენ ამას, გამალიზიანებლად – აი, ნახე, შენი ქმარი მე მამჯობინებს შენს თავს. იმიტომ, რომ მე უკეთესი ვარო. ხომ არის ეს ქალების ვერაგობის ნათელი მაგალითი?! ამ ყველაფერს ახლაღა ჩავწვდი. ასეთი ფილოსოფიური აზროვნება და მსჯელობა ქალზე ჩემთვის აქამდე უცხო იყო. თემას დავუბრუნდები: ამ ქალბატონმა, მინდიხარო – პირდაპირ მითხრა, – შენთან და-

# როგორ ეძებს ხარკოვში მცხოვრები ქალი ბაბუას და რა იცის მან მის შესახებ

*32 წლის ეკატერინა ოლეგის ასული რუდსკაია ეძებს ბაბუას – გიორგის (გვარი და ასაკი უცნობია).*

**ისტორია**: ვეძებ მამაჩემის მამას, ანუ ბაბუაჩემს. მისი მხოლოდ სახელი ვიცი – მას გიორგი ჰქვია. დიდი იმედი მაქვს, რომ, ისტორია, რომელსაც მე მოგითხრობთ, დაგეხმარებათ მის პოვნაში. მე ხარკოვში ვცხოვრობ და ძალიან მინდა ბაბუას მოძებნა. მამაჩემსაც, რა თქმა უნდა, აინტერესებს თავისი ფესვები. გიგზავნით ფოტოებს. მათზე გიორგიცაა. იმედია, ვინმე მას იცნობს ან თავად ის დაგიკავშირდებათ. ჩვენ მისგან არაფერი გვინდა, უბრალოდ, მამაჩემს ძალიან უნდა მამის გაცნობა.



**– რა იცით ბაბუის შესახებ? გვიამბეთ თქვენი ისტორია.**

– მამაჩემი, ოლეგი, დაიბადა 1957 წლის იანვარში, ქალაქ კრემჩუგში. ეს არის უკრაინაში, პოლტავის მხარეში. დედამისმა (ანუ, ბებიაჩემმა), ნელია მირნაიამ (რუდსკაიამ) შვილი ბავშვთა სახლში დატოვა და მამაჩემი იქ იზრდებოდა. იმ დროისთვის, როდესაც ნელიამ მამაჩემი გააჩინა, მას უკვე ჰყავდა პირველი შვილი – ტოლიკა (ის მამაჩემის გაჩენის დროს დაახლოებით 4 წლის იყო). ტოლიკა ნელიამ თავისი მეუღლისგან, ივანე რუდსკოისგან გააჩინა. როდესაც მამაჩემი, ოლეგი დაიბადა, ნელია უკვე გაშორებული იყო ქმართან და, არსებობს ფაქტები, ვიფიქროთ, რომ მამა მან სულ სხვა კაცისგან გააჩინა. სამწუხაროდ, მამაჩემის დაბადებიდან სამი წლის შემდეგ ნელია და მისი პირველი ვაჟი (ტოლიკა) დაიღუპნენ. ჩვენ არ გვქონდა საშუალება, თავად ნელიასთვის გვეკითხა მამაჩემის მამის შესახებ.



**– ეს ისტორია მამათქვენმა ვისგან გაიგო?**

– როდესაც მამა 7 წლის გახდა, ის ბავშვთა სახლიდან ნელიას დედამ (ანუ, მამიკოს ბებიამ) წამოიყვანა, რომელმაც, როგორც კი გაიგო მამაჩემის არსებობის შესახებ, მაშინვე მიაკითხა მას. ნელიას დედას ოლეგის არსებობის შესახებ შვილის დასაფლავებაზე მეზობლებმა უთხრეს. 7 წლის ასაკიდან მამა თავის ბებიასთან იზრდებოდა. საქმე ისაა, რომ ოლეგი ფიზიკურად ძალიან ჰგავს ქართველს. იმდენად ჰგავს, რომ მას ქუჩაში სულ აჩერებდნენ და საბუთებს სთხოვდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მამაჩემს ქართული ფესვები აქვს, მაგრამ, მისი მამის სახელი და გვარი ჩვენთვის უცნობია.

**– მაინც, როდის დაეჭვდით ამაში?**

– არც ისე დიდი ხნის წინ. სრულიად შემთხვევით ჩვენ ვიპოვეთ ფოტოსურათების დასტა, რომლებსაც ნელია დედას უგზავნიდა. ფოტოსურათიდან ერთ-ერთი ჩამოჭრილია, მაგრამ, დარჩენილ ნაწილზე ჩანს ქართველი მამაკაცი, რომელსაც ხელში ტოლიკა (ნელიას პირველი შვილი უჭირავს), მის გვერდით კი ნელიას დაქალი ზის. უკანა პლანზე ნელია და ვიღაც გოგო არიან, მაგრამ, მათი სახეები ამოჭრილია, მხოლოდ ტანსაცმლით თუ მიხვდები, ვინ და ვინ არის. ის კაცი, რომელიც ფოტოზეა, ქართველი ჯარისკაცია, მას ხელზე ქართულად აწერია (ტატუირება აქვს): „გოგო მიყვარხარ“. ფოტო გადაღებულია 1955 წელს (მას აწერია თარიღი). ანუ ამ დროს მამაჩემის მამა სამხედრო სამსახურისთვის შესაფერისი ასაკისაა – დაახლოებით 18-22 წლის. ბებიასთან ჩვენ ვიპოვეთ კიდევ ერთი ფოტო, რომელსაც ნელია საგულდაგულოდ ინახავდა. ფოტოზე ის კრემჩუგშია თავის მეგობრებთან ერთად და მათ შორისაც არის ის ქართველი კაცი. ფოტო გადაღებულია 1955 წლის ივნისში. ფოტოს უკანა მხრიდან აწერია „ჟორა,“ მაგრამ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს არის გიორგი.



**– როგორ ფიქრობთ, თუკი ბაბუათქვენი ქართველია და ის საქართველოში ცხოვრობს, ის მიხვდება, რომ საუბარი მასზეა?**

– აუცილებლად მიხვდება, თუკი ფოტოებს ნახავს. შეიძლება, მან არც კი იცის, რომ მას შვილი ჰყავს ხარკოვში. ჩვენ დიდი მადლობლები ვიქნებით, თუკი ვინმე, ვისაც ეს ისტორია ეცნობა, გამოგვეხმაურება (რადგან, ფოტოზე კიდევ ერთი ქართველი ჯარისკაცი იყო), სავარაუდოდ, ბაბუას მაშინ მეგობარიც ჰყავდა კრემჩუგში და ისინი ერთად მსახურობდნენ.

**– თავად მამათქვენი რას ფიქრობს ამ ისტორიაზე?**

– მამაჩემს ძალიან უნდა მამის პოვნა, ეს მისი ცხოვრების მიზანია. მაგრამ, ის ძალიან მორიდებული ადამიანია და ხშირად ამბობს, რომ ცხოვრებაში არ უმართლებს. ამიტომ, ეს საქმე მე მომანდო. მე ვეხმარები თქვენთან დაკავშირებაში. ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ მამის მამას ვიპოვით, ამაში ფოტოების არსებობა თუ დაგვეხმარება.

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

წოლა მინდაო. გავგიჟდი. ვეცადე, ხუმრობაში გამეტარებინა, მაგრამ, ისე გააპროტესტა, გავოგნდი – შენ რა, კაცი არა ხარ? ქალი ვარ და ჩემს თავს გთავაზობო. მე არ ვიცი, სხვა კაცი თუ ყოფილა ჩემს მდგომარეობაში, ვერც იმას გეტყვით, რომ ამ ქალის მიმართ სურვილი ან ვნება არ გამიჩნდა. მაგრამ, ჯერ ერთი, ქმარი ჰყავდა და, მეორეც – მეც არ ვიყავი თავისუფალი. ეს ყველაფერი ვუთხარი. გაეცინა – შენ ჩემი ქმრის ამბავი რატომ გადარდებს, კაცი არ ხარო?! არ იცით, რა დამემართა. მეგონა, მდუღარე გადამასხეს. გავმწარდი. კაცი ვარ, მაგრამ, შენ არ გაგეკარები, არ მინდა-მეთქი. ისე შემომხედა, შემაჟრჟოლა. „კაი ტიპობას“ თამაშობო? კარგი, ბატონო, ვნახოთ, როდემდე „გაქაჩავო“... არც მიფიქრია, რომ ეს მუქარა იყო. საერთოდ ვერაფერს მივხვდი და არაფერი მიგრძნია, სანამ ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდი.

## როგორი გულუბრყვილო ვიყავი, როგორ მეგონა, რომ ქალებში ვერკვეოდი

**– ფიქრობთ, თქვენმა უარმა გააბოროტა და შურისძიება დაგეგმა?**

– დიახ, ზუსტად ასე იყო. იმას კი არ ვამბობ, რომ ჩემნაირი მამაკაცი არასდროს უნახავს და გადაირია, ისე შევუყვარდი. მაგისთანებმა საერთოდ არ იციან, სიყვარული რა არის. ეტყობა, შეურაცხყოფად მიიღო ჩემი უარი, ან, თავიდანვე მიზნად დაისახა, ჩემი შეყვარებულისთვის დავეშორებინე და გავემწარებინე...

**– კი მაგრამ, რატომ? მიზეზი ხომ უნდა ჰქონოდა?**

– არ ვიცი და მაგიტომაც ვამბობ, ქალები ლამაზ გარსში შეფუთული ურჩხულები არიან-მეთქი. ერთ დღეს ჩემი შეყვარებული მომადგა და, საერთოდ რომ არ მქონდა წარმოდგენა, რა ხდებოდა ჩემ გარშემო, შენი მობილური ტელეფონი მომეციო, მითხრა. გამეცინა და მოფერება დავაპირე, მაგრამ, ხელი მკრა და მიყვირა – მომეცი, რომ გეუბნებიო. გავბრაზდი – ეს რა პრეტენზიებია-მეთქი... იმან კი უცებ მოხსნა პირი და ისეთი სიტყვებით გამლანძღა, ენა ჩამივარდა. მეგონა, სხვა ქალი იდგა ჩემ წინ. მობილური გამომგლიჯა და მესიჯების კითხვა დაიწყო. შოკი დამემართა... ისეთი „მიმოწერა“ იყო ჩემსა და იმ თანამშრომელ ქალბატონს შორის, თვალებს და ყურებს არ დავუჯერე. ის აღწერდა ჩემთან გატარებულ ვნებიან ღამეს, მე კი – მის ქალურ ღირსებებს. როგორ მოახერხა იმან, რომ ასეთი მესიჯები მოხვედრილიყო ჩემს მობილურში, წარმოდგენა არ მაქვს. ეტყობა, მაგიდაზე მედო და მომენტით ისარგებლა. ან, მართლა არ ვიცი, რა მოხდა. ჩემმა შეყვარებულმა მთელი ოფისი ფეხზე დააყენა. ისეთი ისტერიკა მოაწყო, ყველა, როგორც მონსტრს, ისე მიყურებდა, კაცებიც კი. ვიდექი და თავს ისე ვგრძნობდი, როგორც სიბინძურეში ამოსვრილი. რა თქმა უნდა, ერთი სიტყვაც არ დაიჯერა ჩემი. არ გავიმეორებ, რა სიტყვებს მეძახდა ან როგორი სახით აკეთებდა ამას. გეუბნებით, სხვა ქალი იდგა ჩემ წინ. სამსახურიდან წამოვედი. ერთხელ კიდევ მქონდა მცდელობა, ჩემს შეყვარებულთან ურთიერთობა მომეგვარებინა და ჩემი მეგობარი მივუგზავნე, პასუხად კი ორ კვირაში „ამანათი“ მივიღე – მათი ინტიმის ამსახველი ფოტომასალა. საერთოდ გავნადგურდი. არ ვიცი, ამას რა ჰქვია და რატომ ჰგონიათ ქალები დაუცველი, სუსტი არსებები. ეს ყველაფერი ტყუილია. მე ქალური ვერაგობის მსხვერპლი ვარ და, საშინელება ის არის, რომ ნაძირალა მაინც მე ვგონივარ ყველას.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**დიდი ხანია, ჩემი პირადი ცხოვრება მოსაწესრიგებელია. ექვსი წელია, ქმარს გავშორდი და მას მერე აღარავინ მყოლია გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ მქონდა მცდელობა, ახალი ურთიერთობა წამომეწყო. პრობლემა ისაა, რომ ვერაფრით მივდივარ „შორს“, ანუ, ინტიმურ სიახლოვემდე. არადა, მამაკაცების უმრავლესობას ჯერ ლოგინი უნდა, მერე – სერიოზული ურთიერთობა. ხომ არ ვეტყვი, ჯერ ცოლად შემირთე-მეთქი? თან, არც მე ვარ წინააღმდეგი. რატომ ვარ ასე დაკომპლექსებული? სერიოზულია ჩემი პრობლემა?**

**გამოხმაურება:** თუ კონკრეტული მამაკაცის მიმართ სერიოზული ინტერესი გაგიჩნდებათ, კომპლექსის გადალახვასაც შეძლებთ. ალბათ, ჯერ ასეთი მამაკაცი არ შეგხვედრიათ. ნუ ინერვიულებთ და ნუ დაიძაბებით, ყველაფერი კარგად იქნება.

შეგიძლიათ, კონსულტაციებისა და სეანსებისთვის მიმართოთ ფსიქოლოგსაც, თუკი გრძნობთ, რომ დამოუკიდებლად პრობლემას თავს ვერ გაართმევთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**სიდნეი ჯორჯ რეილი სამართლიანად ითვლება მეოცე საუკუნის უდიდეს მზვერავად. „ჯაშუშთა მეფე“ – ასე შევიდა ისტორიაში რეილი. ამ კაცზე უამრავი მასალა არსებობს, გადაღებულია არაერთი ფილმი. თურმე, რეილის ერთ-ერთი თანამებრძოლი ქართველი ყოფილა. ამ საკითხზე გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირისა და პენკლუბის წევრი, ნიკა თევზაძე.**

# ყველაზე ცნობილმა ქართველმა ჯაშუშმა, ვახტანგ აბაშიძემ, ჯეიმს ბონდის პროტოტიპი – „ჯაშუშთა მეფე“ სიკვდილს გადაარჩინა

**– ბატონო ნიკა, რა გვარია ქართველი, რომელიც რეილის თანამებრძოლი იყო?**

– ეს კაცი ვახტანგ აბაშიძეა. სამწუხაროდ, მის შესახებ ძალიან მწირი ცნობები გვაქვს. აბაშიძის პერსონა მოხსენიებულია ინგლისელი ისტორიკოსების შრომებში, რომლებიც „ჯაშუშთა მეფის“ – სიდნეი ჯორჯ რეილის ცხოვრებას აღწერდნენ. რეილი მართლაც საოცარი პიროვნება იყო. ის ოდესაში დაიბადა და გაიზარდა. 16 წლის ასაკში ინგლისში გადასახლდა და შევიდა დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურში. ფლემინგი წერდა, რომ სწორედ რეილი იყო მისი ჯეიმს ბონდის პროტოტიპი. ასეთი კაცის თანამებრძოლი იყო ვახტანგ აბაშიძე. როდესაც რუსეთი ომიდან გამოვიდა (ბრესტის ზავი), ინგლისელებმა და ფრანგებმა გადაწყვიტეს ბოლშევიკების დამხობა და ხელისუფლებაში ისეთი ძალის მოყვანა, რომელიც გერმანიასთან ფრონტს აღადგენდა. ამრიგად, დაიგეგმა ინგლისურ-ფრანგული ერთობლივი სპეცოპერაცია, რომელსაც სიდნეი რეილი ხელმძღვანელობდა. თანახმად რეილის გეგმისა, ლენინი, ტროცკი თუ სხვა ლიდერები, ცოცხლად უნდა შეეპყროთ და სასამართლოსთვის გადაეცათ, ახალ მთავრობას კი, სათავეში ცნობილი ესერი-ტერორისტი და არანაკლებ ცნობილი მწერალი – ბორის სავინკოვი უნდა ჩასდგომოდა. 1912 წლიდან სავინკოვი ინგლისის აგენტი იყო. პარალელურად, მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა ინგლის-საფრანგეთის გავლენიან წრეებთან, რომლებიც რუსეთის მომავალზე გარკვეულ სქემებს ადგენდნენ. ამას გარდა, სავინკოვის კანდიდატურას მხარს უჭერდა რეილიც.



**ვახტანგ აბაშიძე 16 წლის ასაკში გადასახლდა ინგლისში და შევიდა დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურში**

**– აბაშიძე იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა?**

– ის მოსკოვში დაახლოებით 1918 წლის მაისის დასაწყისში ჩავიდა. აბაშიძე კადრის მზვერავი იყო. ჯერ კიდევ 1910 წელს ის გერმანიაში გაგზავნეს. კიევში მას დარჩა ახალშერთული მეუღლე. 1916 წელს გერმანელებმა აბაშიძე ამხილეს. ის დახვრეტას გადაურჩა ვინმე პოდპოლკოვნიკ მოლტსეს წყალობით, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანია დაინტერესებულია საქართველოს დამოუკიდებლობით და მას თანამშრომლობა შესთავაზა. აბაშიძეც დასთანხმდა. მალე რუსეთში თებერვლის რევოლუცია მოხდა. ბრესტის ზავის დადების შემდეგ აბაშიძემ კიევში ცოლს წერილი გაუგზავნა. პასუხად ცოლისძმამ მისწერა, რომ მისი მეუღლე მძიმედაა ავად. მაშინ აბაშიძემ მოითხოვა, კიევში გაეშვათ.

**– და აბაშიძე კიევში დაბრუნდა?**

– დიახ, თუმცა, ცოლი გარდაცვლილი დახვდა. მას სპეციალურად დაუკავშირდა მისი მეგობარი, ასევე, პროფესიონალი მზვერავი ალექსანდრ ვოლინი, რომელიც იმჟამად სკოროპადსკის კონტრდაზვერვაში („დერჟავა ვარტა“) მსახურობდა და მაღალი პოსტიც ეკავა. ვოლინმა აბაშიძეს „ვარტაში“ სამსახური შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. ცოლის სიკვდილის შემდეგ აბაშიძეს კიევთან აღარაფერი აკავშირებდა. მას საქართველოში ჩამოსვლა სურდა. იმ დროს ბათუმს თურქები აკონტროლებდნენ. ასეთ ვითარებაში უკრაინიდან საქართველოში ჩამოსვლა შეუძლებელი იყო. ვოლინმა მას განუცხადა, რომ ანტანტამ დაიწყო სპეცოპერაცია, რომლის მიზანიც ბოლშევიკების დამხობა იყო და ამ ოპერაციას თავად სიდნეი ჯორჯ რეილი ხელმძღვანელობს. ვოლინმა უთხრა, რომ სურს, შეთქმულთა რიგებში თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს, რათა ყველაფერზე ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს. ეს როლი მან აბაშიძეს შესთავაზა. აბაშიძე დასთანხმდა მის წინადადებას და რუსეთ-უკრაინის საზღვარი არალეგალურად გადალახა. ამის შემდეგ ყალბი დოკუმენტებით ის ჩნდება მოსკოვში და მიდის ვინმე ორლოვთან, რომელიც ვოლინის ძველი მეგობარი იყო. იმჟამად ორლოვი, კონსპირაციის მიზნით, „ჩეკაში“ მსახურობდა, რითაც შეთქმულებს უდიდეს სამსახურს უწევდა. ბოლშევიკების დამხობის შემდეგ უნდა შექმნილიყო მთავრობა, რომელსაც სათავეში ცნობილი ტერორისტი ბორის სავინკოვი ჩაუდგებოდა.

**– როგორ გაიცნეს ერთმანეთი რეილიმ და აბაშიძემ?**

– ეს მემარცხენე ესერთა პუტჩის ჩახშობის შემდეგ მოხდა, რაც, როგორც ჩანს, ბოლშევიკური ხელისუფლების შიგნით არსებული ინტრიგების შედეგი იყო. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. ორლოვმა აბაშიძეს განუცხადა, რომ რეილის საფრთხე ემუქრება, რადგან „ჩეკამ“ „ჯაშუშთა მეფის“ ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინას მიაგნო. ორლოვმა რეილის გადარჩენა აბაშიძეს დაავალა. ამ უკანასკნელმა დავალება უნაკლოდ შეასრულა. ატეხილი სროლის შედეგად სამი ჩეკისტი მოკვდა, ორიც დაიჭრა, აბაშიძე და რეილი კი არ დაზარალებულან.

**– დღეს მემარცხენე ესერთა პუტჩზე ბევრი იწერება. რა იყო ეს – დაგეგმილი პროვოკაცია თუ რეილის მუშაობის შედეგი?**

– რეილი აქ არაფერ შუაშია. პუტჩი მისთვის აბსოლუტური მოულოდნელობა აღმოჩნდა. ერთი შეხედვით, ბოლშევიკებმა მოიგეს, რომლებმაც ჩამოიშორეს თავიანთი დროებითი მოკავშირეები – მემარცხენე ესერები და ამიერიდან რუსეთში ბოლშევიკების ერთპარტიული დიქტატურა დამყარდა, თუმცა, ბოლშევიკური პარტია ერთიან მონოლითს არ წარმოადგენდა. ძერჟინსკიმ ვერ შეძლო მოვლენების დრამატული სცენარით განვითარების თავიდან აცილება და, უდავოდ, წააგო. ზინოვიევმა და კამენევმაც ვერ შეძლეს თავიანთი გავლენის გაფართოება. თავის მხრივ, სვერდლოვმაც ვერ შეძლო „ჩეკას“ თავმჯდომარედ მისთვის სასურველი კაცის გაყვანა. ერთმნიშვნელოვნად გაიმარჯვა ტროცკიმ, რომელმაც ესერთა პუტჩი ჩაახშო; აგრეთვე, პეტერსმა, რომელმაც თავის უფროსს – ძერჟინსკის, სავარძელი გამოაცალა. პეტერსს „ჩეკას“ თავმჯდომარის პოსტის შენარჩუნება სურდა, საამისოდ კი ორი რამ იყო საჭირო: შეთქმულების მხილება და ბოლშევიკური პარტიის ზედა ფენაში არსებული გავლენიანი დაჯგუფებების მხარდაჭერა. პეტერსიც ამ კლანებს შორის ლავირებდა. სვერდლოვს პეტერსმა შესთავაზა ლენინის ლიკვიდაციის გეგმა. პეტერსს საიდუმლო ვითარებაში შეხვდა ცნობილი ბოლშევიკი იუროვსკი, რომელიც „სვერდლოვის კაცი“ იყო. საუბრისას მიაღწიეს შეთანხმებას, რომ მოხდება ლენინის ლიკვიდაცია, ხელისუფლებაში კი მოვა სვერდლოვი. აუცილებელი იყო, მოეძებნათ ფიგურა, რომელიც განტევების ვაცად იქცეოდა და ნამდვილ ტერორისტებს დაფარავდა. იუროვსკიმ პეტერსს შესთავაზა მისი ბავშვობის მეგობარი – ფანი კაპლანი, ყოფილი ტერორისტი და კატორღელი, რომელიც განტევების ვაცის როლზე ყველაზე შესაფერისი იყო. მეორე დღეს პეტერსმა ლენინს განუცხადა, რომ მემარცხენე ესერთა ამბოხი რეილის ინტრიგების შედეგად მოხდა. „ამ რეილის როდის შეიპყრობთ?“ – გაღიზიანებით ჰკითხა ლენინმა. „დღეს საღამოს ეს ვაჟბატონი თქვენს ხელთ იქნება!“ – მიუგო პეტერსმა. მართლაც, იმ საღამოს ჩეკისტები რეილის დაკავებას შეეცადნენ, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, ინგლისელმა შეძლო გაქცევა და ამაში მას ვახტანგ აბაშიძე დაეხმარა. რაკი რეილის შეპყრობა ვერ შეძლო, მას ორი გამოსავალი დარჩა: ან ელიარებინა, რომ ხელიდან დაუძვრა კაცი, რომელიც გადატრიალებას გეგმავდა, ან, საბჭოთა მთავრობისთვის მოეხსენებინა, რომ შეთქმულებას სრულიად სხვა პიროვნება აწყობდა და, რომ მან, პეტერსმა, მის მიმართ კონკრეტული სამხილებიც მოიპოვა.

**აბაშიძე მოსკოვში დარჩა და გადატრიალების მომზადების საქმეში აქტიურად ჩაერთო**

**– და ვინ იყო ეს პიროვნება?**

– დიდი ბრიტანეთის ელჩი რუსეთში – რობერტ ბრიუს ლოკარტი. პეტერსის ინფორმაციის თანახმად, ლოკარტი დიპლომატის საფარქვეშ ამოფარებული რეზიდენტი იყო, შეთქმულების შტაბი კი, თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისის საელჩოში მდებარეობდა და ყველაფრის კოორდინაციაც აქედან ხდებოდა. ხოლო რეილი, პეტერსის სიტყვებით, ლოკარტის ქვეშევრდომი იყო და მის ბრძანებებს ასრულებდა.

**– პეტერსს ჰქონდა დამამტკიცებელი საბუთები?**

– დიახ. მემარცხენე ესერთა ამბოხის ჩახშობის შემდეგ ლოკარტთან ორი ლატვიელი ოფიცერი მივიდა: ერთი ედუარდ ბერზინი გახლდათ, ხოლო მეორემ თავი სმიდჰენად წარუდგინა. ორივე უშუალოდ პეტერსზე მუშაობდა, ლოკარტმა კი ისინი გულწრფელ პატრიოტებად ჩათვალა.

**– ნუთუ ინგლისის ელჩი ასეთი გულუბრყვილო აღმოჩნდა?**

– ოპერაცია კარგად იყო დამუშავებული. ბერზინს ჰქონდა სარეკომენდაციო წერილი ლოკარტთან და ელჩიც ორივე ლატვიელის მიმართ ნდობით განიმსჭვალა. ლოკარტმა იქვე დაწერა სარეკომენდაციო წერილი არხანგელსკში გადმომსხდარი დესანტის მეთაურთან, გენერალ პულთან. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ჩეკისტებს სამხილი საკუთარი ხელით მიართვა. ბერზინმა და სმიდჰენმა ყოველივე პეტერსს მოახსენეს.

**– ლოკარტმა ლატვიელები რეილისთანაც დააკავშირა?**

– დიახ. მან რეილის მოახსენა, რომ მასთან ორი ლატვიელი ოფიცერი მივიდა. რეილის დავალებით, ბერზინსა და სმიდჰენს ჯერ აბაშიძე ხვდება მოსკოვის ცენტრში. აბაშიძემაც გულდასმით შეამოწმა და დარწმუნდა, რომ „კუდი“ არ აჰკიდებია. ამის შემდეგ ბერზინს რეილი შეხვდა.

**– ლენინმაც დაიჯერა, რომ შეთქმულების თავკაცი მართლაც ლოკარტი იყო?**

– ლენინი, რასაკვირველია, უტოპისტი და ექსტრემისტი იყო, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ არც ალღო აკლდა, არც ინტელექტი და რეალობის გრძნობაც არასდროს ღალატობდა. ამიტომ, გულდასმითი გაანალიზების შემდეგ, დაასკვნა, რომ

(გაგრძელება 63-ე გვერდზე)

# ვინ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ხუროთმოძღვარი და სად მდებარეობდა ალექსანდრე მანთაშევის სავაჭრო სკოლა

*მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თბილისში რამდენიმე სასწავლებელი ფუნქციონირებდა, როგორც ვაჟებისთვის, ისე ქალებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე მსგავსი დაწესებულებები თბილისში, ფაქტობრივად, არ არსებობდა, 1870-1890-იანი წლები საგანმანათლებლო დაწესებულებების დაბადების პერიოდად უნდა ჩაითვალოს, რადგან, სწორედ დროის ამ მონაკვეთში დაარსდა უამრავი გიმნაზია, ინსტიტუტი, სკოლა და სასწავლებელი. იმ პერიოდში აგებული ზოგიერთი შენობა დღემდე ინარჩუნებს თავის ისტორიულ მნიშვნელობას, ხოლო ზოგის ნახვა, მხოლოდ ძველ ფოტოებზეა შესაძლებელი.*



თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია (1900-იანი წლები)



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი საბჭოთა დროს

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა ვაკის რაიონის უძველესი შენობაა. დედაქალაქის 1906 წლის გეგმაზე მხოლოდ უნივერსიტეტის პირველი კორპუსი და გზაზე გამავალი ხიდი იყო აღნიშნული, რომელიც ძველ ფოტოებზეა აღბეჭდილი. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის (რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია) ხუროთმოძღვარი პირველი ქართველი არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი იყო, რომელიც მოსკოვის ფერწერისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებლის კურსდამთავრებული გახლდათ. მას ჰქონდა დავალებული შენობის დაპროექტება, ხოლო მშენებლობის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე – ნიკო ცხვედაძე. შენობა კერძო პირების შემოწირულობების ხარჯზე აშენდა. მშენებლობა 1899 წელს დაიწყო და სიმონ კლდიაშვილის ხელმძღვანელობით 1906 წელს დასრულდა. კლდიაშვილის პროექტის თანახმად, შენობის ცენტრალურ ნაწილში მართლმადიდებლური ეკლესია იყო განთავსებული, რომელიც შემდგომში გადააკეთეს, ზედა ნაწილი სამკითხველო დარბაზად აქციეს, ხოლო ქვედა – აუდიტორიად. სათავადაზნაურო გიმნაზიას სათავადაზნაურო ბანკი ინახავდა, ხოლო ღვთისმეტყველების ლექციებს ერთი პერიოდი საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე კითხულობდა. რენესანსული არქიტექტურის მოტივებზე აგებული შენობა მოგვიანებით ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელ საზოგადოებას გადაეცა, რომლის თავკაცი ცნობილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი იყო. უნივერსიტეტი საზეიმოდ 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა. გახსნის დღეს მის ეზოში საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა. პირველი ლექცია, რომელიც 1918 წლის 30 იანვარს ჩატარდა, ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა. ეს პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი იყო იმ დროს მთელ ამიერკავკასიაში.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი 1910 წელს

## დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია

რევოლუციამდე თბილისში ვაჟთა რამდენიმე გიმნაზია ფუნქციონირებდა, რომელთა შორის გამორჩეული იყო დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია, რომელიც მეფის რუსეთის დროს დიდი მთავრის ქუჩაზე მდებარეობდა (ამჟამად უზნაძის ქუჩაზე). ეს არის ამჟამინდელი განათლების სამინისტროს შენობა, რომლის მშენებლობა 1893 წლის 5 ოქტომბერს დაიწყო და 1899 წლის 24 მაისს დასრულდა. თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობა ცნობილი სომეხი მეცენატის, მიქაელ არამიანცის დაფინანსებით აშენდა და გახსნის დღეს ის საქართველოს ეგზარქოსმა აკურთხა. 1900 წლის №39 ჟურნალი „ნივა" წერდა, რომ ახლად გახსნილი გიმნაზია, ყველა პარამეტრების დაცვით, ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელი იყო, რომელიც აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას, მათ შორის – ჰიგიენურ მოთხოვნებს. საკლასო ოთახები ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მდებარე ფლიგელებში იყო განთავსებული, ერთ მოსწავლეზე კლასში 1,68 კვადრატული მეტრი ფართობი იყო განსაზღვრული და ყველა მოსწავლისთვის იყო გამოყოფილი საშხაპე. 1901 წლის „კავკასიური კალენდრის" ცნობებზე დაყრდნობით, მეორე გიმნაზიაში 765 მოსწავლე იყო რეგისტრირებული, მათ შორის: რუსი – 293, ქართველი – 184, სომეხი – 170, ებრაელი – 20, თათარი – 8, სხვა ეროვნების – 90.



ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია (1900-იანი წლები. ე. კლარის ფოტოს მიხედვით შექმნილი შლიპერის გრავიურა)



ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი (1890-იანი წლები)

## ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი

შენობა, სადაც ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროა განთავსებული, წარსულში წმიდა ნინოს სახელობის ქალთა

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**როგორც კი ოთხი საეკლესიო მარხვა მთავრდება, ეკლესიები ხშირად ცარიელდება და მრევლის დიდი ნაწილი ტაძარში მისასვლელად მარხვის დაწყებას ან რომელიმე დღესასწაულის დადგომას ელოდება. შესაბამისად, ადამიანების დიდ ნაწილი არც საეკლესიო წესებს იცავს და მათ შესახებ ბევრი არაფერი იციან. როგორია 9 საეკლესიო მცნება, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი):**

# რა ცხრა საეკლესიო მცნების აღსრულება ევალებათ მორწმუნე ქრისტიანებს და რის დახმარებით შეუძლია ადამიანს საკუთარი სულიერი მდგომარეობის შემოწმება



**როცა შენი ოჯახის წევრი სნეულებაშია ან საპატიმროშია, ან, შენი სულიერი და-ძმა განსაცდელშია, კარგი იქნება, თუ კვირაში ერთ დღეს დამატებით კიდევ იმარხულებ მისთვის – ეს იქნება შენგან ძალიან კარგი ქმედება, შენც განიწმინდები და მასაც დაეხმარები**

– მორწმუნეების დიდი ნაწილი ყოველდღე კითხულობს დავითის ფსალმუნებს, მაგრამ, სასურველი იქნება, თუ დავითის ცხოვრებასაც გავეცნობით, რადგან, ის ერთადერთი წმიდანია, რომელიც სამი უდიდესი რელიგიის მიერ არის წმიდანად აღიარებული: უპირველეს ყოვლისა, იუდეველებისგან, ებრაელებისგან არის პატივცემული, მუსლიმანებისგან და ჩვენგან, ქრისტიანებისგან. იმისთვის, რომ საკუთარი ცხოვრება, სულიერი მდგომარეობა შევამოწმოთ, უნდა ვიცოდეთ 9 საეკლესიო მცნება. ზოგადად, საეკლესიო მცნებები ბევრია, მაგრამ, კატეხიზმოს მიხედვით, რომელიც შედგენილია აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქების მიერ და აუცილებელია მათი დაცვა – ეს არის 9 მცნება.

**– რაში მდგომარეობს ამ 9 საეკლესიო მცნების არსი, დანიშნულება?**

– ძალიან კარგია, თუ მორწმუნის აღსარება სწორედ ამ ცხრა საეკლესიო მცნებიდან გამომდინარეობს. მერე მას აღარ გაუჭირდება იმის გაცნობიერება, თუ რამდენად ახლოს არის ეკლესიურ ცხოვრებასთან და რა ევალება მას. აქვე მინდა დავძინო, რომ ადამიანის ცხონება მაშინ აღესრულება, როდესაც მას აქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება. თუ გინდა, რომ ცხონდე, უნდა გქონდეს ჭეშმარიტი სარწმუნოება და აკეთო კეთილი საქმეები – ეს ორი რამ ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. როგორც იაკობ მოციქული, უფლის ხორციელი ძმა ბრძანებს: „რწმენა საქმეების გარეშე არის მკვდარი.“ ეს ყველაფერი უფრო გასაგები და საცნაურია სამ საღვთისმეტყველო სათნოებაში, ეს არის: რწმენა, იმედი და სიყვარული. ანუ, რწმენა: ვინ გვწამს, როგორი ღმერთი გვწამს, სარწმუნოების სიმბოლო უნდა ვიცოდეთ თავისი განმარტებით; მეორე – რომ იმედი გვაქვს მამაღმერთის, ძეღმერთის, სულიწმიდისა და მესამე – სიყვარული, რაც აღესრულება მცნებების დაცვით.

**– როგორ უნდა დავიცვათ საეკლესიო მცნებები?**

– პირველი საეკლესიო მცნება, ეს არის წრფელი ლოცვა და საეკლესიო წესების შესრულება: წირვა-ლოცვა. ერთი შეხედვით, ეს თითქოს ნათელია: დავდივართ ეკლესიაში, ვესწრებით წირვა-ლოცვას, მაგრამ, თუ კარგად გადავხედავთ ჩვენს მდგომარეობას, მივხვდებით, რომ ჩვენგან ძალიან შორს არის წრფელი ლოცვა. ძლივს ვდგებით საწოლიდან, ხათრით ვკითხულობთ ლოცვებს, გვეზარება, გვეჩქარება, გონება გვეფანტება; ეკლესიაშიც იმიტომ მივდივართ, რომ მარხვა შევინახეთ და ზიარება გვინდა. ვდგავართ ლოცვაზე და მერე უცებ გავრბივართ, ისე, რომ არც ქადაგებას ვუსმენთ და არც ჩამოლოცვას. ყოველი კვერექსი მთავრდება სიტყვებით: „შენ, უფალო“, რომელსაც გუნდი ამბობს, ანუ, გუნდი თქვენ მაგივრად პასუხობს და, თუ გინდათ, რომ ლოცვა ისწავლოთ, უნდა მოისმინოთ ის სიტყვები, რასაც კვერექსებზე პასუხობს გუნდი. თუ სიხარულში ხარ, თქვი: „ეს შენგან არის, უფალო;“ თუ მწუხარებაში ხარ, მაშინაც თქვი: „ეს შენგან არის, უფალო;“ თუ გარდაიცვალა შენი ახლობელი – „შენ წაიყვანე, უფალო“, – ასე უთხარი. ყოველთვის ეუბნები: „უფალო, ჭირი, მწუხარება, წინსვლა – ყველაფერი არის შენგან“. მეორე მცნება – ეს არის 4 კალენდარული მარხვის შენახვა. ეს თითქოს ყველამ იცის, მაგრამ ბევრს მაინც გემოთმოყვარეობა ახასიათებს: „მიყვარს აღდგომის მარხვა – შევინახავ; პეტრე-პავლობის მარხვას არ შევინახავ, მარიამობას შევინახავ, საშობაო მარხვას არ შევინახავ, რადგან, ახალი წელი მოდის, სტუმრები მოვლენ“... ყველა ქრისტიანი ვალდებულია, დაიცვას ოთხი კალენდარული მარხვა, ასევე, ოთხშაბათ-პარასკევის მარხვები და ისე დღეები, რომლებიც ეკლესიამ მარხვად დაადგინა. ნუ იქნებით ფარისევლები, თავს ნუ მოიტყუებთ. ეკლესიამ, წმიდა მამებმა დაადგინეს ოთხივე მარხვა იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, როდის გარდავიცვლებით, არ ვიცით, მივაღწევთ თუ არა საშობაო მარხვას ან აღდგომის მარხვას. უნდა ვიცოდეთ, რომ ბოროტი სული ადამიანისგან გადის ლოცვითა და მარხვით. მესამე მცნება: სასულიერო პირებისთვის ჯეროვანი პატივის მიგება. ელემენტარული წესია, რომ, როდესაც ეკლესიაში შემოდიხარ ან გადიხარ, თუ კურთხევის აღება გეზარება, მიესალმე მაინც მოძღვარს. ძალიან ბევრი ადამიანი, თუ სასულიერო პირი მისი მოძღვარი არ არის, გამარჯობასაც არ ეუბნება. ანუ, ეკლესიაში რომ დაინახავ მოძღვარს, მიდი, აიღე მისგან ლოცვა-კურთხევა – ეს შენ გჭირდება და არა მას.

**იმისთვის, რომ საკუთარი ცხოვრება, სულიერი მდგომარეობა შევამოწმოთ, უნდა ვიცოდეთ 9 საეკლესიო მცნება**

**– როგორია დანარჩენი მცნებების შინაარსი?**

– მომდევნო მცნება ასეთია: არ ვიკითხოთ მწვალებელთაგან დაწერილი წიგნები. აქ საუბარი არ არის მხოლოდ იეღოველების, ბაპტისტების, სხვა რომელიმე სექტანტების დაწერილ წიგნებზე. დღეს ძალიან ბევრი წიგნი იყიდება, რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია. მაგრამ, წიგნს რომ აიღებ ხელში, უკვე ყდიდან მიხვდები, უნდა წაიკითხო თუ არა. სასურველია, ჯერ წაიკითხოთ საეკლესიო ლიტერატურა, ძველი და ახალი აღთქმები, წმიდა მამათა ცხოვრება, ეგზეგეტიკა. როცა განისწავლებით სასულიერო წიგნებიდან, თქვენი ცნობიერება განწმენდილი იქნება, მერე წაიკითხეთ კლასიკოსები. ჩვენ არ ვკრძალავთ საერო ლიტერატურას, მაგრამ, ნუ იქნება ის ეროტიკული და ერეტიკული, რადგან, არაფერს დაგიტოვებთ თავში. როცა გეცოდინებათ სულიერი, მერე მიხვდებით, მასში მარგალიტებია ჩადებული თუ შხამი. შემდეგი მცნება არის: ლოცვა პატრიარქისთვის, მთავრობისთვის და გარდაცვალებულთათვის. პატრიარქისთვის ბევრი ლოცულობს, ეს კარგია და აუცილებელია. რაც შეეხება მთავრობაზე ლოცვას, თუ არსებული მთავრობა არის მართლმადიდებელი, არ დევნის ეკლესიას, არ ლანძღავს სასულიერო პირებს, თუ მათი ცხოვრების წესი მართლმადიდებლურია: იცავენ მარხვას, ლოცულობენ, არ არიან ჩვენი მტრები, ვალდებულები ვართ, მოვიხსენიოთ ლოცვებში. მაგრამ, თუ ისინი ღვთის გმობაში არიან, არიან მწვალებლები, მათთვის მართლმადიდებლობა არის სასაცილო რელიგია, უფლება არ მაქვს, ისინი მოვიხსენიო, რადგან სიწმიდეში შემომყავს მათი ცნობიერება, სახარებაში კი წერია: ძაღლებსა და ღორებს ნუ გადაუყრით მარგალიტებსო. მათ ეს არ უნდათ. აქედან გამომდინარე, თქვენ უნდა გამოიტანოთ დასკვნა: ვის იხსენიებთ ლოცვებში და ვის – არა. შემდეგი მცნება: საგანგებო მარხვებისა და ლოცვების აღსრულება. მაგალითად, თანამედროვე რეალობაში მოხდა მიწისძვრა, სიკვდილიანობა იყო, პატრიარქმა გამოაცხადა სამდღიანი მარხვა. მაგრამ, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში არის გარკვეული განსაცდელი: სნეულება, პატიმრობა და ასე შემდეგ, შეგიძლიათ, მოხვიდეთ ეკლესიაში, აიღოთ მოძღვრისგან კურთხევა და შეინახოთ გარკვეული მარხვა კონკრეტული ადამიანებისთვის – ეს ძალიან კარგი იქნება. რომ თუ შენი ოჯახის წევრი სნეულებაშია, ან საპატიმროშია, ან შენი სულიერი და-ძმა განსაცდელშია, კარგი იქნება, თუ კვირაში ერთ დღეს დამატებით კიდევ იმარხულებ მისთვის – ეს იქნება შენგან ძალიან კარგი ქმედება, შენც განიწმიდები და მასაც დაეხმარები. მერვე – ეკლესიის ქონების ხელშეუხებლობა, ზრუნვა მღვდელმსახურებზე, ქვრივ-ობლებზე. რაც ეკლესიის ქონებაა: ხატებს, ჯვრებს, სხვა ნივთებს, ყველაფერს, რაც ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზეა არსებული, არავინ არ უნდა შეეხოს კურთხევის გარეშე და არ უნდა წაიღოს, არ უნდა მიითვისოს ეკლესიის კუთვნილი ინვენტარი – ეს ეხება მოძღვარსაც და მრევლსაც. რაც შეეხება ზრუნვას მღვდელმსახურებზე, საეკლესიო მცნებების ადამიანს ევალება, რომ სასულიერო პირზე იზრუნოს – რაც აქვს, იქიდან მცირედი უწილადოს მოძღვარს, რადგან, მან თუ შენ სულიერი მოგცა, შენც უნდა მისცე და ეს არ არის მოწყალება. როდესაც მრევლი არ აკეთებს ასეთ რამეს, მერე სასულიერო პირი ვერცხლისმოყვარეობაში ვარდება და განიკითხავენ მას: აქ ვიყავით, მღვდელმა თანხა მოითხოვა; ჩვენი მოძღვარი კარგია, არაფერს არ ითხოვს, მას არაფერი სჭირდებაო. ეკლესიაში ღმერთმა მოძღვარი დაადგინა და გითხრა პავლე მოციქულის პირით: „პირს ნუ აუკრავ მეკალოე ხარს.“ ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში, როდესაც ხარი ლეწავდა კალოს, იქიდან ჭამდა კიდეც. თუ მოძღვარი შენთვის ქადაგებს, შენთვის ილვწის, წვალობს, ხანდახან შენც უნდა იფიქრო მასზე, რომ მასაც აქვს ოჯახი და მასაც სჭირდება გარკვეული შემოსავალი. თან, მოძღვარს აკრძალული აქვს მეორადი სამსახური, მისი მოვალეობაა ლოცვა, წირვა და ქადაგება. და, მეცხრე: უჯერო სანახაობებზე დასწრება და ქორწილის აღსრულება სამარხვო დღეებში. როცა ასეთ რაღაცეებს უყურებ, იცინი, ბუნებრივია, არც ლოცვის გრძნობა გექნება, არც აღსარების სურვილი და არც ზიარების. გქონდეთ კარგი იუმორის გრძნობა და უყურეთ ქართულ ფილმებს, რათა ჩვენი გონება არ იყოს დამძიმებული გარკვეული ვნებებით, ბილწი სიზმრებითა და კოშმარებით.

**ნათია უტიაშვილი**

# ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულები

## ხორცში სასწაულებრივად გაჩენილი ჭიები

კუნძულ კრეტაზე, სოფელ ლიფინში, არის ძველი ტაძარი, რომელიც ლიფინის ღვთისმშობლის ხატის სახელზეა ნაკურთხი (ხატის დღესასწაული აღინიშნება 8 სექტემბერს). იმ ტაძართან არსებულ მონასტერში დაბრძანებულია თავად სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც შემკულია უამრავი შეწირული ძვირფასეულობით.

სოფლის მცხოვრებნი, გზის შემოკლების მიზნით, ხშირად ეკლესიის ეზოს გავლით მიდიან სახლში. მაგრამ, თუკი ვინმემ გაბედა და მარხვის დროს ხორცით გაიარა ეზოში, იმ ხორცში მაშინვე ჭიები გაჩნდებიან.

ეს სასწაული უძველესი დროიდანაა ცნობილი სოფლის მცხოვრებთათვის. ჩვენს საუკუნეში, როდესაც ადამიანთა უმეტესობამ ეჭვით დაუწყო ცქერა სასწაულებს, გამოჩნდნენ სკეპტიკოსები, რომელთაც მოინდომეს ამ გადმოცემის შემოწმება. მარხვის პერიოდში იყიდეს ახალი ხორცი და ეკლესიის ეზოში გაატარეს. ხორცი მაშინვე ჭიებით გაივსო.

ერთხელ ერთ ყასაბს, რომელსაც დაკლული ბატკნის თითქმის ნახევარი მიჰქონდა სახლში, შორი გზით წასვლა დაეზარა და გადაწყვიტა, ტაძრის ეზოს გავლით შეემოკლებინა მანძილი. ყასაბი ეზოს შუამდეც არ იყო მისული, რომ ფეხები მოეკვეთა და ყვირილით დაეცა ძირს.

ასე განამტკიცებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მორწმუნეთა შეგნებაში მარხვის დაცვის მცნებას.

## ღვთისმშობელმა მონასტერი თურქებისგან დაიცვა

დედაღვთისას სასწაულმოქმედი ხელთუქმნელი ხატის – „ოცფინიკიანის“ სახელობის მონასტერი ჰანგეის მთის ფერდობზეა აშენებული. ის თავად ღვთისმშობლის ბრძანებით დაარსა წმიდა გერმანემ მეთორმეტე საუკუნეში. ყოველადწმიდა ქალწულმა აჩვენა წმიდანს ის ადგილი, სადაც მონასტერი უნდა აშენებულიყო. მას შემდეგ ზეციურ დედოფალს არასოდეს შეუწყვეტია მონასტერზე ზრუნვა.

ერთხელ ღვთისმშობელი გამოეცხადა ერთ 18 წლის ახალგაზრდას, რომელიც მონასტრის ახლოს მიწას ხნავდა და უთხრა:

– წამოდი ჩემთან, მე შენ მჭირდები ჩემს მონასტერში.

და მანაც, როგორც ჭაბუკმა ელისემ, ხარები მინდორში დატოვა და მონასტერში წავიდა, სადაც ბერად აღიკვეცა. მას დამასკინი უწოდეს. შემდგომში ის მონასტრის წინამძღვარი გახდა. მამა დამასკინი ხშირად ხედავდა, რომ ღვთისმშობელი ტაძარში იდგა და თვალს ადევნებდა ბერებს.

ერთხელ 1908 წელს თურქი ყაჩაღები თავს დაესხნენ მონასტერს, რომელიც მძიმე ურდულით იყო დაკეტილი. თავდამსხმელებმა ერთი თავისიანი საგუშაგოზე დატოვეს, დანარჩენებმა კი გალავნის კედლებში ლურსმნების ჩარჭობა დაიწყეს მაღლა ასასვლელად. უეცრად გუშაგის ყვირილი მოესმათ:

– მიშველეთ, ვიღაც შაოსანი ქალი თმაში ჩამაფრინდა, მომეშველეთ... უსჯულოები პანიკამ მოიცვა. ჩამოხტნენ კედლებიდან და გაიქცნენ.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: შეიძლება თუ არა ლოცვის შემოკლება?**

**პასუხი**: ლოცვის კანონის აღსრულებისას დამაბრკოლებელი ვითარებანი ბევრნაირია: უძლურება, ფიზიკური გადაღლილობა, შემთხვევითი სტუმარი, მგზავრობის უხერხულობა და სხვა. რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს. ასეთ დროს ლოცვის კანონი შეგნებულად უნდა შეიკვეცოს სათანადო დრომდე. ასევე, უნდა ვუფრთხილდეთ საკუთარი თავისთვის შეღავათის მიცემას, რათა არ გამოვიწვიოთ სინდისის ქენჯნა, რომ შეგვეძლო მეტის გაკეთება და არ გავაკეთეთ.

**კითხვა: ყველა გარდაცვლილისთვის სასარგებლოა თუ არა ფსალმუნების კითხვა?**



**პასუხი**: ფსალმუნების კითხვა გარდაცვლილთათვის დიდად კეთილი საქმეა, მაგრამ ყველა გარდაცვლილისთვის მისი კითხვა არ შეიძლება. კერძოდ: თვითმკვლელთათვის, ურწმუნოთათვის, მოუნათლავთათვის და სხვა სარწმუნოების ადამიანებისთვის.

**კითხვა: როგორ უნდა დავარწმუნო ახლობლები, რომ არ დაიჯერონ ჩემ მიმართ ნათქვამი ცილისწამება?**

**პასუხი**: თუ ვინმემ ცილი დაგწამათ, ილოცეთ მისთვის და ევედრეთ უფალს, რომ მას სინანული მიანიჭოს. რამდენადაც მეტს ილოცებთ თქვენი მტრისთვის, რომელმაც ცილი დაგწამათ, მით უფრო გაფანტავს უფალი თქვენზე ყოველგვარ ეჭვს სხვების თვალში.

**კითხვა: ძალიან მაშფოთებს, რომ ჩემს შვილს ეზოში ურთიერთობა უწევს თავის თანატოლებთან, რომელთა შორის არიან ღვთისმგმობი ოჯახის შვილები და უზნეოებიც. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: მთავარია, მეგობრობამ ცოდვებისკენ არ უბიძგოს ადამიანს. ესაუბრეთ თქვენს შვილს მეგობრულად და ურჩიეთ, რომ ერიდოს ურთიერთობას უზრდელ, უზნეო და უკეთურ ადამიანებთან. ოღონდ ეს უნდა გააკეთოთ სიყვარულით და არა ჩხუბით და აყალმაყალით.

# მამათა შეგონებანი

**ანასტასი სინელი**: ღმერთმან რომ ქვეყანა შეჰქმნა, ეგონა, ეშმაკს, ქუეყანა მათ მიეცემოდა სამკვიდრებლად. ღმერთმა რომ კაცი შეჰქმნა, ჰსცნეს, რომ კაცისთვის იყო ქვეყანა. ამის მიზეზისთვის იწყეს შური და მტერობა კაცისა. ეგრეთუე, შენ, ეშმაკის მსგავსად ერთს რასმეს შენთვის ჰგონებ, ის შენ აღარ მოგეცემა და ერთს ვისმე შენს მოყუასს მიეცემა და ამისთვის შენ მისდა მიმართ შურს და მტრობას ჰყოფ. მიხედე, თუ ეშმაკის მსგავსი არა ხარ! ეგების იძიო ჩემგან და ჰსთქუა: „ნივთიერი ვარ და ნივთისთვის შური და ძიება არა ვჰყო, ვითარ ვიცხოვრო?“ აქ წინასწარმეტყველისა დავითის სიტყუას გეტყვი: „მიუტევე უფალს ზრუნვა შენი და მან გამოგზარდოს შენ“.

**იოანე სინელი**: ვინც საკუთარ ცოდვებს არ გლოვობს, არ უნდა ელოდოს, რომ ამ ქვეყნიდან განსვლისას თავისი შეწყალების შესახებ ეუწყება რამე.

**იოანე ოქროპირი**: თუ ვინმე შენზე ჭორაობს, ნუ გაბრაზდები, არამედ იტირე და შეგრცხვეს – არა იმისა, რომ შენზე ჭორაობენ, არამედ იმ ცოდვის გამო, რომელმაც ასეთ არაწმიდებაში ჩაგაგდო.

***

იკითხავენ: რატომ უნდა ისჯებოდეს მარადიულად იგი, ვინც აქ მხოლოდ მცირე ხნის განმავლობაში სცოდავდა? მაშ, რატომაა, რომ ადამიანი, რომელმაც წუთიერად აღასრულა მკვლელობა, მთელი ცხოვრება მაღაროში მუშაობით ისჯება.

**გაბრიელ ეპისკოპოსი**: როგორც გამიგონია, ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთ ქრისტიანს თავისი ცოდვების გარკვეული ნაწილის აღიარებისა რცხვენია. თუ სნეული ექიმს არ ეტყვის, რა სტკივა, ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე მოსძულებია; ასევეა ცოდვილიც, რომელიც აღსარების სათქმელად მიდის და ზოგიერთი ცოდვის დამალვას აპირებს.

**ნილოს სინელი**: ჩრდილსა და ბორბალს ჰგავს ცხოვრებისეული მწუხარება და სიხარული, რადგანაც ჩრდილივით მარადიული არ არის და ბორბალივით ბრუნავს.

**წმიდა სილუანი**: წმიდანებს უფალმა აჩუქა სულიწმიდა და მათ სულიწმიდაში ვუყვარვართ ჩვენ. წმიდანების სული იცნობს უფალს; ამიტომაა მათი სულები, რომ იწვის სიყვარულით ხალხისადმი. მათ ჯერ კიდევ დედამიწაზე მწუხარების გარეშე არ შეეძლოთ მოესმინათ ცოდვილ ადამიანებზე და ლოცვაში ღვრიდნენ ცრემლებს მათთვის. სულიწმიდამ ამოირჩია ისინი მთელი ქვეყნიერებისთვის მლოცველებად და აძლევდა ცრემლების წყაროს. სულიწმიდა თავის რჩეულებს აძლევს ისეთ დიდ სიყვარულს, რომ მათი სულები, როგორც ცეცხლით, ისე იწვიან სურვილით, რათა ყველა გადარჩეს და იხილოს უფლის დიდება.

**ილია მეორე**: საქართველომ ყველგან უნდა იქადაგოს ჭეშმარიტება, მაგრამ ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, ჯერ ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რა არის ჭეშმარიტება, სად არის სიკეთე და სად – ბოროტება.

# ევროპულ კლუბებში მოთამაშე ყველაზე ძვირად ღირებული აზიელი ფეხბურთელების ტოპ-თერთმეტეული

***ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მსოფლიო ფეხბურთის წამყვანი კლუბები დიდ ყურადღებას აქცევენ აზიურ ფეხბურთს, სადაც წლიდან წლამდე ახალი ვარსკვლავები იზრდებიან. არადა რამდენიმე ათეული წლის წინ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ „ინტერის" ან „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში კორეელ ან იაპონელ ფეხბურთელს ნახავდა. გთავაზობთ ევროპულ კლუბებში ამჟამად მოასპარეზე 11 ყველაზე ცნობილ და ძვირად ღირებულ აზიელ ფეხბურთელს.***

**სინძი ოკაძაკი (იაპონია) – „შტუტგარტი," 5 მილიონი ევრო**

სინძი ოკაძაკი 2011 წლიდან ასპარეზობს გერმანული ბუნდესლიგის კლუბ „შტუტგარტში", სადაც საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა შეტევის ხაზში ვედად იბიშევეჩის, კაკაუსა და მარტინ ჰარნიკის მხარდამხარ. შტუტგარტელმა ქომაგებმა „სამურაი" შეარქვეს და მის ერთ-ერთ ღირსებად საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნას ასახელებენ. ბურთით ოკაძაკი ისევე სახიფათოა, როგორც სამურაი ხმლით და ამის გამო ის ძალიან უყვართ გერმანიაში. მართალია, ახალი სეზონის დასაწყისში ოკაძაკი ჯერჯერობით შორს არის სასურველი ფორმისგან, თუმცა, გერმანიაში იმედოვნებენ, რომ ის მალე დაუბრუნდება ჩვეულ სპორტულ ფორმას.

**აშქან დეჟაგა (ირანი) – „ფულჰემი," 5 მილიონი ევრო**

ახალი საფეხბურთო სეზონი ირანელმა აშქან დეჟაგამ ლონდონური „ფულჰემის" რიგებში დაიწყო. ის კლინტ დემპსის შემცვლელად მოიყვანეს გუნდში, თუმცა, დეჟაგამ საკუთარი ხელწერის დატოვება უკვე მოასწრო და კლუბის ქომაგები მასში ახალ ლიდერს ხედავენ. უნივერსალური ვინგერი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, თუმცა, როდესაც საქმე ეროვნული ნაკრების არჩევას შეეხო, აშქანმა ისტორიული სამშობლო – ირანი ამჯობინა და ახლა ამ ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება.




**ალი ალ-ჰაბსი (ომანი) – „უიგანი," 5 მილიონი ევრო**

ბოლო რამდენიმე წელია, რაც ომანელი ალი ალ-ჰაბსი ეგზოტიკური ქვეყნის წარმომადგენლიდან მაღალი დონის ევროპული ფეხბურთის მეკარედ ჩამოყალიბდა. ალ-ჰაბსი ინგლისური პრემიერ-ლიგის ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო გოლკიპერია, რომელიც ინგლისში გადასვლის შემდგომ საკუთარ თავზე მუშაობას განაგრძობს და პრემიერ-ლიგაში მუდამ გადარჩენისთვის მებრძოლი „უიგანის" ლიდერად ჩამოყალიბდა.




**პარკ ჯი-სუნი (სამხრეთ კორეა) – „ქუინს პარკ რეინჯერსი," 5 მილიონი ევრო**

„მანჩესტერ იუნაიტედში" გატარებული შვიდი წლის განმავლობაში პარკ ჯი-სუნმა უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა და ის პრემიერ-ლიგის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო და შედეგიან ნახევარმცველად იქცა. 2012 წლის ზაფხულში „ქუინს პარკ რეინჯერსში" გადასული პარკი გუნდის კაპიტნად აირჩიეს და, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით კლუბი ბოლო ადგილზე იმყოფება, პრემიერ-ლიგაში ქომაგები იმედოვნებენ, რომ პარკის გამოცდილება დაეხმარება მათ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში.

**ოდილ აჰმედოვი (უზბეკეთი) – „ანჟი," 6 მილიონი ევრო**

რუსეთის ჩემპიონატში გადასვლამდე ოდილ აჰმედოვმა ხუთი სეზონი გაატარა სამშობლოში და მახაჩკალის გუნდის მესვეურთა ყურადღება დაიმსახურა.



უზბეკი საყრდენი ნახევარმცველი ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა რუსეთის ჩემპიონატში, მის მაღალ დონეზე კი ისიც მეტყველებს, რომ იგი არ ჩაიკარგა „ანჟის" ვარსკვლავებში და გუუს ჰიდინკის ფორმაციის გუნდის ლიდერად ითვლება. ამბობენ, რომ აჰმედოვით ერთი პერიოდი არსენ ვენგერი იყო დაინტერესებული, ხოლო, მას შემდეგ, რაც მის პოზიციაზე ვარსკვლავი ლასანა დიარა მოიყვანეს, აჰმედოვი, იმის ნაცვლად, რომ სხვა კლუბი მოეძებნა დასთანხმდა კონკურენციას. როგორც თავად ამბობს, მისთვის გამოწვევაა, რომ ადგილისთვის ძირითად შემადგენლობაში მისი კონკურენტი საფრანგეთის ნაკრების წევრი დიარაა.

**კი სონ ეონი (სამხრეთ კორეა) – „სუონსი," 7 მილიონი ევრო**

კი სონ ეონი სამხრეთ კორეის მომავალ ვარსკვლავად ითვლება და მას ხშირად ადარებენ სტივენ ჯერარდს, რის გამოც მავანი ქომაგები მას ხუმრობით „კირარდსაც" კი უწოდებენ. კი სონი ბრწყინვალედ ხედავს მოედანს და ერთი პასით შეუძლია თამაშის გამწვავება. იგი




ბავშვობიდან ემზადებოდა და ავსტრალიურ სპორტულ სკოლაში ინგლისურ მენტალიტეტთან ადაპტირება არ გასჭირვებია.

**ლი ჩუნ იუნი (სამხრეთ კორეა) – „ბოლტონი," 7,5 მილიონი ევრო**

2009 წელს ბრიტანულმა „თაიმსმა" ლი ჩუნ იუნი პლანეტის 50 ყველაზე იმედის მომცემ ფეხბურთელს შორის მოიხსენია და იმავე წლის ზაფხულში იგი ნისლიან ალბიონზე, „ბოლტონში" გადაბარგდა. პირველივე სეზონზე იგი საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ამბობდნენ, რომ მისით „ლივერპული" იყო დაინტერესებული, თუმცა კორეელი „ბოლტონის" ერთგული დარჩა. 2011-2012 წლების სეზონი მისთვის უიღბლო გამოდგა – ფეხის მოტეხის გამო მას მთლიანი სეზონი გაუცდა, მის გარეშე კი კლუბმა ვერ შეინარჩუნა პოზიციები პრემიერ-ლიგაში და ამჟამად კორეის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რანგით მეორე ლიგაში, „ჩემპიონშიპში" ასპარეზობს.

**სო ჰიონ მიონი (სამხრეთ კორეა) – „ჰამბურგი," 8 მილიონი ევრო**

სო ჰიონ მიონი 16 წლის ასაკიდან ირიცხება „ჰამბურგში". მან ყველა ასაკობრივი გუნდი მოიარა, სანამ მთავარ გუნდში დაიმკვიდრებდა ადგილს. სო ჰიონმა თავის პირველივე მატჩში ბუნდესლიგაში მოახერხა გოლის გატანა და ამით „ჰამბურგის" ისტორიაში ჩაეწერა, როგორც გოლის ყველაზე ახალგაზრდა ავტორი ბუნდესლიგაში. სო ჰიონ მიონი 20 წლისაა. ამბობენ, რომ მას დიდხანს არ გააჩერებენ „ჰამბურგში", რადგან მისით უკვე დაინტერესებულები არიან ევროპის ბობოლა კლუბები.

**იუტო ნაგატომო (იაპონია) – „ინტერი," 9,5 მილიონი ევრო**

სწრაფი და მოედნის ხედვით გამორჩეული იუტო ნაგატომო „ინტერში" „ჩეზენას" გავლით მოხვდა. „ნერაძურის" ხელმძღვანელობამ მასთან თავდაპირველად საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა და, როდესაც გამოჩნდა, რომ ნაგატომო არაფრით ჩამოუვარდებოდა კლუბის ვარსკვლავებს, მისი გამოსყიდვა გადაწყვიტა. მაშინ ეს თანხა 4,5 მილიონ ევროს შეადგენდა, დღეს კი ნაგატომოს ფასი სატრანსფერო ბაზარზე გაცილებით დიდია – 9,5 მილიონი.

**კეისუკე ჰონდა (იაპონია) – „ცსკა," 15 მილიონი ევრო**

ჰონდას ევროპული კარიერა მოკრძალებულ ჰოლანდიურ „ვენლოში" დაიწყო. ერთი პერიოდი მისით „აიაქსი" და „პსვ" ინტერესდებოდნენ, თუმცა, მოთხოვნილი 10 მილიონის გადახდას არც ერთი არ აპირებდა. გარისკა მხოლოდ მოსკოვურმა არმიულმა კლუბმა და დღეს კეისუკე ჰონდა „ცსკას" ერთ-ერთ ყველაზე უძვირეს და ევროპული ტოპ-კლუბებისთვის საინტერესო ფეხბურთელად ითვლება. ამბობენ, რომ ჰონდას უკვე მოჰბეზრდა რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობა და სურვილი აქვს, კარიერა რომელიმე დიდ კლუბში განაგრძოს.




**შინჯი კაგავა (იაპონია) – „მანჩესტერ იუნაიტედი," 22 მილიონი ევრო**

შინჯი კაგავა დორტმუნდის „ბორუსიის" მთავარ დამრტყმელ ძალად ითვლებოდა საჩემპიონო წელს და, როდესაც ალექს ფერგიუსონმა მისი ყიდვა გადაწყვიტა, ეს ფაქტი არავის გაუპროტესტებია. სწორედ კაგავას გამო მოუხდა კლუბის დატოვება კორეელ პარკს. მართალია, პირველ სეზონს კაგავა უფერულად ატარებს და იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ, ფეხბურთის მცოდნე ხალხი იმედოვნებს, რომ სულ მალე იგი ფერგიუსონის კლუბის საკადრისი ფეხბურთის თამაშს დაიწყებს.

## არმსტრონგის აღსარება

ველოსპორტის ამერიკელმა ვარსკვლავმა ლენს არმსტრონგმა საჯაროდ აღიარა, რომ კარიერის განმავლობაში დოპინგის აქტიური მომხმარებელი იყო. სპორტის ვარსკვლავის მონანიება ოპრა უინფრისთან ინტერვიუში შედგა და, ამგვარად, მის წინააღმდეგ წარმოებული ყველა საძიებო საქმე ამერიკის შეერთებული შტატების ანტისადოპინგო ასოციაციამ შეაჩერა. მიუხედავად იმისა, რომ კარიერა დაასრულა, ამჟამად ლენს არმსტრონგს ჩამორთმეული აქვს ველომრბოლელის პროფესიული ლიცენზია, მისჯილი აქვს სამუდამო დისკვალიფიკაცია, ჩამოერთვა „ტურ დე ფრანსის" შვიდგზის გამარჯვებულის ტიტული და, 1998 წლიდან მისი აბსოლუტურად ყველა დამყარებული რეკორდი და შედეგი განულდა. ინტერვიუს დროს ლენს არმსტრონგმა თავის ყველა გულშემატკივარს ბოდიში მოუხადა.



## ეტოოს კომიქსები

მახაჩკალის „ანჟისა" და კამერუნის ნაკრების ვარსკვლავმა სამუელ ეტოომ საკუთარ თავზე კომიქსები შექმნა. კომიქსების წიგნის სახელწოდებაა: „სამუელ ეტოო: ჩემპიონის დაბადება". კომიქსების საშუალებით მოთხრობილია, თუ როგორ იზრდებოდა ის კამერუნში, როგორ ყიდდა ის ბავშვობაში თევზეულს ქალაქ დუალაში და როგორ გახდა თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავი. ეტოოს თქმით, მისი სურვილია, რომ ბავშვები გაეცნენ მის ცხოვრებისეულ გზას და იცოდნენ, რომ აღიარების მიღწევას დიდი და მრავალწლიანი შრომა დასჭირდა. კომიქსების პირველი ნაწილი ფრანგულ ენაზეა გამოცემული, მომავალში კი კომიქსების წიგნის კიდევ რვა ნაწილი გამოვა.

## გიგზის კიდევ ერთი სეზონი

„გიგზი კიდევ ერთი წლით დარჩება ჩვენთან. მე ვერ ვხედავ დაღლას მის თამაშში. იგი კვლავ ფანტასტიკური ფეხბურთელია," – ამ სიტყვებით დააანონსა ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედის" ცოცხალი ლეგენდის, 39 წლის რაიან გიგზის კონტრაქტის გახანგრძლივება კიდევ ერთი წლით, ანუ, უბერებელი ფეხბურთელი 2013-2014 წლების სეზონსაც „წითელი ეშმაკების" რიგებში გაატარებს და კარიერას, სავარაუდოდ, 41 წლის ასაკში დაასრულებს. რაიან გიგზი „მანჩესტერის" რიგებში 1990 წლიდან ასპარეზობს, ის არის უნიკალური რეკორდის მფლობელი, პრემიერლიგის დაარსებიდან მონაწილეობა აქვს მიღებული ყველა ჩემპიონატში და ყველა თამაშში გოლი აქვს გატანილი.



## ალანი ვასკესი – კალათბურთის ფანი

შავკანიანი ლამაზმანი ალანი ლალა ვასკესი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილი მსახიობი, დიჯეი და ტელეწამყვანია. გარდა ამისა, ლალას კალათბურთის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ ქომაგსაც უწოდებენ, რადგან, მისი მეუღლე ცნობილი კალათბურთელი და NBA-ს ვარსკვლავი კარმელო ენტონია. 33 წლის ლალას 6 წლის შვილი ჰყავს კარმელოსგან. მათი ქორწილი პოპულარულ ტელეარხ VH1-ის ეთერში გადაიცემოდა, სტუმრების უმრავლესობას კი სპორტისა და შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები წარმოადგენდნენ.

## ტაისონი ეკრანს უბრუნდება

ლეგენდარული მაიკ ტაისონი ბოლო წლებში აქტიურად არის ჩართული შოუ-ბიზნესში და ეპიზოდურ როლებს ასრულებს მხატვრულ ან სატელევიზიო ფილმებში. ამჯერად „რკინის მაიკის" ნახვა შესაძლებელი გახდება სერიალში „კანონი და წესრიგი," სადაც ის სიკვდილმისჯილი სერიული მკვლელის როლს ასრულებს. „ტაისონის ბრუტალური იმიჯი ზუსტად შეესაბამება მისი პერსონაჟის ცხოვრებას", – ასე შეაფასა ექსჩემპიონის არჩევა აღნიშნულ როლზე ფილმის რეჟისორმა. საგულისხმოა, რომ ტაიოსონისთვის ეს როლი ერთგვარად სიმბოლურია – ეს იქნება 50-ე ფილმი, სადაც იგი ეპიზოდურად გამოჩნდება.



## გუარდიოლა მიუნხენში

ესპანელი ხოსეპ გუარდიოლა, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მომავალი სეზონიდან სათავეში ჩაუდგება მიუნხენის „ბაიერნს," მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი საკლუბო მწვრთნელი გახდება. გაზეთ „მარკას" ცნობით გუარდიოლას წლიური ანაზღაურება 17 მილიონ ევროს შეადგენს. საგულისხმოა, რომ, მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელების თქმით, ესპანელ სპეციალისტს გაცილებით მაღალ ხელფასს სთავაზობდნენ სხვა კლუბები, თუმცა, მან სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება „ბაიერნში" არჩია. გუარდიოლას კონტრაქტი 2016 წლამდეა განსაზღვრული და ამ თანამდებობაზე იგი 67 წლის იუპ ჰაინკესს შეცვლის, რომელმაც პენსიაზე გასვლის გადაწყვეტილება მიიღო.

## „მის ინტერი" – ფედერიკა ჯულიანი

ქერათმიანი ფედერიკა ჯულიანი მილანური კლუბის – „ინტერის" ყველაზე სექსუალურ ქომაგად დასახელდა და მას საპატიო ტიტული – „მის ინტერისტკა" გადაეცა. ლამაზმანი დიდი ხანია, მილანურ კლუბს ქომაგობს და იტალიის ჩემპიონატის მატჩებს რეგულარულად ესწრება. ფედერიკას განსაკუთრებით არც ერთი ფეხბურთელი არ მოსწონს, თუმცა, სიმპათიები აქვს კლუბის ლეგენდის – არგენტინელი ხავიერ ძანეტის მიმართ. ჯულიანის თქმით, როდესაც ის ჯერ კიდევ ბაღში დადიოდა, ძანეტი უკვე „ინტერის" ფორმით ასპარეზობდა და, სწორედ ამის გამო იმსახურებს პატივისცემას 40 წლის ფეხბურთელი, რომელიც სპორტული კარიერის დასრულებას არ გეგმავს.

## აზარენკოს ახალი „ბოიფრენდი"



ჩოგბურთის ბელარუსი ვარსკვლავი ვიქტორია აზარენკო შეყვარებულია. დღეისთვის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის რჩეული ცნობილი რეპერი რედფოა. 37 წლის რეპერი ამჟამად ავსტრალიაში, მელბურნში იმყოფება და თავის საყვარელ ქალს ტრიბუნიდან ქომაგობს. აზარენკო ავსტრალიის ღია პირველობაზე ასპარეზობს და, როგორც ჩანს, თავის ახალ „ბოიფრენდთან" ძალიან ბედნიერია, რაზეც უამრავი ფოტო მეტყველებს, რომელთა ნახვაც ვიქტორიას „ტვიტერისა" და „ფეისბუქის" მისამართებზე არის შესაძლებელი. ცნობისთვის რედფოს გაცნობამდე აზარენკო ცნობილი უკრაინელი სპორტსმენის, ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკას შვილს, სერგეი ბუბკა-უმცროსს ხვდებოდა.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ხურმის ჭამის დროს ზომიერების დაცვაა საჭირო

ცივ პერიოდში ადამიანის ორგანიზმს საჭირო ვიტამინების გარკვეული რაოდენობით ხურმა ამარაგებს.

ხურმა ბევრი სასარგებლო კვებითი ღირებულებით გამოირჩევა: მდიდარია A ვიტამინით, ასევე, დიდი რაოდენობით შეიცავს ნახშირწყლებს და ამ მხრივ არ ჩამოუვარდება თვით ყურძენსა და ლეღვსაც კი. ცილების შემცველობით კი, ის კვერცხს უტოლდება.

ასევე, ხურმაში დიდი რაოდენობით გვხვდება ტანინები.

ხურმის ჭამის დროს ზომიერების დაცვაა საჭირო, რადგან მისმა გადაჭარბებით მიღებამ, შესაძლოა, ყაბზობა ან თირკმლის დაზიანება გამოიწვიოს.

ხურმას ალერგიული რეაქციებიც ახასიათებს. ამიტომ, მოერიდეთ დღეში ოთხ ცალ ხურმაზე მეტის ჭამას.

## თუ გსურთ სახსრები წესრიგში გქონდეთ, მაშინ კბილებს მიხედეთ

ეკოლოგიურად მავნე ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმში გროვდება. არადა, ორგანიზმიდან ამ ნივთიერებების გამოდევნა თითქმის შეუძლებელია. ეს პრობლემა, ძირითადად, დიდ ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს ემუქრებათ. კარგია სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბუნებრივი საკვების მიღება, გაფილტრული წყლის სმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კენჭების გაჩენა, დროთა განმავლობაში, გარდაუვალია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანს ნაწლავების ნორმალური მიკროფლორა დარღვეული აქვს. ეს პრობლემა კი დისბაქტერიოზის ბრალია. თუ ამას თან ახლავს ღვიძლის მოქმედების დარღვევა, მაშინ ორგანიზმში წიდებიც გროვდება და ეს საშიში ხდება ჯანმრთელობისთვის.

თუ სისხლში მოხდა ტოქსინების დაგროვება, ეს ნივთიერებათა ცვლის სერიოზულ დარღვევას იწვევს. ამ დაავადებას კი თან ახლავს გასუქება. ამ დროს ადამიანის ორგანიზმს შეწოვის უნარი უქვეითდება.

თუ გსურთ, სახსრები წესრიგში გქონდეთ, მაშინ კბილებს მიხედეთ. მიკრობები, რომლებიც პირის ღრუში გროვდება, წარმოქმნის ისეთ ტოქსიკურ პროდუქტებს, რომლებიც რევმატოლოგიურ პროცესებს აძლიერებს.

ადამიანის ორგანიზმი თვითრეგულირებადი სისტემაა. თუ მისი ცალკეული ნაწილები და ორგანოები ნორმალურად ფუნქციონირებს, მასში არაფერი დაგროვდება. ნებისმიერი წიდების დაგროვების დროს ორგანიზმი ამას ხვდება და სისტემა თვითონ იწყებს მის თავიდან მოშორებას. ხოლო, თუ რომელიმე ორგანო თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს და ორგანიზმში წიდები გროვდება, თვითმკურნალობა მხოლოდ პროცესებს დააჩქარებს და არასასიამოვნო შედეგებს გამოიწვევს. ამიტომ, სპეციალისტის დახმარებით, დროულად მიხედეთ პრობლემას, სანამ სავალალო შედეგამდე მიგიყვანთ.

## როგორ დავძლიოთ დაუოკებელი მადა

დაუოკებელი შიმშილის გრძნობის დაძლევა ადვილი არ არის. მის გამო კი ადამიანთა უმრავლესობა სწრაფად იმატებს წონაში. შიმშილის ხშირი შემოტევისას, გირჩევთ, გარეთ გახვიდეთ და გაისეირნოთ ან ქვედა კიდურების კუნთების ვარჯიში ჩაიტაროთ. ეს შიმშილის გრძნობას კლავს.

ხშირად მიირთვით წვნიანი კერძები, რადგან ასე კუჭი გაცილებით ნელა იცლება, დანაყრების შეგრძნებაც ხანგრძლივდება და თავსაც კარგად და მხნედ იგრძნობთ. უპირატესობა მიანიჭეთ ბოსტნეულს, განსაკუთრებით კი სტაფილოსგან მომზადებულ კერძებს. ასევე, ხშირად მიირთვით ქათმის, საქონლის, ინდაურის ხორცი, თევზი, კვერცხი, ყველი და თხილი.

ნუ მიეძალებით რძიან ყავას, ცხელ შოკოლადსა და კაპუჩინოს. კოფეინის სიჭარბე ორგანიზმში ცხიმების ჭარბ დაგროვებას იწვევს.

ხშირად ჭამეთ ხილი. ის ენერგეტიკული ბალანსის შევსებას უწყობს ხელს. ასევე, კარგია წიწაკა, რადგან წიწაკით მდიდარი საკვები, ჭამიდან დაახლოებით 4-5 საათის განმავლობაში 50 პროცენტით აძლიერებს გულისცემის რიტმს, აჩქარებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს და მონელებისას გაცილებით მეტ ცხიმს წვავს. ამ დროს არც ბევრს მიირთმევთ და თან, გემოვნების რეცეპტორებსაც გაცილებით სწრაფად დაიკმაყოფილებთ. თუ საკუთარი ჯანმრთელობისა და კუჭ-ნაწლავის ბედი გაწუხებთ, მიირთვით მწარე საკვები.

ნახშირწყლების გამომრიცხველ დიეტებს თან ახლავს დეპრესია და გუნება-განწყობის დაქვეითება. ეს კი სწორედ სერატონინის ნაკლებობას უკავშირდება. ნახშირწყლების გარეშე თავის ტვინში ფერხდება ამინომჟავა ტრიფტოფანის შეღწევა, რომელიც თავის მხრივ, სერატონინის სინთეზისთვისაა აუცილებელი.

სხვათა შორის, გამოუძინებელ ადამიანებში გაცილებით გაძლიერებულია მადა. ამიტომ, არის ხშირი უძილობა წონაში მომატების მიზეზი.

## ჭამის დროს დალეული ერთი ჭიქა ღვინო ადამიანს იცავს გულისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისგან

ალკოჰოლური სასმელების მცირე დოზით მიღებას სამკურნალო ეფექტი აქვს. ჭამის დროს დალეული ერთი ჭიქა ღვინო ადამიანს იცავს გულისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისგან.

ღვინოში არის ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის დაბერების პროცესს. ეს ნივთიერება ანტიოქსიდანტია.

ანტიოქსიდანტები არის სხვა ხილშიც, მაგრამ მას ყურძენი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს.

ღვინო ასევე, შეიცავს ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც აადვილებს საჭმლის მონელებას, ზრდის ცალკეული ორგანოს სისხლმომარაგებას და აუმჯობესებს გუნება-განწყობას.

არ გირჩევთ ღვინის მიყოლებას სალათებზე, ნედლ ბოსტნეულთან, ძმრით მომზადებულ კერძებთან ერთად. ამ სახის საკვებზე ღვინის მიყოლება იწვევს საჭმლის მონელების დარღვევას.

ღვინის მიყოლება კარგია ხორციან საკვებზე, რადგან ხორცის შეწვის დროს წარმოიქმნება ორგანიზმისთვის ძნელად ასათვისებელი ნივთიერებები, რომლებიც მთელ რიგ მოშლილობებს იწვევს. ღვინოში შემავალი მთრიმლავი ნივთიერებები კი, შლის ამ ძნელად ასათვისებელ ნაერთებს.

## საკვებით ინტოქსიკაციის დროს მიიღეთ, რაც შეიძლება ბევრი სითხე

საკვებითა და წყლით ინტოქსიკაცია მწვავე დაავადებაა, რაც ხასიათდება გულისრევით, ღებინებით, ფაღარათით ან ნევროლოგიური სიმპტომებით.

ბაქტერიული კვებითი ინტოქსიკაციის ყველაზე ხშირი გამომწვევია საკვების დაბინძურება ოქროსფერი სტაფილოკოკებით, სალმონელათი, ბაცილუს ცერიუსით, კლოსტრიდიუმ პერფრინგენსით. მაგალითად, სტაფილოკოკით საკვები მაშინ ბინძურდება, თუ მისი მომზადების ან შენახვის წესი ირღვევა. განსაკუთრებით ეს ეხება საკონდიტრო ნაწარმს, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე რამდენიმე საათის განმავლობაშია დატოვებული. ასეთ შემთხვევებში, პროდუქტებში იქმნება სტაფილოკოკის გამრავლებისთვის კარგი პირობები და ხდება ენტეროტოქსინის წარმოქმნა. სწორედ ეს არის ის ტოქსინი, რომელიც დაავადების განვითარებას იწვევს.

ადამიანის ორგანიზმში სალმონელა ხვდება საკვებით – განსაკუთრებით კვერცხიდან, ხორციდან და ისეთი პროდუქტებიდან, რომლებიც სათანადოდ არ არის თერმულად დამუშავებული. ასეთ დროს ხდება მასობრივი ინფიცირების ბევრი შემთხვევა.

კლოსტრიდიუმ პერფრინგენსი ფართოდაა გავრცელებული წყალში, ნიადაგში, ადამიანისა და ცხოველის განავალში. სპორები ძალიან ადვილად მრავლდება და ინტენსიურად აბინძურებს საკვებ პროდუქტებს.

სტაფილოკოკური დაავადების დროს, პირველი 5-6 საათის განმავლობაში იწყება გულისრევა, მუცლის ტკივილი, ფაღარათი, ხანდახან შოკური მდგომარეობაც კი ვითარდება. ამ დროს ტემპერატურა ოდნავ იმატებს. ადამიანი თავს ცუდად გრძნობს.

სალმონელათი დაბინძურებული საკვებით

ინტოქსიკაცია ხშირია ძირითადად ბავშვებში. ამ დროს აღინიშნება ღებინება, ტემპერატურის მკვეთრი მატება, სისუსტე, თავისა და მუცლის ტკივილი, კანი შრება, მუცელი კი იბერება. ადამიანს ეწყება ფაღარათი. განავალი თხელია, ქაფიანი და ლორწოვანი. ამ დროს ხშირია გონების დაკარგვა, კრუნჩხვა, კიდურების გაციება. ეს სიმპტომები ვითარდება საკვების მიღებიდან დაახლოებით 6-დან 40 საათის განმავლობაშიც კი.

კლოსტრიდიებით გამოწვეული მოწამვლა იწყება საკვების მიღებიდან 6-დან 12 საათის განმავლობაში. ამ დროს ტემპერატურა იმატებს, ავადმყოფს აღენიშნება ფაღარათი, ღებინება, მუცლის შეტევითი ტკივილები.

საკვებით ინტოქსიკაციის დროს უნდა მიიღოთ, რაც შეიძლება ბევრი სითხე ან გაიკეთოთ გადასხმა. ამით შეძლებთ, დაკარგული სითხის ანაზღაურებას. ზოგჯერ კი აუცილებელი ხდება ანტიბიოტიკების მიღებაც. პროფილაქტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. უბრალოდ, უნდა დაიცვათ საკვების შენახვისა და მომზადების სანიტარული და ჰიგიენური წესები და დაავადების შემთხვევაში, დროულად მიიღოთ ზომები.

## თაფლი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა ღვიძლის დაავადებების, გულის ფუნქციონირების დარღვევის, სტენოკარდიისა და მოწამვლის დროს

ნატურალური თაფლი შედგება შაქრისგან, მასში ჭარბობს მონოსაქარიდები, კერძოდ, გლუკოზა და ფრუქტოზა. ამის გამო, თაფლი კუჭში ფერმენტების საშუალებით არ იშლება და, პრაქტიკულად, სწრაფადვე შეიწოვება ნაწლავებში.

გლუკოზა ზრდის ღვიძლის მიერ ტოქსიკური ნივთიერებების გაუვნებელყოფის უნარს, არტერიულ წნევასა და გულის მუშაობას აუმჯობესებს. ამიტომ, თაფლი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა ღვიძლის დაავადებების, გულის ფუნქციონირების დარღვევის, სტენოკარდიის, მოწამვლის, ძლიერი გონებრივი და ფიზიკური გადაღლის დროს. ის ასევე, კარგია კუჭის წყლულის, გასტრიტის, ტუბერკულოზისა და სხვა დაავადებების დროსაც.

თაფლში დაახლოებით 180 ბიოლოგიური ნაერთია, მათ შორის, თითქმის ყველა ამინომჟავა, ბევრი ფერმენტი, ვიტამინი, მიკრო და მაკრო ელემენტები, რაც ბუნებრივი ანტიბიოტიკია. აკაციის თაფლი აუცილებელია მოზარდებისთვის, რადგან მასში ბევრია A ვიტამინი, ანუ კაროტინი.

კონიუნქტივიტის, კატარაქტისა და გლაუკომას დროს, თანაბარი რაოდენობით წყალში შერეული თაფლი ჩაიწვეთეთ თვალში, საღამოს, ძილის წინ. ის კარგია, ასევე, ნევრო-ფსიქიკური დარღვევების დროსაც. მას აქვს ანტისეპტიკური თვისებები. შარდის შეუკავებლობის დროს მიიღეთ საღამოს ერთი კოვზი აკაციის თაფლი. ის ხელს უწყობს ორგანიზმში სითხის შენარჩუნებას.

რაც შეეხება წაბლის თაფლს, ის ხელს უწყობს მადის მომატებას, ნაწლავების ტრაქტის ფერმენტულ აქტივობას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ტონუსს, კარგია პროსტატისა და ღვიძლის დაავადებების დროს.

კუჭთან დაკავშირებული პრობლემების დროს რეკომენდებულია ერთი ჩაის კოვზი თაფლი დილით და მას უნდა მიაყოლოთ წყალი.

ვისაც ალერგია აქვს, უნდა მოერიდოს თაფლის ჭამას. ასევე, ეკრძალება მისი მიღება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს.



# ექიმის რჩევები

**კითხვა: რატომ არ შეიძლება დუფასტონით მკურნალობის დროს სიგარეტის მოწევა?**

**პასუხი:** ესტროგენის შემცველი პრეპარატების მიღებისას არ არის რეკომენდებული მოწევა, რადგან, იზრდება თრომბოზების რისკი. დუფასტონს ეს არ ეხება.

**კითხვა: დამისვეს დიაგნოზი – საშვილოსნოს სუბინვოლუცია. შემიძლია თუ არა დაორსულება?**

**პასუხი:** საშვილოსნოს სუბინვოლუცია გულისხმობს ენდომეტრიტის (საშვილოსნოს ანთების) არსებობას. ეს გაართულებს დაორსულების საკითხს ახლაც და მომავალშიც. გესაჭიროებათ ადეკვატური მკურნალობა.

**კითხვა: ვარ 29 წლის. შეიძლება თუ არა მკერდის გასადიდებლად რაიმე პრეპარატების მიღება და ხომ არ შეუშლის ეს ხელს მომავალში დაორსულებას?**

**პასუხი:** სარძევე ჯირკვლების გასადიდებელი მედიკამენტური საშუალებები არ არსებობს. არის კრემები, რომლებიც კანის მდგომარეობას აუმჯობესებს; არის, ასევე, ფიტოესტროგენების შემცველი პრეპარატები, რომლებიც იძლევა დროებით ეფექტს (მიღების პერიოდში), სარძევე ჯირკვლების შეშუპების ხარჯზე. ორსულობის დროს თავი უნდა შეიკავოთ მათი მიღებისგან.

**კითხვა: ასპირინისა და ალკოჰოლის მიღების შემდეგ დამეწყო ტკივილი კუჭის არეში. შეუძლია თუ არა ასპირინს სერიოზული დარღვევების გამოწვევა?**

**პასუხი:** აცეტილსალიცილის მჟავამ (ასპირინმა), განსაკუთრებით ალკოჰოლთან ერთად, შეიძლება, გამოიწვიოს საყლაპავის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანის ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანება. ამიტომ, ეპიგასტრიუმში (კუჭის არეში) ტკივილების შემთხვევაში, სასურველია გასტროსკოპიის ჩატარება ლორწოვანის მდგომარეობის დასადგენად. ცვლილებების შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი მკურნალობა.

**კითხვა : რა შეიძლება იყოს მხრებზე თეთრი ლაქების გაჩენის მიზეზი? მართალია, რომ ეს ღვიძლის დაავადებებთან არის დაკავშირებული?**

**პასუხი:** სხეულზე „თეთრი ლაქები“ უფრო ვიტილიგოთი აიხსნება და არა ღვიძლის დაავადებებით. დიაგნოზის დასაზუსტებლად დერმატოლოგს უნდა მიმართოთ.

**კითხვა: არის თუ არა არტერიული ჰიპოტონია უშაქრო დიაბეტის მიზეზი ან სიმპტომი?**

**პასუხი:** უშაქრო დიაბეტის დროს, შიძლება, არსებობდეს ჰიპოტენზიისადმი (არტერიული დაბალი წნევა) მიდრეკილება, მაგრამ ეს არ არის ამ დაავადების ძირითადი სიმპტომი. უშაქრო დიაბეტის ტიპური ლაბორატორიული მახასიათებელია შარდის კუთრი წონის დაბალი მაჩვენებელი (თუ კუთრი წონა 1,005-ზე მეტია, ეს დიაგნოზი პრაქტიკულად გამორიცხულია).

**კითხვა: ამ ბოლო დროს ხშირად მტკივა ეგრეთ წოდებული გულის ფიცარი. როგორ ფიქრობთ, ეს კარდიოლოგიური პრობლემაა?**

**პასუხი:** გულმკერდის მარცხენა ნაწილის ტკივილი ყოველთვის გულთან არ არის კავშირში. ხშირად ის ხერხემლის დაავადებებთან (კერძოდ, ოსტეოქონდროზი) არის დაკავშირებული. მიზეზის დასადგენად საჭიროა ელექტროკარდიოგრამისა და ექოკარდიოგრაფიის გაკეთება და შემდეგ ნევროლოგის კონსულტაცია.

**კითხვა: რა არის პიელოექტაზია, რა გართულება შეიძლება მოჰყვეს მას და როგორ ვიმკურნალო?**

**პასუხი:** პიელოექტაზია არის თირკმლის ფიალების გაფართოება. არსებობს ხშირი ანთებითი პროცესების საშიშროება. ხანგრძლივი პროგრესირებადი მიმდინარეობისას შესაძლოა ქრონიკული თირკმლის უკმარისობის განვითარება. აუცილებელია პერიოდული პროფილაქტიკური სამკურნალო კურსები.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

# რა კავშირშია დათო დვალიშვილი ილია ჭავჭავაძის მკვლელის დაკითხვის ოქმთან

*თეატრი ცოცხალი ორგანიზმია. აქ მაყურებელი თავის საყვარელ მსახიობს ძალიან ახლოს ხედავს და უსმენს; აკვირდება მის ყველა მოძრაობას, მეტყველებას; აქ მაყურებელს არ გამოეპარება მსახიობის მიერ უნებლიეთ დაშვებული შეცდომა და, ამიტომ, მსახიობსაც ასჯერ მეტი მობილიზება სჭირდება, რათა მაყურებლის იმედები გაამართლოს. დათო დვალიშვილი წლებია, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. დღეს მის დღიურებს გაგაცნობთ.*



დათო დვალიშვილი

**– ბატონო დათო, რამ იქონია გავლენა თქვენზე მსახიობი გამხდარიყავით და როგორ დაიწყო ყველაფერი?**

– ბავშვობაში ერთი გოგო მომწონდა. ერთხელ თქვა, მსახიობს გავყვები ცოლადო და ამიტომაც გადავწყვიტე მსახიობი გავმხდარიყავი.



დათო დვალიშვილის ცოლ-შვილი

**– რას გვეტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?**

– ჩვეულებრივი ოჯახი გვქონდა, როგორი ოჯახებიც იყო კომუნისტების დროს. მამაჩემი ძალიან საინტერესო კაცი ყოფილა. „ყვარყვარე თუთაბერში" ყვარყვარე რომ ვითამაშე მარჯანიშვილის თეატრში, მამა კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. პრემიერას დედაჩემი დაესწრო. რომ ჰკითხეს, როგორი იყოო, უპასუხა – კარგი იყო, გვაცინაო. მერე მითხრა, მამაშენიც თამაშობდა „ყვარყვარეში" ტყიბულშიო. მე დედით ხონელი ვარ, მამით – ვანელი. მამაჩემი სრულიად ახალგაზრდა კაცი გახლდათ, დაახლოებით 30 წლის, მაშინ დაქორწინებული არ იყო, როცა სცენაზე ითამაშა. ერთხელ, სოფლის საბჭოსთან ჩაიარა ნასვამმა. ხედავს, ლენინის სურათს კიდებენ. გადმოცემით ვიცი, ბაბუაჩემს მიწები, ტყე ჰქონია, ზოგი ოქროთი უყიდია. კულაკები არ ყოფილან, მაგრამ, კომუნისტებმა, რაც ჰქონდა, ყველაფერი წაართვეს. როგორც ჩანს, მამაჩემს ეს გულში ჰქონდა ჩარჩენილი, ჰოდა, ლენინის სურათს აქ რა უნდაო, – ჩამოიღო და ღელეში მოისროლა. ეტყობა, ღვინომ გაახედვინა, თორემ, ფხიზელი როგორ გაბედავდა. სანდრო, მოუსვი ახლა აქედან, თორემო... – უთხრეს თანასოფლელებმა. შეშინებული მამაჩემიც გავარდა და გაიქცა ტყიბულში. მაშინ ყველა ქალაქში იყო სახალხო თეატრი. სხვათა შორის, ტყიბულს ყოველთვის კარგი თეატრი ჰქონდა და იქ თამაშობდა სპექტაკლებში. რაც შეეხება დედას, იჯდა თავისთვის და კერავდა. ახალგაზრდას დააკლდა თვალთ და, მახსოვს, მთხოვდა ხოლმე, ნემსში ძაფი გამეყარა, სხვათა შორის, სიბერეში უფრო კარგად ხედავდა. 86 წლის გარდაიცვალა. ექვსი შვილი გაგვზარდა. სამტრედიის რკინგზის სკოლაში ვსწავლობდი, იქ იყო რკინიგზის კულტურის სახლი, სადაც კარგი მსახიობები იყვნენ. მყავდა არაჩვეულებრივი პედაგოგი – ალექსანდრე მიქელაძე, ეს ის პიროვნება გახლდათ, რომელმაც ილია ჭავჭავაძის მკვლელის დაკითხვის ოქმი ნახა. ბაზარში ხორცი იყიდა და იმ ქაღალდებში გაუხვიეს. ფუსფუსა კაცი იყო და, რასაც ნახავდა, ყველაფერს კითხულობდა. გავარდა და ყასბისგან ხორცის გასახვევად მომარაგებული ქაღალდები იყიდა. გვერდები აკლდა, მაგრამ, შეაქუჩა და შეინახა. სკოლა რომ დავამთავრე, თბილისში ჩამოვედი. მამაჩემს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, რა გინდა თეატრალურშიო, არ შემწინააღმდეგებია. ჩემი სიყვარული და სწრაფვა მსახიობობისკენ განაპირობა იმანაც, რომ იმ დროს ეკრანებზე ახალი გამოსული იყო: „ბაში-აჩუკი", „საბუდარელი ჭაბუკი" და სხვა პოპულარული ფილმები, ეროსი რადიოდან გვიყვარდა ჯერ კიდევ, აზანზარებდა ყველაფერს, ისეთი დინამიური ხმა ჰქონდა. ასე რომ, მომსწრე ვიყავი ამ მოვლენების და ამ ყველაფერმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თეატრალურში ძალიან კარგი ჯგუფი ვიყავით: მე, ნანული სარაჯიშვილი, ასმათ ტყაბლაძე, გია ფერაძე... პირველი სპექტაკლი იყო საკურსო „მზის შვილები", „ძუნწი", „ძია ვანია". ამის შემდეგ წავედი ქუთაისის თეატრში. თავიდან მოზარდ მაყურებელთა თეატრში გამანაწილეს, მაგრამ, მერე საშა მიქელაძემ თქვა: არა, არ გინდა მოზარდში, წადი და თეატრში სერიოზული როლები ითამაშეო. ათი წელი ვიყავი ქუთაისის თეატრში. მერე, თბილისში ახმეტელის თეატრი იხსნებოდა და ახმეტელში გადმოვედი. ორი წლის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში წამოვედი, სადაც დღემდე ვარ.



დათო დვალიშვილის ცოლ-შვილი



შვილიშვილთან ერთად



მეგობარ მსახიობებთან ერთად

**– საუბარი თქვენი ბავშვობიდან დავიწყეთ, კომუნისტებიც ვახსენეთ. იმ დროს ყველა ოჯახი განიცდიდა იდეოლოგიურ ზეწოლას და სულ შიშის ქვეშ უწევდათ ცხოვრება. თქვენ რას გაიხსენებდით?**

– მახსოვს, აღდგომის დღესასწაულზე კვერცხის შეღებვას გვიშლიდნენ. წითელი კვერცხი რომ დაენახათ ჩვენს ხელში, კომკავშირის კრებაზე დგებოდა ჩვენი საკითხი. ხალხი ჩუმად დადიოდა ეკლესიებში, მალულად ნათლავდნენ ბავშვებს... საშინელი დრო იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა მაინც შემორჩნენ პატიოსანი ადამიანები, რომლებმაც აქამდე მოიყვანეს ჩვენი ქვეყანა. ღვთის მოყვარული ხალხი რომ არ ყოფილიყო, ქვეყანაც დაიღუპებოდა. ბებია მყავდა, გვარად ხელაძე. მისი ძმები მღვდლები იყვნენ. ჩვენს ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვანი დღე შობის დღესასწაული იყო – 7 იანვარი. თორმეტ საათს რომ გადასცდებოდა, სუფრას შემოვუსხდებოდით, ლოცვას წავიკითხავდით და მერე შევექცეოდით. მამიდაჩემმა რომ იცოდა სახარება, ისე, ალბათ, არავინ იცის. ძალიან პატარა მომნათლეს მამაჩემის მეგობარმა დავით ბესილიამ და მამიდასაც მოვუნათლივარ. ექვსი დედმამიშვილი ვიყავით, მე მამიდას გაზრდილი ვარ და მან წამიკითხა პირველად სახარება. ეს იყო უძველესი სახარება, 1888 წელს გამოცემული. როდესაც მიკითხავდა, ბევრი რამე, რაც არ მესმოდა, მიხსნიდა. ძალიან კარგი ადამიანი იყო და, საერთოდ, ძალიან ბევრი რამ მან მასწავლა. ის სახარება ახლა მე მაქვს სახლში. ჩემთვის ეს წიგნი ყველაფერს ნიშნავს. ბედნიერი კაცი ვარ, რომ პატრიარქი ჩემი გვარის განათლულია – მისი ნათლია გვარად დვალიშვილი ყოფილა. ერთხელ, თეატრში იყო და ასეთი რამე მითხრა: ჩემი ნათლიის ფეხებში ვარ გაზრდილიო. როცა გავიგებ, რომ სადმე შეკრებაა და პატრიარქი ჩვენი პროფესიის ხალხს ხვდება, მეც დიდი სიამოვნებით მივდივარ იქ.



შვილიშვილთან ერთად





მეგობრებთან ერთად

**– ათეული წლებია, სცენაზე დგახართ.**

**მაყურებელი უყურებს სპექტაკლს, მაგრამ, არაფერი იცის, რა ხდება კულისებში. ალბათ, გქონიათ პატარ-პატარა უთანხმოებები, გაუგებრობები მსახიობთან ან რეჟისორებთან.**

– თეატრშიც და კინოშიც ყოფილა პატარა გაუგებრობები, მაგრამ, სერიოზული არაფერი. ახალი ჩასული ვარ ქუთაისში და დაიდგა „ნაცარქექია". საგრიმიოროში ვსხედვართ, გრიმს ვიკეთებთ. ერთი მეუბნება, უჯრაში ნახე რა გიდევსო. რა მიდევს-მეთქი – გამოვწიე უჯრა და მერცხალი ამოფრინდა. შემოფრენილა საგრიმიოროში, დაუჭერიათ და უჯრაში ჩაუსვამთ. მოვაბი ფეხზე ბაწარი. ჩემი გმირი სცენაზე დარბის, „რაგატკას" ისვრის და თავისთვის მღერის: „ჰერი, ჰერი".. ეს მერცხალი კი მიზის მხარზე მიმინოსავით. არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ, იმ მიზანსცენაში კარგად ჩაჯდა, იმპროვიზაცია გამოვიდა. უცებ, გამისხლტა მერცხალი ხელიდან და დაიწყო დარბაზში ფრენა. ჩაშლამდე მივიდა სპექტაკლი, იმიტომ, რომ მთელი ყურადღება მა-


მეუღლესთან და ახლობლებთან ერთად

სზე გადავიდა. თეატრიდან ვერ გამაგდეს, ან, რაში აწყობდათ ჩემი გაგდება. შეიკრიბა სამხატვრო საბჭო, ჩემს საქმეს იხილავენ – გუშინ, დვალიშვილმა სცენაზე გააფრინაო... და, ატყდა სიცილი. ასე რომ, გადავრჩი. ერთხელ ასეთი რაღაც მოხდა და ეს იყო ჩემთვის კარ-


ჯვრისწერა

გი გაკვეთილი. ხდება ხოლმე, ახალგაზრდა რომ ხარ, აგივარდება თავში – ერთ-ორ წარმატებას რომ ნახავ, გგონია, მე ვარ ყველაფერიო და ნასვამი მივედი. პიესა იყო ასეთი – „მკვლელობა სადგურზე". ებრაელს ვთამაშობდი, ძალიან კარგი სახე იყო და ბევრი მაყურებელი ჰყავდა, ტიროდნენ. ციხის შესახებ იყო, როგორც „თეთრი ბაირაღები". მივედი, ჩავიცვი ციხის ტანსაცმელი, ოთახში ტახტი იდგა და წამოვწექი – ერთი საათით ადრე ვარ მისული და ჩამძინებია. მაღვიძებენ, ადექიო. ავდექი და მივდივარ სცენისკენ. სად მიდიხარ, დამთავრდა სპექტაკლიო. თურმე იმდენ ხანს მაღვიძებდნენ და ვერ გამაღვიძეს. თეატრში თუ რამე „ჩეპე" მოხდებოდა, ყველა მსახიობი ვალდებული იყო, სცენაზე გასულიყო და არ გაეფუჭებინა სპექტაკლი. ამასაც რაღაცნაირად გადავრჩი. ის დღე იყო და ის დღე, თეატრში ნასვამი აღარ მივსულვარ.

**– ბევრ ფილმში ხართ გადაღებული. ალბათ, კინოშიც ისეთივე საინტერესოა თქვენთვის მუშაობა, როგორც თეატრში.**

– კინოში ძალიან საინტერესოა, როცა ბევრ სახეს ქმნი, შეგიძლია, ბევრი თვისება ნახო შენს თავში და თეატრი ამის საშუალებას უფრო მეტად გაძლევს, საკუთარ თავში, ტვინსა და გულში იჩიჩქნო, შენი ნერვები აწვალო. გარდა ამისა, ძალიან მიყვარს სუფრა, მეგობრებთან ერთად ქეიფი, სიმღერა, ხელის გაშლა, სადღეგრძელოები და ახლა ამის საშუალება აღარ მაქვს – ძალიან ადრე დავჯექი დიეტაზე, ოჯახისა და თეატრის ჭკუაზე დავდივარ. სცენას ბევრი ჯაფა სჭირდება, ხუთი ადამიანის სიცოცხლე და ჯანი, რომ კარგი გამოვიდეს.

**– რომ შეიძლებოდეს წლების უკან დაბრუნება, რა მონაკვეთიდან დაიწყებდით ცხოვრებას?**

– არა, რა გაივლის კიდევ იმ გზას, ახლა იქით მინდა ვნახო, რა ხდება. რატომ უნდა დავიწყო თავიდან, როცა მეუბნებიან, რომ იქ-


დათო დვალიშვილი ძმაკაცებთან ერთად

ით კარგი ცხოვრებაა, მარადიული?! 64 წელი არც ისე ბევრი და არც ისე ცოტაა, მაგრამ, მაინც კმაყოფილი ვარ იმ ცხოვრების, რაც გავიარე. აი, შეყვარებული რომ ვიყავიო... – ზოგმა შეიძლება ინატროს. შეყვარებული რომ ვიყავი, იმის გადატანა არ გინდა მეორედ?! შეყვარებული ადამიანის ცხოვრება არის ტანჯვა და მე ეს ტანჯვა გამოვლილი მაქვს. სხვა მხრივ, რა ვიცი, მართლა რომ შეიძლებოდეს ცხოვრების თავიდან დაწყება, უფრო მეტ განათლებას მივიღებდი.

**ეკა პატარაია**

(ოცდამესამე გვერდიდან)

საქველმოქმედო საზოგადოებას ეკუთვნოდა და იქ განთავსებული იყო ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. საზოგადოება 1846 წელს მაშინდელი მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის მეუღლის, ელიზავეტა ვორონცოვას მიერ იყო დაარსებული, ინსტიტუტის პირველი შენობა კი მაშინდელი ერმოლოვის და ამჟამინდელი ჩიტაძის ქუჩაზე 1846 წლის 5 მაისს გაიხსნა. შემდგომში, როგორც ჩანს, შენობა ვერ აკმაყოფილებდა ინსტიტუტის მოთხოვნებს და ის გადაკეთდა იმ სახით, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. შენობის საზეიმო გახსნა 1883 წლის 2 ოქტომბრით არის დათარიღებული. ინსტიტუტში 8-12 წლის ასაკის გოგონებს იღებდნენ და სხვადასხვა საგანს ასწავლ-


ერმოლოვის (ამჟამინდელი ჩიტაძის) ქუჩა (1900-იანი წლები)

იდნენ. კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი იმ დროის თბილისის ერთ-ერთ უპრესტიჟულეს სასწავლებლად ითვლებოდა.

# ვინ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ხუროთმოძღვარი და სად მდებარეობდა ალექსანდრე მანთაშევის სავაჭრო სკოლა

## მანთაშევის სავაჭრო სკოლა

ალექსანდრე მანთაშევი ცნობილი თბილისელი მეწარმე იყო, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის განაშენიანებაში. მას არაერთი ცნობილი შენობის მშენებლობა დაუფინანსებია და მათ შორის გახლდათ თბილისის სავაჭრო სკოლა, რომელიც თბილისელი ვაჭრების საზოგადოების მიერ, ალექსანდრე მანთაშევის ფულით აშენდა და მის სახელს ატარებდა. 1910 წელს არქიტექტორ გაზაროს სარქსიანის პროექტით ბებუთოვის ქუჩაზე (ამჟამად ლადო ასათიანის ქუჩა) აშენებული შენობა მანთაშევის უსაყვარლესი ნაგებობა იყო, რომლისთვისაც მას არც ხარჯები და არც დრო არ დაუზოგავს. სავაჭრო სკოლა იმ დროის ტფილისის სკოლებს შორის გამორჩეული გახლდათ. ის აღჭურვილი იყო იმ დროისთვის უახლესი ტექნიკით: ჰქონდა საუკეთესო ლაბორატორიები, კაბინეტები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და ბუფეტი. შენობას ამშვენებდა ბრინჯაოსგან დამზადებული დაფა, რომელზეც ეწერა, რომ სავაჭრო სკოლა 1910 წლის 1 ივლისს ააგო თბილისის ვაჭართა საზოგადოებამ მისი უდიდებულესობა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მთავარმმართებლად მსახურობის დროს და ალექსანდრე მანთაშევის ფინანსური დახმარებით. სამწუხაროდ, 1911 წელს ალექსანდრე მანთაშევი გარდაიცვალა და სკოლას მისი სახელი ეწოდა. 1922 წლამდე, გარდაცვალების დღეს, 19 აპრილს, მანთაშევს სკოლაში პანაშვიდს უხდიდნენ, თუმცა, საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ეს ტრადიცია დაირღვა. როგორც დაიკარგა მანთაშევის ბიუსტი, რომელიც 1922 წლამდე სკოლის ვესტიბიულში იდგა. ამჟამად მანთაშევის სავაჭრო სკოლაში თბილისის 43-ე სკოლაა განთავსებული.


თბილისის 43-ე სკოლის (ყოფილი მანთაშევის) სავაჭრო სკოლის თანამედროვე ხედი

**უშანგი რუხაძე**



**როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, ისინი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევენ, ამ დროს კი შეცდომის დაშვება ცხოვრების დანგრევის ტოლფასია. როგორც ქალბატონი ნელი ამბობს, ოჯახში დაწყებული უსიამოვნებები და განქორწინებაც კი, უხილავი ენერგეტიკული სამყაროს შედეგია, რომელიც თითოეული ადამიანის გარშემო ტრიალებს. ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბედნიერი ქორწინების საფუძველია პარტნიორების ენერგეტიკული ველის ისეთი შერწყმა, როცა ორ ადამიანს შორის ერთი საერთო ენერგოველი წარმოიქმნება, რომელიც მათ აახლოებს და იცავს. ასევე, გარკვეული მინიშნება შეიძლება აღმოვაჩინოთ იმაში, თუ რომელ თითზე ატარებს ადამიანი ბეჭედს.**

# რა ინფორმაციას გაწვდით საყვარელი ადამიანის ბავშვობის სურათები და მის კონკრეტულ თითზე გაკეთებული სამკაული

**ნელი**: ბევრმა არ იცის, რომ სიყვარული ის გრძნობაა, რომელიც იმის აუცილებლობას არ გამორიცხავს, რომ ყურადღებით მოეკიდოთ მომავალი პარტნიორის ენერგეტიკული ველის თავისებურებას. უმჯობესია, ეს მანამ გაარკვიოთ, სანამ დაქორწინდებით და ერთ ჭერქვეშ დაიწყებთ ცხოვრებას. ასე იმიტომ უნდა მოიქცეთ, რომ სამომავლოდ, საბედისწერო შეცდომებისგან თავი დაიზღვიოთ.

**– როგორ მივხვდეთ, რამდენად მისაღებია ენერგეტიკულ დონეზე ესა თუ ის ადამიანი?**

– ამის გარკვევა არ არის რთული, თუმცა, დაკვირვებული თვალი აუცილებელია. ერთ-ერთი, ყველაზე საშიში სიმპტომია, როცა თქვენს რჩეულთან ინტიმური ურთიერთობის შემდეგ, თავს გადაღლილად იგრძნობთ. თუ ეს სიტუაცია სისტემატურ ხასიათს მიიღებს, აუცილებელია, დაფიქრდეთ, რა იწვევს ამას. ეს მიუთითებს, რომ თქვენი პარტნიორი ენერგეტიკულად აბსოლუტურად განსხვავდება თქვენგან. ის თქვენგან გაცილებით მეტ ენერგიას იღებს – იმაზე მეტს, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ, გასცეთ. მისგან წამოსული ენერგია კი იმაზე მეტია, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ და ეს თქვენში არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს. ყოველივე ზემოთქმული, საერთო ჯამში, ორ ადამიანს შორის ენერგეტიკულ შეუთავსებლობას იწვევს და კონფლიქტები, გაუგებრობები ამიტომ იზრდება. ორ ადამიანს შორის შეუთავსებლობის მეორე მიზეზი კარმაა. ამ დროს ორმაგი სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ. მაგალითად, თუ თქვენ დიდი რაოდენობით კარმული ვალი გადმოგეცათ წინაპრებისგან, ბედ-იღბალში სიკეთესა და ბედნიერებას ნუ ელით. ეს თქვენს შვილებზეც უარყოფითად აისახება და მათ ბედ-იღბალშიც შეიტანს ნეგატიურ შტრიხებს. მათზე არა მარტო თქვენი, არამედ თქვენი მეუღლის კარმაც მოქმედებს და ეს ორმაგი დარტყმის ტოლფასია. ბევრი მეკითხება, როგორ გამოვიცნო, კარმულად ცოდვილია თუ არა ჩემი რჩეულიო. დააკვირდით თქვენი რჩეულის ბავშვობის სურათებს – თუ ის გარეგნულად ძალიან შეცვლილია, ესე იგი, წინაპართა კარმული ვალები გადმოეცა შთამომავლობით. კარმული ვალების გამოსწორება კი დამოკიდებულია ადამიანის საქციელზე. თუ ცუდად და არაადეკვატურად მოქმედებს, მაშინ მდგომარეობა რთულდება და ამით მომავალ თაობასაც უქმნის საფრთხეს. ამიტომ, უნდა იფიქროთ, არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ თქვენს მომავალზეც და შვილების ბედ-იღბალზეც.

**– ესე იგი, გამოდის რომ ბედნიერი ქორწინება წყვილებს შორის ენერგეტიკულ შეთავსებაზეა დამოკიდებული?**

– ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბედნიერი ქორწინების საფუძველია პარტნიორების ენერგეტიკული ველის ისეთი შერწყმა, რომლის დროსაც საერთო ენერგოველი, საერთო აურა წარმოიქმნება. ის მათ კიდევ უფრო აახლოებს და იცავს ცუდი გარემოებებისგან. ასეთ შემთხვევაში ოჯახიც მყარია და მეუღლეებიც ჰარმონიაში ცხოვრობენ. ჯობია, წინააღმდეგობების გაწევის ნაცვლად, მეუღლეებმა, ერთმანეთი შეავსონ და ეცადონ, ურთიერთობებში დათმობაზე წავიდნენ, ისე, არაფერი გამოვა. ოჯახის დანგრევას კი, უმეტეს შემთხვევაში, ცუდის გარდა, არაფერი მოაქვს. აქვე გეტყვით, რომ ასევე არსებობენ ენერგოვამპირი ადამიანები. თუ ორივე პარტნიორი ენერგოვამპირია, აქ საქმე უფრო რთულდება – ასეთი ადამიანები ქვეცნობიერ დონეზე ისრუტავენ გარშემო მყოფთა ენერგიას და, შესაბამისად, მათ ენერგეტიკაზე უარყოფითად ზემოქმედებენ. დონორი კი მათი საწინააღმდეგო ტიპია – ის, პირიქით, ენერგიით ამარაგებს სხვებს. ორი ენერგოვამპირის კავშირი თავიდანვე განწირულია, რადგან თითოეული ეცდება პარტნიორისგან ენერგიის გამოწოვას, სანაცვლოდ კი, არაფერს გაიღებენ. ასეთ ოჯახში ენერგეტიკული პოტენციალი ნელ-ნელა სუსტდება, იმატებს კონფლიქტები. ენერგოვამპირების მსგავსად, შესაძლოა, განქორწინებით დასრულდეს ორი დონორი ადამიანის თანაცხოვრებაც. თუ ხშირად არის ოჯახში ჩხუბი, აყალმაყალი, ხმამაღალი საუბარი, ჩათვალეთ, რომ იქ ორი ენერგეტიკულად აქტიური დონორი ცხოვრობს. იდეალური ვარიანტი, რომელიც ქმნის ჰარმონიულ ოჯახს, ენერგოვამპირისა და დონორის კავშირია. ასეთ შემთხვევაში, ერთი ქვეცნობიერად გამოყოფს ურთიერთობისთვის საჭირო და აუცილებელ დოზას, მეორე კი ასევე ქვეცნობიერად შთანთქავს. ამიტომ, როცა ცხოვრების თანამგზავრს ირჩევთ, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება მის წინაპარს, ოჯახს და, რჩეულთან ურთიერთობის დროს საკუთარი გუნება-განწყობის ცვალებადობას. კონკრეტული ადამიანის ენერგეტიკის ცოდნა დაგეხმარებათ იმაში, რომ თავი აარიდოთ მომავალ უსიამოვნებებს. პირადად მეც, გაშორებული ვარ მეუღლესთან და ამას ძალიან განვიცდი.

**კარმული ვალების გამოსწორება დამოკიდებულია ადამიანის საქციელზე. თუ ის ცუდად და არაადეკვატურად მოქმედებს, მაშინ მდგომარეობა რთულდება და ამით მომავალ თაობასაც უქმნის საფრთხეს**

**– გამიგია, იმას, თუ რომელ თითზე ატარებ ბეჭედს, გარკვეული დატვირთვა აქვს და ის ადამიანის ბედზე ახდენს ზეგავლენასო. ამაზე რას გვეტყვით?**

– გიპასუხებთ: ბეჭედი არათითზე, ანუ „ოჯახური მდგომარეობა" – საქორწინო ბეჭედი შეიძლება გეკეთოთ როგორც მარჯვენა ხელის არათითზე, ასევე მარცხენა ხელზეც. ეს დამოკიდებულია თუ რომელი ქრისტიანული რწმენის შტოს განეკუთვნები. ხარ მართლმადიდებელი, პროტესტანტი თუ კათოლიკე. თავდაპირველად, ეს ტრადიცია ძველ ეგვიპტეში დაინერგა. მათ სჯეროდათ, რომ ამ თითიდან გადის სიყვარულის არტერია და უკავშირდება გულს, ამიტომ ეგვიპტელები ქორწინების ბეჭედს იმზადებდნენ სხვადასხვა ლითონისგან, შუშისა და კერამიკისგან. რომში ტრადიციული საქორწინო ბეჭედი მზადდებოდა რკინისგან. ჩვენთვის კარგად ცნობილი ოქროს ბეჭდები შემოიღეს მესამე-მეოთხე საუკუნეებში; საჩვენებელი თითი – „ძალაუფლება". საჩვენებელ თითზე ბეჭედი სიამაყის, ძალაუფლებისა და ძლიერი ხასიათის ნიშანია. „ძალაუფლების ბეჭედი" – მარჯვენა ხელზე მეტყველებს სწორად მოაზროვნე ადამიანზე, მაცხენა ხელზე კი ძალაუფლების მანიასა და ისტერიკულ ხასიათზე. ბეჭედი საჩვენებელ თითზე ეკეთა – ცეზარს, რიშელიესა და ჰენრიხ მერვეს. ჰენრიხს ბეჭედი ეკეთა ორივე ხელზე და ცნობილი იყო როგორც დიდებული მონარქი, რეფორმატორი და პარანოიკი; შუა თითზე – „ყველაზე მშვენიერი". ყველაზე გრძელი, ცენტრალური ყველაზე კარგად ახდენს სამკაულის დემონსტრირებას და იმასაც, თუ რამდენად მოსწონს თავი მის მფლობელს. ბეჭედი სწორედ შუა თითზე ეკეთა მერლინ მონროს, როცა მღეროდა ბრილიანტებზე. სხვათა შორის, ბეჭდის ზომასაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რაც უფრო დიდია ბეჭედი, მით უფრო მეტად ცდილობს მისი მფლობელი დაარწმუნოს გარშემო მყოფები თავის სილამაზეში; ბეჭედი ცერ თითზე – საინტერესოა მით უფრო მეტად თუ ბეჭედი ამ თითზე მამაკაცს უკეთია. ამ თითზე ბეჭდის მფლობელის მთავარი მიზანია, დაიცვას თავისი პოზიციები ნებისმიერი ხერხით, ნებისმიერ სფეროში და უპირველესად – სექსუალურობაში; ბერძნები და რომაელები ხელის დიდ თითს ფალოსის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ და მასზე ბეჭედს იკეთებდნენ სექსუალური ძალის დასაცავად; ნეკი – ყველაზე მინიატურულია. ბეჭედი ნეკა თითზე – „შემოქმედებითი ნიჭი" – უკეთიათ მსახიობებს, მხატვრებს, დიზაინერებს.

**ნონა დათეშიძე**

## დღიური... ცოლებისთვის!

უბრალოდ, წაიკითხეთ – ვინ იცის, იქნებ რამე რაციონალური და თქვენთვის მისაღები იპოვოთ. ხოლო, თუ გაითვალისწინებთ კიდეც, ცუდი ნამდვილად არ იქნება.

1. გახსოვდეთ – ქმარიც ადამიანია. შეიძლება, თავი მასაც სტკიოდეს, ჰქონდეს კრიტიკული მომენტები და „ჩავარდნები“ განწყობაში.

2. სანამ ქმარს შენიშვნას მისცემთ და საყვედურებით აიკლებთ, გაიხსენეთ საკუთარი შეცდომები და ჩვევები, რომლებიც, შესაძლოა, იმასაც აღიზიანებდეს.

3. არა უშავს, თუ ზოგჯერ მისი ნივთები უწესრიგოდ ყრია და ვერც ის შეაფასა ჯეროვნად, როგორი გულმოდგინებით დაუუთოეთ პერანგები. თქვენც ხომ არ აღფრთოვანდით მისი ნაჩუქარი სუნამოთი?!

***P. S.* ნუ დაგავიწყდებათ: რაც უფრო ხშირად მოეფერებით ქმარს და გაამხნევებთ თუნდაც დაუმსახურებელი კომპლიმენტებით, მით უფრო ადვილი გახდება მისი გაწვრთნა.**

***გიყვართ, ხომ, დედა? – ზუსტად ასე უყვარს თავისი დედა თქვენს ქმარსაც. თუ მასზე კარგს არ ამბობთ, ცუდსაც ნუ იტყვით. თქვენი ქმარი, შესაძლოა, არ ლაპარაკობდეს დედიკოს მძიმე ხასიათზე, მაგრამ, ყველაფერს ხედავს (დააფასებს თქვენს სიჩუმესაც).***

***არ გალანძღოთ და არ გაჭოროთ ქმარი გარეშე პირებთან, ნათესავებთან და თუნდაც უახლოეს მეგობრებთან. თუ მასში რამე არ მოგწონთ, ნუ ეტყვით მოწმეების თანდასწრებით, სკანდალისა და დამრიგებლური ტონის გარეშე. ნუ იქნებით მწვრთნელის როლში. გაწვრთნაზე ნუ იტყვით უარს, მაგრამ, ეს ფარულად გააკეთეთ – დაე, ეგონოს, რომ თქვენი წარმმართველი და მესაჭე თავად არის.***

## საქმიანი სიახლოვე...

საქმიანი ადამიანების უმრავლესობა თავისი დროის დიდ ნაწილს სამსახურში ატარებს. შესაბამისად, ყველაზე მეტი სიახლოვე იმათთან აქვს, ვის გვერდითაც დღის განმავლობაში ზის და ურთიერთობა აქვს. როცა თანამშრომლები საპირისპირო სქესის წარმომადგენლები არიან, გამორიცხული არ არის, მათ შორის „ნაპერწკალმაც“ იელვოს...

რა პლუსები და მინუსები აქვს სამსახურებრივ რომანს? ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ასეთი ურთიერთობა საკმაოდ საფრთხილოა, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ იშვიათად, ბედნიერი ბოლო აქვს ხოლმე. თუმცა, როცა საჯარო ადგილას რომანი ვითარდება, ანუ, ყველა მოქმედება საზოგადოების თვალწინ ხდება, სიტუაცია ძირითადად დაძაბული და ზოგჯერ ფეთქებადსაშიშია.

დავთვალოთ პლუსები:

პირველი და მთავარი: შესაძლებლობა გაქვს, საყვარელი ადამიანი ყოველდღე ნახო, თანაც, ყოველგვარი წვალების ან ზედმეტი ხარჯის გარეშე; ასევე, საშუალება გეძლევა, კარგად გაიცნო, შეისწავლო მისი თვისებები და ხასიათი (მით უმეტეს, თუ სიყვარულის გამჟღავნებამდე, წინასწარ კარგად დააკვირდები და აცდი, ბოლომდე გამოავლინოს საკუთარი თავი). კარგია, როცა ხედავ, როგორ იქცევა კამათის, გაუგებრობის, კონფლიქტის დროს; როგორ ახერხებს გამოსვლას რთული და კრიზისული სიტუაციებიდან. არის თუ არა კრეატიული, ინიციატივიანი. თუ გადაწყვეტთ, რომ სამსახურებრივი რომანის სტრესებს გაუმკლავდებით, გაუძლებთ მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნას, შეეგუებით იმას, რომ თქვენი ურთიერთობა მუდმივად იქნება განხილვის თემა, მაშინ თამამად გადადგით ეს ნაბიჯი, მით უმეტეს, თუკი სიყვარულიც იჩენს თავს და ორივეს გული თავისუფალი იქნება. ფსიქოლოგები რადიკალურად მიიჩნევენ სამსახურებრივ რომანს დაქორწინებულ ადამიანებს შორის, მით უფრო, რომ ეს მორალის თვალსაზრისითაც ქმნის უხერხულობას.

## იყო, არის და იქნება...

... რომანი და ფლირტი თანამშრომლებს შორის იყო, არის და ყოველთვის იქნება. როცა ადამიანის გვერდით დღეში რვა საათი მაინც ხარ, ან სიმპათია გაგიჩნდება მის მიმართ, ან დაუმეგობრდები, ან შეგიყვარდება. ეს ბუნებრივია, თუმცა, არა კანონზომიერი.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ „სამსახურებრივი რომანები“ უფრო აქტუალური ბიზნესსფეროს წარმომადგენლებშია, 18-დან 24 წლის ასაკში.

სოციოლოგებმა გამოარკვიეს, რომ ამ ტიპის ურთიერთობებს ნორმალურად მიიჩნევს საზოგადოების 15-20 პროცენტი – ძირითადად ისინი, ვისაც მსგავსი გამოცდილება აქვს. თუმცა, მათი უმრავლესობა იმაშია დარწმუნებული, რომ, როცა „სამსახურებრივი რომანი“ „ჰეფი ენდით“ არ მთავრდება, ისეთი უხერხული სიტუაცია იქმნება, რომ ერთ-ერთს სამსახურის დატოვება უწევს, რათა დაძაბულ სიტუაციას თავი გაარიდოს. ოფისში რომანტიკული ურთიერთობა ერთფეროვნების გახალისების მიზნით, არასდროს მთავრდება პოზიტივით, განსაკუთრებით, როცა წყვილებიდან ერთი ან ორივე დაოჯახებულია. ამ დროს, შესაძლოა, ისეთი „ხანძარი“ აგიზგიზდეს, მარტო იმ ორმა „დამნაშავემ“ კი არა, დანარჩენმა თანამშრომლებმაც მიიღონ მაღალი ხარისხის დამწვრობა. ევროპაში უკვე ზრუნავენ იმაზე, რომ სამსახურებში ამ ტიპის ურთიერთობები შეზღუდონ, რადგან, დარწმუნდნენ, რომ ის ჯანსაღი სამუშაო ატმოსფეროს მტერია. თუმცა, როცა საქმე ჭეშმარიტ სიყვარულთან გვაქვს, მას ველარაფერი, ვერანაირი სოციალური კვლევა და აკრძალვა ვერ დაუდგება წინ. მთავარია, კეთილგონიერებისა და ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ.

## თქმა ადვილია... შესრულება?!

არსებობს აკრძალვები? – პირდაპირი და კონკრეტული პასუხი ამ კითხვაზე გვაქვს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალიან ფართო სფეროს მოიცავს და, მეორეც – ერთმნიშვნელოვნად, რეალობა გვიჩვენებს, რომ აკრძალვები არსებობს. თითოეულ ადამიანში აუცილებლად არის ჩადებული აკრძალვის მექანიზმი, რომელიც ავტომატურად ირთვება. თანაც, წინასწარ თითქმის ვერასდროს მიხვდები, როდის ან რაზე „ჩაირთვება,“ თუმცა, ამჟამად საუბრის თემა ეს არ არის. არსებობს ერთი აკრძალვა, რომელზეც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ეღიმებათ ხოლმე (გულში მაინც, აშკარად თუ არა): „ნუ ეცდები, ლოგინში შეითრიო ქალი, რომელიც შენი ცოლი არ არის!“ კიდევ უფრო გულიანად თუ გაგეცინათ, მოგახსენებთ შედეგებზე, რომელიც საკუთარი თავისთვის ამ აკრძალვის არდაწესებას მოჰყვება. დავიწყოთ იმით, რომ ეს თითქმის „შავი ყუთის“ გახსნის ტოლფასია – მერე ველარ იტყვით, ეს ის არ არის, რაც შენ გეგონაო. ამიტომ, სანამ სიამოვნებას მიიღებდეთ, კარგად დაფიქრდით; გაითვალისწინეთ, რომ ეს ის სიამოვნებაა, რომელზეც საკუთარი ნერვებით უნდა გადაიხადოთ, თანაც – შორს მიმავალი შედეგებით. თუ გიღირთ – თქვენი ნებაა.

მეორე მხრივ, სათქმელად ადვილია, ამას არ გავაკეთებო, შესრულება კი ძალიან ძნელია. პოლიგამია ის საკითხია, რომელიც მარადიული კამათის თემად რჩება. თქვენ კი, გაუფრთხილდით ნერვებს!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რისი შიშები აქვს ჯასტინ ტიმბერლეიკს და რატომ იჭრის ის საკუთარი ხელით თმას

*ჯასტინ ტიმბერლეიკმა მუსიკაში დაბრუნების განცხადება გააკეთა. უკანასკნელი ალბომის გამოშვებიდან შვიდი წელი გავიდა და მას შემდეგ პოპ-ვარსკვლავი მთლიანად კინოკარიერის აწყობაზე იყო გადართული, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა. ამჟამად ჯასტინი ახალ ალბომზე მუშაობს, რომლის პირველი სინგლი უკვე გამოვიდა და დიდი მოწონება დაიმსახურა. ახალი ფირფიტის გამოსვლამდე კი, მის თაყვანისმცემლებს მომღერლისა და მსახიობის შესახებ გავრცელებულ საინტერესო ფაქტებს გაგაცნობთ.*



* ჯასტინ ტიმბერლეიკი დაიბადა 1981 წლის 31 იანვარს ტენესის შტატში, ქალაქ მემფისში.

* მისი მეტსახელებია: „ხუჭუჭა", „ჩვილი", „მისტერ მიმზიდველობა".

* ჯასტინის მშობლები დიდი ხნის წინ დაშორდნენ ერთმანეთს და ამჟამად საკუთარი ოჯახები აქვთ. ჯასტინს ორი ნახევარძმა ჰყავს: ჯონათანი და სტივენი.

* ჯასტინ ტიმბერლეიკმა მუშაობა 12 წლის ასაკში დაიწყო – ის მღეროდა და ცეკვავდა ამერიკულ ტელეშოუში „მიკი მაუსის კლუბი."

* ბრიტნი სპირსი, თავისი პირველი და უკვე ყოფილი მეგობარი გოგო ჯასტინმა გაიცნო ტელეშოუში „მიკი მაუსის კლუბი." მათთან ერთად იმ პერიოდში შოუ-ბიზნესის კიდევ ერთი ვარსკვლავი – კრისტინა აგილერა მღეროდა.

* ჯგუფ „ენსინქის" წევრები ჯასტინმა „მიკი მაუსისი კლუბში" გაიცნო, პირველი იყო ჯეი სი, რომელიც ამავე შოუში მღეროდა, ხოლო ლენსი, კრისი და ჯოი მათ მოგვიანებით შეუერთდნენ და ასე ჩამოყალიბდა 90-იანების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში პოპულარული ბოიზ-ბენდი.

* ჯასტინ ტიმბერლეიკის საყვარელი სპორტის სახეობაა კალათბურთი, იგი „ორლანდო მეჯიქის" ქომაგია.

* საყვარელი კერძები: შემწვარი ქათამი, სპაგეტი და ბრინჯის ფაფა.

* ჯასტინ ტიმბერლეიკის სიმაღლე 185 სანტიმეტრია.

* „ენსინქის" წევრებს შორის ჯასტინი ყველაზე ნიჭიერი იყო იუმორის საკითხში, იგი „დისნეის" პერსონაჟის – გუფის პაროდიას აკეთებდა და ჯგუფის წევრებს სცინებდა.

* საყვარელი დღესასწაული – შობა.

* ელტონ ჯონმა პირადად შეარჩია ჯასტინ ტიმბერლეიკი თავის კლიპში გადასაღებად. ჯასტინმა ახალგაზრდა ელტონი განასახიერა.

* სხვადასხვა დროს ჯასტინ ტიმბერლეიკს რომანები ჰქონდა შოუ-ბიზნესის არაერთ ვარსკვლავთან. ესენი არიან: ბრიტნი სპირსი, ალიას მილანო, ემა ბანტონი, ტონი მიტჩელი, ჯენა დევეინი, კაილი მინოუგი, ჯანეტ ჯექსონი და კამერონ დიასი.

* ჯასტინ ტიმბერლეიკი ბაპტისტია.

* ჯასტინის სტაბილური წონაა 77 კილოგრამი.

* ჯასტინის სახლში ორი შინაური ცხოველი ბინადრობს: კატა ელისი და ძაღლი – ოზი.

* ჯასტინ ტიმბერლეიკის საყვარელი ავტომობილის მარკაა „მერსედესი".



* მიუხედავად იმისა, რომ ჯასტინი ჯერ მხოლოდ 31 წლისაა, მისი ცხოვრების შესახებ რამდენიმე წიგნია გამოცემული. რამდენიმე ხნის წინ მომღერალმა დააანონსა, რომ ავტობიოგრაფიულ წიგნზე დაიწყო მუშაობა.

* ჯასტინ ტიმბერლეიკის საყვარელი კინოფილმია: „კივილი".

* ჯასტინ ტიმბერლეიკის ნახევრადშეჭმული ფრანგული ტოსტი ინტერნეტ-აუქციონ „იბეიზე" 3 000 დოლარად გაიყიდა.

* ჯასტინ ტიმბერლეიკი რამდენიმე პრესტიჟული მუსიკალური პრემიის ლაურეატია: „ემტივი ევროპის" ორი პრემია, „ემტივი მიუზიქ ევორდსის" ოთხი პრემია, რამდენიმე „ემი" და „გრემი". იგი დასახელებულია პლანეტის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად „კოსმოპოლიტენის", „ელისა" და „თინ ფიფლის" მიერ.

* ჯასტინ ტიმბერლეიკი ფეხბურთის მოყვარულია და ინგლისურ კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედს" ქომაგობს.

* ტიმბერლეიკს საკუთარი რეკორდ-ლეიბლი აქვს – „ტენმენ რეკორდსი" და საკუთარი ტანსაცმლის ხაზი – „უილიამ რასტი".

* ჯასტინ ტიმბერლეიკს თავისი ორი სოლო-ალბომის 18 მილიონამდე ასლი აქვს გაყიდული, ხოლო „ენსინქში" მოღვაწეობის დროს მან 50 მილიონი ცალი ფირფიტა გაყიდა.

* ბავშვობაში ჯასტინ ტიმბერლეიკი ქანთრის ჟანრის მოყვარული იყო და თავის მომავალს ამ ჟანრში ხედავდა.

* თავისუფალ დროს ჯასტინ ტიმბერლეიკს უყვარს სერფინგი, სნოუბორდი და გოლფის თამაში.

* ჯასტინი ბიორკის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია.

* ჯასტინ ტიმბერლეიკი სპორტული სვიტერების კოლექციონერია.

* ჯასტინს „ბასკინ რობინსის" ნაყინი „დაიკირი" უყვარს.

* ჯასტინს რამდენიმე ფობია აქვს: მას ეშინია ზვიგენების, გველების, ობობების, ხმის დაკარგვისა და რბილი სათამაშოების.

* 2010 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის თეატრალურმა საზოგადოებამ ჯასტინ ტიმბერლეიკი წლის ადამიანად დაასახელა.

* ჯასტინის ბავშვობის დროინდელი კერპები მაიკლ ჯეკსონი და ელ გრინი იყვნენ.

* 2003 წლიდან 2007 წლამდე ჯასტინ ტიმბერლეიკი ჰოლივუდის ვარსკვლავ კამერონ დიასს ხვდებოდა, რომელიც მასზე 9 წლით უფროსია. წყვილი დაქორწინებას აპირებდა, თუმცა, ჯასტინის დედა ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და, საბოლოოდ, ჯასტინი და კამერონი დაშორდნენ.

* ჯასტინ ტიმბერლეიკს არ უყვარს სილამაზის სალონებში სიარული. ის საკუთარი ხელით იჭრის თმას უბრალო საკრეჭი მანქანით.

* ამბობენ, რომ ჯასტინ ტიმბერლეიკს ხანმოკლე რომანი ჰქონდა სკარლეტ იოჰანსონთან, თუმცა, ამ ინფორმაციას არც ერთი ვარსკვლავი არ ადასტურებს და ჭორს უწოდებს.

* თავისი ჰიტური კომპოზიცია „ქრაი მი ე რივერ" ჯასტინ ტიმბერლეიკმა თავის ყოფილ „გერლფრენდს" – ბრიტნი სპირსს მიუძღვნა.

* 2008 წლის თებერვლიდან ჯასტინი მსახიობ ჯესიკა ბილს ხვდებოდა. 2011 წელს წყვილმა ოფიციალურად განაცხადა, რომ დაშორდნენ და მეგობრებად დარჩნენ, თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ ისინი კვლავ ერთად შენიშნეს პაპარაცებმა, 2012 წლის ოქტომბერში კი ცნობილი გახდა, რომ ჯასტინი და ჯესიკა დაქორწინდნენ.

* 2004 წელს, „სუპერ ბოულ ჰალფ ტაიმის" შოუზე გამოსვლის დროს, ჯასტინმა თავის პარტნიორ ჯანეტ ჯეკსონს უხერხულად მოჰკიდა ხელი, რის შედეგადაც ამ უკანასკნელს ტანსაცმელი გაერღვა და მილიონობით ტელემაყურებელმა ჯანეტის შიშველი სხეულის ნაწილი – მკერდი იხილა. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა პრესასა და ტელევიზიაში.

* ჯასტინ ტიმბერლეიკი და ჯესიკა ბილი 2012 წლის ყველაზე მოდურ და გემოვნებიან ვარსკვლავურ წყვილად დაასახელეს.

**უშანგი რუხაძე**




## ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია

**ამზადებს სხვადასხვა პროფილის კადრებს:**

1. ტურიზმი, გიდი (I, II, III, IV საფეხური); 2. ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) (II, III, IV, V საფეხური); 3. კორესპონდენტი (III საფეხური); 4. მუსიკოს-რეპეტიტორი (V საფეხური).

**მიღების მოთხოვნები:**

ოთხივე სპეციალობისთვის აუცილებელია საბაზო, საშუალო ან არაფორმალური განათლების აღიარება, გასაუბრება უცხოურ ენაში; წინა საფეხურის დიპლომი; გიდისა და ინტერნეტტექნოლოგის IV და მუსიკოს-რეპეტიტორის V საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატი ზოგად უნარებში (2005 წლიდან დღემდე).

ყოველ საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

სწავლა ახალი ნაკადისათვის დაიწყება ა/წ 4 თებერვალს.

**დირექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

საბუთების მიღება ყოველდღე 10.00-17.00 საათამდე.

**საჭირო საბუთები:**

1. ატესტატი (დედანი); 2. ოთხი ფოტოსურათი 3/4; 3. პირადობის მოწმობა.

## თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი

*აცხადებს ლიცენზირებულ დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად მიღებას (მობილობის წესით), შემდეგ სპეციალობებზე:*

1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა;
5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი (ინფორმატიკა).

**ორივე სასწავლებლის შესახებ ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა # 47. ტელ: 2-93-66-03; 599-18-89-24; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24.**

**ქართველი მომღერალი, დიანა ღურწკაია, უკვე წლებია, მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და მუსიკალურ კარიერას რუსულ შოუ-ბიზნესში განაგრძობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იშვიათად ახერხებს ჩამოსვლას, მშობლიურ კუთხეს ის არასდროს ივიწყებს. უფრო მეტიც, როგორც თავად აღნიშნა, საქართველო მისთვის ყველასა და ყველაფერზე მნიშვნელოვანია. გარდა სიმღერისა, ჩვენი რესპონდენტი ფესტივალ „თეთრი ჯოხის" დამფუძნებელია და უკვე მესამე წელია, ატარებს მას. ის ახლახან დაბრუნდა დუბაიდან, სადაც დასასვენებლად და ამავე დროს საქმიანი ვიზიტით, ოჯახთან ერთად იმყოფებოდა. ამ ყველაფრის შესახებ კი, დიანა თავად მოგითხრობთ ინტერვიუში.**

# ვისთან ერთად ისვენებდა დიანა ღურწკაია ზღაპრულ სანაპიროზე და ვის ეხმარება ის ოცნებების ასრულებაში

**დიანა ღურწკაია**: დასასვენებლადაც ვიყავით წასული და თან, ჩემი ფესტივალის საქმესაც ვაგვარებდი. მინდა, კიდევ უფრო გავაფართოო და სხვადასხვა ქვეყნიდანაც ჩამოვიყვანო ბავშვები. „თეთრი ჯოხის" ფესტივალს უკვე მესამე წელია, ვაკეთებთ. დაარსების დღიდან, ფესტივალზე საქართველოდან ჩამომყავს მონაწილეები. ფესტივალის მთავარი მიზანია, დამწყებ მსახიობებსა და მომღერლებს სცენაზე დგომის სტიმული მივცეთ და ოცნებების ასრულებაში დავეხმაროთ. პირველ წელს ძალიან ნიჭიერი, უსინათლო ბავშვები გვყავდა ჩამოყვანილი, რომლებმაც საქართველო ასახელეს. მეორე წელს ასევე უსინათლო გოგონა, თამუნა თავქალამანიძე იღებდა მონაწილეობას. მან სერგეი ლაზარევთან ერთად დუეტში იმღერა. წელს კი პატარა გოგონები – მერიკო და ანი გვყავდა ჩამოყვანილი უსინათლო ბავშვთა სკოლიდან. მათ ძალიან გვასახელეს და დიმა ბილანთან ერთად იმღერეს. ამ ფესტივალის შემდეგ, ძალიან ბევრი ადამიანი გვირეკავს. იწვევენ მონაწილეებს, სთავაზობენ სამსახურს, პატიჟებენ რადიო-ტელევიზიაში და ასე შემდეგ. აი, ეს არის სწორედ ჩვენი ფესტივალის მიზანიც.

ახლა კი მოლაპარაკებებით იმას ვარკვევდით, შეგვეძლო თუ არა ფესტივალზე ნიჭიერი ბავშვების ჩამოყვანა ემირატებიდან. თანაც, კარგად დავისვენეთ. ძალიან ბევრს ვმუშაობთ და ცოტა თუ არ მივეცით თავს დასვენების უფლება, სხვაგვარად არ შეიძლება. თუმცა, ჩემი აზრით, ყველაზე კარგად ადამიანი საკუთარ სახლში ისვენებს.

**– სად იყავით წასული?**

– დუბაიდან 20 წუთის სავალზე ვარჩიეთ დასვენება. იქ სიმყუდროვე იყო. სადაც ხალხმრავლობაა, კარგად ვერ დაისვენებ, რადგან ბავშვს გაცილებით მეტი ყურადღება სჭირდება, თვალს ვერ მოაშორებ. იქ კი ძალიან მოსახერხებელი, ლამაზი ადგილი იყო, სასტუმრო სანაპიროზე იდგა, ბავშვებსაც თავისუფლად შეეძლოთ თამაში და ჩვენც მშვიდად ვიყავით. თუმცა, დუბაიში ყოველდღე გვიწევდა ჩასვლა, ბავშვები მიგვყავდა გასართობად. მთელი ოჯახი ვიყავით – მე, მეუღლე და ბავშვი. ასევე ჩემი ძმა, ბავშვითა და მეუღლით. ბავშვები სანახაობით კარგად გაერთნენ. ჩვენთვის კი, ისევე როგორც ყველა მშობლისთვის, მთავარია, ბავშვებმა დაისვენონ კარგად.

**– თქვენი შვილი რამდენი წლის არის?**

– 6 წლის გახდება ივნისში.

**– სკოლისთვის ემზადებით?**

– სკოლაში, 7 წლის რომ გახდება, მაშინ შევიყვანთ. მინდა, კარგი სკოლა შევურჩიო, რადგან სკოლიდან იწყება ყველაფერი. ასე რომ, ჯერჯერობით არ ვჩქარობთ.

**– დედის ნიჭი თუ გამოჰყვა?**

– თავიდან ვერ ვატყობდი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ თავისთვის ღიღინებს. მინდა, არჩევანი თავად გააკეთოს და არ ვილტვი იმისთვის, აუცილებლად იმღეროს. მე შემიძლია, რჩევა მივცე, მაგრამ ჩემთვის მთავარია, პროფესია თავად შეარჩიოს. რატომ არ უნდა გამოვიდეს მისგან შესანიშნავი ექიმი, ფინანსისტი, ან თუნდაც პედაგოგი. შეიძლება, რაღაც სხვა ჰქონდეს გულში და ამ დროს მე რატომ უნდა ვურჩიო, რომ აუცილებლად უნდა იმღერო-მეთქი! არ იქნება მართალი. თუმცა, ბოლო დროს აღმოვაჩინეთ, რომ არტისტული ნიჭი ნამდვილად აქვს. რამდენიმე ხნის წინ ფოტოგადაღება გვქონდა, სადაც ყოველი ჩვენგანი ზღაპრის სხვადასხვა გმირს ვასახიერებდით.

**– რა გადაღება იყო?**



**ხმამაღლა ვაცხადებ, რომ დღეს ძალიან ბედნიერი ქალი და ძალიან ბედნიერი დედა ვარ**

– მკითხველის წინაშე მართლა არ მინდა, ჩემს თავს ვარსკვლავი ვუწოდო, მაგრამ ამ გადაღებაზე ყველა ვარსკვლავი იღებს მონაწილეობას. ბავშვთან ერთად მიმიწვიეს. ბავშვი ჰარი პოტერი უნდა ყოფილიყო, მე კი ამ ფილმიდან ერთ-ერთი ჯადოქარი ვიყავი, ჯადოსნური ჯოხით ხელში. კოსტიუმირებული, საკმაოდ საინტერესო გადაღება გახლდათ. ჯერ ბავშვი გადაიღეს, მერე მე და

> **რადგან ეს ფილმი ბიოგრაფიულია და ყველაფერი უნდა თქმულიყო ჩემს შესახებ, ცოტა არ იყოს იმ დონეზეც გავიხსენი, რომ მაყურებელს სხვა მხრიდანაც დავენახე. ალბათ ამაშია ამ ფილმის ბუნებრიობაც**

ბოლოს ორივე ერთად. მე რომ ვემზადებოდი, მას უკვე იღებდნენ და ამიტომ, არ მინახავს რას შვრებოდა. ჩემი ძმა, რომელიც ასევე ჩემი პროდიუსერია, აღფრთოვანებული შემოვიდა ჩემთან, ვერ წარმოიდგენ, ისე არტისტულად თამაშობსო, მითხრა.

ჩემი ძმიშვილი მღერის, ძალიან კარგი სმენაც აქვს და ხმაც. თუმცა, ვერც ჩემი შვილი და ვერც ძმიშვილი, პედაგოგად ვერ აღმიქვამენ. რომ დავუჯდე და რაიმე ვასწავლო, ვერ წარმოუდგენიათ. მათთვის მე მეგობარი ვარ, რომელიც მათთან ერთად დაკუნტრუშებს, ცეკვავს და თამაშობს.

**– გარდა ფესტივალისა, რაიმე კონცერტები ხომ არ არის დაგეგმილი?**

– რა თქმა უნდა, არის კონცერტები. ასევე, ძალიან დიდი ხანია, გორან ბრეგოვიჩთან მიდის მუშაობა, რადგან ის ხშირად სხვადასხვა ქვეყანაში ბრძანდება, მე კი ძირითადად მოსკოვში ვარ. პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევა ჯერ არ მქონია. ჯერჯერობით მუშაობა რთულად მიდის, მაგრამ ძალიან კარგი და საინტერესოა. რამდენიმე მასალა უკვე გადმომიგზავნა, ჩავწერეთ სინჯიც. მან თავად უნდა შეარჩიოს ყველაფერი – იქნება ეს ფონოგრამა, არანჟირება თუ როგორ, რა ტონალობაში ვიმღერო და ასე შემდეგ. ამ დროისთვის რამდენიმე სიმღერის სუფთა ვოკალი გავუგზავნე და მიმდინარეობს მუშაობა. ცოტა არ იყოს, ეს მასალა განსხვავდება დიანა ღურწკაიასგან. როცა ამ სიმღერებს ვწერ, საკუთარი თავის მიკვირს და ვკამათობ კიდეც, რომ ამას ვერ ვიმღერებმეთქი. ვცდილობ, საკუთარი კორექტივებიც შევიტანო. ბრეგოვიჩი არ არის ის პიროვნება, მე რამეში ვეკამათო. ჩემთვის მასთან ერთად მუშაობა ძალიან ბევრს ნიშნავს. ვფიქრობ, ყველაფერი გამოგვივა. რატომაც არა, ამ კუთხითაც მინდა, მოვსინჯო თავი. ძალიან ნელი ნაბიჯებით კი მიდის ეს საქმე, მაგრამ ეს არ მაშინებს. როცა ნიკოლაევთან პირველ ალბომზე ვმუშაობდი, პროცესი 5 წელი გაიწელა. ამ დროისთვის პარალელურ რეჟიმში ქართულ ალბომზეც ვმუშაობ. დათო კენჭიაშვილთან ერთად ორი დუეტი ჩავწერე, რომელიც მსმენელმა მოისმინა და მოწონებაც დაიმსახურა. მიხარია, რომ ასეთი ალბომი კეთდება.

**– საქართველოში როდის გეგმავთ ჩამოსვლას?**

– ძალიან მინდა ჩამოსვლა და ალბათ, მოვახერხებ. ნოემბერში ვიყავი. „ენტევეს" ტელეარხი ჩემ შესახებ ბიოგრაფიულ ფილმს აკეთებს, რომლის გადაღებებიც საქართველოში მიმდინარეობდა. ჩემთვის ყველაფერსა და ყველაზე მთავარი საქართველოა. 3-4 დღის განმავლობაში ძალიან დატვირთულები ვიყავით. წარმოიდგინეთ, ღამის 4 საათზე ბოლო გადაღება გვქონდა და შარდენს ვიღებდით.

**– ფილმი როდის გავა ეთერში?**

– რადგან ცოტა ხნით ქვეყნიდან ვიყავი წასული, მონტაჟი გადაიდო. ტექსტსაც მე ვკითხულობ, ამიტომ ჩემს გარეშე მონტაჟი ვერ მოხერხდა. მინდა, ყველაფერი ვნახო, რადგან ძალიან ბევრი მასალაა გადაღებული. მართლა კარგი ფილმი გამოვა. ჩემი სკოლა-ინტერნატი გადავიღეთ, სადაც ვსწავლობდი. ასევე, გადავიღეთ ირმა სოხაძე, რადგან ჩემი სასცენო ისტორია სწორედ მისგან დაიწყო. გადავიღეთ ჩემი ნათესავები, ჩემი დები. გადავიღეთ დედის საფლავი. ამ ფილმში ძალიან გახსნილი ვარ – კიდეც ვტირი, ვიცინი, ვცეკვავ, ვმღერი. გადავიღეთ ძალიან კარგი ქართველი მომღერლები. ძალიან მინდოდა, ამ ფილმში მეჩვენებინა ჩვენი კუთხე, ჩვენი სილაღე, სილამაზე. ის, რამაც მომცა ძალა, მემღერა და სცენაზე ვყოფილიყავი. მინდოდა, მეჩვენებინა, საიდან მოვიდა ეს ყველაფერი. ვფიქრობ, მაყურებელს ეს ფილმი მოეწონება, რადგან ძალიან ბუნებრივი და გახსნილი ვიყავი. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ დღეს ძალიან ბედნიერი ქალი, დედა ვარ. მაგრამ, ყველას აქვს რაღაც ნაღველი და არ არსებობს ადამიანი, რომელმაც რაღაც მომენტში არ მოიწყინოს – მათ შორის მეც, რკინის ხომ არ ვარ. თუმცა, ვცდილობ, ეს არავინ ნახოს, რადგან მაყურებლისთვის იმ შემთხვევაში ვარ საინტერესო, როცა ლამაზს და ლაღს მხედავს. მიუხედავად ამისა, რადგან ეს ფილმი ბიოგრაფიული იყო და ყველაფერი უნდა თქმულიყო ჩემს შესახებ, ცოტა არ იყოს, იმ დონეზეც გავიხსენი, რომ მაყურებელს სხვა მხრიდანაც დავენახე. ალბათ, ამაშია ამ ფილმის ბუნებრიობაც. რაც უფრო უბრალო ხარ, გულითა და სულით იხსნები, მით უფრო უკეთესი და მართალი ხარ. მაყურებელი მაშინ შეგიგრძნობს, როცა მის წინაშე მართალი ხარ. ვერ ვიტყვი, რომ რაღაც-რაღაცეებში შეცდომებს არ ვუშვებ, ყველანი ვცდებით. მაგრამ, უპირველესად, უფალი გვაპატიებს, რომლისგანაც ყველა შენდობას ვითხოვთ.

**მარიკა ხიდურელი**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

29 იანვარი, **სამშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - მონოსპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. მონაწილეობენ: ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

30 იანვარი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჰამლეტ.კომიქსი"** - სურათები უილიამ შექსპირის „ჰამლეტიდან" - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ლევან ხვიჩია. მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, პაატა გულიაშვილი, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, ედმონდ მინაშვილი. *ხანგრძლივობა: 55 წუთი;*

30 იანვარი, **ოთხშაბათი** 19.45 - **„სულიერი არსებები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. კომედია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

31 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„ბონზაგოს მკვლელობა"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა) - რეჟისორი: გაგა გოშაძე. მონაწილეობენ: ზაალ ჩიქობავა, მარინა კახიანი, ჯემალ ღაღანიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, მანანა აბრამიშვილი, ნიკა ქაცარიძე, მურმან ჯინორია, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. დრამა. *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

1 თებერვალი, **პარასკევი** 19.45 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია. *ხანგრძლივობა: 2სთ.*

2 თებერვალი, **შაბათი** 19.45 - **„მაგრიტის შემდეგ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ნექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია; კომიკური დეტექტივი. *ხანგრძლივობა: 2სთ.*

3 თებერვალი, **კვირა** 19.45 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.*

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

29 იანვარი, **სამშაბათი** 20.00 - **„დეკამერონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ბაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, მარლენ ეგუტია, ჯაბა კილაძე; *ხანგრძლივობა: 3სთ. 15 წუთი;*

29 იანვარი, **სამშაბათი** 20.00 - **„ექსტრავაგანსა"** (თეატრი სხვენში) - (თოჯინების თეატრი) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, თინათინ წულაძე. *ხანგრძლივობა: 55 წუთი;*

30 იანვარი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„კოტე მარჯანიშვილი"** - თეატრის შექმნის ამბავი - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორები: ლევან წულაძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ეკა ჩხეიძე, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, ლილე ფილფანი, ლიკა ქობულაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა. *ხანგრძლივობა: 3სთ.;*

30 იანვარი, 3 თებერვალი, **ოთხშაბათი, კვირა** 20.00 - **„სევილიელი დალაქი"** - თოჯინების საოპერო თეატრი „ანკალა" - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი; *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

31 იანვარი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

31 იანვარი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჩემი ჰამლეტი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, ელენე ფირცხალავა, ზაალ კაკაბაძე, ვახტანგ ქორიძე, გიორგი მებაღიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

1 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„პიგმალიონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, აკაკი ხიდაშელი, გივი ჩუგუაშვილი, გივი ბერიკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, თეონა ქოქრაშვილი. კომედია. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

1 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

2 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ურიელ აკოსტა"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: კოტე მარჯანიშვილი. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნატო მურვანიძე, დავით დვალიშვილი, გივი ჩუგუაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, მარლენ ეგუტია, ნინო დუმბაძე, ვარლამ კორშია, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. დრამა. *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

2 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ბრმა მხედველი"** - (თეატრი სხვენში), (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გოგა პიპინაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

3 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. *ხანგრძლივობა: 2სთ.*

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

29 იანვარი, **სამშაბათი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

30 იანვარი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

31 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 5, 7, 9 ლარი), რეჟისორი: თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

1 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„მშვენიერი ქართველი ქალი"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, თამუნა ნიკოლაძე, ლაშა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ჯოლოგუა, მამუკა მუმლაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

2 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილისწინ"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

3 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 5, 10 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.*

## მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

30-31 იანვარი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 19.00 - **„რომეო და ჯულიეტა - ბედისწერა დაბნეულია - მესამე მეხსიერება"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ მარმარინოსი. მონაწილეობენ: მაია გელოვანი, ეკა დემეტრაძე, პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, გიორგი ნაკაშიძე, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე. *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

2 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ბერნარდა ალბას სახლი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, ნანა შონია, ნუცა მჭედლიშვილი, ლილი მეტრეველი, ანა ნიკოლაიშვილი, ირინა გიუნაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

3 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„მელოტი მომღერალი ქალი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: ნანა შონია, თემო ნატროშვილი, ვანო თარხნიშვილი, მაია გელოვანი, გიორგი ნაკაშიძე, ნანუკა ლითანიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.*

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

31 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წარღვნა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

1 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: მალხაზ ასლამაზიშვილი, ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

2 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„იქ, სადაც ჩემი სახლია..."** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ლალი კეკელიძე. მონაწილეობენ: მარინა ხარჩილავა, ლამზირა ჩხეიძე, ეკა დემეტრაძე, ქეთი ასათიანი, გიორგი კალანდარიშვილი, გიორგი ბოჭორიშვილი, ზაზა ვაშაყმაძე, მაია გელოვანი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

3 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„მაგიის საოცრება"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გოგა თავაძე. მონაწილეობენ: ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, გვანცა დადიანიძე, კახა ჯოხაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.*

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

31 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„აკრძალული თამაშები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი. მონაწილეობენ: ნანა ბუთხუზი, ანა ალექსიშვილი, გიორგი სარსევანიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, კახა კინწურაშვილი, ალექსანდრე დავითაშვილი, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი მახარაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

2 თებერვალი, **შაბათი** 18.00 - **„დოსტოევსკი.რუ"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: მარიამ კიტია, ირინა კვიციანიძე, ვალერი ხარიუტჩენკო, ოლეგ მჭედლიშვილი, არჩილ ბარათაშვილი, სოფო ლომჯარია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

3 თებერვალი, **კვირა** 12.00 - **„ზღაპარი სალთან მეფეზე"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარი კიტია, მიხეილ არჯევანიძე, კარინა ყენია, სოფო ლომჯარია, აპოლონ კუბლაშვილი, ლუდმილა არტიომოვამღებრიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.*

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 28 იანვარი

**06.30** დ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ადამიანი – პლანეტა" **17.00** "სპიკერი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ"**სისხლი და ვარდი**" **21.00** ტ/სერ **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **00.00** "საფარი" **01.00** მხ/ფ "**მკა**" (ტიტ.) (დ.მორისონი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ."**იღბლიანი მოახლე**" **11.30** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. "გაქცევა – **4**" **5** სერ. **14.45** სერ. "**24 – 4**" **15.45** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.40** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ. "**გაქცევა შაუშენკიდან**" (ტ.რობინსი) **00.45** სერ. "**ღვინის გზა**" **01.25** მხ/ფ. "**ბაზა**" (ს.ელ ჯექსონი) **03.05** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ."**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50, 20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენეტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.05** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **11.30, 14.30, 17.30, 22.30,** "დრო" **11.40** სერ. "**დედოფალი და კარდინალი**" (გან.) **13.50** გადაცემა "**1 000** წვრილმანი" (გან) **15.00** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **16.00** დ/ფ "ხეროსიმა" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00** მუსიკა **19.30** ანონსი **19.35** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" **21.00** სერ. "**ქალი კამელიებით**" **23.00** მხ/ფ "**სამი ფერი-ლურჯი**" **00.35** მხ/ფ "**ბინძური სიყვარული**".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** მხ/ფ "**რომაული არდადეგები**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" **13.30** კონცერტი-სესილია ბარტოლი **14.50, 18.20, 22.30, 23.50** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი "**გუშინდელნი**" **17.00** მუხრან მაჭავარიანის საღამო **18.10** ტელეზღაპარი **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**პიერი,მილიციის თანამშრომელი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** სალომე უჯარმელი **22.35** დოკ/ფ "ფთილა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები "ქართულ-ებრაული ურთიერთობები" გად.II **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

## სამშაბათი 29 იანვარი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ ოსურ სომხურ"აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.10** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **17.00** "საფარი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სისხლი და ვარდი**" **21.00** ტ/სერ **22.00** "აქცენტები" **23.30** მხ/ფ "**სანამ მოკვდები**" (ჯ.ნიკოლსონი) **01.30** მხ/ფ "**ოთხი შობა**" (ტიტ.) (რ.უიზერსპუნი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.30** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. "გაქცევა – **4**" **6** სერ. **14.45** სერ. "**24 – 4**" **15.45** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.40** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ. "**შემზარავი წინათგრძნობა**" (ს.ბულოკი) **00.15** სერ. "**ღვინის გზა**" **01.00** მხ/ფ. "**ერთგული მეზალე**" (რ.უაიზი) **03.10** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ."**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50, 20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** "ნანუკას შოუ" **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენეტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 01.45** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30** "დრო" **11.40** სერ. "**ქალი კამელიებით**" (გან.) **13.20** "ერთი დღე სოფელში" **14.00** მუსიკა **15.00** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **16.00** დ/ფ "ხეროსიმა" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00** მუსიკა **19.30** ანონსი **19.35** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" **21.00** სერ. "**ქალი კამელიებით**" **22.30** "მთავარი დღეს" **23.30** მხ/ფ "**გონებათა ომი**".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** სპექტაკლი "**გუშინდელნი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** სალომე უჯარმელი **10.55** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** დრო და ტრადიციები **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**პიერი,მილიციის თანამშრომელი**" **13.35** კონცერტი-მანანა დოიჯაშვილი **14.50, 18.20, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მხ/ფ "**მამლუქი**" **17.35** აქტუალური თემა **18.10** ტელეზღაპარი **18.25** დებიუტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** შარავანდედი (გად. **5**) **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ "ჯაჭვთა თაყვანისცემის დღესასწაული" **23.30** დოკ/ფ "ქვის დედაენა-ოშკი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი.

გაგრძელება 44-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**28 იანვარი – 3 თებერვალი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
16.00, 18.00, 20.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
22.15 - **„ჯანგო“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.15 - **„კატების კინო“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
16.15, 18.15, 20.00 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
22.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
16.00, 18.15, 20.15 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
22.15 - **„ანა კარენინა“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.15, 14.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
16.15, 19.15 - **„ჯანგო“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 45 წუთი;*
22.30 - **„ჰობიტი“** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 15.15, 18.30 - **„ჯანგო“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 45 წუთი;*
22.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი“**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
14.00, 16.00, 18.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
20.00, 22.30 - **„ანა კარენინა“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
14.00 - **„ცელქი ბავშვები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
16.00, 18.30 - **„ანა კარენინა“**, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წუთი;*
22.00 - **„ზღაპრული სამყარო“** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო“**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00, 16.00, 20.00, 22.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*
18.00 - **„იღბლიანი ჯენტლმენები“**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 5 - 8 ლარი).

**მსახიობი ეკა ჩხეიძე ის ადამიანია, ვისთანაც ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. უდავოა, მისთვის ბებია, ქალბატონი მედეა ჩახავა და მამა, ბატონი თემურ ჩხეიძე ისინი არიან, ვისზეც საუბარი არასდროს მოსწყინდება. ის არასდროს აქცევს ყურადღებას ჭორებს და მიაჩნია, რომ თუ ადამიანზე ლაპარაკობენ, ესე იგი, ის მნიშვნელოვანი ფიგურაა მათთვის. ჩხეიძეების ოჯახს, ახალი წლის დღეებში განსაკუთრებული ტრადიცია აქვს, რომელსაც ქალბატონმა მედეა ჩახავამ დაუდო საფუძველი. თუმცა, როგორც ეკა ამბობს, სამწუხაროდ, ეს ტრადიცია 2013 წელს დაირღვა.**

# რატომ არ უნდოდა თემურ ჩხეიძეს 37 წლის პენსიონერი ქალიშვილი და რა ოცნებები დაუმსხვრია მან ეკა ჩხეიძეს

**ეკა ჩხეიძე**: ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ზოგადად, გველის წელი ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან მთელი რიგი სასიამოვნო ფაქტები ამ წლებს უკავშირდება. გველის წელი იყო რომ გავთხოვდი, გველის წელში გავაჩინე შვილი, გველის წელში დავფეხმძიმდი მეორედ და შვილი შემეძინა. ასე რომ, გველის წელი ჩემთვის ბედნიერების მომტანია და ვიმედოვნებ, ასე გაგრძელდება. ბევრს მისი ეშინია, მაგრამ ის ლამაზი, დინჯი, ბრძენი და სწრაფია. მისი ეს თვისებები ჩემს ხასიათში ჯდება. სანამ რამეს გადავწყვეტ, ბევრს ვფიქრობ, მაგრამ ბოლო დროს მივხვდი, რომ ბევრი ფიქრიც არ ვარგა. თუმცა, ჯობია, ნაბიჯი გადადგა, ვიდრე არ გადადგა და მერე ინანო – ნეტა, გადამედგა და რაც იქნებოდა, იქნებოდაო.

**– ვფიქრობ, რისკიანი ადამიანიც უნდა იყო. არ მეთანხმები?**

– ცხოვრებაში რისკიანიც უნდა იყო. ხშირად გამირისკავს და არ მინანია. არც უნდა თქვა უარი, უნდა გარისკო და სხვების რჩევებსაც მოუსმინო. ბევრი ამბობს, ეკას რისკი კი არა, მამა ეხმარებაო. ვაღიარებ, მამა არაჩვეულებრივი რეჟისორია, მაგრამ დამიჯერეთ, ბოლოს მამასთან ათი წლის წინ ვიმუშავე. სულ მეუბნება, რაში გჭირდება ჩემი დახმარება, შენითაც მშვენივრად მიაღწევ ყველაფერსო. ახლა გეგმავს პიესის დადგმას და მეც შემომთავაზა როლი. ძალიან გამიკვირდა, კინაღამ უარი ვუთხარი ***(იცინის).*** თემურს რომ ჰკითხო, სამუშაო მაქვს და რა საჭიროა, აფიშაზე ორი ჩხეიძის გვარის დაწერა.

**– ამბობენ, მამებს განსაკუთრებულად უყვართ ქალიშვილებიო.**

– მამას სამი ქალიშვილი ჰყავს და სამივე განსაკუთრებულად უყვარს. ის ყველაზე დიდი საჩუქარია ჩვენთვის ახალ წელს, რადგან ძირითადად, საქართველოში არ გახლავთ და მხოლოდ ამ დღესასწაულზე ჩამოდის. არ დამავიწყდება, ახალ წელს მაღალი სიცხე მქონდა და საწოლში ვიწექი. მეხვეწა, იქნებ ცოტა ხნით წამოდგე, ფეხზე დამდგარი შეხვდი ახალ წელს და მერე ისევ დაწექიო. ხათრი ვერ გავუტეხე და ზუსტად 12 საათზე, გული წამივიდა. ვის ახსოვდა ახალი წელი ***(იცინის).***

**– თუ ერევა ბატონი თემური შვილების ცხოვრებაში?**

– შვილები დღეს იმ ასაკში ვართ, რომ თავად ვწყვეტთ ცხოვრებისეულ საკითხებს. მამასთან, პირად საკითხებზე საუბარი ყოველთვის მიჭირდა, ხათრი და დისტანცია მქონდა და ვერიდებოდი. ერთადერთი, გათხოვება რომ გადავწყვიტე და ჩემი რჩეული გავაცანი, არჩევანი მომიწონა. არ დამავიწყდება, ჩემი და, თეონა პირველ ქმარს რომ გაშორდა, საყვედური უთხრა თემურმა. ის კი შემოუბრუნდა და უპასუხა, შენც იგივე არ ქენიო ***(იცინის).*** თუმცა, რჩევას თუ ვკითხავთ, აუცილებლად გულისყურით გვისმენს და გვარიგებს. გამახსენდა, ერთხელაც ჩაერია ჩემს ცხოვრებაში და დელიკატურად დამისვა კითხვა. საერთოდ, მშვიდია და არასდროს გახვევს თავს თავის აზრს. თუმცა, ამას ისე იტყვის, გულზე მოგხვდება. ეს ცუდი თვისება აქვს ***(იცინის).*** ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ხატვა და დავდიოდი ხატვის გაკვეთილებზე. ძალიან მონდომებული ვიყავი და ვფიქრობდი, ამ კუთხით წასულიყავი სამომავლოდ. მამას რომ ვაჩვენე ჩემი ნახატები, დახედა და მითხრა, ასე მეც კი ვხატავო. აი, იქ დასრულდა ჩემი მხატვრობა. ბალერინობაც მინდოდა, მამიდას, მაკა მახარაძეს სულ დავყავდი სპექტაკლებზე, „სუხიშვილებშიც" ვცეკვავდი, მაგრამ მამამ აქაც პროტესტი გამოთქვა. რა გინდა, 37 წლის ასაკში პენსიონერი გახდეო?! ***(იცინის)*** სიმართლე გითხრათ, დღემდე მიყვარს ცეკვა და სპექტაკლებში ძალიან მეხმარება ჩემი ძველი გამოცდილება ამ სფეროში. ახლა ვხვდები, მამას უნდოდა მსახიობი გამოვსულიყავი, მაგრამ ამას პირდაპირ არ აღიარებდა. სულ იმას ცდილობდა და დღემდე ცდილობს, რომ დამოუკიდებელი ვიყო, მედეა ჩახავას და თემურ ჩხეიძის სახელებმა არ დამჩრდილოს და არ ვიყო მხოლოდ მათი შვილი და შვილიშვილი. მამისგან „ხელის



**ჩემი ქმარი დღის შუქზე არ მყავს ნანახი**

კვრა", რომ პროფესია წინ წამეწია, არასდროს მქონია. ხშირად, ამ ცნობილი ბებიის და მამის გამო დავჩაგრულვარ კიდეც. მე კარს ფეხით ვერ შევაღებ და მირჩევნია ჩემით მივაღწიო. იღბლიანიც ვარ, ალბათ. რომ დავფიქრდები, ვამბობ, ახლა რომ ოცი წლის ვიყო, სხვანაირად მოვიქცეოდი-მეთქი. მერე, თავს ვეწინააღმდეგები – არა, არაფერს შევცვლიდი განვლილ ცხოვრებაში-მეთქი.

**ბევრი ამბობს, ეკას რისკი კი არა, მამა ეხმარებაო**

**– ესე იგი, რომ არა მსახიობი, მოცეკვავე იქნებოდი?**

– ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ბოლო დროს, ქირურგობა მომინდა. ეს რომ მამაჩემს ვუთხრა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა რეაქცია ექნება ***(იცინის).*** ექიმობა სულ მიზიდავდა, მაგრამ ახლა მინდა, სერიოზული ქირურგი ვიყო. ძალიან საჭირო და საპასუხისმგებლო პროფესიაა. მეც ვიცი, თეთრი ხალათი უკვე დაგვიანებულია, არც ქიმია-ფიზიკის მსწავლელი ვარ, თუმცა თავის დროზე რომ მეფიქრა, ახლა თავგადადებული ქირურგი ვიქნებოდი.

**– ყოველთვის ფორმაში ხარ. როგორ ასწრებ, ოჯახსაც მიხედო, სცენაზეც გამართული იდგე და თან, სულ ფორმაში იყო?**

– ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ გარეგნობას. მარკეტშიც კი არ გავალ ისე, სარკეში რომ არ ჩავიხედო და არ მოვწესრიგდე. ვცდილობ, მოწესრიგებულმა ვიარო და სულ ვიღიმებოდე. ეს თვისებები ბებიაჩემისგან, მედეა ჩახავასგან გადმომეცა. ბოლოს, როცა საავადმყოფოში იწვა, მწოლიარეც კი მაკიაჟს იკეთებდა და ბისერებიან ხალათს იცვამდა. ამბობდა, სანახავად რომ მოვა ადამიანი, მოწესრიგებული უნდა დახვდე, ეს უბრალოდ, მისდამი პატივისცემააო. სიცოცხლე და სილამაზე უყვარდა. მეუბნებოდა, არასდროს არაფერს ვნანობ, ყველა ნაბიჯს თავისი დადებითი მხარე აქვსო. ზუსტად ასე ვფიქრობ მეც და არასდროს მინანია, არც ერთი ჩემი გადადგმული ნაბიჯი. გიჟი ოპტიმისტი არ ვარ, მაგრამ რეალისტი კი ვარ, ეს ჩემს ხასიათზეც აისახება. ადამიანმა შენს გარშემო დადებითი აურა უნდა შექმნა, რომ შენთან კონტაქტი უხაროდეთ. წუწუნა და ბუზღუნა ადამიანები არ მიყვარს. ხშირად მითქვამს, რატომ უნდა დამმართნოდა ეს მე, რატომ-მეთქი. მაგრამ, დრო რომ გავა, მერე ვხვდები, ეს უკეთესობისკენ მიბიძგებს. ცხოვრებაში ცვლილებებს მხოლოდ დადებითი მოაქვს, რაღაც მთავრდება, რაღაც იწყება და ეს ადამიანმა მხოლოდ პესიმისტურად არ უნდა აღიქვა.

**– ცნობილ ადამიანებზე ბევრს ჭორაობენ, თუმცა შენს ოჯახს ეს ნაკლებად ეხება.**

– პირად ცხოვრებაში გამიმართლა – კარგ ადამიანს გავყევი ცოლად და ჩემი შვილებითაც კმაყოფილი ვარ. ხანდახან მეშინია, ასე რომ ვამბობ, თვალი არ მეცეს-მეთქი ***(იცინის).*** არ მიყვარს, როცა ჩემზე ჭორაობენ. მეც გამიგია რაღაც-რაღაცეები, მაგრამ ამის გამო, არც გული მტკივა და არც ნერვები ამშლია. თუ საუბრობენ, ესე იგი საინტერესო ვარ და ილაპარაკონ და იყვნენ. მე და ჩემი მეუღლე კარგი მეგობრები ვართ. ვაღიარებ, ცუდი ცოლი ვარ, რადგან სახლში ხშირად არ ვარ, ვერ ვასწრებ საოჯახო საქმეებს, სამზარეულოში არ ვტრიალებ. ჩემი ქმარი დღის შუქზე არ მყავს ნანახი ***(იცინის).*** იმას რომ ეძინა, მე სამსახურში ვიყავი, ის რომ იღვიძებდა, მე ვიძინებდი. ტრადიციული ცოლ-ქმარი არასდროს ვყოფილვართ, უფრო მეგობრები ვართ. ერთად სადილობა, საკითხებზე ერთობლივი მსჯელობა, საღამოს სავარძელში ჯდომა და ტელევიზორის ყურება ჩემი ოჯახისთვის უცხოა. სრული დემოკრატია გვაქვს, ვისაც როდის უნდა და რაც უნდა, იმას ჭამს, სადაც უნდა იქ მიდის-მოდის და ასე შემდეგ. „შტამპიანი" ტრადიციები მაგიჟებს. არ მიყვარს შეზღუდვები და მე და ჩემი ქმარი ყოველთვის ბევრ თავისუფლებას ვაძლევდით ერთმანეთს. არც თავი მოგვიბეზრებია ერთმანეთისთვის და არც ზედმეტად შეგვიზღუდავს. ჩემი ქმარი არქიტექტორია და ისე იყიდა სახლი, ისე არემონტა ხუთი წელი თავის გემოვნებით და ისე გააწიკწიკა, მე არ ჩავრეულვარ. რომ მივედი და ვნახე სახლი, ვიკითხე, სად არის სამზარეულო-მეთქი. გაეცინა, საჭმლის კეთებას შენ არ დაიწყებ აქ და ყავისთვის ელექტროჩაიდანს საძინებელში ჩართავ თუ მისაღებში, რა მნიშვნელობა აქვსო ***(იცინის).*** სხვათა შორის, ჩხეიძეებს ტრადიცია გვაქვს, რომელიც ბებიამ, მედეა ჩახავამ დაამკვიდრა – ყოველ 1 იანვარს ვიკრიბებით ერთად. თან, აუცილებლად ფოტო უნდა გადაგვეღო და ბოლოს იმდენი ვიყავით, ფოტოზე ვერ ვეტეოდით ***(იცინის).*** სამწუხაროდ, წელს ეს შეკრება, საქმეების გამო, ვერ მოვახერხეთ. ასე რომ, ეგრეთ წოდებული, ჩახავასეული ტრადიცია ჩხეიძეებმა დავარღვიეთ.

**ნონა დათეშიძე**

# სალათა „ორიგინალური“





**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ქათმის ფილე, 100 გრამი ლორი, 1 ქილა სოკო (დაკონსერვებული, 400 გრამი), 3 ცალი კვერცხი, 3 ცალი კარტოფილი, მარილი და შავი პილპილი, მაიონეზი, სალათის ფოთლები, 1 ცალი გამდნარი ყველის ფირფიტა, ნახევარი კონა კამა, 2 კბილი ნიორი.

**მომზადების წესი:** ფილე მოხარშეთ, გააცივეთ და დაჩეჩეთ. ლორი დაჭერით წვრილ ჩხირებად (ბეკონიც შეიძლება), ქამა სოკო – ფირფიტებად. გააცალკავეთ მოხარშული კვერცხის ცილა და გული და ცილა მსხვილკბილა სახეხზე გახეხეთ. კარტოფილი გათალეთ და გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე ან დაჭერით უწვრილეს ჩხირებად, შებრაწეთ ძალიან ცხელ ზეთში და გადმოიღეთ ქაღალდის ხელსახოცზე, ზედმეტი ზეთი რომ დაიწუროს.

ყველი გახეხეთ, კვერცხის გული გასრისეთ ჩანგლით. კამა ძალიან წვრილად დაჭერით, ნიორი კი დანაყეთ. დაუმატეთ მაიონეზი და ეს ყველაფერი კარგად აურიეთ. ამ მასისგან მოამზადეთ კვერცხის ფორმის ბურთულები და მოათავსეთ მაცივარში.

სასალათეზე დააფინეთ სალათის ფოთლები. ცალკე თასში აურიეთ სალათის ინგრედიენტები: ქათმის ფილე, გახეხილი კვერცხის ცილა, ბეკონი, ქამა სოკო, მაიონეზი, ცოტა მარილი და შავი პილპილი. მზა სალათა მოათავსეთ სასალათეს ცენტრში. მოუმრგვალეთ ზედაპირი და დაფარეთ შემწვარი კარტოფილის ჩხირებით. გარშემო კი შემოუწყვეთ ყველიანი ბურთულები. ლამაზიც არის და გემრიელიც.

# თევზის ფილე შვედურად








**ინგრედიენტები ორი ულუფისთვის:** 300 გრამი თევზის ფილე – 2 ნაჭერი (თითო ნაჭერი – 150-გრამიანი), 200 გრამი ქამა სოკო, 100 გრამი მაგარი ყველი, 2 ცალი პომიდორი, კამა, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 1 ჩაის კოვზი გახეხილი ლიმონის ცედრა, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** თევზის ფილე გარეცხეთ და ოდნავ შეაშრეთ. მოაყარეთ მარილი, პილპილი, მოასხით ლიმონის წვენი და დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე. პომიდორი დაჭერით რგოლებად და დააწყვეთ თევზზე. სოკო ჯერ დაჭერით და მოხრაკეთ ზეთში, მერე კი მოათავსეთ პომიდორზე ზემოდან. ყველი გახეხეთ წვრილკბილა სახეხზე, აურიეთ მასში წვრილად დაჭრილი კამა და ლიმონის ცედრა და ეს ყველაფერი მოაყარეთ თევზის ნაჭრებს ზემოდან ისე, რომ სქლად დაფაროს. გამოაცხვეთ 180 გრადუს ტემპერატურაზე. 20 წუთში მზად იქნება.

# ფარშის რულეტი









**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი ქათმის ფარში (შეიძლება საქონლისაც, მაგრამ, ცხიმიანი არ უნდა იყოს), 5-6 ნაჭერი თეთრი პური, 3 ცალი მოხარშული კვერცხი, მარილი, მაიონეზი.

**მომზადების წესი:** ფარშს უყავით მარილი. პურის ნაჭრები დაალბეთ წყალში ან რძეში, გაწურეთ და ხელით კარგად აზილეთ. შეაზილეთ ფარშს. ფოლგას წაუსვით ზეთი, დადეთ მასზე ფარში. ხელით ოდნავ დატკეპნეთ და ზედაპირზე დააწყვეთ შუა-შუა გაჭრილი მოხარშული კვერცხები. გადაახვიეთ ფარში რულეტივით და შეფუთეთ ფოლგაში. მოათავსეთ ცხელ აირღუმელში ერთი საათით. შემდეგ ფოლგა მოაშორეთ და როგორც კი ზედაპირი დაიბრაწება, ზედა მხრიდან მოხსენით ფოლგა, მოასხით მაიონეზი და 2-3 წუთით შედგით ღუმელში.




# კალმახის წვნიანი ნაღებით

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი კარტოფილი, 2 ცალი კალმახი, 200 გრამი დაკონსერვებული პომიდორი, 1 თავი ხახვი, 250 მილილიტრი თხელი ნაღები, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მდუღარე წყალში ჩაყარეთ დაჭრილი კარტოფილი. 10 წუთის შემდეგ დაუმატეთ კალმახის ფილეს ნაჭრები, კიდევ 10 წუთის შემდეგ – დაჭრილი ხახვი, პომიდორი და წიწაკა. რამდენიმე წუთში წვნიანში ჩაასხით ნაღები, შეაზავეთ მარილით და კიდევ 10 წუთი გააჩერეთ ცეცხლზე.



# თევზი პომიდვრისა და კამის სოუსში



**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი პომიდორი, 3 სადილის კოვზი ზეთი, 2 ჩაის კოვზი შაქარი, 4 სადილის კოვზი წყალი, 200 გრამი კამა, 2 ცალი მწარე წიწაკა, 800 გრამი ვირთევზას ფილე, 2 კონა ოხრახუში, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** პომიდორი წვრილად დაჭერით და ზეთში მოშუშეთ 5 წუთის განმავლობაში, დაუმატეთ შაქარი, მარილი, წყალი და 15 წუთი ადუღეთ. წიწაკა და კამა წვრილად დაჭერით და შეურიეთ მოშუშულ პომიდორს. თევზის მშრალი, ბრტყელი ნაჭრები მოათავსეთ ფორმაში, მოაყარეთ მარილი, თითოეულ ნაჭერს დაადეთ თითო ღერი ოხრახუში, გადაახვიეთ და შეკარით ხის ჩხირებით. თევზს ზემოდან მოასხით ზეითუნის ზეთი და შეწვით კარგად გახურებულ ღუმელში. შემწვარი თევზი მოათავსეთ პომიდვრის სოუსში და 15 წუთის განმავლობაში შუშეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე. ბოლოს კიდევ ერთხელ შეაზავეთ მარილით და სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში.

# ქათმის ხარდალი

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ნაჭერი ქათმის ფილე, 300 გრამი ბროკოლი, 300 გრამი დაკონსერვებული ან ახალი ქამა სოკო, 4 სადილის კოვზი ჟელატინი, 1 ცალი სტაფილო, 1 თავი ხახვი, 3 ცალი დაფნის ფოთოლი, 1 კოლოფი დაკონსერვებული მოხარშული სიმინდი, 5 ცალი პილპილის მარცვალი, თითო კონა კამა და ოხრახუში – მოსართავად, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათამს დაასხით წყალი, მოაყარეთ მარილი, დაუმატეთ მთლიანი სტაფილო და ხახვი და მოხარშეთ. ხარშვის ბოლოს დაამატეთ პილპილი და დაფნის ფოთლები. ბულიონი სხვა ჭურჭელში გადაწურეთ, ხორცი კი გააცივეთ და პატარა ნაჭრებად დაჭერით. ცალცალკე წყალში მოხარშეთ შუა-შუა დაჭრილი სოკო და ბროკოლი. კექსის ფორმაში ძირზე დააფინეთ მწვანილი, შემდეგ ფენა-ფენა დააწყვეთ ქათმის ნაჭრები, სიმინდი, სოკო და ბროკოლი. გადაწურული ბულიონიდან ცალკე ჭურჭელში ჩაასხით 850 მილილიტრი (თუ მაგდენი არ გამოვა, შეავსეთ ანადუღარი წყლით) და შეაზავეთ მარილით. ცივ ბულიონში ჩაყარეთ ჟელატინი და 40 წუთი გააჩერეთ, შემდეგ ნელ ცეცხლზე დადგით და ურიეთ. ადუღეთ სანამ ჟალატინი ბოლომდე დადნება. სითხე ფორმაში ჩაწყობილ პროდუქტებს დაასხით და შედგით მაცივარში გამაგრებამდე. კერძის ლანგარზე გადმოღების წინ ფორმის ფსკერი 2 წამით ცხელ წყალში ჩადეთ, რომ შიგთავსი ადვილად ამოიღოთ.



**– როგორც ვიცი, შენი სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემებია და ჯერჯერობით ვერ ახერხებ ამერიკაში გამგზავრებას.**

– იმიტომ ჩამოვედი თბილისში, რომ ჩემი შემდეგი სემესტრის დაფინანსების საკითხი, რომელსაც აქამდე განათლების სამინისტრო მიფინანსებდა, ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი. მეუბნებიან, რომ იანვრის ბოლომდე ყველაფერი გადაწყდება, მაგრამ სწავლა 17 იანვარს დაიწყო. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ სემესტრს გამოვტოვებ და თუ ყველაფერი კარგად იქნება, რის იმედიც მაქვს, მაისიდან გავაგრძელებ სწავლას. ამ გამოტოვებულ სემესტრსაც ზაფხულში ავიღებ. ძალიან მინდა, სწავლის გაგრძელება, დიდი სურვილი მაქვს, ყველაფერი კარგად დასრულდეს. მომთმენი ვარ და მოვითმენ, არ არის პრობლემა. უბრალოდ, ამ ორ სემესტრში იმდენი რამ ვისწავლე, რომ ვიცი, წინ უფრო მეტი რამ მელოდება. 17 იანვარს რომ ვერ მოვახერხე წასვლა, მაისში მაინც უნდა წავიდე, თორემ ძალიან დიდი პაუზა გამომივა და ეს სწავლაშიც შემიშლის ხელს. თუ წავალ, მაშინ მაისიდან ყველა სემესტრს მივაბამ და ხანგრძლივ დასვენებას აღარ ავიღებ, არ არის საჭირო.

**– მეც ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი ახლო მომავალში დადებითად გადაწყდება.**

– როცა რაღაცას სწავლობ, მერე გინდა, ეს ცოდნა სხვასაც გაუზიარო. ნიუ-იორკში რომ ვიყავი, ნინი შერმადინის კონცერტზე წავედი, ქართველები ესწრებოდნენ. დაწყებულზე მივედი და ხალხი ისე კარგად შემხვდა... ქართული სითბო მაინც სულ სხვაა. ნინის კონცერტს რომ ვესწრებოდი, ერთი სურვილი მქონდა, მეც გამეკეთებინა კონცერტი ქართველებისთვის. თან, ბოლო პერიოდი სულ ვსწავლობ და კონცერტს, სცენაზე დგომას მოწყურებული ვარ. რასაც ვსწავლობ, ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ ხალხს, განსაკუთრებით კი ქართველებს ვასიამოვნო.

**– ამ ორ სემესტრში გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას შეიძენდი.**

– სწავლას, სემესტრს რომ ვამთავრებ, ყოველთვის ვაკეთებ რეზიუმეს, თან, ბავშვებიც მეუბნებიან, რომ გაიზარდე, ცვლილებები გაქვსო და მეც ვგრძნობ ამას. მაგრამ იმისთვის, რომ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანო შენი ცოდნა, დროა საჭირო და მე ეს მჭირდება. ჩემი იქ ყოფნა მართლაც შედეგიანია და ეს ძალიან მიხარია. ის საგნები, რასაც მეორე სემესტრში ვსწავლობდი, პირველი სემესტრისგან დიდად არ განსხვავდებოდა, უბრალოდ, კიდევ ერთი საფეხურით მაღალი და საინტერესო იყო, თუმცა, ცოტა რთულიც. მე ეს არ გამჭირვებია, უბრალოდ, უფრო მეტი დრო მიჰქონდა მეცადინეობას, უფრო მეტ ენერგიას ვხარჯავდი. სხვა მასწავლებლები მყავდა და მათიც ძალიან კმაყოფილი ვარ. ერთი შავკანიანი მასწავლებელია, საინტერესო რაღაცეებს მასწავლიდა. ყველაზე მეტად ის მომწონდა, რომ გარკვეულ მიმართულებას არ მაძლევდა, პირიქით, მეუბნებოდა: ისე გააკეთე, შენ როგორიც ხარ, ყველაფერი ორგანული უნდა იყოსო. ანუ, ის, რაც გამაჩნია, ჩემი ინდივიდუალურობა – ეს მოსწონდა, შენიშვნას არ მაძლევდა ამ კუთხით და პირიქით, ამაში „მხარშავდა“. ტექნიკურ მხარეს მამეცადინებდა, კმაყოფილი იყო და ბოლოს, გამოცდაზეც კარგად შემაფასა.

**წელს მასტერკლასზე ჩამოსული იყო ბასისტი ჯონ პატიტუჩი, რიტმზე ჰქონდა აქცენტი. ძალიან საინტერესო რაღაცებს ამბობდა, სტუდენტებს ეუბნებოდა: მოდით, იმღერეთო, თან, თუ საჭირო იყო, შენიშვნებს აძლევდა**

**იმისთვის, რომ ნიჭიერ მომღერალს, ვაჟა მანიას ოცნება აესრულებინა და ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში ესწავლა, საკმაოდ ბევრი სირთულისა და წინააღმდეგობის გავლა მოუწია. თავადაც არაერთხელ უთქვამს, რომ მის ცხოვრებაში ყველაფერი რთულად ხდება. ვაჟა ბერკლიში სემესტრის წარმატებულად დახურვის შემდეგ თბილისში დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა უკვე დაეწყო, მან ვერ მოახერხა ამერიკაში გამგზავრება, რადგან ჯერჯერობით მისი სწავლის დაფინანსების საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახლო მომავალში დაასრულებს ამ საკითხზე მუშაობას და კიდევ ერთი ნიჭიერი, ქართველი მომღერალი გააგრძელებს ბერკლიში სრულფასოვანი განათლების მიღებასა და პროფესიონალიზმის ამაღლებას.**

# ვინ გაიყვანა ვაჟა მანია ამერიკაში ყოფნისას კოსმოსში და ვინ ცხოვრობდა თბილისში მის გამო ამერიკული დროით

**– რა ჩააბარე გამოცდაზე?**

– ერთი იყო ჯაზური სტანდარტი, მეორე – შუბერტის „ავე მარია“, მესამე – კლასიკური ეტიუდი. ანუ, იქ, გამოცდაზე ორივეს ერთნაირად აფასებენ, ჯაზიც და კლასიკაც ერთ ხარისხში უნდა იმღერო. სხვათა შორის, კლასიკური ნაწარმოებიც მოვირგე, „ავე მარიასაც“ თავი გავართვი. ისევ მქონდა ანსამბლის გაკვეთილები, ბენდთან ერთად ვმღეროდი. სასწავლებელში გვქონდა კლასის კონცერტები, რამაც ძალიან კარგად ჩაიარა. ამ კონცერტებს ძირითადად სტუდენტები ესწრებიან და რამდენიმე მასწავლებელიც. საჩვენებელი კონცერტი იყო გამოცდისთვის. პირველ სემესტრთან შედარებით უფრო მეტად ვიშრომე, ვიმეცადინე, ყველაფერმა ამან შედეგიც გამოიღო. წელს მასტერკლასზე ჩამოსული იყო ბასისტი ჯონ პატიტუჩი, რიტმზე ჰქონდა აქცენტი. ძალიან საინტერესო რაღაცეებს ამბობდა, სტუდენტებს ეუბნებოდა: მოდით, იმღერეთო, თან, თუ საჭირო იყო, შენიშვნებს აძლევდა. მითითებები რიტმთან იყო დაკავშირებული. წარმოიდგინე, ჩემთვის ეს წყალივით იყო. ამიტომ, საკუთარ თავს ვეუბნებოდი: მიდი, ვაჟა, ადექი, იმღერე-მეთქი, მაგრამ ვერ ავდექი. არ ვარ მაინცდამაინც გაბედული და ეს უნდა გამოვასწორო, რადგან ბევრ რამეში შემიშლის ხელს. თან, არანაირი კომპლექსი არ მქონია, არ მიფიქრია, რომ ვერ ვიმღერებდი, პირიქით, ვიცოდი: თუ გავიდოდი, სასწაულს მოვახდენდი, თან ვოკალისტები ნაკლებად იყვნენ. რიტმი კი ჩემთვის ადვილია, გამომდის, მაგრამ ვერ ავედი. სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ეთქვა ჩემზე – ეს იმღერებსო, მაშინვე წამოვხტებოდი, მაგრამ ჩემით ვერ გავბედე. ანუ, აქტიურობა მაკლია და ეს ბევრ რამეში დამხევს უკან. სწავლისა და იქ ყოფნის პერიოდში მივხვდი, რომ ბევრი ნაკლი მაქვს, რაც ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი იმ ქვეყანაში არ გამომადგება. ზარმაცი არ ვარ, განსაკუთრებით სწავლის მხრივ, მაგრამ, თუ წერილი მაქვს გასაგზავნი, ან საბუთი წასაღები, ამ მხრივ, ვზარმაცობ და ბოლოში უნდა მოვიტოვო.



**სწავლის და იქ ყოფნის პერიოდში მივხვდი, რომ ბევრი ნაკლი მაქვს, რაც ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი იმ ქვეყანაში, არ გამომადგება**

**– როგორც ვიცი, შენი საყვარელი მუსიკოსის კონცერტზეც იყავი.**

– კიდევ ერთი ოცნება ამიხდა, ბერკლის დარბაზში ჰქონდა კონცერტი პეტ მეთენს. წარმოიდგინე, ბავშვობიდან ვუსმენ, თან, ეს ცხოვრების გარკვეულ ეტაპთან იყო დაკავშირებული, ემოციებთან. ცოცხლად რომ უსმენ, სულ სხვა შეგრძნება გეუფლება – თითქოს ცაში დაფრინავ. თან, ისეთი მუსიკა აქვს, რომ უსმენ, ისედაც კოსმოსში გაჰყავხარ. ძალიან ვისიამოვნე.

**– კიდევ ერთი ბავშვობის ოცნება აისრულე: ამერიკაში შეხვდი ახალ წელს.**

– კი, თან, ნიუ-იორკში – ჩემი ქალაქია, ყველანაირად ვერთობი. ძალიან ცოცხალი ქალაქია. ბოსტონში სწავლა რომ მთავრდება, ყველა მიდის – სწავლის გარეშე ეს ქალაქი ძალიან მოსაწყენია. ახალ წელს პენსილვანიაში შევხვდი, ძალიან კარგად გავერთე. 2 იანვარს კი ბოსტონში დავბრუნდი და ლაშა ხოზაშვილთან ერთად ქართულ რესტორანაში შევხვდით ბედობას. აქედან რომ გვგონია, ამერიკაში ახალი წელი ძალიან გრანდიოზულიაო, ასე არ ყოფილა: კარგად გავერთე, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ფურორი მოახდინა. თუმცა, ამერიკა მაინც ძალიან მიყვარს, ჩემი ქვეყანაა.

**– გარდა კარიერისა, როგორც ვიცი, პირად ცხოვრებაშიც სიახლეები გაქვს. ერთი კარგი და ლამაზი გოგონაა შენ გვერდით.**

– არსებობს ადამიანი – ნინიკო ჩახნაშვილი, რომელიც სულმოუთქმელად ელოდებოდა ჩემს ჩამოსვლას და ჩამოვედი კიდეც. რა თქმა უნდა, მეც ძალიან მინდოდა მისი ნახვა. ნინიკოს ძალიან უყვარს სიურპრიზების გაკეთება, მით უმეტეს, როცა მივდივარ, ან ჩამოვდივარ, ძალიან საყვარელი გოგონაა. მის გვერდით კომფორტულად რომ არ ვგრძნობდე თავს, მასთან არც ვიქნებოდი. ერთმანეთს წელიწად-ნახევარია, ვიცნობთ. ეს არის ურთიერთობა, რომელიც ორივეს მოგვწონს, კომფორტულად ვგრძნობთ თავს, კარგად და გემრიელად ვართ. მე სტუდენტი ვარ, ის მუშაობს, ორივე ჩვენ-ჩვენს კარიერას ვაკეთებთ, ერთმანეთს ხელს არ ვუშლით. არც ვალდებულებები გვაქვს და მომავალში რა იქნება, ეს მომავლის საქმეა. მონატრების გრძნობა ორივეს გვაქვს, მაგრამ ალბათ ნინიკოს უფრო მეტად. მე მთელი დღის განმავლობაში ბევრი საქმე მაქვს, სულ ვმეცადინეობ, ძალიან ვარ დატვირთული და ეს მას კარგად ესმის. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სტიმულია, როდესაც ასეთი კარგი ადამიანი გყავს გვერდით. ეს ბევრ რამეში გეხმარება. თუნდაც იმაში, რომ ჩემ მაგივრად წერდა წერილებს – ხომ ვთქვი, ამ საქმეში ზარმაცი ვარ-მეთქი. ამიტომ, დოკუმენტებთან მუშაობა მას გადავაბარე. ერთი-ორი ინგლისური პროექტიც დამიწერა. როცა არ მუშაობდა, ხანდახან ამერიკის დროით ცხოვრობდა: ჩემთან ერთად იღვიძებდა და იძინებდა. კონტაქტი სულ გვაქვს, კომფორტულად ვგრძნობთ თავს და ურთიერთობისთვის სახელის დარქმევას არ ვაპირებთ.

**ნათია უტიაშვილი**

37-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 30 იანვარი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ "ოსურ "სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.40** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **17.00** "გურმანია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ"**სისხლი და ვარდი**" **21.00** ტ/სერ **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "სი-ბემოლი" **23.40** მხ/ფ "**შეუპოვარი**" (ჰ. ფორდი) **02.00** დ/ფ"ახალგაზრდული სული".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.30** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. "გაქცევა – **4**" **14.45** სერ. "**24 – 4**" **15.45** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.40** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.მხ/ფ. "**სვანი**" (დ.ხარშილავა) **00.15** სერ. "**ღვინის გზა**" **01.00** მხ/ფ. "**ნიუ იორკის ბანდები**" (დ.დეი-ლუისი) **03.45** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ."**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50, 20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (ს.2) **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერიჰ დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.30** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.40** სერ. "**ქალი კამელიებით**" (გან.) **12.50** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" (გან.) **14.00** "გალერეა" (გან.) **15.00** სერ."**სკოლის მეგობრები**" **16.00** დ/ფ "ხეროსიმა" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00** მუსიკა **19.30** ანონსი **19.35** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" **21.25** სერ."**ქალი კამელიებით**" **23.00** "სცენა" **23.30** მხ/ფ "**თავდამსხმელები ჰოლივუდიდან**" **01.00** მხ/ფ "**ფრენკის უკანასკნელი დღეები**".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** მხ/ფ "**მამლუქი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** შარავანდედი გად. **5 11.00** დოკ/ფ "ქვის დედაენა-ოშკი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** კონცერტი-ანიტა რაჭველიშვილი **14.50, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "კვალი ნათელი" **16.45** კვირიაკე **18.05** ტელეზღაპარი **18.15** დეკორატიული ფლორა **18.25** დებიუტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ "განცხადებული სასწაულები" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" I ნაწ. **02.05** ირაო.

## ხუთშაბათი 31 იანვარი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ "ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "სიცოცხლე" **17.00** "ჩვენი ფერმა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სისხლი და ვარდი**" **21.00** ტ/სერ **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ "**ზეწვი**" (ნ.კიდმანი) **02.20** დ/სერ "**ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ**".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.30** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. "გაქცევა – **4**" **14.45** სერ. "**24 – 4**" **15.45** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.40** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ. "**იღბლიანი სლევინი**" (ბ.უილისი) **00.15** სერ. "**ღვინის გზა**" **01.00** მხ/ფ. "**მწყემსი კეთილი**" (ა.ჯოლი) **03.15** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ."**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50, 20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.40** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.40** სერ. "**ქალი კამელიებით**" (გან.) **12.50** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" (გან.) **13.50** "სცენა" (გან.) **15.00** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **16.00** დ/ფ "ხეროსიმა" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00** მუსიკა **19.30** ანონსი **19.35** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" **21.25** სერ."**ქალი კამელიებით**" **23.00** "პროექცია" **23.30** მხ/ფ "**ეის ვენტურა**" **01.00** მხ/ფ"**ხანძარი მაღაროში**".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "განცხადებული სასწაულები" **11.20** ჩვენი ტრაპეზი **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის**" **13.30** კონცერტი-ანს."ლატალი" **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** მხ/ფ "**თვალი პატიოსანი**" **17.30** დოკ/ფ "ლახტის გაკვეთილი" **18.10** ტელეზღაპარი **18.20, 23.15** ფოტოგალერეა **18.25** დებიუტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.20, 23.20** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **23.00** საღამოს ლოცვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" II.

## პარასკევი 1 თებერვალი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **17.00** დ/ფ **1**) "ნანკის ღრუბლიანი ფარჩა", **2**) "მფრინავი ასპარასი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ"**სისხლი და ვარდი**" **21.00** ტ/სერ **22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ "**შეხვედრა ვენერასთან**".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.30** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. "გაქცევა – **4**" **9** სერ. **14.45** სერ. "**24 – 4**" **15.45** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.40** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ. "**იუმას მატარებელი**" (კ.ბეილი) **00.30** სერ. "**ღვინის გზა**" **01.15** მხ/ფ. "**ქალების ქვეყანაში**" (ო.დუკაკისი) **02.50** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** პროფილი (გ/ჩ) **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50, 20.05** სერ. "**ღირსება და ამბიცია**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი

ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 0.30** თოქ–შოუ - "კვირის არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.40** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** დ/ფ "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები"(გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30** "დრო" **11.40** სერ. "**ქალი კამელიებით**" (გან.) **13.00** "იმპულსი/" **13.30** გადაცემა "პროექცია"(გან.) **15.00** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **16.00** დ/ფ "ტაიმსლოტი" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" **19.00** მუსიკა **19.30** ანონსი **19.35** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" **21.25** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" **22.30** "მთავარი დღეს" **23.30** მხ/ფ "**ძირითადი ინსტიქტი**".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "ხარება და გოგია" ‖ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **13.25** კონცერტი-თბილისური ავტოგრაფი **14.50, 18.20, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დეკორატიული ფლორა **16.05** დოკ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" **18.10** ტელეზღაპარი **18.25** დებიუტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ვინ შეკაზმავს ცხენს**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **22.45** დოკ/ფ "ღირსი ასურელი მამა ანტონ მარტყოფელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ "**13** ასურელი მამის ნამოღვაწარი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.15** ირაო.

## შაბათი 2 თებერვალი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** "მოამბე" (აფხაზურ "ოსურ" სომხურ"აზერბაიჯანულ ენებზე) **09.30** საბ. ან/ფ "კონკიას ამბავი" **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.15** "ვაკა-პედია" **11.30** საბ. ტ/სერ "მე და ჩემი მონსტრები" **12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.05** "მოამბე" **13.00** "ჩემი ოჯახი" **14.30** მხ/ფ "**მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად**" (პ. ვილაჯო) **16.30** "აღმოაჩინე საქართველო" **17.00** ძიუ-დო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ფინალები. **19.00** "გურმანია" **21.00** "ეტალონი" **22.00** I არხი წარმოგიდგენთ – "ელექტრონავტები" **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.30** მხ/ფ "**ქუჩის დღეები**" **01.00** მხ/ფ "**სიცრუის ერთობლიობა**" (ლ.დიკაპრიო).

**08.15** ან/ფ "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" 27" **09.15** მხ/ფ. "ოსტინ პაუერსი" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან.ფ "ავატარი" **42" 12.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** სერ. "**აიქარლი**" **14.20** მხ/ფ. "ყაჩაღები" **16.00** სერ. "გმირები – **4" 6** სერ. **17.40** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ. "**სნაიპერი**" (ტ. ბერენჯერი) **01.45** მხ/ფ. "**ძმები მეტოქეები**" (ა.უორნერი) (ტიტ.) **03.25** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **10.00** MTV TEEN CRIBS **11.00** სერ. "**კლუბი**" (ს**1**) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **15.30** შერეკილები **18.30** ?bwbkbc ზონა **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (ს.**2**) **00.00** პოკერის ტურნირი **2 01.00** "Latin Angels" **02.00, 04.30** მხ/ფ.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 17.05, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20** უცხოეთის ამბები **9.30** კვირის არგუმენტები (გამ) **11.00** ყოველდღიური აბები (გამ) (პარასკ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00** ამბები მოკლედ **13.05** ყოველდღიური აბები (გამ) (ორშ) **14.05** ყოველდღიური აბები (გამ) (სამშ) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** ყოველდღიური აბები (გამ) (ოთხშ) **16.35** ყოველდღიური აბები (გამ) (ხუთშ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **20.10, 1.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 2.00** "პრეს-პრესი" **23.00, 3.30** "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება) **1.00** ახალი ამბების კოლაჟი.

**08.30, 02.30** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **10.00** "დილის ტალღა" **12.00** "ფერისცვალება" **12.30** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" (გან.) **13.30** დ/სერ. "დები ტრვისის სახლები" **14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **15.00** დ/ს "იტალიელი შეფ-მზარეული" **16.00** დ/ფ "კონფედენციალურობა" **17.00** დოკ/ფ "დიადი მუსიკა" **18.00** ქართ. მხ/ფ "**სპირალი 1**" **21.25** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" **23.00** "ერთი ცეკვის ისტორია" **23.30** მხ/ფ "**თვითმფრინავისკენ გასასვლელი**" **01.10** მხ/ფ "**მარია**".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე,ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ "**ვინ შეკაზმავს ცხენს**" **13.30** მოკ/ფ "**თედო**" **13.50** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **15.10** ოპერა-"**ბოჰემა**" **17.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **18.10** ფოტოგალერეა **18.15** აქტუალური თემა **18.35** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვ-ნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** "კარაბადინი" **22.25** დოკ/ფ "ოვალური ბურთი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** ქართული კინოს ვარსკვლავები **01.15** მხ/ფ "**რიგითი რაიანის გადასარჩენად**" I ნაწ.

## კვირა 3 თებერვალი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ/ფ "**საოცარი მისტერ ბარნანდერი**" **10.00** "ეტალონი" **11.00** "ჩვენი ექსპრესი" **11.30** საბ. ტ/სერ "**მე და ჩემი მონსტრები**" **12.00, 14.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლი: "ჩემი პატარა ქალაქი" **17.00** ძიუ-დო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ფინალები. **19.00** I არხი წარმოგიდგენთ **20.00** მხ/ფ "**ის ჩემზე უარესია**" (ა.ჩელენტანო) **22.00** "სპიკერი" **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი **01.30** მხ/ფ "**ოუშენის 11 მეგობარი**" (ტიტ.) (ბ.პიტი).

**08.15** ან/ფ "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" 29" **09.15** მხ/ფ. "**ახალი რობინზონები**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ.სერ. "შუა ქალაქში" **343**–ე სერ. (გ/ჩ) **13.00** მხიარული სტარტები **14.20** ფორტ ბოიარი **14.35** ქ.მხ/ფ. "**ექსპრეს-ინფორმაცია**" **16.00** სერ. "გმირები – **4" 7** სერ. **17.40** იმედის გმირები **18.00** კონცერტი: ჯანო ბაგრატიონი **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** რომ გადახვალ" გააჩერე **23.25** მხ/ფ. "**ბანქო" ფული და ორი ლულა**" (ჯ.სტეტჰემი) **01.15** მხ/ფ. "**ჩამსკრაბერი**" (გ.კლოუნი) (ტიტ.) **03.10** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **10.00** MTV TEEN CRIBS **11.00** სერ. "**კლუბი**" (ს**1**) **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** ეკი ვოკი **15.30** შერეკილები **18.30** ჰიცილის ზონა **21.00** P.S. **22.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი (ს**2**) **01.00, 03.30** მხ/ფ.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 10.35, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.25, 4.25, 5.25, 6.25** უცხოეთის ამბები **10.00** ღია კარის დღე (გამ. წინა კვირის) **10.55** "პრეს-პრესი" (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ამბები მოკლედ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) **17.05** მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00, 1.30** დისკუსია - სტუდია "რე" **20.10, 23.25** ღია კარის დღე **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **23.00, 0.00, 1.00** ახალი ამბების კოლაჟი.

**08.30, 02.40** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **09.30** "ფერისცვალება" (გან.) **10.00** "დილის ტალღა" **12.00** სერ."**საიდუმლო აგენტები**" **12.30** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" (გან.) **13.30** "ერთი ცეკვის ისტორია" **14.00** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **15.00** დ/ს "იტალიელი შეფ-მზარეული"" **16.00** დ/ფ "კონფედენციალურობა" **17.00** დოკ/ფ "დიადი მუსიკა" **17.50** მხ/ფ "**პოლიციის აკადემია 1**" **19.30** "ერთი დღე სოფელში" **19.00** მუსიკა **21.15** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" **23.00** "გალერეა" **23.30** მხ/ფ "**99 ფრანკი**" **01.10** მხ/ფ "**ჯოჯოხეთში**".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.35** გამოყენებითი ხელოვნება **10.45, 21.35** ლექსით ქებათა ქება **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.15** ერთსულოვნების სალონი **13.10** დოკ/ფ "ოვალური ბურთი" **13.40** "ჩვენი ტრაპეზი" **13.50** ქართული მულტფილმი **14.05** მოკ/ფ "**მჭედელი**" **14.35** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.25** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** გზა, რომლითაც ვიარე **16.10** ქართული კინოს ვარსკვლავები **17.00** დრო და ტრადიციები "ქართულ-ებრაული ურთიერთობები" **17.25** საღვთისმეტყველო საუბრები **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.40** მხ/ფ "**იავნანა**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.40** "კვირიაკე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ფოტოგალერეა **23.20** დოკ/ფ "მაქსიმე აღმსარებელი" **23.40** დრო და ადამიანები **00.10** პატრიარქის ქადაგება **01.35** მხ/ფ "**რიგითი რაიანის გადასარჩენად**" ‖ ნაწ.

**ნანა თუთბერიძე ამჟამად ბერლინის კინოფესტივალის „ბერლინალეს“ ქართველი კორესპონდენტია. ქალბატონი ნანა კინომოყვარულებსა და ხელოვნების დამფასებლებს კარგად ახსოვთ, მათ შორის გადაცემა „მრავალსახეობიდან“, რომელიც მაშინდელი ტელევიზიის პირველ არხზე საკმაოდ დიდხანს გადიოდა. ქალბატონი ნანა ჰოლივუდის თითქმის ყველა ცნობილ მსახიობს შეხვედრია და ჩვენთვის ბევრი რამ აქვს მოსაყოლი.**

# რაზე ბუზღუნებდა საქართველოში ჩამოსული რობერტ დენირო და რით გააოცა ნანა თუთბერიძემ ჰოლივუდის ვარსკვლავები

**ნანა თუთბერიძე:** არ ვიცი, იცით თუ არა, მე ვარ „ბერლინალეს“ კორესპონდენტი საქართველოში. წელს ჩემთვის საიუბილეო თარიღი იყო – მეოცეჯერ ვიყავი ამ ფესტივალზე. ეს არის კინოს მეტრებთან შეხვედრის არაჩვეულებრივი ადგილი. ჩემი სტუდენტების კატეგორიული მოთხოვნით, დავიწყე წიგნის წერა – სტატიების, მოგონებების, მემუარების – ამ პიროვნებებთან შეხვედრების შესახებ. წიგნში შევა ის ფაქტები, რაც არავინ იცის.

**– რომელ მათგანთან შეხვედრას გამოარჩევდით ყველაზე მეტად?**

– ბევრს შევხვედრივარ და ჩემი მოგონებები მძივივით იკინძება – დაწყებული ტონინო გუერადან... ჩემი ახალგაზრდობიდან ყველაზე მეტად სამი შეხვედრა დამამახსოვრდა, რაც საქართველოს უკავშირდებოდა: 80-იან წლებში – რობერტ რედფორდი, რობერტ დენირო და მარჩელო მასტროიანი! ძალიან ვამაყობ იმით, რომ რობერტ რედფორდმა დაახლოებით ერთსაათიანი ინტერვიუს მერე უდიდესი კომპლიმენტი მითხრა: თქვენ ისეთივე კარგი ჟურნალისტი ყოფილხართ, როგორი კარგი მსახიობიც მე ვარო. ასეთ გენიოსებს ყველა ჟურნალისტი, ლარი კინგიც კი ყელში აქვთ ამოსული, არ უყვართ ინტერვიუები. მთავარია შეკითხვები, რითაც აგრძნობინებ, რომ მის შემოქმედებას კარგად იცნობს. ამ ადამიანებს ხომ საქართველოზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ! ისეთ ფაქტებზე ვესაუბრებოდი, რომლებიც კარგად მომზადებულმა ჟურნალისტმაც არ იცოდა. რედფორდის პრესმდივანმა სულ 10 წუთი მომცა ინტერვიუსთვის – მას დაცვა და 3 შვილი ახლდა თან. მაგრამ ინტერვიუ მერე გაგრძელდა მისივე სურვილით. ასე მოხდა მარჩელო მასტროიანისთანაც – თავიდან არ უნდოდა ინტერვიუს მიცემა, მაგრამ შემდეგ იმდენი ისაუბრა, ფირი გათავდა! ოპერატორს ვანიშნე, – არ შეიმჩნიო, ვითომ ილებ-მეთქი. დენიროს რაც შეეხება, მოსკოვის კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე იყო და ძალიან დაღლილი ჩამოვიდა საქართველოში! ამიტომ დიდი ხალისით არ გამოირჩეოდა და ბუზღუნებდა – აღარასოდეს დავთანხმდები ჟიურის თავმჯდომარეობასო. მას მერე დენიროს არაერთხელ შევხვდი ბერლინში.



ასე მოხდა მარჩელო მასტროიანისთანაც: თავიდან არ უნდოდა ინტერვიუს მოცემა, მაგრამ, შემდეგ იმდენი ილაპარაკა, ფირი გათავდა

ევროპის მთავარი ფესტივალები მაინც ბერლინის, კანისა და ვენეციის კინოფესტივალებია. უკვე იმდენჯერ ვხვდებით ამ მსახიობებს, რომ სახეზეც გვცნობენ და მეგობრებად გვთვლიან ***(იცინის).*** მაგალითად, ჯორჯ კლუნი, ალენ დელონი, კატრინ დენევი... ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი იყვნენ წელს. ჯოლი ჩემთვის აღმოჩენა გახდა სარეჟისორო დებიუტით – „სისხლისა და თაფლის ქვეყანაში“. ფილმი ომზეა და მე დავინახე ძალიან საინტერესო ქალბატონი, რომელიც არ არის ჰოლივუდის რიგითი ლამაზმანი. ასევე, მისი მეუღლეც, რომელიც ცდილობს, გადააბიჯოს მომხიბვლელი ქერა მამაკაცის იმიჯს. წელს ნამდვილად იმსახურებდა ის „ოსკარს“, თუმცა მანამდე ჯონი დეპმა უნდა აიღოს „ოსკარი“ – ჯონი დეპი ძალიან მიყვარს! ფესტივალზე შევხვედრივარ. საერთოდაც ძალიან გახსნილი და უშუალოა ყველა ვარსკვლავი. ისინი უდიდეს პატივს სცემენ ჟურნალისტებს. ჯონი დეპს შესანიშნავი იუმორი აქვს, თავისებური ტიპია. ბერლინში გიჟდებიან დიკაპრიოზე, „ლეო“ (როგორც მას გერმანელები ეძახიან) იმდენად უყვართ, რომ როცა ჩამოდის, ირგვლივ ყველაფერი იკეტება, საძილე ტომრებით საფესტივალო სასახლესთან წვანან კინომოყვარულები და ელოდებიან. წელს საძილე ტომრებით უამრავი ხალხი იყო მოსული რობერტ პატისონის სანახავად.

**– მამაკაცებზე უკვე ვისაუბრეთ, მსახიობი ქალბატონებიდან ვის გამოარჩევთ?**

– ორი ქალბატონია ჩემთვის უდიდესი მსახიობი: ამერიკაში – მერილ სტრიპი, რომელიც წელსაც ბრძანდებოდა ბერლინში და ევროპაში – იზაბელა იუპერი. აღტაცებული ვარ მერილ სტრიპით – ეს არის ფენომენი, ნამდვილი ნიჭის ზეიმი! მერილ სტრიპი, გარდა იმისა, რომ ძალიან დიდი მსახიობია, კარგადაც მღერის. გაოცებული ვიყავი პირველად ჯულია რობერტსის დანახვისას – მეგონა ვნახავდი ძალიან მაღალ, კნაჭა ქალს და შემოვიდა საშუალო სიმაღლის სიმპათიური, სასიამოვნო ქალბატონი! ნიკოლ კიდმანი, მონიკა ბელუჩი, კეტრინ ზეტა ჯონსი... ჟაკლინ ბისე, რომელიც ჟიურის თავმჯდომარე იყო. სოფი ლორენის დანახვა ჩემთვის იყო ნამდვილი შოკი! ერთი მეგობარი მიყვებოდა, – პირველად რომ დავინახე სოფია, აღფრთოვანებისგან ვყვიროდი – ბრავო, სენიორასო. არადა, ისეთი თავშეკავებული ადამიანია ჩემი მეგობარი... გასაოცარი ქალია სოფია, წინ ახლოს ვეჯექი და გაოგნებული მივჩერებოდი, ვერ ვინძრეოდი, თორემ მეც ვიყვირებდი! ბრიჯიტ ბარდო, რომელიც კინოს ჩამოშორდა და ცხოველთა დაცვით არის დაკავებული. სხვათა შორის, მან იმხელა გავლენა მოახდინა ამ სფეროზე, რომ დღეს გერმანიაში ცუდ ტონად ითვლება ტყავისა და ბეწვეულის ტარება!

**– ვარსკვლავური ავადმყოფობა არ სჭირთ? ვინ არის მათგან ყველაზე ექსცენტრიკული?**

– შერონ სტოუნთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ასეთი მომენტი: მშვიდობის საქველმოქმედო გალა კონცერტი იყო, სადაც შერონ სტოუნმა ფეხზე გაიხადა, გადაყარა დარბაზში და განაცხადა: ვინც ამ ფეხსაცმელებს გარკვეულ ფასად შეიძენს, თანხა საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხებაო. ამას მოჰყვა ის, რომ რიჩარდ გირი, რომელიც არაჩვეულებრივად უკრავს და მღერის (და ეს „ჩიკაგოშიც“ კარგად გამოჩნდა), მიუჯდა როიალს და დაიწყო დაკვრა. შერონი კი როიალზე იყო წამოწოლილი და ხმას აყოლებდა. ენტონი ჰოპკინსზე მახსენდება ერთი ასეთი მომენტი – პრესკონფერენციაზე ჟურნალისტმა მიაწოდა მწვანილი (ჰანიბალის როლთან დაკავშირებით) – იმ თქვენს კერძებს ესეც დააყოლეთო ***(იცინის).*** მთელი პრესკონფერენციის განმავლობაში ჰოპკინსი კბილებს აკრაჭუნებდა და გვაშინებდა – მე თქვენ გადაგსანსლავთო. ჯორჯ კლუნის ძალიან უყვარს ერთ-ერთ ბარში სიარული, ჰოდა, გამოგვიცხადა: იმ ბარიდან მოვდივარ, ცოტა ნაბახუსევი ვარ და თუ რამე შემეშალა, მაპატიეთო. ამ დროს ერთი ჟურნალისტი წამოხტა, მარტინის ბოთლი მიაწოდა და უთხრა: აი, ეს მიირთვით, გამოგადგებათო. კლუნმა უპასუხა: კარგი, მაგრამ ახლა შეინახე და პრესკონფერენციის მერე მომეციო. მერილ სტრიპს ავსტრიელმა ჟურნალისტმა თეთრი ვარდები მიართვა, რუსმა – „მატრიოშკები“ (დაბადების დღე ჰქონდა). გაუკვირდა, „მატრიოშკები“ არც ჰქონდა ნანახი. უი, ნეტავ, მე მქონდეს ასეთი კარგი ცხვირიო. მივუტრიალდი და ვეუბნები: „აფსუს, რატომ არ მაქვს ხანჯალი თან, რომ გაჩუქოთ-მეთქი“. რა თქმა უნდა, ვიხუმრე, ბასრი იარაღით ვარსკვლავთან ვინ მიმიშვებდა ***(იცინის).*** ტონინო გუერას მეუღლეს, ლორას ვაჩუქე ბეჭედი – ყვავილს ჰგავს სიჭრელით. ეს ქალი ჟღალთმიანი, ფერად ტანსაცმელში – დავინახე, რომ ბეჭდისკენ გაექცა თვალი, თუმცა არაფერი უთქვამს. მოვიხსენი და ვაჩუქე. როდესაც ტონინო და ლორა თბილისიდან მიდიოდნენ, ტონინომ გადამკოცნა და მთხოვა, თუ შესაძლებელია კასეტა, ჩემი ინტერვიუთი, ჩემს არქივშიც იყოსო. ჰოდა, გავუგზავნე საქართველოს საელჩოს დახმარებით. გრეგორი პეკს და შონ კონერის შევხვედრივარ, რომელიც, გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი შოტლანდიელი მამაკაცია, კიდევ დამამახსოვრდა იმით, რომ პრესკონფერენციაზე შემოსულმა მაშინვე ფოტოგრაფებს მოსთხოვა, – შეწყვიტეთ სურათების გადაღებაო, რაც ვარსკვლავისგან ძალიან უცნაურია. ფრანგული კინოს ვარსკვლავებიც ხშირად ჩამოდიან ბერლინში – ჟერარ დეპარდიე, რომელიც სმა-ჭამის დიდი მოყვარულია, გატაცებულია მეღვინეობით. აქვს საკუთარი ვენახი და გიჟდება ამ თემაზე საუბრისთვის. საგანგებოდ მინდა, გამოვყო პიერ რიშარი, რომელთანაც ძალიან დიდი ისტორია მაკავშირებს – ნანა ჯორჯაძის ფილმის ექსკლუზივი მქონდა 1995 წელს და გადაღების პირველი დღიდან ბოლო დღემდე, ჩვენ ვიყავით ერთად. ძალიან მოეწონა და შეუყვარდა საქართველო, აღტაცებული იყო ქართული სიმღერითა და ცეკვით. ბატონი პიერი თვითონაც მღერის და კახი კავსაძესთან რომ მღეროდა, არ იცით, რა ბედნიერი იყო, ასევე, რამაზ ჩხიკვაძესთან, რომელიც არიას მღერის ამ ფილმში. მერე შოთა ქრისტესაშვილი და კახი კავსაძე მიყვებოდნენ, გახმოვანება ჰქონდათ გერმანიაში და ჩვენებმა ერთი ამოსუნთქვით გაახმოვანეს ფილმი. პიერ რიშარი გაოგნებული იყო! ცხოვრებაში გარეგნულად ბევრად უფრო სიმპათიურია. არის ფრანგი არისტოკრატი და აქვს ვეებერთელა გვარი, რომელიც ინტერვიუს წინ ძლივს დავიმახსოვრე და რომ წარმოვთქვი, სიცილი დაიწყო. ყველაფერს ასრულებდა, რასაც ნანა და ირაკლი კვირიკაძე ეუბნებოდნენ. მოეწონა ქართული სამზარეულოც და ძალიან დავმეგობრდით.

**ბატონი პიერი თვითონაც მღერის და კახი კავსაძესთან რომ მღეროდა, არ იცით, რა ბედნიერი იყო. იმღერა, ასევე, რამაზ ჩხიკვაძესთან, რომელიც არიას ასრულებს ამ ფილმში**

**– ჯეკ ნიკოლსონი მიყვარს ძალიან. შეხვედრიხართ?**

– კი. ძალიან ბევრი მოინდომა, რომ დარბაზში სიცილ-ხარხარი გამოეწვია თავისი შავი სათვალით. თბილია, მხიარული.

**ქეთი დიდებულიძე**

# ვიტამინების ტოპ-ექვსეული ქალებისთვის, ანუ, კორექტურა გაუკეთეთ საკვებს!

თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ, ცივი ზამთრის განმავლობაშიც კი შეინარჩუნებთ მშვენიერ ფორმას: თავიდან აიცილებთ მოთენთილობას, ენერგიის დაქვეითებას, გაციებას, ვირუსებს, დაღლილობას, კანის გამოშრობასა და მოდუნებას. ყოველივე ამისთვის კი საჭიროა სრულყოფილი, ბალანსირებული კვება აუცილებელი ვიტამინების საჭირო დოზების დამატებით. ასეთი აუცილებელი ვიტამინი კი სულ ექვსია: A, $B_1$, $B_6$, C, D და E, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ვიტამინებზე უნდა თქვათ უარი. უბრალოდ, ზემოთ ნახსენები „შესანიშნავი ექვსეული“ გარდაუვალად საჭიროა.




***ვიტამინი A*** აუცილებელია ორგანიზმში ახალი უჯრედების წარმოსაქმნელად. მისი დეფიციტის შემთხვევაში კანი შრება, ფრჩხილები იქერცლება და იმტვრევა, ჩნდება კოჟრები, თმა კარგავს ბზინვარებას და იწყებს ცვენას, ქვეითდება მხედველობა.

A ვიტამინს შეიცავს: ღვიძლი, თევზი (თევზის ქონი), ნაღების კარაქი, ნატურალური რძე, კვერცხის გული, სტაფილო, ისპანახი, გოგრა, ოხრახუში.

დღის ნორმა – 1 მილიგრამი.

***ვიტამინი $B_1$*** მთავარ როლს ასრულებს ნახშირწყლებისა და ცხიმების მეტაბოლიზმის პროცესებში; მუშაობაში ეხმარება გულსა და სისხლძარღვებს; ააქტიურებს გონებას, აუმჯობესებს გუნება-განწყობას. მისი დეფიციტის დროს თავს იჩენს გაღიზიანება (რაც ძალიან ხშირია მკაცრი დიეტების დაცვის დროს), უძილობა, ქვეითდება მადა, რაც არანაირად არ უწყობს ხელს გახდომას, რადგან, B ვიტამინის დეფიციტით გამოწვეული უმადობა იწვევს სტრესს, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს გაძლიერებული კვების მოთხოვნილებას.

$B_1$ ვიტამინს შეიცავს: ცეხვილი პური, ველური (რუხი) ბრინჯი, წიწიბურა, ნიგოზი და თხილი, ქლიავი, თევზი, უცხიმო ხორცი.

დღიური ნორმა – 2-3 მილიგრამი.

***ვიტამინი $B_6$*** ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს ორგანიზმს ცილების ათვისებაში, მონაწილეობას იღებს სისხლის წითელი სხეულებისა და ჰემოგლობინის წარმოქმნაში. მისი დეფიციტი იწვევს დეპრესიას, კანისა და სისხლის დაავადებას.

$B_6$ ვიტამინს შეიცავს: მარცვლეული, საფუარი, პარკოსნები, ბანანი, თხილი, ნუში, ნიგოზი, კარტოფილი, ღვიძლი, თევზი, კვერცხი.

***ვიტამინი C*** აძლიერებს იმუნიტეტს და აღადგენს მას გადატანილი ავადმყოფობების შემდეგ, აუცილებელია ორგანიზმში კოლაგენისა და ელასტენის წარმოსაქმნელად, რომლებიც ინარჩუნებს კანის სტრუქტურას და იცავს მას სტრესისგან.

ვიტამინ C-ს შეიცავს: ციტრუსები, კენკრა, კომბოსტოს მწნილი, შავი მოცხარი და სხვა.

დღიური ნორმა – 60 მილიგრამი.

***D ვიტამინის*** მთავარი ამოცანაა, მიეხმაროს ორგანიზმს, აითვისოს კალციუმი, რომელიც აუცილებელია ძვლების, კბილებისა და თმის სიჯანსაღისთვის.

D ვიტამინი „გამომუშავდება“ მზის სხივების ზემოქმედებით. მას შეიცავს რძემჟავა პროდუქტები, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, თევზი, ხიზილალა.

დღიური ნორმა – 10 მილიგრამი.

***ვიტამინი E*** აუმჯობესებს კანის მდგომარეობას, ანეიტრალებს თავისუფალი რადიკალების მოქმედებას, რაც აუცილებელია კანის რეგენერაციისთვის. ამაგრებს თმის ძირებს და აუმჯობესებს მის ხარისხს; ასევე, ამაგრებს ფრჩხილებს.

მისი დეფიციტის დროს კანი ნაადრევად ბერდება და ნაოჭდება, ჩნდება პიგმენტური ლაქები.

E ვიტამინს შეიცავს: მარცვლეული, მწვანეფოთლიანი ბოსტნეული, მცენარეული ზეთები, მზესუმზირა, ნიგოზი, პარკოსნები.

დღიური ნორმა – 8 მილიგრამი.

ნებისმიერი დიეტის დაცვის დროს, რაციონში ჩართეთ ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტები უმი ან მოხარშული სახით, ცხიმისა და მარილის დამატების გარეშე.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: რა უპირატესობა აქვს ბიოკრემს სხვა კრემებთან შედარებით?**

**პასუხი**: ბიოკრემი არ შეიცავს სილიკონებს, პარაბენებსა და სხვა ქიმიურ ნივთიერებებს. მაღალი ხარისხის ბიოკრემი 95 პროცენტით ნატურალურია და გამდიდრებულია ბიოორგანული ცხიმებით, რომელიც 3-ჯერ მეტ E ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ზეთისხილი, გვირილისა და ალოე-ვერას ექსტრაქტები.

**კითხვა: მაინტერესებს, რა არის კამბუჩი და რა დანიშნულებით გამოიყენება ის კოსმეტიკაში?**

**პასუხი**: კამბუჩი არის ჩაის სოკო. მისი სამშობლოა იაპონია და ეს სახელიც იაპონელებმა შეარქვეს. სხვათა შორის, მისი გაზრდა სახლის პირობებშიც შეიძლება.

კამბუჩი შეიცავს 4 უნიკალურ კომპონენტს, რომლებიც, კოსმეტოლოგების აზრით, მთავარია კანის ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ამიტომაც, ბევრი ცნობილი ბრენდი მას თავის კოსმეტიკურ ნაწარმში აქტიურად გამოიყენებს.

**კითხვა: საერთოდ, მშრალი კანი არ მაქვს, მაგრამ, ზამთრობით, განსაკუთრებით, თუ ძალიან ცივა, მიუხედავად იმისა, რომ მოვლის ყველა წესს ვიცავ, სახესა და ხელებზე კანი მიწითლდება და მექერცლება. სითბოში ეს არ მემართება. რისი ბრალი უნდა იყოს ეს?**

**პასუხი**: როგორც თქვენი სიტყვებიდან ჩანს, ეს უნდა იყოს სიცივის ალერგია. მიზანმიმართული მკურნალობის გარეშე, ალერგიის ეს ფორმაც, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი, სულ უფრო ხშირად და მძიმე ფორმით გამოვლინდება. ამიტომ, აუცილებლად მიმართეთ ალერგოლოგს და ჩაიტარეთ გამოკვლევა. მანამდე კი სახესა და ხელებზე გაიკეთეთ გვირილის თბილი აბაზანები და მენიუდან ამოიღეთ: შებოლილი პროდუქტები, ციტრუსი, შოკოლადი, ყავა, კვერცხი, ხიზილალა, ალკოჰოლი, მწარე და ცხარე საკვები, ცხვრისა და ღორის ხორცი, სუნელები.

**კითხვა: მაღაზიებში გასაყიდად გამოვიდა უამრავი კოსმეტიკური საშუალება, რომელიც მაკადამიის ზეთს შეიცავს. მაინტერესებს, რა არის მაკადამია და რით არის ის სასარგებლო?**

**პასუხი**: მაკადამია არის ეგრეთ წოდებული სამეფო კაკალი, რომლის სამშობლოც ავსტრალიაა. მის ზეთში შედის უჯერი ცხიმმჟავები, რომლებიც ჩვენს კანში არსებული ცხიმების მსგავსია. მაკადამია დიდი რაოდენობით შეიცავს მკვებავ ვიტამინებსა და მინერალებს და ამიტომ მის ზეთს აქტიურად გამოიყენებენ ანტიასაკობრივ კრემებში, ასევე, მშრალი და დაზიანებული თმის მოვლის საშუალებებში.



აფთიაქებში იყიდება მაკადამიის ნატურალური ზეთიც, რომლითაც შეგიძლიათ, გაიკეთოთ მასაჟი ან ძილის წინ შეიზილოთ თმაში, ღერების მთელ სიგრძეზე. თუ ერთმანეთში შეურევთ თითო სადილის კოვზ მაკადამიის, ზეითუნისა და გუნჯუთის ზეთებს, დაუმატებთ ლიმონის, გრეიპფრუტის, როზმარინისა და ლავანდის ეთერზეთების 10-10 წვეთს, მიიღებთ სტრიების საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებას.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# რას საქმიანობს მექსიკაში გადახვეწილი 52 წლის ქართველი ძებნილი, მეტსახელად „ხარო“

***პუბლიკაციის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.***

## „პარავოზი“

1979 წლის 10 მაისს, ვაკეში, ცნობილი ქართველი პროფესორის, ვანო გოგიშვილის ქვრივი, ანა გოგიშვილი გაქურდეს და ბინიდან ფული, ძვირფასეულობა, ანტიკვარიატი და უცხოური წარმოების ელექტრომოწყობილობა წაიღეს, რომლის საერთო ღირებულებამ 100 ათასი მანეთი შეადგინა. ეს იმ დროისთვის ასტრონომიული თანხა იყო. სამი დღის შემდეგ, მილიციამ კოტე ბელქანია და ანზორ მელქაძე დააკავეს. მათ აღიარეს ქურდობა და თქვეს, რომ ნაქურდალი ნივთები მათი მეგობრის, გურამ ხარაძის ბინაში ინახებოდა, რომელიც პლეხანოვის გამზირზე, ერთ-ერთ იტალიურ ეზოში ცხოვრობდა მოხუც ბებიასთან ერთად. იმავე საღამოს, მილიციის ოპერჯგუფმა გურამ ხარაძის ბინაში ჩხრეკა ჩაატარა და ორი ტყავის ჩემოდანი ამოიღო, სადაც ყველა ნაქურდალი ნივთი უკლებლივ ინახებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხარაძეს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია ბინის ქურდობაში, ჩემოდნები მეგობრების თხოვნით შეინახა სახლში და მათ შიგთავსზეც წარმოდგენა არ ჰქონდა, მაინც არ გასცა ბელქანია და მელქაძე და ჩემოდნები თავის კუთვნილებად აღიარა.

ბელქანია, მელქაძე და ხარაძე სკოლის მეგობრები იყვნენ, კლასელები და საშუალო სკოლა ერთი წლის დამთავრებული ჰქონდათ. ბელქანიას მამა „ცეკას“ პარტიული ფუნქციონერი იყო, მელქაძის მამა – ერთ-ერთი მსხვილი ქარხნის დირექტორი. გურამის გეოფიზიკოსი დედ-მამა კი ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში იყო ის, რომ ტრაგიკულად დაეღუპა ერთ-ერთი ექსპედიციის დროს. ბიჭს ბებია, მამის დედა, ქალბატონი ელენე ზრდიდა.

გურამს, პირველ წელიწადს უმაღლესში ჩაბარება არ უცდია. ინტენსიურად ემზადებოდა და სამედიცინო ინსტიტუტში აპირებდა ჩაბარებას. კოტე ბელქანია თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო, ანზორ მელქაძე კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტის პირველკურსელი. ორივე მამებმა მოაწყვეს უმაღლესში და თავიანთ უქნარა შვილებს უამრავი ფული დაახარჯეს.

გაქურდული პროფესორის ქვრივი ძალიან ჯიუტი, თავისნათქვამა ქალი იყო. მას უამრავი ნაცნობი ჰყავდა პარტიულ ელიტაში და ქურდების დასჯა მოითხოვა. ანა გოგიშვილმა ბელქანიას და მელქაძის მამების ფულად შეთავაზებაზე უარი თქვა და თავის ნათქვამზე ფეხმოუცვლელად იდგა. მიუხედავად იმისა,

**გურამ ხარაძემ „კარმუშკიდან“ „თუთიყუშს“ თვალში „შტირი“ ჩაასო და ადგილზე მოკლა**

რომ მილიციას უკვე ფული ჰქონდა აღებული და ქურდები გარეთ გამოუშვეს, იძულებულნი გახდნენ, ისინი უკანვე შეებრუნებინათ. მაშინ მამებმა გამოსავალი იპოვეს და კრიმინალური ავტორიტეტის, მალხაზ გვალიას, იგივე „თუთიყუშის“ მეშვეობით, რომელსაც 10 ათასი მანეთი გადაუხადეს, გურამ ხარაძე დაითანხმეს, რომ ციხეში ის ჩამჯდარიყო ნამდვილი დამნაშავეების ნაცვლად.

– მაქსიმუმ, ერთი წელი მოგიწიოს ჯდომა. მერე კი გამოგიყვანენ, უმაღლესშიც მოგაწყობენ და ბლომად მაყუთსაც მოგცემენ, – უთხრა თუთიყუშმა გურამს და დაამატა, – ნეტავ, მე შემეძლოს ჩაჯდომა და უარს ნამდვილად არ ვიტყოდი.

– ფული რა შუაშია. თუ საჭიროა, ისედაც ჩავჯდები, – მიუგო გურამმა თუთიყუშს.

18 წლის გურამ ხარაძეს სასამართლომ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და რუსთავის კოლონიაში გაამწესეს.

ამგვარად, კრიმინალური ჟარგონი რომ გამოვიყენოთ, ყოვლად უდანაშაულო ყმაწვილი „პარავოზად“, მარტო წავიდა „სროკზე“ და ვერ წარმოედგინა, თუ წინ რა ელოდა...



## გაქცევა

გულუხვი დაპირებების მიუხედავად, ხუთი წლით ციხეში გამომწყვდეული გურამ ხარაძე არც ნამდვილ დამნაშავეებს, არც მათ მამებს და არც მალხაზ გვალიას, იგივე თუთიყუშს გახსენებიათ, თუმცა, გვალია სიტყვით და სახელით „პატიოსან კაცად“ იყო ცნობილი, სინამდვილეში კი ნებისმიერი სისაძაგლის ჩამდენი გახლდათ.

ერთი წლის შემდეგ, გურამმა დაპირებული თავისუფლება რომ ვერ მიიღო და ამის გამო ძალიან ნერვიულობდა, ბებია ელენეს გარდაცვალების შესახებ შეიტყო, მაშინ მან ბელქანიას და მელქაძეს ერთ-ერთი გათავისუფლებული პატიმრის ხელით წერილი გაუგზავნა, სადაც ციხიდან გამოყვანას მოითხოვდა. ამის მიუხედავად, გურამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. როცა ის დარწმუნდა, რომ ამქვეყნად სრულიად მარტო დარჩა და პატრონი არ ჰყავდა, დაიფიცა, ყველასთვის სამაგიერო გადაეხადა.

ერთ დღეს ციხეში თუთიყუში მიიყვანეს, რომელიც მცირეწლოვნის მიმართ გარყვნილი ქმედების მცდელობისთვის იყო დაკავებული. საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ მალხაზ გვალიამ მეზობლის 9 წლის გოგონა გააშიშვლა და გარყვნილებას აპირებდა. სწორედ იმ დროს შეიპყრეს ბავშვის მშობლებმა და სასტიკად სცემეს. ასეთი ბრალდება ციხეში სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია და არავის პატიობენ. მართალია, თუთიყუში აცხადებდა, რომ ეს ყველაფერი მოწყობილი იყო, მაგრამ მისი დანაშაული ზუსტად დადგინდა და ქურდების გადაწყვეტილებით, მას სიკვდილი მიუსაჯეს. მით უმეტეს, რომ პატარა გოგონა ცნობილი ქურდის ნათესავი იყო. ის ქურდიც თბილისის ციხეში იხდიდა სასჯელს. იმ პერიოდში, გურამიც თბილისის ციხეში გადმოიყვანეს დროებით, რადგან რუსთავის კოლონიაში გრანდიოზული ბუნტი ატყდა და პატიმრები სხვადასხვა საპყრობილეში გადაანაწილეს. გურამი სწორედ იმ გოგონას ნათესავი ქურდის საკანში მოხვდა და თუთიყუშის ამბავი რომ შეიტყო, ქურდს საკუთარი ისტორია უამბო და უთხრა:

– შანსი რომ მომეცეს, მაგ ნაბიჭვარს თვალში შტირს ჩავარჭობდი.

– თითქმის გამორიცხულია, – მიუგო გურამს ქურდმა, – ციხის უფროსი, ეს ბოზი არ შვრება. აძინოჩკაში ჰყავს გამოკეტილი, რომ თითი არავინ დააკაროს. არადა, „ქათმებში“ უნდა იჯდეს და მას ჯერ მაგრად იხმარდნენ, შემდეგ კი დაბრიდავდნენ.

– მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე. ოღონდ, შტირი მინდა და შენი სიტყვა უნდა თქვა პატიმრებში, რომ ჩემი საქციელი გრეხში არ ჩამითვალონ.

– რა საქციელი?

– ციხის აბსლუგაში მოვითხოვ გადაყვანას, ბალანდიორად ვიმუშავებ და მაგ ნაბოზარს კარმუშკიდან შტირით დავბრიდავ. შენ კი უნდა თქვა, ეს ყველაფერი შეგნებულად გაკეთდაო და რომ ბალანდიორობის გრეხი არ დამეწეროს.

– რა გრეხი, ხაროჯან. დღეიდან შენ „ხარო“ გერქმევა. შენ ეგ ქურდული საქმე გააკეთე და დანარჩენი ჩემზე იყოს, – უთხრა გურამს ქურდმა, რომელიც 19 წლის ბიჭის საქციელით გაოცებული იყო.

და, მართლაც, გურამ ხარაძე ციხის მოსამსახურე პერსონალში ჩაეწერა, რაც პატიმრებისთვის დამამცირებელ საქციელად ითვლებოდა და სამი დღის შემდეგ თუთიყუში ერთადგილიან საკანში მოკლა. როდესაც ხარომ პატიმარ გვალიას წყალწყალა სუპის ასაღებად დაუძახა და თუთიყუშმა პატარა რკინის ფანჯარა, ეგრეთ წოდებული „კარმუშკა“ გამოაღო, თვალში ალესილი ფოლადის ნაჭერი ბოლომდე ჩაესო და ადგილზევე დაიღუპა...

მკვლელობისთვის ბრალდებულ გურამ ხარაძეს დახვრეტის მუხლი მიუყენეს, ერთადგილიან საკანში გამოამწყვდიეს და ციხის უფროსის ბრძანებით, საშინელ პირობებში ამყოფობდნენ. ერთ-ერთი სასამართლო სხდომის შემდეგ კი, პატიმარი გურამ ხარაძე ტუალეტში რომ შევიდა, იქიდან გაიქცა. მასზე საკავშირო ძებნა გამოაცხადეს.

### გამქრალი „მხედრიონელი“

ხაროზე ძებნა 1981 წლის 2 ივლისს გამოცხადდა და მართალია, მას მკვლელობისთვის ჯერ არ ჰქონდა მისჯილი, მაგრამ უეჭველად სიკვდილი ელოდა, რადგან მის მიმართ მიყენებული მუხლი სხვა სასჯელს არ ითვალისწინებდა.

**ერთ-ერთი სასამართლო სხდომის შემდეგ „ხარო“ ტუალეტიდან გაიქცა და მასზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა**

საკავშირო ძებნილი 2 წლის განმავლობაში არსად გამოჩენილა. 1983 წლის ნოემბერში კი ხარო კოტე ბელქანიას მამას, ტიტიკოს სახლში დაადგა და უთხრა:

– ხვალ, საღამოს, ვერის სასაფლაოზე 100 ათას მანეთს თუ არ მომიტან, შენი ნაბიჭვარი შვილის თავს გამოგიგზავნი. შე ბოზო, სულ შენი და მელქაძეების ბრალია, რაც მჭირს. თუთიყუში ხომ გავარასხოდე, არც თქვენ დაგაყენებთ კარგ დღეს.

ტიტიკომ კარგად იცოდა, რომ ხარო თავის სიტყვას შეასრულებდა, რადგან უკან დასახევი გზა არ ჰქონდა და დაჭერის შემთხვევაში სიკვდილი ელოდა. ამიტომ, მეორე დღეს მან 100 ათასი მანეთი მართლაც მიუტანა ხაროს ვერის სასაფლაოზე და გატაცებული შვილი უკან დაიბრუნა. გურამს, მელქაძეებისთვისაც უნდოდა ფულის წართმევა, მაგრამ, როდესაც ანზორის მამამ, ირაკლიმ ხაროს ციხიდან გაქცევის ამბავი შეიტყო, შურისძიების შეეშინდა და ცოლ-შვილთან ერთად სადღაც გადაიხვეწა.

ხარო ცნობილ რუს რეციდივისტთან, ალექსეი ხოდოვთან, მეტსახელად „ლიოხასთან“ ერთად მოქმედებდა, რომელიც ასევე ციხიდან იყო გაქცეული. მათ ერთმანეთი ლენინგრადის ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში გაიცნეს, დაძმაკაცდნენ და ერთად მოქმედება გადაწყვიტეს. ძებნილებმა 1986 წელს მელქაძეებსაც მიაგნეს ყირიმში, სადაც გურამმა ანზორი შემთხვევით ნახა. მას ლიოხა დაადევნა და რომ გაიგო, მამამისი მსხვილი კოოპერატორი იყო, ანზორი მოიტაცა და ირაკლი მელქაძეს 500 ათასი ამერიკული დოლარი აართვა შვილის სანაცვლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ხარო და ლიოხა ძებნილები იყვნენ, პერესტროიკის არეულ-დარეულ ხანაში, მათ არცთუ ისე ინტენსიურად ეძებდნენ. თანაც, მათ უკვე დიდი თანხა ჰქონდათ და დამალვა არ გასჭირვებიათ. 1989 წლის ივლისში, ლიოხა ოდესაში ერთ-ერთი კრიმინალური გარჩევის დროს როსტოველმა ბანდიტებმა მოკლეს. ხარომ მათზე შური იძია და სამი კაცი სიცოცხლეს გამოასალმა, შემდეგ კი გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. 1991 წლის მიწურულს. 31 წლის გურამ ნოდარის ძე ხარაძე, რომელიც 10 წლის ძებნილი იყო, საქართველოს „მხედრიონში“ აღმოჩნდა და მისი ლიდერის, ჯაბა იოსელიანის მარჯვენა ხელი გახდა. ხარო, რომელიც სიგარეტსაც კი არ ეწეოდა, იარაღით ამარაგებდა „მხედრიონს“ და არც ერთ მძიმე დანაშაულში არ იყო გარეული. 1992 წლის დეკემბერში კი, ხაროს „მხედრიონის“ რამდენიმე გავლენიან პირთან მოუწია დაპირისპირება და ამ დაპირისპირების შედეგად, თბილისის ცენტრში შეიარაღებული შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც ოთხი ადამიანი დაიჭრა. ამის შემდეგ ხარო გაუჩინარდა...

სხვადასხვა ვერსიის მიხედვით, გურამ ხარაძე უცხოეთში გაიქცა, რომ მხედრიონელთა რისხვას გადარჩენოდა. თუმცა, ზუსტი ინფორმაცია არავის გააჩნდა. 1999 წელს კი 39 წლის მექსიკის მოქალაქე, ვინმე მანუელ ვარცი აბუ-დაბის საერთაშორისო ბაზრობაზე ნახა ყოფილმა მხედრიონელმა, რომელიც იმ პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და მასში გურამ ხარაძე შეიცნო.

ხარო დღესაც ცოცხალია, 52 წლისაა და მექსიკაში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, სადაც შემოსავლიანი, კერძო ბიზნესითაა დაკავებული.

**ნიკა ლაშაური**


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ

**ნინო ჯანელიძე**

**ტელეფონები: 252-79-57; 555-33-91-66.**


## რა მოხდა ამ დღეს

### 28 იანვარი

1871 – დაიწყო პარიზის ალყა პრუსიული არმიის მიერ (საფრანგეთ-პრუსიის ომი).

1986 – ამერიკული კოსმოსური ხომალდის „ჩელენჯერის“ აფეთქება.

### 29 იანვარი

1856 – დაარსდა ინგლისის ყველაზე პრესტიჟული სამხედრო ჯილდო – „ვიქტორიას რკინის ჯვარი“.

1861 – ამერიკის შეერთებული შტატების 34-ე შტატი გახდა კანზასი.

1927 – ლონდონში გაიხსნა სასტუმრო „Pank Lane Hotel“, რომელიც პირველი იყო მსოფლიოში ისეთ სასტუმროებს შორის, სადაც თითო ნომერს თავისი სააბაზანო ჰქონდა.

### 30 იანვარი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9 – რომში, მარსის მოედანზე, გაიმართა თეთრი მარმარილოს სკულპტურული რელიეფით დამშვენებული მშვიდობის საკურთხევლის საზეიმო კურთხევა.

1820 – ინგლისელები მიიჩნევენ, რომ ამ დღეს ოფიცერმა ედუარდ ბრენსფილდმა აღმოაჩინა ანტარქტიდა; ამერიკელები ამტკიცებენ, რომ ანტარქტიდა აღმოაჩინა ამერიკელმა ნათანიელ პალმერმა; თავის მხრივ, რუსებს აქვთ პრეტენზია, რომ ორი დღით ადრე ანტარქტიდა აღმოაჩინეს ბეინსჰაუზენმა და ლაზარევმა.

1911 – ფინეთში ამოიფრქვა ვულკანი ტაალი. 80 მეტრის სისქის ლავამ, რომელსაც მომწამლავი გაზი ახლდა, 10 კილომეტრი რადიუსის ტერიტორია დაფარა. დაიღუპა 2 000-მდე ადამიანი.

1932 – ფინეთში გამოცხადდა „მშრალი კანონი“.

1933 – გერმანიის კანცლერად აირჩიეს ჰიტლერი.

### 31 იანვარი

1714 – პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანება, რითაც წარჩინებულები დაავალდებულა, შვილებისთვის აუცილებლად ესწავლებინათ „ციფრები და გეომეტრია“.

1971 – 19 წლის შემდეგ აღდგა დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინს შორის სატელეფონო კავშირი.

1999 – ლატვია შევიდა ევროსაბჭოს შემადგენლობაში.

### 1 თებერვალი

1918 – პატრიარქმა ტიხონმა ანათემას გადასცა საბჭოთა ხელისუფლება.

1924 – დიდმა ბრიტანეთმა აღიარა საბჭოთა ხელისუფლება.

1930 – საბჭოთა კავშირში დაიწყო მასობრივი კოლექტივიზაცია.

1946 – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

1951 – ტელევიზიით პირველად გადასცეს ბირთვული ბომბის აფეთქება ნევადის შტატიდან.

### 2 თებერვალი

1046 – ანგლოსაქსურ ქრონიკებში აღწერილია მკვეთრი აცივება – „მცირე გამყინვარების პერიოდი“.

1535 – ესპანელმა კონკისტადორებმა დააარსეს ბუენოს-აირესი – არგენტინის დედაქალაქი, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი პორტი.

1556 – ცენტრალურ ჩინეთში, შანსის პროვინციაში, მოხდა მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით ყველაზე გამანადგურებელი მიწისძვრა – დაიღუპა 820 ათასი ადამიანი.

1820 – ბროდვეიზე პირველად დაიდგა სრული პიესა.

1852 – ლონდონში, ფრით-სტრიტზე, გაიხსნა პირველი საზოგადოებრივი ტუალეტი.

1898 – ამერიკის ჰარტფორდის შტატში პირველად გაიცა სადაზღვევო პოლისი.

1918 – სახალხო კომიტეტის დეკრეტით, ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, სკოლა – ეკლესიას.

1962 – პლანეტების აღლუმი.

### 3 თებერვალი

1815 – შვეიცარიაში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ყველის ქარხანა.

1830 – გამოცხადდა საბერძნეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა. მანამდე ის თურქეთის სულთნის უღელქვეშ იყო.

1966 – საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა 9-მ“ პირველმა გადმოსცა დედამიწაზე მთვარის ლანდშაფტის გამოსახულება.

1995 – ჩატარდა „ნატოს“ პირველი სამხედრო სწავლებები ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

# ერთი ცოლი ორმა მამაკაცმა ვერ გაიყო



მკვლელობის მცდელობისთვის ემზარ ს. პატიმრობაში 3 წელს გაატარებს, ხოლო მისი ცოლი, ირმა ე. 2 წელს. დანაშაულის პროვოცირებისთვის ქმარი ცოლის დაცვის გამო გახდა პატიმარი – მან სრულიად უცნობი გოგიტა ნ. ბარძაყში დაჭრა, რომელიც, მძიმე დაზიანების მიუხედავად, გადარჩა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ დაზარალებული ყველა ხერხით ცდილობდა ბრალდებულის დაცვას. მომხდარში ის ირმა ე-ს ადანაშაულებდა – ქალს, რომელიც წარსულში მისი ცოლიც იყო...

მოკლედ, კაცებმა 26 წლის ირმა ე. ვერ გაიყვეს, მაგრამ დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ „ჩხუბის ობიექტი" აღმოჩნდა, რომელიც მათი პროვოცირებისთვის თავადაც დაისაჯა. თუმცა, მთავარი ალბათ მაინც ის გარემოებაა, რომ სხვადასხვა დროს ირმა ე. ორივეს ცოლი იყო, რის შესახებაც კაცებმა მხოლოდ ერთმანეთთან დაპირისპირების შემდეგ შეიტყვეს. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ისინი პროცესზე ერთმანეთს კბილებით იცავდნენ და ბრალს ქალს სდებდნენ, მაგრამ, ვინაიდან სახეზე იყო ცივი იარაღი – დანა, რომლითაც ჩადენილი იყო დანაშაული, სასამართლო უძლური აღმოჩნდა, ემზარ ს. გაეთავისუფლებინა. თუმცა, მას მხოლოდ 3 წელი მიუსაჯა, რაც არც ისე დიდი სასჯელია...

## დამალული პირველი ქორწინება

ირმა ე. თავდაპირველად ოთხი წლით უფროს გოგიტა ნ-ს გაჰყვა ცოლად, რომელიც აფხაზეთიდან იყო დევნილი. მათი ქორწინება რომ უიღბლო იქნებოდა, თავიდანვე ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ გოგიტას მშობლები მოსკოვში ცხოვრობდნენ, ოჯახებს ერთმანეთის დანახვაც არ უნდოდათ. ასეთი ურთიერთობის მიზეზი გოგიტა იყო, რომელსაც სამართალდამცველებთან პრობლემები ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაეწყო, თუმცა, ირმას ის მაინც უყვარდა, მისი ცხოვრების წესიც მოსწონდა და მშობლებისგან მალულად გაჰყვა ცოლად. მაგრამ, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ მშობლებმა ირმა სახლში დააბრუნეს და ყველაფერი იღონეს, რომ მისი გათხოვება-გამოთხოვების ამბავი არავის გაეგო. ჭორების თავიდან აცილებას, პრინციპში, მიაღწიეს კიდეც, რადგან, გოგიტა მოსკოვში, დედ-მამასთან დაბრუნდა და ამით ყველაფერი თავისთავად მოგვარდა. ეს ამბავი მხოლოდ ძალიან ვიწრო წრემ – ირმას მშობლებმა და ბიძებმა იცოდნენ. სწორედ ამიტომ, როდესაც 21 წლის ასაკში ირმა მეორედ გათხოვდა, მეორე ქმრის ოჯახს ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. ერთადერთი, ირმას ქმარმა, ემზარ ს-მ იცოდა, რომ ირმა წარსულში ვიღაცას უყვარდა, რომელმაც მოიტაცა და მათ შორის „რაღაც მოხდა". გასაგები მიზეზების გამო, ის სიღრმეებით აღარ დაინტერესებულა, ანუ, ფაქტი, რომ ორი კვირის განმავლობაში ირმას სხვისი ცოლი ერქვა, ეს მანაც არ იცოდა.

## ცოლქმრული ღალატის საბედისწერო შედეგი

მისი საქციელიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ირმა ე. არნახული აზარტული მოთამაშე იყო, ოღონდ, ის კაცებით თამაშობდა.

როგორც გამოძიებით ირკვევა, ირმას პირველი ქმრის მიმართ კვლავ ჰქონდა გრძნობა და, გათხოვების მიუხედავად, გოგიტა ნ-ს ყველგან ეძებდა. ის ჩვენებებში თავადვე წერს, რომ მან მოსკოვში მოძებნა გოგიტას მეგობარი და ყოფილ ქმარს მისი დახმარებით მიაგნო.

ცნობისათვის: აფხაზეთიდან დევნილი გოგიტას ნ-ს ოჯახი – დედ-მამა და და-ძმა – მოსკოვში ცხოვრობდა. ბებიასთან თბილისში პერიოდულად გოგიტა ჩამოდიოდა და სწორედ ამ პერიოდში დაუახლოვდა ირმას, რომელიც შემდეგ ცოლადაც მოიყვანა. მაგრამ, სამართალდამცველებთან შექმნილი პრობლემებისა და ბებიის გარდაცვალების გამო, მშობლებმა ის მოსკოვში დააბრუნეს და, როგორც ვარაუდობდნენ, საბოლოოდ.

გოგიტას მეგობრის ჩვენებიდან: „ირმას გოგიტასგან ვიცნობდი, მაგრამ, მასთან ახლო ურთიერთობა არასდროს მქონია. როდესაც ინტერნეტით მომწერა, გამიკვირდა, რადგან, ვიცოდი, რომ გოგიტას ყოფილი ცოლი მეორედ გათხოვდა. თუმცა, როდესაც ამის შესახებ ვკითხე, ირმამ მომატყუა – არ გავთხოვილვარ და არც ვაპირებო. ცხადია დავუჯერე, რადგან, ეჭვადაც არ მიფიქრია, რომ მატყუებდა. ჩვენ შორის საუბარმა სისტემატური ხასიათი მიიღო და აშკარად მივხვდი, რომ მას გოგიტასთან დაახლოება უნდოდა, რომელიც, ჩემი აზრით, ისევ უყვარდა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, ირმას რეკვები მომბეზრდა და ჩვენი საუბრების შესახებ გოგიტასაც ვუთხარი. ის დაინტერესდა ყოფილი ცოლის ამბებით და ყველაფერი გამომკითხა. მეც ვუთხარი, რომ ირმას ის ისევ აინტერესებდა, მაგრამ, იმ პერიოდში გოგიტას სხვა ქალი ჰყავდა და მის გარდა არავინ უნდოდა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ირმამ მკითხა გოგიტას თუ უთხარი ჩემ შესახებო. როცა დავუდასტურე, მივხვდი, რომ გოგიტას მხრიდან უყურადღებობა ძალიან ეწყინა.

**ირმა არნახული აზარტული მოთამაშე იყო, ოღონდ, ის კაცებით „თამაშობდა"**

ჩვენი საუბრიდან დაახლოებით სამ თვეში სკაიპით შედგა გოგიტას და ირმას საუბარი. როდესაც სკაიპმა მოულოდნელად დარეკა, იმ ღამეს გოგიტა ჩემთან იყო. ვუთხარი, რომ ირმა იყო, მაგრამ, რექცია არ ჰქონია, რაც იმას ადასტურებს, რომ გოგიტასთვის ის წარსული იყო. როდესაც ირმას ვუთხარი, რომ სტუმრები მყავდა და მოგვიანებით შევეხმიანებოდი, მკითხა, სტუმრებს შორის გოგიტაც ხომ არ იყო და, როცა დავუდასტურე, მთხოვა, დამეძახა. გოგიტა იძულებული გახდა, დალაპარაკებოდა, თუმცა, ყურსასმენს რომ ვაძლევდი, მუშტი მომიღერა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ირმასთან ურთიერთობა აღარ უნდოდა.

ამის შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, გარდა იმისა, რომ ირმა მე აღარ დამკონტაქტებია. მოგვიანებით საერთო მეგობრისგან გავიგე, რომ ის და გოგიტა შერიგდნენ და საქმე იქამდეც მივიდა, რომ გოგიტა საქართველოში აპირებდა დაბრუნებას. მინდოდა, გოგიტასთვის მეკითხა, ნამდვილად ასე იყო თუ არა, მაგრამ, ტელეფონს აღარ პასუხობდა. მის დას დავურეკე და ძალიან გამიკვირდა როცა გავიგე, რომ გოგიტა თბილისში დაბრუნდა," – აცხადებს ილია რ., რომელიც მეგობრის დასაცავად საქართველოში დაბრუნდა, რათა გამოძიებისთვის ჩვენება მიეცა.

საქმის მასალების მიხედვით, გოგიტა ნ. თბილისში ისე დაბრუნდა, არ იცოდა, რომ ირმა გათხოვილი იყო, რადგან, ყოფილმა ცოლმა მეორედ გათხოვების ამბავი მასაც დაუმალა და ამ ფაქტს თავად ირმა ე-ც ადასტურებს. ის ჩვენებაში წერს, რომ მას მეორე ქმართან გაყრა და პირველთან შერიგება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ, ვერ წარმოიდგენდა, რომ გოგიტა მის გამო მოსკოვიდან ასე მალე დაბრუნდებოდა...

თბილისში ჩამოსულ ყოფილ ქმარს, როგორც თავად ირმა ამბობს, მისსავე ბინაში შეხვდა და მოატყუა, რომ საცხოვრებლად ნათესავთან გადავიდა. ამიტომ, სთხოვა იმ ბინაში მისთვის აღარ მიეკითხა. ქალს ეგონა, რომ დაახლოებით ერთ კვირაში ისევ სახლში დაბრუნდებოდა და ყველაფერი დალაგდებოდა, მაგრამ, მათი შეხვედრებიდან ორ კვირაში ირმას ქმრებს შორის ინციდენტი მოხდა, რაც კინაღამ მკვლელობით დასრულდა.

საქმე ისაა, რომ გოგიტას და ირმას შეხვედრებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. ირმა ჩვენებაში წერს, რომ გოგიტა ნ-სთან ერთად მოსკოვში წასვლას აპირებდა და დარწმუნებული იყო, ქმარი გაყრაზე უარს არ ეტყოდა, რადგან, გრძნობდა, რომ არც მას უყვარდა და ყველაფერს მშვიდობიანად მოაგვარებდა თუმცა, ერთ დღეს, გოგიტამ ყოფილ ცოლს მოულოდნელად მიაკითხა და ირმა ე. ვიღაც კაცთან ერთად არცთუ სასიამოვნო სიტუაციაში დაინახა – კაცს ის ხელგადახვეული მოჰყავდა. ამის გამო გოგიტა მათკენ წავიდა, წინ გადაუდგა და სრულიად უცნობ მამაკაცს ჩვეული, კრიმინალისთვის დამახასიათებელი ტონით, ახსნა-განმარტება მოსთხოვა...

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ნასვამმა გოგიტა ნ-მ, რომელმაც ყოფილი ცოლი უცხო მამაკაცთან შენიშნა, სიტუაციის გარკვევის მიზნით, მისთვის უცნობ მამაკაცს ქუჩაში გადაუდგა და მოსთხოვა, აეხსნა რა აკავშირებდა მის ყოფილ ცოლთან. ემზარ ს-მ თავიდან პასუხი არ გასცა – იფიქრა, რომ უცნობ ნასვამ მამაკაცს რაღაც ეშლებოდა, მაგრამ, იმის გამო, რომ უცნობი მისი ცოლის წაყვანას ცდილობდა, ემზარ ს-მ დანით მოძალადე ბარძაყში დაჭრა...

ყველაზე საინტერესო ის გარემოებაა, რომ ირმა ე-მ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ქუჩაში შემხვედრს არ იცნობდა და, ამიტომ, როცა მისმა ქმარმა დაჭრილი მიატოვა, ქმარს ისიც თან გაჰყვა...

ცხადია, საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა და დადგინდა, რომ ამ ყველაფრის მიზეზი მხოლოდ ირმა იყო, რომელიც თავს იმით იმართლებდა, რომ მის მეორე ქმარს საყვარელი ჰყავდა და ამიტომ მოექცა ასე. თუმცა, მისმა თავის მართლებამ არ გაჭრა. როგორც დანაშაულის წამქეზებელს, გამოძიებამ ბრალი მასაც დასდო და 2 წლით პატიმრობა მიუსაჯა, რაც მოგვიანებით პირობითი სასჯელით შეეცვალა.

რაც შეეხება მის ყოფილ ქმრებს, კაცებმა ერთმანეთს სოლიდარობა გამოუცხადეს და მაქსიმალურად ცდილობდნენ ერთმანეთის დაცვას, მაგრამ, ვინაიდან ემზარ ს-მ მის მიერ დაჭრილი განსაცდელშიც მიატოვა, მისი მკვლელობის მცდელობისთვის 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავდა ავტომობილი „ნისან ალმერა", რომლის ყიდვაც 5 200 დოლარი დამიჯდა. მეჩქარებოდა გაყიდვა და 3 500 დოლარად გავყიდე. ახლა სხვა ავტომობილის შესაძენად დამრჩა მხოლოდ 2 000 დოლარი. ამ ფასად შედარებით „ახალგაზრდა" და თან ეკონომიური ორი ავტომობილი ვნახე – „სეატ იბიზა" და „ფიატ მარბელა". ამ ორი ავტომობილიდან რომლის შეძენას მირჩევთ?**

**პასუხი:** თქვენივე გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ ისეთი ავტომობილების გაყიდვა, რომელსაც ნაკლებად იცნობენ საქართველოში, საკმაოდ რთულია. ამას აქვს თავისი მიზეზები: საკმაოდ რთული საშოვნელი და, თან, ძვირია იმ ავტომობილის დეტალები, რომელიც ცოტა დადის ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ თავად ავტომობილი იაფი ღირს. მომავალში ამ ავტომობილის გაყიდვა თქვენც მოგიწევთ, იმავე პრობლემის წინ დადგებით. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, თქვენ მიერ დასახელებულ არც ერთ მოდელს არ გირჩევთ. ჩემი რჩევაა, შეიძინოთ „ოპელ ასტრა", რომელიც საკმაოდ ეკონომიურია და მის ნებისმიერ დაზიანებას ერთ დღეში აღმოფხვრით; ან, „ჰონდა სივიკი", რომელიც თითქმის არასდროს ფუჭდება, ეკონომიურია და შეკეთებაც იაფი ჯდება; ან, შედარებით მოცულობითი „ბეემვე 520", რომელიც მეტ საწვავს მოიხმარს, მაგრამ, ძალიან მარტივია მისი შეკეთება საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, ისევე, როგორც „ოპელ ასტრას" შემთხვევაში.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს „ბეემვე ზეტ 3", 2.8 ძრავით. ხელსაწყოების დაფაზე ავტომობილს განთავსებული აქვს ღილაკი, წარწერით „ASC". როდესაც ვაწვები, ხელსაწყოების დაფაზე ყვითელი ინდიკატორი ინთება. იქნებ ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს ღილაკი, როდის და რა მიზნით უნდა გამოვიყენო, როდის არის ის ჩართული და როდის – გამორთული? მანქანის ხელახალი დაქოქვისას ნათურა ჩამქრალია და ვერ ვხვდები, სისტემა მუშაობს თუ არა.**

**პასუხი:** წარწერა ASC – იშიფრება როგორც „სტაბილურობის ავტომატური კონტროლი". ეს სისტემა არ აძლევს ჩვენს ავტომობილს იმის უფლებას, რომ მოცურდეს და ავტომობილის აჩქარების დროს მართვა დაგვაკარგვინოს, რისი ალბათობაც „ბეემვეს" ამ მოდელის შემთხვევაში ძალიან მაღალია. „ზეტ 3" საკმარისად მძლავრია იმისთვის, რომ აჩქარებისას დაბუქსავდეს და მოცურდეს. რაც შეეხება ჩართვასა და გამორთვას, ნებისმიერი ხელახალი დაქოქვისას სისტემა ჩართული და მობილიზებულია. ღილაკზე ხელის დაჭერით და ხელსაწყოების დაფაზე ყვითელი ინდიკატორის ანთებით ჩვენ სისტემას ვთიშავთ და ავტომობილს იმის უფლებას ვაძლევთ, რომ დაბუქსავდეს. ვინაიდან ეს ავტომობილი სპორტულია, ის აღჭურვილია უკანა ხიდის ბლოკირებით და დაბუქსავების შემთხვევაში იოლად ახერხებს ეგრეთ წოდებულ დრიფტს. ანუ, ეს ღილაკი იმ ადამიანებისთვისაა, ვისაც უნდა, რომ ამ ავტომობილით გაერთოს ან სპორტული დანიშნულებით გამოიყენონ, მწარმოებელი ამის საშუალებას აძლევს. მაგრამ, ჩვეულებრივ მძღოლს ღილაკი შემთხვევით რომ არ გაეთიშოს ისე, რომ ამის შესახებ არც კი იცოდეს, სწორედ ამიტომ გადააზღვია „ბეემვემ" სისტემა და, შედეგად, ყოველ დაქოქვაზე ის თავიდან ირთვება. ASC-ს სხვადასხვა ავტომობილში სხვადასხვა საფეხურად იყენებენ. თვითონ „ზეტ 3"-ის 3.0-იან ვერსიაში შეგვიძლია, ღილაკზე თითის ერთი დაჭერით სისტემა ნახევრად გამოვრთოთ და, თუ ჩვენ ღილაკზე თითს რამდენიმე წამით გავაჩერებთ, სისტემა სრულად ითიშება. რაც შეეხება უფრო თანამედროვე ავტომობილებს, თუნდაც „ბეემვეს" უკანასკნელ მოდელებს, ისინი კიდევ უფრო მეტად დახვეწილია და დისპლეიზე განთავსებულ მენიუში შესვლით სხვადასხვა სისტემის უფრო დეტალურად დარეგულირებაა შესაძლებელი.

**კითხვა: მინდა შევიძინო ავტომობილი „სუბარუ ფორესტერი", 2000 წლის, 2.0 არატურბინიანი ძრავით, მართვის ავტომატური კოლოფით. ეს მოდელი საკმაოდ იაფია, მოცულობით მასიურია, დიდი ტევადობა აქვს. თუ მირჩევთ მის შეძენას?**

**პასუხი:** „სუბარუ ფორესტერს" აქვს ბევრი დადებითი და, ასევე, უარყოფითი მხარეები. დავიწყოთ დადებითი მხარეებით: ამ მოდელს საკმაოდ კარგი და გამძლე სავალი ნაწილი აქვს საქართველოს პირობებისთვის. სავალ ნაწილში ვგულისხმობ როგორც წვრილმან, ისე ძირითად ნაწილებს. მართვის ავტომატური კოლოფიც საკმაოდ გამძლე გამოუვიდა მწარმოებელს, როგორც იტყვიან – ივარგა. „ფორესტერის" მინუსია, რომ სხვა ანალოგიური ლიტრაჟის მქონე ძრავიან მოდელებთან შედარებით მეტ საწვავს მოიხმარს და ძრავა კონსტრუქციულად უჩვეულო ფორმისაა. ამ მოდელს ოპოზიტური ძრავი აქვს ალუმინის ბლოკით, რაც დაზიანების შემთხვევაში ძალიან ფაქიზ და უზუსტეს დაშლასა და აწყობას მოითხოვს, რათა მალე ისევ არ გამოვიდეს მწყობრიდან. ასე ფაქიზად კი ძრავასთან საქართველოში იშვიათად მუშაობენ. თუმცაღა, არსებობს „სუბარუს" სერვის-ცენტრი, სადაც შესწავლილი აქვთ ამ ტიპის ძრავებთან მოპყრობის ტექნოლოგია. მაგრამ, რა თქმა უნდა, მათი სერვისი დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ერთი სიტყვით, თუ ამ ავტომობილის შეძენას გადაწყვეტთ, ყოველთვის დროულად მოახდინეთ ზეთების, ფილტრებისა და ღვედების შეცვლა და სხვა მსგავსი სერვისები.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „სუზუკი სვიფტი", რომელსაც ძრავას ღვედი გაუწყდა. ხომ არ დააზიანებდა ეს ავტომობილის სხვა რომელიმე დეტალს და პრობლემის აღმოსაფხვრელად საკმარისი იქნება თუ არა მხოლოდ ახალი ღვედის შეძენა და შეცვლა?**

**პასუხი:** თქვენ კითხვა არასწორად გაქვთ დასმული, რადგან, ძრავას რამდენიმე ტიპის ღვედი აქვს და თითოეულს – თავისი კონკრეტული დანიშნულება. ზოგიერთი მათგანის გაწყვეტა ან დაზიანება ნაკლებ პრობლემას წარმოქმნის, ზოგიერთის კი – ძალიან სერიოზულ პრობლემებამდე მიგიყვანთ. მაგალითისთვის, თუ გაწყდა ღვედი, რომელიც გენერატორს და, ამავდროულად, წყლის პომპას აბრუნებს და მისი გაწყვეტა დროულად შეამჩნიეთ (ამას მიგანიშნებთ ხელსაწყოების დაფაზე განთავსებული წითელი ნათურა, რომელსაც აკუმულატორის გამოსახულება აქვს. სწორედ ეს ნათურა უნდა აინთოს), მაშინ საშიშიც არ შეიქმნება – ღვედის შეცვლით პრობლემა აღმოიფხვრება. იგივე შეიძლება ითქვას, თუკი თქვენი ავტომობილი საჭის ჰიდროგამაძლიერებლითაა აღჭურვილი და მისი ბრუნვაში მომყვანი ღვედი გაწყდება. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ეგრეთ წოდებული „ზუბჩატი რემენი", ანუ, ძრავის კბილებიანი ღვედი გაწყდა, მაშინ პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ ჟურნალის მთელი ორი გვერდი დასჭირდება იმ დეტალების ჩამოთვლას, რაც ამ შემთხვევაში დაზიანდება. რიგ ავტომობილებში, მაგალითად, „ჰონდას" მოდელების თითქმის 95 პროცენტში, ამ ტიპის ღვედის გაწყვეტა, თითქმის არაფერს დააზიანებს, უბრალოდ, მის შესაცვლელად უფრო მეტი დრო დაგჭირდებათ, ვიდრე გენერატორის ღვედის შეცვლას მოანდომებდით. ავტომობილის შეძენისას ჩვენ ასეთ ნიუანსებს, რა თქმა უნდა, არ ვითვალისწინებთ, ყურადღებასაც კი არ ვაქცევთ მანამ, სანამ კონკრეტული პრობლემის წინაშე არ დავდგებით. კარგი იქნება, ამა თუ იმ მოდელის შეძენამდე ამ საქმის პროფესიონალებს მსგავს დეტალებზე ინფორმაცია გამოჰკითხოთ. აქვე გეტყვით, რომ ავტომობილის ეკონომიურობა, ანუ, რამდენად იაფი შესანახია ის, სწორედ ასეთი ნიუანსებიდან გამომდინარეობს.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



ჩაკეტი-ლი ქუჩა
(.......) ზიჩი
ილიას არ უყ-ვარდა
მაღალი ხე
ისაკაძე
რუსეთის ნახ.კუნ-ძული
ჩვენი მგოსანი
ერთ-ერთი მუშკ-ეტერი
ქართული საბავშვო ფილმი
IV ს ქართ-ველი დედო-ფალი
აცტეკების სახელ-მწიფოს დედა-ქალაქი
ქალაქი კვიპ-როსში
მატყუარა
ფრანგი მღვდელი
ხევსურეთთან დაკავშირებული ტოპონიმი
ხმალს სჭირდება
მელანოს ძმა
ნარნარი ფრენა
მაგდანას ვირი
ტროპ-იკული ხილი
სასულე საკრავი
ზურგი-სკენ
თუთი-ყუში
კასპის რაიონის სოფელი
იაპონური თევზი
ფრანგი მო-დელიორი
არქეოლ-ოგიასთან დაკავშ-ირებული
ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო
ყვავილი
მტვენ-ებიანი ტოტი
ძვირფა-სი თვალი
ფრანგი მწერალი
წვერის სალე-ბავი
გოდე-რძიმ დაუძახა გიორგის
ჩვენგან შორს
ღვერთე-ბის დედა ინდურ მითოლ-ოგიაში
მუსლი-მანთა ლიდერი
ადამიან-თა ფერი
პოპუ-ლარული სიმღერა
ზერო კაზინოში
(......) მაუსი
სპარტა-კი იყო
გრამა-ტიკული კავშირი
ზოგ ვაზს წითელი აქვს
ქალის ევრო-პული სახელი
ჭრილობა
ტიბეტის დედა-ქალაქი
სითხის ზედაპირს შეუძლია
წყალი ნული გრადუსის ქვემოთ
ბუნების ძალა
„ახალი ამბავი“ ახლანდ-ელ ტელ-ევიზიაში
ცეკვის შეძა-ხილი
საკვების მიღება
KГБ ქართ-ულად
შეიძლება ვინმეს გააწნა
კენიის დედა-ქალაქი
XIX სა-უკუნის იტალიე-ლი კომ-პოზიტორი
ზოგი კლდე
ეგვიპტის ნახევარ-კუნძული
ამას ქა-რთულად „ნატი“ ჰქვია
სადავე, ალვირი
(.......) მარია!
ძალიან დაბალი
(.......) ამოს კომ-ენსკი
არ იძირება
უარი
დიდი ვივიენი
მესამე პირს ანუ ვის?
საბანკო საბუთი
(.......) გრეკო
მემკ-ვიდრე
(.......) გიბსონი
დიდი ოდენობის
ალ. ჩხაიძის პიესა
მომავლ-ის დღეს
უშფო-თველი ყოფა
კროს-ვორდის დასას-რული

Column clues:

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 3 | | 5 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 2 | 6 | 7 | 2 | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 2 | 2 | 6 | 5 | 5 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 5 | 7 | | | | | | | | | | |
| | | | 4 | 3 | 8 | 8 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 4 | 5 | 6 | 8 | 9 | 7 | 5 | 2 | 9 | 11 | | | | | | | | |
| | | 3 | 2 | 2 | 1 | 3 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 12 | | 10 | 7 | 4 | 1 | | |
| 1 | 2 | 2 | 2 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 1 | 4 | 4 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 3 | 15 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |

Row clues:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 7 |
| | | | | 9 |
| | 2 | 2 | 3 | 1 |
| | | 1 | 3 | 3 |
| | | 1 | 9 | 1 |
| | 3 | 3 | 2 | 3 |
| | 2 | 5 | 1 | 5 |
| 1 | 4 | 1 | 2 | 3 |
| 1 | 2 | 1 | 2 | 4 |
| 2 | 1 | 2 | 1 | 5 |
| | 2 | 2 | 2 | 5 |
| | 2 | 2 | 4 | 6 |
| | 2 | 2 | 5 | 7 |
| | 2 | 2 | 6 | 7 |
| | 2 | 2 | 8 | 8 |
| | 1 | 2 | 9 | 7 |
| | | 2 | 7 | 6 |
| | | 4 | 5 | 5 |
| | | 4 | 2 | 5 |
| | | 2 | 4 | 3 |
| | | 6 | 4 | 3 |
| | | 9 | 3 | 1 |
| | | | 11 | 3 |
| | | 6 | 10 | 8 |
| | | | 5 | 22 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | 9 | 3 | 4 | 2 | | 6 | |
| 2 | | | 6 | | 1 | 3 | | 8 |
| | 7 | 3 | | 8 | 5 | 4 | | 1 |
| 9 | 3 | | 7 | 2 | 4 | | 1 | |
| | | 7 | 1 | | 9 | 8 | 4 | 2 |
| 4 | 1 | | 5 | 6 | | 7 | 3 | |
| | 9 | 6 | | 5 | | | 7 | 4 |
| 7 | | 4 | | 1 | | 9 | 5 | |
| 3 | | 1 | 4 | | 7 | 2 | | 6 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | 9 | | | | 7 |
| | | | 3 | | 8 | | 6 | |
| | | 3 | 7 | | 2 | | | 8 |
| | | 6 | | 8 | | 5 | | 9 |
| | 9 | | | 5 | | | 1 | |
| | 8 | | 9 | | | 7 | | |
| | | | | 6 | | | 8 | 2 |
| | 3 | | 2 | | | 6 | | 1 |
| 6 | | 2 | | 3 | | 9 | 7 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. კითხვის ნიშნის ფორმით დაიწყეთ არწივის ხატვა
2. არწივს მიახატეთ ნისკარტი და ყელი
3. დაასრულეთ ტანის ხატვა
4. მიახატეთ ბრჭყალები და თვალი
5. მიახატეთ ფრთებიც
6. შტრიხებით გამოსახეთ ფრთები და კუდი
7. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რა გზით დაიჭერს დათუნია ბუშტს



## იპოვე ორი ერთნაირი საგანი



# ღორი და ძაღლი

### (იგავ-არაკი)

ერთხელ ღორი და ძაღლი იმაზე წაეკიდნენ, შვილებს ვინ უფრო ადვილად შობსო:

– მე ყველა ოთხფეხზე სწრაფად ვშობო, – თქვა ძაღლმა.

– სწრაფად კი შობ, მაგრამ იმას რად არ ამბობ, შვილები ბრმები რომ გებადებაო? – მიუგო ღორმა.

სჯობია, ნელა გააკეთო და კარგად გააკეთოო.

## რიცხვრებუსი

,6,,, 2,, ,10, 10,, 0,,, ,,2



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: მაინტერესებს როგორ გავუწმინდო ძაღლს ყურები და რა სიხშირით უნდა ჩავუტარო ეს პროცედურა?**

**პასუხი:** ძაღლს ყურები ზედაპირულად შეიძლება პატრონმაც გაუწმინდოს. რაც შეეხება შიგნით ამოწმენდას, ეს უკვე აუცილებლად ვეტერინარის მიერ უნდა მოხდეს, რადგან, იქ არის საზღვრები და, შესაძლოა, არაპროფესიონალმა ყურის აპკი დააზიანოს. ასე რომ, გახსოვდეთ, თუ ძაღლს შუა ყურის ანთება აქვს, აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი მანიპულაციები და მკურნალობა. ხოლო, თუ პროფილაქტიკის მიზნით გინდათ მისთვის ყურების გაწმენდა, მაშინ ზედაპირულად გაუწმინდეთ ყური, ანუ, სადამდეც თითი ჩაწვდება.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ბოლო დროს ბეწვის ცვენა დაეწყო. მაინტერესებს, ნორმალურია თუ არა ეს ამ პერიოდში?**

**პასუხი:** ბეწვის ცვენა შეიძლება იყოს ბუნებრივი, რომელიც წელიწადში ორჯერ ხდება, ასევე, შეიძლება, გამოიწვიოს არასწორმა კვებამ, გადასუქებამ, უხარისხო საკვების მიცემამ და ასე შემდეგ. მსგავსი პრობლემის დროს აუცილებლად უნდა დაგვიკავშირდეთ ვეტერინარებს. ჩვენ ვნახავთ ცხოველს, შევამოწმებთ და დავსვამთ სწორ დიაგნოზს.

**კითხვა: ჩემმა ძაღლმა თამაშის დროს კბილი გამკრა თითზე და პატარა ჭრილობაც მივიღე. ძაღლი ცოფზე აცრილია. მაინც უნდა ჩავიტარო აცრები კონსულტაციისთვის?**

**პასუხი:** მართალია, ძაღლი ცოფზე აცრილია, მაგრამ, აქ მხოლოდ ცოფთან არ გვაქვს საქმე. აქ საქმე გვაქვს, ასევე, ტეტანუსთან, რომელიც არის ინფექცია და არასტერილური გარემოდან ჩნდება – მაგალითად, არის მიწაში და ასე შემდეგ. რადგან ძაღლს მიწასთან აქვს შეხება, რომელსაც, შეიძლება დრუნჩით შეეხოს, შესაბამისად, არ ექნება სტერილური პირის ღრუ. ამიტომ, თავს რისკის ქვეშ ნუ დააყენებთ და აუცილებლად მიაკითხეთ ექიმ რაბიოლოგს.

**კითხვა: არის თუ არა თბილისში ძაღლებისთვის განკუთვნილი სალონი? მყავს 3 თვის პუდელი, რომელსაც ჯერ ვარცხნილობა არ აქვს გაკეთებული.**

**პასუხი:** რამდენიმე ვეტერინარულ კლინიკაში არის კაბინეტები, სადაც სტილისტები მუშაობენ და ძაღლებს შესაბამის ვარცხნილობას უკეთებენ. თუ ვინმეს აინტერესებს უფრო კონკრეტულად, შეგიძლიათ დამიკავშირდეთ ნომერზე: 577 58-58-78 და მიიღოთ დაწვრილებითი ინფორმაცია.

**კითხვა: ჩემს ძაღლს მუცელზე ლაქები გაუჩნდა. თავიდან გვეგონა, რომ ვილაცამ ფეხი ამოარტყა და ეს იყო მიზეზი, მაგრამ, ასე არ აღმოჩნდა. გვყავდა ექიმთან, რომელმაც, სამწუხაროდ, დიაგნოზი ვერ დაუსვა. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** არის ძაღლების კატეგორია, რომლებსაც მუცელზე აქვთ ხალები, ისევე, როგორც ადამიანს; არის, ასევე, გამონაყარიც. თუ ხალია, ეს ბუნებრივი მოვლენაა, ხოლო გამონაყარი შესაძლოა, გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: ინტოქსიკაციით, ალერგიით და ასე შემდეგ. ამიტომ, ზუსტი დიაგნოზისთვის საჭიროა ვეტერინარის ჩარევა. თუ ერთმა ვეტერინარმა ვერ გაიგო, სხვას მიმართეთ. ამ კითხვაზე ზედაპირულად ვერანაირად ვერ გიპასუხებთ, რადგან, ცხოველი უნდა ინახოს.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუაროთ აგლაონემას, როდესაც ფოთლები უყვითლდება?**

**პასუხი:** აგლაონემა ტროპიკული მცენარეა, ამიტომ მას არ უყვარს ტემპერატურის ცვალებადობა. როდესაც მცენარეს დღე-ღამის განმავლობაში სხვადასხვა ტემპერატურა აქვს, ის განიცდის სტრესს და ეწყება სხვადასხვა დაავადება. შესაძლოა, თქვენს მცენარეს ასეთი პირობები აქვს. თუ მას ძალიან დიდ სითბოში ამყოფებთ, მორწყეთ რეგულარულად, ხოლო, თუ სიგრილეში გყავთ, მაშინ, წყალი ძალიან მცირე ოდენობით მიეცით, რომ არ დალპეს. ამავე დროს, დადგით მზიან ადგილას, რომ უფრო მეტი სინათლე ჰქონდეს. თუ ახალი გადარგულია, დადგით სითბოში, რომ მისი ფესვები ახალი ცხოვრებისთვის მოემზადოს. აგლაონემა გადარგეთ ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ და ფესვთა სისტემას ძალიან ნუ შეუკვეცავთ.

**კითხვა: დავრგე ივან და მარია და ასეთ ყინვებში ძალიან მოიწყინა. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** საერთოდ, არსებობს ამ მცენარის ორგვარი სახეობა: ყინვაგამძლე და სიცხის ამტანი. ის სახეობა, რომელიც სიცხეების ამტანია, ითესება ადრე გაზაფხულზე, ხოლო, რომელიც ყინვაგამძლეა – გვიან შემოდგომით. თუ სიცხის ამტანი სახეობა ვერანაირად ვერ უძლებს ზამთრის ყინვებს, მეორე სახეობა ზამთრის ამტანია. ამიტომ, როდესაც მას შეიძენთ, იკითხეთ, რომელი თვისაა და რომელი სახეობის. ამ მცენარეს უყვარს ზამთარ-ზაფხულ სინათლე და მზიანი ადგილი. როდესაც დარგავთ ამ მცენარეს, რომელი სახეობაც არ უნდა იყოს, ეცადეთ, რომ დარგვისას მარტო წყალი მისცეთ და არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ სასუქი, თორემ, დაილუპება.

**კითხვა: როდის უნდა დავრგო ირისის ბოლქვები?**

**პასუხი:** ირისი სუბტროპიკული მცენარეა, ამიტომ მას არ ესაჭიროება ამოღება ნიადაგიდან. თუ მისი ბოლქვი ახალი შეძენილი გაქვთ, მოაქციეთ ის ქოთანში და ამყოფეთ თბილ ადგილას, სადაც მინიმალური ტემპერატურა 11-13 გრადუსი იქნება. მცენარე მალევე ამოვა, ადრე გაზაფხულზე კი გადაიტანეთ ეზოში და იქ ამყოფეთ მუდმივად. ირისს არ ეშინია არც ყინვების და არც სიცხის. ის მრავლდება როგორც თესლით, ასევე, გაყოფითაც. გაყოფის დროს ფრთხილად იმოქმედეთ, რომ ბოლქვი არ გაათხელოთ, თორემ, მცენარე მოკვდება. ყოველ გაზაფხულზე მიეცით სასუქი, რომ ზამთრის შემდეგ ჯანსაღად შეხვდეს ზაფხულს. საერთოდ, ის ყვავის ერთხელ, მაგრამ, არის ახალი ჰიბრიდული სახეობები, რომლებიც დიდხანს ყვავის, ზოგიერთი კი – წელიწადში რამდენჯერმეც. განსხვავებულია მათი ყვავილის ფერი, ზომა და სიმაღლე.

**კითხვა: ერთი თვეა, რაც დავრგე კროკუსები და უკვე აყვავილდა. მაინტერესებს, ეს ბუნებრივია თუ რაიმე დარღვევაა?**

**პასუხი:** კროკუსები ძალიან ადრე ამოდის მიწიდან და მალევე ყვავის. მცენარე ჯერჯერობით არ უნდა აყვავებულიყო, მაგრამ როგორც ჩანს, როცა ის დარგეთ, სითბოში იყო და უზომოდ აძლევდით წყალს. ამიტომ დაიწყო მცენარემ ამოსვლა და აყვავება. საერთოდ, კროკუსი ამოდის მარტის დასაწყისში და ყვავის ორი-სამი კვირა. რომელი ჯიშიც არ უნდა იყოს, როდესაც ის ირგვება, აუცილებლად უნდა ამყოფოთ სიცივეში და ოდნავ ბნელ ადგილას, რომ მალე არ აყვავდეს. ასევე მცენარეს არ უნდა მისცეთ არც დამატებითი სასუქები და არც მიკრო და მაკროელემენტები, რადგან, ის თავისით აღმოცენდება, როგორც კი ტემპერატურა მიაღწევს 15-18 გრადუსს. ასეთ პირობებს მას ხელოვნურადაც უქმნიან იმ ქვეყნებში, სადაც ხანგრძლივი ზამთარი იცის.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# როგორ ეხმარება სიმსივნით დაავადებულ ადამიანებს ტკივილების, დეპრესიული ფონის მოხსნაში „კამელინი“ და რატომ იწვევს ის თავისი ეფექტური შედეგებით უცხოელი ექიმების გაოცებას

***თბილისში, კერძოდ კი, ქინძმარაულის ქუჩაზე, ფუნქციონირებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფარმაცევტული საწარმო, სადაც ნატურალური თაფლისგან მზადდება ქართული პრეპარატი „კამელინი“ – ამპულების, კაფსულების, მალამოსა და სანთლების სახით. თუმცა, ამ პრეპარატის შექმნის ისტორია უფრო ადრე, დაახლოებით, 60 წლის წინათ დაიწყო, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში. როგორც ცნობილია, ის ცნობილმა ქირურგმა და მეცნიერმა ბენედიქტე, ძაგული მაღლაკელიძემ, სწორედ იმ დროს შექმნა, როდესაც არ არსებობდა ეფექტური საშუალება სხვადასხვა ბაქტერიული და სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ. ამ დროიდან დაიწყო პრეპარატის ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების ხანგრძლივი გზა. დღეს კი „კამელინის“ თვისებების ახლებური კვლევა მიმდინარეობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში.***

***„კამელინის“ სამკურნალო თვისებებით დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ რამდენიმე პაციენტის ისტორიას, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ პრეპარატის სამკურნალო თვისებები.***

1. ავადმყოფს დაუსვეს დიაგნოზი – სიმსივნე კუჭზე. აწუხებდა გაუსაძლისი ტკივილები, სისუსტე, ვერ ჭამდა. რამდენიმე ხნის წინ დაიწყო „კამელინით“ მკურნალობა და ამჟამად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, თავს უკეთესად გრძნობს და კვლავ განაგრძობს „კამელინით“ მკურნალობას.

2. ახალგაზრდა ქალბატონს საშვილოსნოზე სიმსივნე ჰქონდა, თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, აწუხებდა სისუსტე, ოფლიანობა და ტკივილები საშვილოსნოს არეში. ოჯახის წევრებმა მისთვის „კამელინის“ ნემსების გაკეთება გადაწყვიტეს. ერთი კურსის ჩატარების შემდეგ, პაციენტმა თავი უკეთ იგრძნო, მეორე კურსის დამთავრების შემდეგ კი, უკვე მოეხსნა სისუსტე, ოფლიანობა, ტკივილები და ამჟამად შრომისუნარიანია, განაგრძობს ცხოვრებას ჩვეულ რიტმში. პროფილაქტიკისთვის კი როგორც თვითონ, ასევე მისი ახლობლებიც ყოველთვის იყენებენ „კამელინს“.

3. 21 წლის ახალგაზრდას აღმოაჩნდა თავის ტვინის სიმსივნე. ძალიან ცუდად იყო, ჰქონდა ეპილეფსიური კრუნჩხვები, ოპერაციის გაკეთებაზეც უარი უთხრეს. მშობლებმა დაუწყეს „კამელინით“ მკურნალობა. თვე-ნახევრის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა, აღარ ჰქონდა ეპილეფსიური შეტევები.

4. ერთ-ერთ ქალბატონს, დაახლოებით 6 თვის წინ, საშვილოსნოზე აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე. ოჯახის წევრებმა მისთვის ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს, მაგრამ, ექიმების უარის შემდეგ, ოპერაციის ჩატარება გადაიდო და მას მკურნალობა დაენიშნა. პაციენტის ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს მისთვის „კამელინის“ მკურნალობის კურსი ჩაეტარებინათ. ერთი კურსის შემდეგ პაციენტმა თავი უკეთ იგრძნო, რაც მთავარია, ტკივილი შეუმსუბუქდა. როდესაც ექიმთან მიიყვანეს, იმდენად კარგი შედეგები იყო, რომ პაციენტს ოპერაცია გაუკეთეს. ამჟამად ის თავს უკეთესად გრძნობს, აღარც ტკივილები აწუხებს და არც ანალიზებია შემაშფოთებელი. ოჯახის წევრები ახლო მომავალში კვლავ აპირებენ მისთვის „კამელინის“ გაკეთებას.

5. 40 წლამდე ასაკის ქალბატონს 10 წლის წინ აღმოაჩნდა მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სიმსივნე. ჩაიტარა მკურნალობის თითქმის ყველანაირი კურსი, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსკოვშიც მკურნალობდა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. თანდათანობით მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა. ბოლო პერიოდში ფეხმა განიცადა დეფორმაცია, დაწვრილდა. ავადმყოფი ველარ დადიოდა და ძირითადად იწვა. რამდენიმე ხნის წინ ახლობლების დახმარებით შეიტყო „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ და მკურნალობა გადაწყვიტა. ჩაიტარა მკურნალობის 4 კურსი. იღებდა მხოლოდ კაფსულებს. ნელ-ნელა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამჟამად პაციენტი თავს კარგად გრძნობს, დადის და რაც მთავარია, ოჯახის წევრებთან ერთად დასასვენებლად იმყოფება.

**თამუნა**: დედაჩემს, დაახლოებით 6 თვის წინ, საშვილოსნოზე ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. ოჯახის წევრებმა მისთვის ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტეთ. მაგრამ, ექიმებმა ოპერაციის ჩატარებაზე უარი თქვეს და მკურნალობა დაუნიშნეს. მე, ოჯახის წევრებთან ერთად, გადავწყვიტე, მისთვის „კამელინის“ მკურნალობის კურსი ჩაგვეტარებინა. ორი კურსის შემდეგ დედაჩემმა უკეთ იგრძნო თავი და რაც მთავარია, ტკივილი შეუმსუბუქდა. როდესაც ექიმთან მივიყვანეთ, შედეგები იმდენად კარგი იყო, რომ დედას ოპერაცია გაუკეთეს. ის ამჟამად თავს უკეთესად გრძნობს, აღარც ტკივილები აწუხებს და ანალიზებიც აღარ არის შემაშფოთებელი. ახლო მომავალში კვლავ ვაპირებთ მისთვის „კამელინის“ გაკეთებას.



**– ქალბატონო მანანა, როგორც ვიცი, თქვენ თავად უკეთებდით „კამელინს“ ახლობელს, რომელიც სიმსივნით იყო დაავადებული. უკვე რამდენიმე წელია ის თავს კარგად გრძნობს და ამ მხრივ, პრობლემები არ შეჰქმნია.**

**ქალბატონი მანანა**: ჩემს ახლობელს, რამდენიმე წლის წინ დაუსვეს სიმსივნის დიაგნოზი. საკმაოდ ცუდად იყო. მკურნალობის ძალიან ბევრ საშუალებას მიმართა, რა არ სცადა, მაგრამ უშედეგოდ. იმ დროს „კამელინის“ შესახებ ბევრმა არ იცოდა, მაგრამ მას ახლობელმა გააგებინა ამ საოცარი პრეპარატის შესახებ. პირადად მე ვუკეთებდი „კამელინის“ ნემსებს. მკურნალობის რამდენიმე კურსი ჩაიტარა, ზუსტად არ მახსოვს, რამდენი, რადგან, მას შემდეგ 6 წელი გავიდა. მალევე გამოკეთდა, მოძლიერდა, დღესაც თავს მშვენივრად გრძნობს, მუშაობს. ჩვეულებრივი ჯანმრთელი ადამიანივით ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობამდე მისი მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელო იყო.

**კობა გურიელიძე** *(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელ დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):* ადრეული კვლევები, რომლის საფუძველზეც მტკიცდება „კამელინის“ შესანიშნავი ანტისიმსივნური თვისებები, მოიცავს 1945-1975 წლებს. ამ პერიოდის განმავლობაში „კამელინი“ ათიათასობით ონკოდაავადებულმა მოიხმარა. მათ შორის უამრავია შემთხვევა, როდესაც უმძიმეს სტადიაზე მყოფი ავადმყოფისთვის „კამელინი“ ის უკანასკნელი იმედი და სასწაული იყო, რომელიც რეალურად დადგა მათ ცხოვრებაში. ეს დოკუმენტური მასალები ეყრდნობა იმ ავადმყოფების ისტორიებს, რომლის გაყალბების თუნდაც მცირე მცდელობა საბჭოთა სისტემის დროს, უბრალოდ, თვითმკვლელობას ნიშნავდა – უმკაცრესად და დაუნდობლად, ძირშივე იძირკვებოდა.

**– ბატონო კობა, კიდევ ერთხელ გაგვიმარტეთ, კიბოს საწინააღმდეგოდ პრეპარატ „კამელინის“ რომელი ფორმა გამოიყენება?**

– საინიექციო ფორმა „კამელინი მ-1“ ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში. ასევე, მნიშვნელოვანია „კამელინი მ-4“ – სანთლების (იმ შემთხვევებში, თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ-2“ – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე. მინდა აღვნიშნო, რომ, ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, მისი გამოყენება, სანთლებისა და კაფსულების სახით, ხანგრძლივი დროითაც ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებით.

**ვიაჩესლავ მაკაევი** *(აკადემიკოსი პიატიგორსკიდან):* გასული წლის მარტში პაციენტს კომპიუტერული ტომოგრაფიით დაუდგინდა ხორხის სიმსივნის დიაგნოზი – ხორხის ზედა და წინა ცხიმოვანი უჯრედების პროექციაში აღენიშნებოდა ცენტრისკენ მდებარე არასწორი, მომრგვალო ფორმის სიმსივნური წარმონაქმნი, ზომით 25-30 მილიმეტრი. პაციენტმა ჩაიტარა მკურნალობის კურსი, მაგრამ მდგომარეობა უფრო დამძიმდა – დაეწყო ყლაპვის პრობლემები, თითოეულ ულუფას სითხის დახმარებით იღებდა. პაციენტი საქართველოში მცხოვრები ახლობლის საშუალებით გაეცნო „კამელინის“ კვლევებს და გადაწყვიტა, მკურნალობა ჩაეტარებინა „კამელინი მ 1“ ინიექციითა და „კამელინი მ2“-კაფსულებით. ზაფხულში „კამელინ ფლუ“-სპრეი ჯერ არ იყო გამოსული, შესაბამისად, მას ვერ გამოიყენებდა. ამიტომ, ინიექციას იკეთებდა არა მხოლოდ კუნთში, არამედ აზავებდა წყალთან და სავლებად იყენებდა. 20-დღიანი კურსის შემდეგ პაციენტს გაუკეთდა განმეორებითი ანალიზები. სპეციალისტებმა შენიშნეს მკურნალობის დადებითი შედეგები, რაც გამოიხატებოდა სიმსივნური წარმონაქმნის ზომაში შემცირებით. ბატონ ვიაჩესლავის სიტყვებით: ექიმები განცვიფრებულები დარჩნენ – სიმსივნური წარმონაქმნი ზომაში 17 პროცენტით იყო შემცირებული. აქედან გამომდინარე, მან გააგრძელა კამელინოთერაპიის კურსი. შემდეგ კვლავ განმეორებით ჩაიტარა ტომოგრაფიული კვლევა, რომელმაც სიმსივნის სრული გაქრობა აჩვენა.

***P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები, ან გსურთ, კონსულტაცია, დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, რომელმაც უკვე ბევრ ადამიანს დაუბრუნა ცხოვრების ხალისი და იმედი, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-4(630)

თორმეტი შეთქმული და აგარაკზე მყოფი ოთხი ადამიანი თვალის დახამხამებაში გავანადგურე. შემდეგ ნიშიდან ცეცხლსასროლი იარაღები ამოვიღე და თითოეული მათგანიდან რამდენჯერმე გავისროლე. ბოლოს ისინი მოკლულებს ჩავუდე ხელებში, გვამები სხვადასხვა ადგილას დავაწყვე, მერე ეზოში დადგმულ „სალიარკით“ სვსე ბაკს ტყვია ვესროლე, ავაფეთქე და ხის ორსართულიანი აგარაკი ცეცხლში გავხვიე, რომ ექსპერტებს პროვოკაციის სცენა არ ამოეცნოთ...

სულ რაღაც ნახევარ საათში, ცეცხლწაკიდებული აგარაკი მილიციით, მეხანძრეებითა და ექიმებით გაივსო. მილიციის ოფიცერი გვერდით გავიხმე და ვუთხარი:

– კაპიტანო, სასწრაფოდ ამ ნომერზე დარეკეთ და ვინც გიპასუხებთ, უთხარით: „ქილა გატყდა და კომპოტი დაიღვარა“. შემდეგ კი ამ აგარაკის მისამართი შეატყობინეთ და ყურმილი დაკიდეთ. ჩვენ ხომ ბალაშიხაში ვართ?

– დიახ, ბალაშიხაში ვართ, – მომიგო საზრიანმა მილიციელმა, რომელიც ბოლომდე ვერ მიხვდა, ვინ ვიყავი, მაგრამ, არაფერი უკითხავს და ჩემი დავალების შესასრულებლად გაემართა.

ზუსტად ნახევარ საათში გენერალი მუხინი და „კაგებეს“ ექსპერტთა ჯგუფი ჩამოფრინდა აგარაკზე, დაცვის ოცეულმა კი ტერიტორია დაცვის ქვეშ აიყვანა. ანდრეი ლუკიჩმა თავის თანაშემწეს მითითებები მისცა და შემთხვევის ადგილზე დატოვა. შემდეგ ჩემთან ერთად ვერტმფრენში ჩაჯდა და მოსკოვისკენ ავიღეთ გეზი.

– რა მოხდა? – საქმიანად მკითხა მუხინმა.

– საკმაოდ ეშმაკები და კარგად ორგანიზებულები ყოფილან. ჯერ კიდევ მოსკოვში, აბანოში მომწყვიტეს თქვენგან.

– ვიცი. საუნაში შენი ტანსაცმელი რომ ვიპოვეთ, ვიფიქრეთ, რომ გაგვშიფრეს და ცოცხალი აღარ გვეგონე. მაგრამ, როცა კაპიტანმა შენი სახელით დაგვირეკა, ჩემი და შჩუკინის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შემდეგ, განაგრძე, რა მოხდა.

– მოკლედ, ბოლოს გამშიფრეს, როცა ტაბელური იარაღის ჩვენება მომთხოვეს და მე ვუთხარი, სახლში დავტოვე-მეთქი. თურმე, წინასწარი შეთანხმებით, თან უნდა მქონოდა. მე კი ეს არ ვიცოდი. ამიტომ, მათ ჩემი წამება და, შემდეგ, ალბათ, მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ, ხელი შევუშალე.

– გასაგებია, – მითხრა მუხინმა და დაამატა – კარგი იყო, ერთი მათგანი მაინც გადარჩენილიყო ცოცხალი, მაგრამ, მთავარია, რომ შენ ხარ ცოცხალი.

ვერც ექსპერტიზამ და ვერც სხვებმა ვერ დაადგინეს, რომ აგარაკზე მე მოვაწყვე სასაკლაო. ყველამ ჩათვალა, რომ ეს შემთხვევა შეიარაღებული დაპირისპირების შედეგი იყო. სამი თვის შემდეგ კი შჩუკინმა რაღაც საქმეზე გამომიძახა, ინსტრუქტაჟი ჩამიტარა და, სანამ მის კაბინეტს დავტოვებდი, მითხრა:

– იქ, ბალაშიხის აგარაკზე სწორად მოიქეცი, როდესაც ის ნაძირლები გაანადგურე. შენი სამშობლოსა და ხალხის მტრები დანდობას არ იმსახურებენ!

– ვემსახურები სამშობლოს! – მივუგე შჩუკინს.

სხვათა შორის, იმ ნაძირლების იდეურ ძმებთან და მათი საქმის გამგრძელებლებთან შეხება პოსტსაბჭოთა პერიოდშიც მქონდა. ჯერ კიდევ „ძიას“ მეშვეობით ვიღებდი შეკვეთებს, როდესაც მან ჩვეულ ადგილზე დამინიშნა შეხვედრა. ალექსანდრეს ქვედა ბაღში რომ მივედი, მითხრა:

– ერთი შეკვეთაა, მაგრამ, ამჯერად ვერანაირ რეკომენდაციას ვერ გაგიწევ. ვიცი მხოლოდ ის, რომ საქმეში ნახევარ მილიონ დოლარს იხდიან, მაგრამ, რა უნდათ ან ვინ არიან შემკვეთები, ნამდვილად არ ვიცი. მათ პირდაპირ შემსრულებელზე გასვლა მთხოვეს და ყოველგვარი პირობის გარეშე შემომაჩეჩეს ტყავის პატარა ჩანთა, სადაც ასი ათასი დოლარი იდო, თან მითხრეს, რომ შემსრულებელს ხუთჯერ მეტს გადაუხდიან, თუ ის შეკვეთას აიღებს.

– როდის ელოდებიან პასუხს?

– მითხრეს, რომ ორი დღის განმავლობაში მნახავენ.



– გნახავენ? სად?

– ჩვენი შეხვედრა არატრადიციულად, შეიძლება ითქვას, ველურად მოხდა. გუშინ საღამოს მარტო ვიყავი სახლში და, სიგარეტი რომ გამითავდა, მე თვითონ წავედი მაღაზიაში. პირველ სართულზე რომ ჩავედი, სადაც საკმაოდ ბნელოდა, ზურგიდან ვიღაცამ ხელები ჩამავლო მხრებში, ხელში ტყავის ჩანთა შემომაჩეჩა და მითხრა: „ნუ გეშინიათ, ბატონო რომან, ჩვენ მტრები არ ვართ. ერთი შეკვეთის მოცემა გვინდა, რომელშიც ნახევარ მილიონ დოლარს გადავიხდით, ოღონდ, შემსრულებელს პირადად უნდა შევხვდეთ და მას დაველაპარაკოთ. შეხვედრის დრო და ადგილი მან უნდა დაგვინიშნოს. თქვენ კი ამ ორი დღის განმავლობაში გნახავთ პასუხისთვის. ამ ჩანთაში ასი ათასი დოლარია და სულ თქვენია. ახლა კი ნახვამდის, პირველი თქვენ გაბრძანდით“.

მე ქუჩაში გავედი. ინკოგნიტო მამაკაცმა კი, ალბათ, სათადარიგო გასასვლელით ისარგებლა, რომელიც ვიწრო ჩიხში გადის. აი, სულ ეს არის. აბა, რას ფიქრობ?

– რა უნდა ვიფიქრო? აშკარაა, რომ გითვალთვალებდნენ და ქუჩაში მოგიხელთეს. სიგარეტი რომ არ გამოგლეოდა და სახლიდან არ გამოსულიყავი, ალბათ, სხვა რამე ექნებოდათ მოფიქრებული. მე მგონი, ღირს მათთან შეხვედრა, – ვუთხარი „ძიას,“ – იყოს ზეგ, ფუნიკულიორის პლატოზე, ტყის პირას რომ პატარა სტადიონია, იქ, დღის პირველ საათზე.

– კოკი, შეკვეთა ხაფანგი ხომ არ არის შენს გასაბმელად?

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ, არა მგონია. ვინმეს ჩემი ხაფანგში გამომწყვდევა რომ უნდოდეს, უფრო ღიად იმოქმედებდა, ეჭვი რომ არ ამელო. ეგენი კი ძალიან იდუმალად მოქმედებენ და ჩემზე მონადირეებს არ ჰგვანან. ვფიქრობ, რაღაც საგანგებო მისიის დაკისრება უნდათ ჩემთვის. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ, ყველაფერს ზეგ გავიგებ.

– კეთილი. დღეს და ხვალ საღამოს კიდევ ჩავალ მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად და, ალბათ, სადარბაზოში დამეკონტაქტებიან.

– კიდევ კარგი, რომ აქ შენიღბული მოვედი, – გავუღიმე „ძიას“, – ისინი შენ გითვალთვალებენ.

– მითვალთვალებენ?! – შეცბა „ძია“, მე კი ღიმილით ვუთხარი:

– არაფერი შეიმჩნიო. დარწმუნებული ვარ, აქედან რომ წახვალ, გზაში დაგეკონტაქტებიან და უთხარი, რომ ზეგ, მთაწმინდის პარკის სტადიონზე მოვიდნენ დღის პირველ საათზე. ახლა კი წადი და, თუ მართალი აღმოჩნდი, საღამოს 6 საათზე სახლში დამირეკე და შეთანხმებული პაროლით გამაგებინე.

– კარგი. წავედი, – მითხრა „ძიამ“ და ტრადიციულად, პირველი წავიდა.

მე ათიოდე წუთი გავჩერდი სკამზე, თან მოთვალთვალეებს ვუყურებდი. ისინი ორნი იყვნენ. ერთი „ძიას“ აეკიდა. მეორე კი ადგილზე დარჩა – მე მელოდებოდა. მას ჩემი პიროვნება, ჩემი საცხოვრებელი მისამართი აინტერესებდა, მაგრამ, ამას როგორ დავუშვებდი და „კუდის“ ჩამოშორება გადავწყვიტე.

ალექსანდრეს ბაღიდან ვორონცოვისკენ დავიძარი. მშრალი ხიდი რომ გავიარე, „ბარახოლშჩიკების“ ბაზარზე გავჩერდი და ძველმან-

ების თვალიერებას შევუდექი, სინამდვილეში კი კუდის მოქმედებებს ვაკვირდებოდი, რომელიც შორიახლო მომყვებოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ არაპროფესიონალი იყო. ბაზრობაზე ოციოდე წუთი ვიტრიალე, შემდეგ მარქსის ხიდზე გადავედი, მოედანზე, აფთიაქში შევედი, რომელსაც სათადარიგო გასასვლელიც ჰქონდა და აფთიაქარს ვუთხარი:

– გამგე აქაა?

– დიახ, რა გნებავთ? – გამიღიმა გოგონამ.

– უთხარით, რომ ნიკო ბური ელოდება.

– ნიკო ბური? – მკითხა გოგონამ, რომელმაც, რა თქმა უნდა, არ იცოდა, ვინ იყო ნიკო ბური.

– დიახ, ამ დროისთვის დამინიშნა შეხვედრა.

– ახლავე, – თავაზიანად მითხრა გოგონამ და აფთიაქის გამგის დასაძახებლად გავიდა.

მოთვალთვალე ქუჩიდან მზვერავდა. მე სათადარიგო გასასვლელისკენ დავიძარი, რომლის არსებობაც, სავარაუდოდ, „კუდს“ არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ, რომც სცოდნოდა, მაინც ვერ მომიხელთებდა, რადგან, იმ ადგილზე ორი გასაძრომი ვიცოდი. ხუთიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ უკვე ტაქსიში ვიჯექი და ავლაბრისკენ მივდიოდი, იქ კი მეტროში ჩავედი და სადგურში დავბრუნდი, საიდანაც კონსპირაციული ბინისკენ ტაქსით გავემართე, მანქანა ასიოდე მეტრის დაშორებით გავაჩერებინე, ფეხით მივედი სახლში და მაშინვე მოვიშორე გრიმი. ზუსტად 7 საათზე „ძიამ“ დამირეკა და მითხრა: „ბატონო სიკო, ჩემი ლექსების კრებული უკვე გამოიცა და წარწერით მოგართმევთ“. რომანის სიტყვები პაროლი იყო და ნიშნავდა, რომ შემკვეთები მას ქუჩაში დაეკონტაქტნენ და „ძიამ“ ჩემთან შეხვედრის ადგილი უთხრა.

დათქმულ დროს მთაწმინდაზე, პატარა საფეხბურთო სტადიონის ტრიბუნაზე ვიჯექი და შემკვეთს ველოდებოდი. მისი მოახლოება ფრთხილი ნაბიჯებით გავიგე, მაგრამ, არ შევტრიალებულვარ. ის კიბეებზე დაეშვა, მარჯვნიდან მომადგა და მითხრა:

– გამარჯობა!

– გაგიმარჯოთ! ქვევით დავეშვათ და სტადიონზე გავიარ-გამოვიაროთ. გთხოვთ, – ვუთხარი შემკვეთს და წინ გავუშვი.

პაემანზე მოსული კაცის სიარულს დავაკვირდი და დავრწმუნდი, რომ ის ალექსანდრეს ბაღში მოსული „კუდებიდან“ არც ერთი არ იყო. თანაც, მას გრიმი და პარიკი ეკეთა, რადგან გრიმის სუნი ვიგრძენი და არც პარიკი ჰქონდა მაინცდამაინც კარგად მორგებული.

„აშკარად არაპროფესიონალებთან მაქვს საქმე. მაგრამ, ეტყობათ, რომ ფული აქვთ. თუ ინტუიცია და ანალიტიკური აზროვნება არ მღალატობს, ან პატრიოტებთან, ან სექტანტ-ფანატიკოსებთან უნდა მქონდეს საქმე. თუმცა, ნუ ვიჩქარებ, ახლავე გავიგებ, რა ჩიტი მოფრინდა“, – გავიფიქრე გუნებაში, ახალმოსულს კი ვუთხარი:

– გისმენთ, ბატონო. რა საქმე გაქვთ ჩემთან?

შემკვეთს ხელში შავი, თხელი, ტყავის საქაღალდე ეკავა და მომიგო:

– ამისთვის უნდა ჩამოვსხდეთ. თუ სეირნობა აღარ გსურთ, იქნებ, შევუდგეთ საქმეს.

მე ტრიბუნაზე დავჯექი, შემკვეთი გვერდით მომიჯდა და მითხრა:

– აიღებთ თუ არ აიღებთ ამ შეკვეთას, შეასრულებთ თუ არ შეასრულებთ მას, ჩვენი საუბარიც უნდა დაივიწყოთ, მეც და, საერთოდ, დღევანდელი დღეც.



ახალმოსულის არიფულ შესავალზე გუნებაში გამეცინა, მაგრამ, სერიოზული სახით მივუგე:

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. გისმენთ.

ახალმოსულმა შავი საქაღალდე გადაშალა, რამდენიმე ფოტო მიჩვენა, რომლებზეც ერთი და იგივე პიროვნება – ორმოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცი იყო გადაღებული სხვადასხვა რაკურსში და მითხრა:

– აი, ეს კაცი უნდა მოკლათ. ის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა, მაგრამ, ჩვენი ერის ერთ-ერთი უპირველესი მტერი და ხელმძღვანელობს ლოზუნგით: „საქართველო – ქართველების გარეშე!“ ის საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში თავის თანამემამულეებს ჩვენ წინააღმდეგ განაწყობს, თესავს შუღლს, სიძულვილს და, მზადაა, თითოეულ ქართველს პირადად გაუსწორდეს. ერთი სიტყვით, ძალიან საშიში პიროვნებაა და, ამიტომ, ჩვენ მას სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანეთ. ხოლო, ჩვენზე, ქართველებზე რომ არავინ აიღოს ეჭვი, ის თავის ისტორიულ სამშობლოში უნდა მოიკლას, სადაც დროდადრო ინსტრუქციების მისაღებად მიემგზავრება ხოლმე. სამ დღეში ის იქ იქნება და, ალბათ, მაქსიმუმ ერთი კვირა გაჩერდება. თუ თანახმა ხართ, მის რამდენიმე სავარაუდო კოორდინატს გეტყვით, ფულს გადაგიხდით და იმოქმედეთ.

ასეთ საქმეს უფასოდაც შევასრულებდი, ამიტომ, შემკვეთს ვუთხარი.

– თანახმა ვარ, მითხარით კოორდინატები. ფული კი, თუ გინდათ, საქმის მერე გადამიხადეთ.

– არა. რატომ? აქვე მაქვს, – მითხრა შემკვეთმა და დაუსტვინა. ათიოდე წამის შემდეგ ტყიდან შავჩანთიანი მამაკაცი გამოვიდა, რომელსაც ტყავის ხელთათმანები ეცვა. ის მოგვიახლოვდა, მისალმების გარეშე დააგდო ჩანთა ძირს და კვლავ ტყეში შევიდა. მის სიარულს რომ დავაკვირდი, ვერც მასში შევიცანი ალექსანდრეს ბაღში მყოფი მოთვალთვალე.

– აი, ბატონო, აქ ნახევარი მილიონი დოლარია, ოციანი, ორმოცდაათიანი და ასიანი კუპიურებით. ეს კი იმ კაცის მისამართებია, – მითხრა შემკვეთმა და მოზრდილ კონვერტში ჩადებული ფოტოები და ფურცელზე დაწერილი მისამართები მომცა.

– კარგი. მაქსიმუმ ათ დღეში ეს კაცი მკვდარი იქნება, – ვუთხარი შემკვეთს და დავამატე – მეც ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან.

– ბრძანეთ.

– გთხოვთ, რომ თქვენც დაივიწყოთ იმ კაცის ვინაობა და კოორდინატები, ვისი მეშვეობითაც ჩემზე გამოხვედით.

– რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ პროფესიონალები ვართ, – ისე მომიგო შემკვეთმა, თითქოს მთელი თავისი ცხოვრება შეკვეთილი მკვლელობით იყო დაკავებული და ამ საქმეში ჭიპი ჰქონდა მოჭრილი.

მის სიტყვებზე კვლავ გამეცინა გუნებაში, თუმცა, დიდი სიმპათიით განვიმსჭვალე ამ


ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ
5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში,
ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს
ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს
ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში,
მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს
კარგი სამსახური
და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31



ადამიანების მიმართ და ვუთხარი:

– და, კიდევ ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან.

– დიახ, გისმენთ.

– ნუ გეწყინებათ, ბატონო ჩემო, მაგრამ გთხოვთ, ჩემი რჩევა გაითვალისწინეთ. სხვა დროს უფრო ხარისხიანი გრიმ-პარიკი შეარჩიეთ, საჭირო ხალხის თვალთვალი კი კარგად მომზადებულ პროფესიონალებს მიანდეთ. საერთოდ კი, უკეთესი იქნება, თუ ჩემი პროფესიისა და კვალიფიკაციის ადამიანს „კუდზე“ არ დააჯდებით – გარწმუნებთ, ეს სიცოცხლისთვის ძალიან საშიში საქმიანობაა.

– კარგი, გავითვალისწინებთ თქვენს რჩევებს, – გულწრფელად მითხრა შემკვეთმა და დამემშვიდობა.

– მშვიდობით, – გავუღიმე შემკვეთს და პაემნიდან პირველი წამოვედი.

შეკვეთილი ობიექტი თავის ისტორიულ სამშობლოში, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის ყოფილ დედაქალაქში გავუყენე საიქიოს გზას და ეს მისია სნაიპერული შაშხანიდან ფეთქებადი ტყვიის გასროლით შევასრულე – ტყვიამ ობიექტს ნახევარი თავი წააცალა. ამ ლიკვიდაციას დიდი რეზონანსი არც საქართველოში მოჰყოლია და არც მოკლულის სამშობლოში. ის თავისი სამშობლოს სპეცსამსახურებისთვის, მართალია, საკმაოდ ძვირფასი აგენტი იყო, მაგრამ, შეუცვლელები არ არსებობენ და მის შემდეგ სხვა სეპარატისტმა წამოჰყო თავი, რომელმაც წინამორბედის საქმე განაგრძო.

სხვათა შორის, ლიკვიდირებული სეპარატისტის მემკვიდრე და ამ საქმის შემკვეთი რამდენიმე ქართველი პატრიოტი დღევანდელ პოლიტიკურ სტრუქტურებში არიან ჩართულები და თანამშრომლობენ. მაგრამ, წყალი არ გაუვა, რომ ამ კატეგორიის ადამიანები პირველივე ხელსაყრელ მომენტში ზურგში ლახვარს ჩასცემენ საქართველოს, რაც არაერთხელ გაუკეთებიათ. ამიტომ, ჩვენი ერთიანობითა და პატრიოტიზმით მათ ამის ყოველგვარი შანსი უნდა მოვუსპოთ. ამიტომ, საჭიროა ისეთი სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემა შევქმნათ, რომელშიც ვერანაირი ანტიქართული ვირუსი ვერ შეაღწევს და ჩვენს მრავალჭირგამოვლილ ქვეყანას ვერ დააზარალებს.

– თუ ქართველები გონს არ მოვიდნენ, თავსაც დაილუპავენ და საბოლოოდ ჩვენც გაგვანადგურებენ, – მითხრა ერთხელ ერთმა აფხაზმა ბიზნესმენმა, როდესაც მე მას სტამბულის ერთ პატარა რესტორანში შევხვდი, სადაც რუსი ბიზნესმენის სტატუსით ვიმყოფებოდი და, რა თქმა უნდა, შენიღბული ვიყავი.

– რას გულისხმობთ? – ვკითხე ჩემს თანამესუფრეს.

– იმას, ჩემო კარგო, რომ თუ ქართველებმა ჭკუას არ მოუხმეს, მაშინ, თქვენთან, რუსებთან ჭიდილში ქართველებიც განადგურდებიან, ჩვენც – აფხაზები და არც თქვენ იხეირებთ.

აფხაზის სიტყვებს, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ვეთანხმებოდი, მაგრამ, იმ მომენტში მე რუსი ვიყავი და ღიმილით მივუგე:

– რატომ, ჩემო კარგო, სწორედაც რომ ვიხეირებთ. კავკასიას ჩვენ არასდროს დავთმობთ და, როცა ქართველები აღარ იარსებებენ, იქ რუსებს დავასახლებთ. თქვენ კი, აფხაზებს, ხელს არ გახლებთ.

– ზღაპარია, ჩემო მეგობარო, – მწარედ გაეღიმა აფხაზს, – შეიძლება, პირადად თქვენ მართლაც ასე ფიქრობთ, მაგრამ, პოლიტიკა სულ სხვა რამაა და, ქართველები რომ განწყდნენ, ჩვენც უკან მივყვებით მათ.

– ასე რატომ ფიქრობთ?

– იმიტომ, ჩემო კარგო, რომ, ჩვენ, აფხაზებს, რუსი პოლიტიკოსები ქართველების წინააღმდეგ გვიყენებენ. ხოლო, თუ ქართველები არ იქნებიან, აღარც ჩვენ ვიქნებით საჭირო და ამქვეყნად არავინ დაგვაყენებს.

– კარგი, ჩემო მეგობარო, პოლიტიკა პოლიტიკოსებს მივანდოთ. ჩვენ კი ბიზნესმენები ვართ და ჩვენს საქმეს მივხედოთ.

აფხაზ ბიზნესმენს პატარა სატვირთო გემი ჰყავდა, რომლითაც თურქეთში ჯართი და ფერადი ლითონები გაჰქონდა. მას ყველა მაღალჩინოსანი თურქი მებაჟე იცნობდა და მის გემს საგულდაგულოდ არ ამოწმებდნენ, რადგან, იცოდნენ, რომ კონტრაბანდისტი არ იყო, თანაც, ისინი წილში ჰყავდა. მე კი მას იმიტომ შევხვდი, რომ ბარტერული გარიგება შემეთავაზებინა. აფხაზეთში მას, კონტრაბანდული წესით, ერთი კონტეინერი კომპიუტერული ტექნიკა უნდა შეეტანა, რომელსაც სოჭის გავლით მოსკოვში ჩაიტანდნენ. სამაგიეროდ, ამ ოპერაციის საფასურ ჯართს ვაძლევდი, რომელსაც ის თურქეთში გაიტანდა.

სინამდვილეში, კონტეინერის საიდუმლო ფსკერზე, საერთო ჯამში 800 მილიონი დოლარის ღირებულების ოქროს ზოდები და ძვირფასეულობა იყო დამალული. მე, ეგრეთ წოდებული „პარტიის ოქროს“ დაბრუნების ეგიდით, შჩუკინის თხოვნით ვმოქმედებდი და მოსკოვში უნდა დამებრუნებინა ერთ-ერთი საბჭოთა პარტიული მაღალჩინოსნის მიერ გატაცებული განძი, რომელსაც სტამბულში მივაგენით.

– მოკლედ ასე, ჩემო მეგობარო, – ვუთხარი აფხაზს, – მე, თქვენგან განსხვავებით, ჯერჯერობით მცირე მასშტაბის ბიზნესი მაქვს და კონტრაბანდულ საშუალებებსაც იმიტომ მივმართავ. თქვენს ხელქვეითებს შეუძლიათ, გულდასმით შეამოწმონ ჩემი კონტეინერი და დარწმუნდნენ, რომ მართლაც კომპიუტერული ტექნიკა მიმაქვს რუსეთში და არა ნარკოტიკები. საფასურს, კი, ჯართის სახით, სოხუ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ი | ვ | ს | | | კ | ა | ვ | ა | ლ | ე | რ | ი | ა |
| მ | | ნ | ა | დ | ი | ა | | ა | | | ნ | | ნ | |
| ა | მ | ე | ბ | ა | | მ | ა | რ | გ | ა | რ | ი | ტ | ა |
| ბ | | ბ | უ | ვ | ი | ე | | ძ | | დ | ი | | ი | |
| ო | მ | ა | დ | ა | | ჩ | ა | ი | | ა | კ | ა | მ | |
| | უ | | ა | | ფ | ი | ლ | ა | რ | მ | ო | ნ | ი | ა |
| ა | ზ | ა | რ | ტ | ი | | ვ | | ი | | | ბ | | ლ |
| | ა | ნ | ა | | ა | ბ | ა | ს | თ | უ | მ | ა | ნ | ი |
| | | | | | | | ნ | | მ | | ა | ნ | ა | ბ |
| | | | | ბ | ა | ს | ი | ლ | ა | | ვ | ი | ლ | ი |
| | | | | ო | ჩ | ე | | ა | | | ა | | ი | |
| | | | | ლ | უ | ვ | რ | ი | | მ | ნ | ე | | დ |
| | | | | ი | | ი | | ლ | ა | ზ | ი | | ქ | ა |
| | | | | დ | ე | ლ | ტ | ა | | ე | | ჯ | ე | რ |
| ვ | ა | ლ | ს | ი | | ი | | შ | უ | ს | ტ | ე | რ | ი |
| | ლ | | ი | | მ | ა | ნ | ი | | უ | | ი | ა | ბ |
| ო | ი | ვ | ზ | | უ | | ე | | ი | მ | ა | ნ | | ი |
| | ბ | | მ | უ | ხ | ა | მ | ბ | ა | ზ | ი | | ა | |
| მ | ა | რ | ა | ბ | უ | | რ | | ბ | ი | დ | ო | ნ | ი |
| | ბ | | რ | ა | დ | ი | ა | ტ | ო | რ | ი | | რ | |
| ბ | ა | მ | ა | კ | ო | | პ | | | ა | მ | რ | ი | ფ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 8 | 5 | 6 | 2 | 4 | 9 | 3 |
| 6 | 3 | 4 | 7 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 |
| 5 | 2 | 9 | 4 | 1 | 3 | 7 | 6 | 8 |
| 4 | 5 | 3 | 8 | 2 | 9 | 6 | 7 | 1 |
| 9 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 | 3 | 5 | 2 |
| 1 | 7 | 2 | 3 | 5 | 6 | 9 | 8 | 4 |
| 2 | 4 | 7 | 6 | 8 | 5 | 1 | 3 | 9 |
| 3 | 9 | 5 | 2 | 7 | 1 | 8 | 4 | 6 |
| 8 | 6 | 1 | 9 | 3 | 4 | 5 | 2 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 8 | 3 | 5 | 9 | 2 | 4 | 1 |
| 2 | 4 | 5 | 1 | 8 | 7 | 9 | 3 | 6 |
| 3 | 1 | 9 | 2 | 4 | 6 | 5 | 8 | 7 |
| 1 | 9 | 3 | 8 | 2 | 5 | 7 | 6 | 4 |
| 8 | 7 | 6 | 9 | 3 | 4 | 1 | 2 | 5 |
| 5 | 2 | 4 | 7 | 6 | 1 | 8 | 9 | 3 |
| 6 | 8 | 2 | 5 | 1 | 3 | 4 | 7 | 9 |
| 4 | 5 | 7 | 6 | 9 | 2 | 3 | 1 | 8 |
| 9 | 3 | 1 | 4 | 7 | 8 | 6 | 5 | 2 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ბეთლემის ვარსკვლავის – კომეტა გალეასი. 2. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი. 3. ახალი და ძველი აღთქმა. 4. „პეპსის“ – Seven up-ის. 5. იესო ქრისტეს დაბადებას. 6. ანტონიო სალიერი. 7. „ყაზბეგით“ – პაპიროსის კოლოფზე. 8. იმით, რომ შექმნა მხოლოდ ღმერთს შეუძლია. 9. ხალიფა. 10. მანერა.**



მის პორტშივე მიიღებთ, მაშინვე, როგორც კი ჩემს კონტეინერს გადმოვტვირთავთ. ტვირთს მე თვითონ გავაცილებ სტამბულიდან სოხუმამდე.

– კარგი. მოვილაპარაკეთ, – მითხრა აფხაზმა და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ 800 მილიონი დოლარის „პარტიული განძი" უკვე სოხუმის პორტში იყო, სადაც უზარმაზარ რეფრეჟერატორში გადატვირთეს რუსმა მედესანტეებმა და მათვე ჩააცილეს მოსკოვამდე, სანაცვლოდ კი მათი ქვედანაყოფის უფროსმა სამი ათასი ამერიკული დოლარი და ერთი ნოუთბუქი მიიღო, ხოლო ოცმა მედესანტემ – ოთხას-ოთხასი დოლარი. მთელი ეს ოპერაცია სულ თერთმეტი ათასი დოლარი და ათას შვიდას დოლარად ღირებული ნოუთბუქი დაჯდა...

– ესეც ასე. საბჭოთა კავშირის კუთვნილი თანხის კიდევ ერთი ნაწილი დავაბრუნეთ უკან, – მითხრა შჩუკინმა, როდესაც მას კონტეინერის ფსკერზე დამალული განძი ჩავაბარე, – უკვე ცხრა მილიარდის ქონება გვაქვს დაბრუნებული.

– ბევრია, მაგრამ, წვეთია ზღვაში. იმასთან შედარებით, რაც გაიტაცეს.

– კიდევ ბევრს დავიბრუნებთ.

– ღმერთმა ქნას, ვიქტორ იაკოვლევიჩ, – ვუთხარი შჩუკინს, – ახლა წავალ და ცოტას დავისვენებ, ხვალ დილით კი სახლში უნდა გავფრინდე.

– კოკი, ძალიან დაღლილი ხარ?

– დაღლილი კი ვარ, მაგრამ, თუ კიდევ რამეში ვარ საჭირო, შემიძლია, გემსახუროთ.

– კოკი, შენ არასდროს დაინტერესებულხარ, სად მიდის ის უზარმაზარი საბჭოთა ქონება, რომლის უკან დაბრუნებაშიც ლომის წილი მიგიძღვის? ნუთუ არ გაინტერესებს ამ განძის ადგილსამყოფელი?

– საჭიროა, რომ ვიცოდე?

– როგორ არა, – მითხრა შჩუკინმა, – წამოდი ჩემთან.

დაბრუნებული ქონება სამხედრო „ურალში" იყო ჩატვირთული. საჭეს თავად შჩუკინი მიუჯდა და დავიძარით. ერთ-ერთი კერძო დაწესებულების კარგად დაცულ ტერიტორიაზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შევედით, შემდეგ მიწისქვეშა გარაჟში დავეშვით და უზარმაზარი დაჯავშნილი კარით საიდუმლო საცავში ამოვყავით თავი, სადაც ცხრა მილიარდი დოლარის ღირებულების ოქროსა და პლატინის ზოდები და ძვირფასი თვლები იყო მოთავსებული.

– აი, ამდენი ქონება სახელმწიფო სარეზერვო ფონდშიც კი არ არის, – მითხრა შჩუკინმა, – მოვა დრო, როდესაც ეს საცავი ბოლომდე გაივსება და იმაზე მეტი ქონება იქნება, ვიდრე გაიტაცეს.

– შთამბეჭდავი სანახაობაა, ვიქტორ იაკოვლევიჩ, ნამდვილი ალიბაბას გამოქვაბულია.

საიდუმლო საცავში დღესდღეობით ოცდაათ მილიარდ დოლარზე მეტი ქონება ინახება, რომელიც შჩუკინის ხელთ არსებულ სიაში აღნიშნული პერსონებისგან მივიღეთ, უკან დავაბრუნეთ და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

საიდუმლო საცავისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ თითზე ჩამოსათვლელმა ადამიანებმა ვიცით და, გამორიცხულია, რომ განდობილთაგან რომელიმემ ღალატი გავივლოთ გულში და ამ ზღაპრული განძის დაუფლება განვიზრახოთ..

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## კოსმოსური „ინკუბატორი"

ევროპის სამხრეთ ობსერვატორიის – European Southern Observatory-ს ასტრონომები საოცარი სილამაზის მოვლენის – ახალი ვარსკვლავის დაბადების მოწმეები გახდნენ და აღბეჭდეს კიდეც ფირზე. „ეს არა მარტო ესთეტიკური ტკბობა იყო, არამედ, საშუალება – ერთი საფეხურით მივუახლოვდეთ ჩვენი ვარსკვლავის – მზის, პლანეტების, მათ შორის დედამიწის წარმოშობის საიდუმლოს ამოხსნას", – აცხადებენ მეცნიერები.

ჩილესა და სილეს ობსერვატორიებში მომუშავე საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფის თვალთახედვის არეში მოექცა ღრუბელი Lupus 3, რომელიც მორიელის თანავარსკვლავედშია და ჩვენგან 600 სინათლის წლით არის დაშორებული. მძლავრი ორმეტრიანი ტელესკოპის – MPG/ESO-ს საშუალებით გაკეთდა 5 სინათლის წლის დიამეტრზე გაშლილი ღრუბლის პირველი სურათი – ნამდვილად მკვეთრი გამოსახულება და ასტრონომების წინ განსაცვიფრებელი სურათი გადაიშალა.

კადრის პირველ ნაწილში ჩანს ძალიან კაშკაშა ახალშობილ ვარსკვლავთა ჯგუფი, რომლებიც მუქი, კვამლისებური ღრუბლიდან იბადებიან. იქვე გარკვევით დაინახავთ ორ ყველაზე ნათელ ობიექტს, რომლებიც ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს.

ღრუბელი შეიცავს ცივი კოსმოსის მტვრის უზარმაზარ მარაგს და წარმოადგენს ინკუბატორს, საიდანაც ახალი ვარსკვლავები იბადებიან: მიზიდულობის ძალით შეკუმშული ამ ღრუბლის შედარებით მკვრივი ნაწილები ხურდებიან და იწყებენ ნათებას. თავდაპირველად ეს გამოსხივება თავად მტვერზე აირეკლება და მათი შემჩნევა მხოლოდ მძლავრი ტელესკოპითაა შესაძლებელი, მაგრამ, შემდეგ, როდესაც ვარსკვლავები უფრო მხურვალე და ნათელი ხდებიან, მათი გამოსხივება და ვარსკვლავური ქარები წმენდნენ მტვრის ღრუბელს და ახალი ვარსკვლავები მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოჩნდებიან ხოლმე.

როგორც მკვლევრები ამბობენ, ამ სურათზე ასახული ვარსკვლავები, ასეთი ახალგაზრდა და ცხელი, სწორედ ახალი მზეების მაგალითებია, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით. ორი დიდი ვარსკვლავის შემჩნევა მცირე ტელესკოპითაც შეიძლება, მაგრამ, სხვა „ახალშობილთა" დანახვა მძლავრი შეიარაღების გარეშე ჯერჯერობით შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ, მეცნიერების აზრით, მზეებისა და გალაქტიკების უმრავლესობა, მაგალითად, ჩვენი მზე, რომელიც დაიბადა და ჩამოყალიბდა 4 მილიარდი წლის წინათ, გაცილებით მოკრძალებული ზომების კოსმოსურ ტერიტორიაზე გაჩნდა.

## ბორდელი ინვალიდებისა და ფსიქიკურად დაავადებულთათვის

დიდ ბრიტანეთში მუშაობა დაიწყო ქვეყანაში პირველმა ბორდელმა, რომელიც მოემსახურება არაჯანსაღი ფსიქიკის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს.

„თანამედროვე საზოგადოებამ უნდა შეიგნოს, რომ ადამიანებს, რომლებიც იტანჯებიან სხვადასხვაგვარი ფსიქიკური და ფიზიოლოგიური გადახრით, აქვთ სექსუალური მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილება აუცილებელია", – განაცხადა ბორდელის დიასახლისმა, 44 წლის ბექი ადამსმა.

ახლა ის ეძებს მომსახურე პერსონალს და დიდი იმედი აქვს, რომ მისი კლიენტები გახდებიან აუტისტები, დასახიჩრებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებისთვისაც რთულია სექსპარტნიორის მოძებნა.

სხვათა შორის, ესპანელმა ექსპერტებმა და ფსიქოლოგებმა განაცხადეს: ადამიანებმა, რომლებიც დაინვალიდდნენ, პარალიზებულებმაც კი, არ უნდა დაუსვან წერტილი თავიანთ სექსუალურ ცხოვრებას, ისინი სექსუალურ ტკბობას ჯანმრთელ ადამიანებზე ნაკლებად არ განიცდიან. უფრო მეტიც, ბევრი ინვალიდისთვის სექსუალური ცხოვრება უფრო მდიდრული და სასიამოვნო შეიძლება იყოს, რადგან, როდესაც სექსუალური რეაქციები იცვლება, ჩნდება ახალი ეროგენული ზონების აღმოჩენის შესაძლებლობა. ზოგ შემთხვევებში კი, ზურგის ტვინის ტრავმის მიუხედავად, ინვალიდებს ერექცია, კოიტუსი და ორგაზმიც აქვთ.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# როგორ ეხმარებოდა დეგოლი სტალინს შვილის საფლავის აღმოჩენაში



**მაღლაკელიძემ გერმანელების თხოვნით მოძებნა აბაშის ყოფილი პრისტავი, შალვა ფირჩხაია, რომელიც სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კარგად იცნობდა როგორც სტალინის პირველ მეუღლეს, ისე იაკობს**

იოსებ სტალინი 3 შვილის მამა გახლდათ. ბელადს, უფროსი ვაჟი – იაკობი, პირველ ცოლთან, სვანიძის ქალთან შეეძინა. მეორე მეუღლესთან, ნადეჟდა ალილუევასთან კი, ქალ-ვაჟი – ვასილი და სვეტლანა. ბელადს შვილები განსაკუთრებულად უყვარდა, მაგრამ ხასიათიდან გამომდინარე, ამას თითქმის არ ამჟღავნებდა. მავანნი ადასტურებენ, თითქოს სტალინს განსაკუთრებულად ვასილი ჰყვარებია და თავის ვერსიას იმით ასაბუთებენ, რომ მან სტალინის გვარის ტარების უფლება სწორედ მას მისცა და არა – იაკობს. ეს არ უნდა იყოს სწორი ვერსია. ცნობილია, რომ, როცა სტალინი გარდაიცვალა და ტანისამოსი გახადეს, აღმოჩნდა – ბელადს კიტელქვეშ შავი ფერის მაისური ეცვა. სტალინის მომვლელმა ქალმა განმარტა, რომ შავი ფერის მაისურს სტალინი იაკობის დაღუპვის შეტყობის შემდეგ მუდმივად ატარებდა.

ალბათ, წინა ვერსიის შექმნას ხელი იმ გარემოებამ შეუწყო, რომ ვასილი და სვეტლანა მამასთან იზრდებოდნენ, ხოლო იაკობი კი მამისგან შორს – საქართველოში.

ცნობილია ისიც, რომ სტალინი შვილებს არ ანებივრებდა, განსაკუთრებით ვაჟებს. ისინი არ სარგებლობდნენ არანაირი პრივილეგიით. თურმე, ვასილ სტალინი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, მოსკოვის ოლქის სამხედრო საჰაერო ძალების სარდალი, პერიოდულად კრემლში შეივლიდა ხოლმე მამასთან. წესის თანახმად, კრემლის კომენდატურას ვასილის სახელზე საშვი უნდა დაეშვა, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ბელადის ვაჟს საშვს ვინ მოსთხოვდა?!

მიუხედავად ამისა, სტალინს ტელეფონით მოახსენებდნენ ხოლმე, რომ კრემლში მისი შვილი შევიდა. ერთხელაც ბელადს შეატყობინეს, რომ მისმა ვაჟმა კრემლის საკონტროლო გამშვები პუნქტი გაიარა, თუმცა საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ იმ დღეს ვასილს მამა არ მოუნახულებია. სტალინმა პირადად დაურეკა კრემლის კომენდანტს და უბრძანა: ხვალიდან ვასილ სტალინი კრემლში აღარ შეუშვაო. კრემლში ბელადის ვაჟის მორიგი ვიზიტის დროს, ვასილს საშვი მოსთხოვეს, რაც ბუნებრივია, არ აღმოაჩნდა. შეურაცხყოფილმა ვასილ სტალინმა მამას დაურეკა და ყველაფერი მოახსენა, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: „თანამდებობრივად შენ კრემლში შემოსვლის უფლება არ გაქვს, როცა შემოდიოდი, მეგონა, რომ ჩემს სანახავად მოდიოდი. ამის წინ კი, კრემლში იყავი, მაგრამ ჩემთან არ შემოსულხარ. კრემლში სხვა საქმე შენ არ გაქვს. ამიერიდან საშვს მიიღებ დადგენილი წესით!"

სტალინის უფროსი ვაჟი იაკობ ჯუღაშვილი, უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომში საბრძოლველად ოფიცრის ჩინით წავიდა. ხაზგასმით აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ომის მსვლელობის პერიოდში ბელადს არც ერთი შვილისთვის შეღავათი არ გაუწევია. სამხედრო მფრინავმა ვასილ სტალინმა მთელი ომი მოქმედ არმიაში გაატარა და უამრავი საბრძოლო გაფრენა განახორციელა. მოქმედ არმიაში იყო იაკობ ჯუღაშვილიც.

საბჭოთა არმიის სხვა ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან ერთად, ტყვედ ჩავარდა იაკობ ჯუღაშვილიც. მას დაკითხვისას გვარი, სახელი და მამის სახელი არ დაუმალავს. გერმანელებმა ჩათვალეს, რომ მათ წინაშე იყო არა სტალინის უფროსი ვაჟი, არამედ – ვიღაც ავანტიურისტი. საჭირო გახდა ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც უეჭველად დაადასტურებდა, რომ ტყვე ოფიცერი ნამდვილად საბჭოთა ბელადის შვილი იყო. გერმანელებს კი ასეთი პიროვნების მოძებნა არ შეეძლოთ. არმიის სარდლობამ დახმარებისთვის მიმართა აბვერს (იმპერიის სადაზვერვო სამსახურს). იმ დროისთვის აბვერში მსახურობდა 1921 წლის შემდეგ ემიგრაციაში წასული, ცნობილი მოღვაწე შალვა მაღლაკელიძე. მაღლაკელიძემ გერმანელებს განუცხადა, რომ მას არ შეეძლო დაედასტურებინა ტყვე ოფიცრის ვინაობა, რადგან პირადად იაკობ ჯუღაშვილი არასოდეს ენახა. სამაგიეროდ, მაღლაკელიძემ გერმანელების თხოვნით მოძებნა აბაშის ყოფილი პრისტავი – შალვა ფირჩხაია, რომელიც სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კარგად იცნობდა, როგორც სტალინის პირველ მეუღლეს, ისე – იაკობს. გერმანელებმა სასწრაფოდ მოძებნეს ემიგრაციაში მყოფი ფირჩხაია, რომელმაც პირველივე შეხედვისთანავე დაადასტურა, რომ ტყვე ოფიცერი ნამდვილად იაკობ ჯუღაშვილი იყო. შალვა ფირჩხაია დაესწრო საპატიო ტყვის დაკითხვას, რომელზეც ბელადის ვაჟს თავი ღირსეულად ეჭირა.

გერმანელებმა დააკმაყოფილეს იაკობ ჯუღაშვილის თხოვნა და ფრანგი ოფიცრების ტყვეთა ბანაკში გაგზავნეს. ძნელი ასახსნელი არ არის, თუ რატომ არ ისურვა იაკობ ჯუღაშვილმა საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბანაკში მოხვედრა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას სამხედრო ტყვეები დიდი პატივით შეხვდებოდნენ, როგორც ბელადის ვაჟს და წინამძღოლადაც დასახავდნენ. გერმანელები გაასმაგებული ყურადღებით განახორციელებდნენ დაკვირვებას და იაკობის ყოველი ნაბიჯი მათი მუდმივი ყურადღების ცენტრში იქნებოდა. არ იყო გამორიცხული, საბჭოთა ტყვეებიდან გერმანელთა სამსახურში გადაბირებული რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები მიეჩინათ იაკობისთვის, რათა საქმის ყურში ყოფილიყვნენ, თუ რას ფიქრობდა და რის გაკეთებას აპირებდა იაკობ ჯუღაშვილი. ყოველივე ეს, ცხადია, მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა ბელადის ვაჟს. მას კი არ სურდა, თავისი საქციელით ჩრდილი მიეყენებინა მამის სახელისთვის. რაც შეეხება ფრანგ სამხედრო ტყვეებთან ერთად ცხოვრებას, ის ნაკლებ საზრუნავს უჩენდა იაკობს. ფრანგი ოფიცრები საბჭოთა სამხედრო ტყვეებთან შედარებით პრივილეგირებულად ცხოვრობდნენ, მათ სამხედრო ფორმისა და სამხრეების ტარების უფლებაც კი ჰქონდათ. გერმანელი ოფიცერი და ფრანგი ტყვე ოფიცერი ერთმანეთს ჩვეულებრივ სამხედრო წესით ესალმებოდნენ. ფრანგებიდან იაკობ ჯუღაშვილი პროვოკაციებს არ ელოდა და ფრანგებს შორის მყოფს არც გერმანელები შეაწუხებდნენ დაუსრულებელი მეთვალყურეობით. იაკობის გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორი აღმოჩნდა. ფრანგი ოფიცრების ტყვეთა ბანაკში ყოფნის პერიოდში მას ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ მამის ავტორიტეტი შეელახა. მოგვიანებით, იაკობმა არ მიიღო შეთავაზება გენერალ ანდრეი ვლასოვის სარდლობით სამხედრო ტყვეებისგან გერმანიაში ჩამოყალიბებული რუსეთის „გამათავისუფლებელი არმიის" შტაბში პოლიტიკურ მრჩევლად დანიშვნის თაობაზე. გერმანელებსაც მეტად აღარ შეუწუხებიათ. ცნობილი არაა, ეს წინადადება გენერალ ანდრეი ვლასოვიდან მოდიოდა, თუ გერმანელების სურვილი იყო. უფრო სავარაუდოა, რომ ვლასოვი სტალინის ვაჟთან თანამშრომლობას არ ისურვებდა. ფრანგები ბელადის ვაჟის მიმართ ყოველთვის პატივისცემით იყვნენ განწყობილნი. არავინ იცის, მამამ მოიწონა თუ არა გადაწყვეტილება, მაგრამ ის კი ცხადია, რომ იაკობ ჯუღაშვილის მოქმედების მოტივი სტალინისთვის ძნელად გასაგები არ იქნებოდა.

გავრცელებულია მცდარი ვერსია, რომ იაკობ ჯუღაშვილი საბჭოთა ტყვეთა ბანაკში იმყოფებოდა და ბანაკში არსებულ იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი იყო. ეს ორგანიზაცია თითქოს ტყვეთა გაქცევას გეგმავდა, რომლის დროსაც დაიღუპა კიდეც იაკობ ჯუღაშვილი. ეს ვერსია სინამდვილეს არ შეეფერება. იოსებ სტალინმა შვილის ტყვედ ჩავარდნის ამბავი უმალვე შეიტყო, მაგრამ არავითარი განკარგულება მისი ტყვეობიდან გამოხსნის შესახებ, არ გაუცია. მოგვიანებით, საქმეში ჩაერია საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია. ჩანს, წითელი ჯვარი გერმანული მხარის შეკვეთით მოქმედებდა. სტალინგრადთან გერმანიის ჯარების განადგურების პროცესში ტყვედ ჩავარდა მეექვსე არმიის სარდალი ფერდმარშალი პაულიუსი. წითელი ჯვარი საბჭოთა მხარეს სთავაზობდა, იაკობ ჯუღაშვილის პაულიუსზე გაცვლას. იმხანად, გავრცელდა ამ შემოთავაზებაზე სტალინის პასუხის ასეთი ვერსია: „მე ჯარისკაცს ფელდმარშალზე არ ვცვლი!" ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ეს სიტყვები სტალინს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ გაცვლა არ შედგა. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ სტალინთან შეთანხმებით, საბჭოთა მხარემ წითელ ჯვარს შესთავაზა პაულიუსი გაეცვალათ გერმანიის კომპარტიის ლიდერზე – ერნსტ ტელმანზე, რომელიც იმხანად ჰიტლერის პირად ტყვედ ითვლებოდა. ამ გაცვლაზე გერმანელები არ დასთანხმდნენ.

იაკობ ჯუღაშვილი დაიღუპა შემდეგ ვითარებაში: საფრანგეთის, მეორე ფრონტის გახსნისა და საფრანგეთში ინგლის-ამერიკის ჯარების გადასხდომის (1944) შემდეგ, გერმანელებმა დაიწყეს ფრანგი ტყვე ოფიცრების გადაყვანა, შვეიცარიის გავლით, გერმანიაში. მათ შორის იყო იაკობ ჯუღაშვილიც. ერთ-ერთი სარკინიგზო სადგურის დაბომბვის დროს, სადგურის მოსაცდელ დარბაზს ბომბი დაეცა და ფრანგ ოფიცრებთან ერთად დაიღუპა იაკობიც.

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, იოსებ სტალინმა თხოვნით მიმართა გენერალ შარლ დეგოლს, დახმარებოდა შვილის საფლავის მოძებნაში. დეგოლმა უსწრაფესი განკარგულება მოახდინა და სპეციალური ჯგუფი, მისი პირადი ადიუტანტის ხელმძღვანელობით, გაემგზავრა სტალინის შვილის დაღუპვის ადგილას. მანამდე, ფრანგებმა მოძებნეს ტყვეების იმ ჯგუფის მამასახლისი, რომელიც შემთხვევით გადაურჩა დაბომბვას. მამასახლისმა დაადასტურა, რომ იაკობი სხვა ტყვე ოფიცრებთან ერთად დაბომბვის დროს ნამდვილად სადგურის შენობაში იმყოფებოდა და ისიც სხვა დაღუპულებთან ერთად, იქვე, მახლობლად დაასაფლავეს. მართლაც, გახსნეს სამარხი, საიდანაც ამოიღეს რამდენიმე ათეული გვამი. რადგან საფლავი გათხრილი იყო, კლდის ძირას, საიდანაც წყალი ჟონავდა, გვამები, იმდენად გახრწნილი აღმოჩნდა, გარეგნული დათვალიერებით, ვინმეს ამოცნობა შეუძლებელი გახდა. სამწუხარო ამბავი გენერალმა შარლ დეგოლმა პირადად აცნობა სტალინს.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## ბაიდარაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბაიდო.**

**ბაიდარი** ისტორიული მხარეა ქვემო ქართლში, რომელიც მოიცავდა მდინარე ქციის ორივე ნაპირზე გადაშლილ ველებს, დღევანდელი ბოლნისის რაიონის სოფელ არახლოს აღმოსავლეთით. **ბაიდარი** სოფელია მარნეულის რაიონში.

სავარაუდოდ, **ბაიდარაშვილი** სადაურობის აღმნიშვნელი გვარი უნდა იყოს, ისევე, როგორც დიღმელიშვილი, რაჭველიშვილი, თბილელი, მანგლელი და ასე შემდეგ.

„თონეთელმა ალექსანდრე მჭედლიშვილმა 1875 წელს დიდი ენაგეთის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ჩხიკვთაში მცხოვრებ ანდრია **ბაიდარაშვილის** ასულ მაგდალინაზე“.

სოფლის მორიგი აკლებისას, საგინაშვილები კახეთში გახიზნულან და იქ ჭავჭავაძეებთან დანათესავებულან. ამას ადასტურებს საფლავის ქვების წარწერები მაწევანსა და სამებაში. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უკანვე, აღბულაღის რაიონში, დაბრუნებულ საგინაშვილებს კახეთიდან თან წამოუყვანიათ იქაური გლეხები, გვარად **ბაიდარაშვილები.**

გადმოცემით, **ბაიდარაშვილები** დაახლოებით ხუთი თაობის წინ გადმოსულან სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგიდან. სოფელში ამჟამად **ბაიდარაშვილთა** ორი შტოა, კერძოდ: კორელაანი და ზანდარაანი. კორელაანთ თიკუნი მომდინარეობს ოთხი ძმისგან – სოლომონის, ივანეს, სანდროსა და გიგასგან. მათი მამა იყო ზაქრო **ბაიდარაშვილი**. ამ შტოს შთამომავლები საგინაშვილთა კარის მოსამსახურეები ყოფილან. ურთიერთსიახლოვე საგინაშვილ-**ბაიდარაშვილებს** ბოლო ხანებამდე შემორჩათ.

ზანდარაანთ **ბაიდარაშვილები** ჩხიკვთაში, ტბისსა და თბილისში ცხოვრობენ.

საქართველოში 225 **ბაიდარაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 105, თეთრი წყაროში – 85, რუსთავში – 18. არიან სხვაგანაც.

## ებრალიძე

ისტორიული საბუთების მიხედვით, ადრე **ებრალიძეები** გლახაშვილები ყოფილან.

გვარი გლახაშვილი ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან გლახა.




საკუთარი სახელი გლახა (გლახო) მოიხსენიება თეიმურაზ მეორის განჩინების წიგნში, 1753 წელს.

გლახო **ებრალიძე** 1823 წელს, სოფელ ერტისის აღწერაში, გედევანიშვილების გლეხად მოიხსენიება.

საქართველოში 1 539 **ებრალიძე** ცხოვრობს: ლანჩხუთში – 474, თბილისში – 445, შუახევში – 143. არიან სხვაგანაც.

## მურუსიძე

გვარის ფუძეა სიტყვა **მურუსი**. **მუ** იგივეა, რაც სვანური თავსართი მგ, რომელიც სადაურობის აღმნიშვნელია. სიტყვა „**მურუსი**“ ნიშნავს „რუსს“. **მურუსიძე** მნიშვნელობით იგივეა, რაც რუსიშვილი.

1941 წელს **მურუსიძეები** ამბროლაურის რაიონის სოფელ ზნაკვიდან ასურეთში გადასულან საცხოვრებლად.

საქართველოში 895 **მურუსიძე** ცხოვრობს. თბილისში – 233, ამბროლაურში – 197, ქუთაისში – 154. არიან სხვაგანაც.

## მაცაბერიძე

გვარის ფუძეა რთულად შედგენილი საკუთარი სახელი **მაცაბერი**. ასევე, გვხვდება საკუთარი სახელი **მაცი**. ამ სახელისგან ნაწარმოები გვარებია: **მაციშვილი, მაცაკიძე, მაციაშვილი, მაცუკიშვილი.**

„ძლიერ ძველად ჩანან **მაცაბერიძე, მაციშვილი** და მისთანანი, რომელშიც **მაც** ძირია საგულვებელი.”

ჭონიხიტების საგვარეულოს წარმომადგენლებს ჰქონიათ დიდი მეჯინიბეთუხუცესის წოდება. ამავე თანამდებობის პირი ყოფილა იმავე დროს მაცეპას ოლქის ჯარის უფროსი.

1941 წელს **მაცაბერიძეები** ამბროლაურის რაიონის სოფელ აგარიდან ასურეთში გადასულან საცხოვრებლად და იქ დაფუძნებულან.

საქართველოში 797 **მაცაბერიძე** ცხოვრობს: თბილისში – 352, ამბროლაურში – 77, ზესტაფონში – 60. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ყველაზე ცნობილმა ქართველმა ჯაშუშმა, ვახტანგ აბაშიძემ, ჯეიმს ბონდის პროტოტიპი – „ჯაშუშთა მეფე“ სიკვდილს გადაარჩინა

**(ოცდამეორე გვერდიდან)**

ლონდონთან კონფრონტაცია გარდაუვალია, მაგრამ, პროცესების დაჩქარებაც არ შეიძლებოდა. ლენინმა ლოკარტის დაპატიმრებაზე თავი შეიკავა და ბრძოლისთვის მოემზადა. მას პრინციპად ჰქონდა, რომ გათავისუფლებული კაცი თანამდებობაზე არასდროს დაებრუნებინა. ძერჟინსკის მიმართ კი გამონაკლისი დაუშვა. ლენინი ინტრიგების დიდოსტატი გახლდათ და, ამიტომაც, გააღვივა დაპირისპირება პარტიის შიგნით. ძერჟინსკი სრულ იზოლაციაში მოექცა. მისი ერთადერთი ხსნა ლენინის მხარდაჭერა იყო. ამის შემდეგ ვლადიმირ ილიჩმა ის დაიბარა და „ჩეკას“ თავმჯდომარის პოსტზე დაბრუნება შესთავაზა. ლენინმა ხაზი გაუსვა, რომ „ჩეკას“ რეფორმირება აუცილებელია. ძერჟინსკი დაეთანხმა, თუმცა, გულში სხვას ფიქრობდა და შემდგომმა მოვლენებმაც ეს დაადასტურა – მხედველობაში მაქვს თავდასხმა ლენინზე და ამის შემდეგ განვითარებული მოვლენები.

**– ანუ, როდესაც ლენინს კაპლანმა ესროლა და დაჭრა? ლენინს მართლა კაპლანმა ესროლა?**

– ასეთი იყო ოფიციალური ვერსია. კაპლანს 16 წლის ასაკში ვინმე გორსკი შეუყვარდა. მისი გავლენითაც ის ანარქისტი გახდა და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კაპლანი მშვიდად, წყნარად ცხოვრობდა. ერთ დღეს კი კაპლანს ქუჩაში „შემთხვევით“ ხვდება თავისი პირველი სიყვარული – იაშკა გორსკი. მათ შორის ურთიერთობები აღდგა. კაპლანმა არ იცოდა, რომ იაშკა „ჩეკას“ საიდუმლო აგენტი იყო. სწორედ გორსკიმ დაარწმუნა ქალი, რომ რევოლუცია უნდა იხსნას და ლენინი მოკლას.

**– ანუ, ლენინზე თავდასხმა ძერჟინსკის პროვოკაცია იყო?**

– ყოველ შემთხვევაში, ამით ძერჟინსკიმ იხეირა. ლენინმა ოფიციალურად გამოაცხადა „წითელი ტერორი“. „ჩეკას“ გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა. მალე მოულოდნელად გარდაიცვალა სვერდლოვი. ვარაუდობენ, რომ ის მოწამლეს. რაც შეეხება ძერჟინსკის, მან პოსტიც შეინარჩუნა და გავლენის გაზრდასაც მიაღწია, ანუ, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ლენინზე თავდასხმა სწორედ მის მიერ მოწყობილი მარჯვე პროვოკაცია იყო.

**– აბაშიძე ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა?**

– დიახ. რეილი რამდენიმე დღით ადრე პეტერბურგში გაემგზავრა, აბაშიძე კი მოსკოვში დარჩა და აქტიურად ჩაერთო გადატრიალების მომზადების საქმეში. კაპლანის გასროლა მისთვის აბსოლუტური სიურპრიზი იყო. ლენინზე თავდასხმის შემდეგ წითელი ტერორი გაჩაღდა და რეილის ორგანიზაციაშიც მასობრივი ჩავარდნები მოხდა. თავად აბაშიძე ამას სასწაულით გადაურჩა.

**– მაინც, როგორ გადარჩა?**

– რეილიმ, როგორც გამოცდილმა მზვერავმა, უსაფრთხოების სრულყოფილი სისტემა შეიმუშავა. დაჭერას გადაურჩნენ როგორც აბაშიძე, ასევე, ჯორჯ ჰილი, ფრანგი მზვერავი ვერტამონი და სხვები. ისინი წინასწარ მომზადებულ კონსპირაციულ ბინებში გადავიდნენ. ახლა ყველა მათგანს ახალი ყალბი საბუთი ჰქონდა: ჯორჯ ჰილი კინომექანიკოსი გახდა, აბაშიძე მტვირთავ მუშად გადაიქცა... მალე პეტერბურგიდან მოსკოვში დაბრუნდა რეილიც. რეილი შეეცადა ამ მწირი ძალებით მოეხდინა გადატრიალება. მთავარ ფსონს, რასაკვირველია, ლენინსვერდლოვის ქიშპზე დებდა. რუსეთიდან წასვლა მან მხოლოდ მას მერე გადაწყვიტა, როცა სვერდლოვი უეცრად გარდაიცვალა. ამის შემდეგ რეილი და აბაშიძე გაემგზავრნენ პეტერბურგში. აქ მათ პატარა კატერი ელოდათ, რომლითაც ისინი შვედეთში გადავიდნენ.

**– აბაშიძის შემდგომი ბედი როგორ წარიმართა?**

– ამის შესახებ ცნობები მწირია. ცნობილია ის, რომ აბაშიძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ემიგრაციაში წავიდა. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ის პოლონეთის „არმია კრაიოვას“ (აკ) რიგებში იბრძოდა, თუმცა, სხვები ამას ეჭვქვეშ აყენებენ. ცალკეული ცნობების თანახმად, აბაშიძე აკ-ის რიგებში „ყაზბეგის“ ფსევდონიმით იმყოფებოდა. აკ-ში ასეთი მეთაური მართლაც იყო. ერთნი ამტკიცებენ, რომ თითქოს ესესელებთან შეტაკებისას დაიღუპა, სხვების აზრით, გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ და სიცოცხლე ოსვენციმის სიკვდილის ბანაკში დაასრულა. არიან ისეთებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ „ყაზბეგი“ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას მოესწრო და კომუნისტური პოლონეთის უშიშროების ძალებთან შეტაკებისას დაიღუპაო, თუმცა, ერთში ყველა ერთსულოვანია: „ყაზბეგი“ მამაცი მეომარი იყო, მას სძულდა როგორც ნაცისტები, ისე კომუნისტები და ორივეს წინააღმდეგ ერთნაირი გააფთრებით იბრძოდა.

**ქეთი ვარდოსანიძე**

# დახედე საათს!

***ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ადამიანების დამოკიდებულება მაჯის საათებისადმი, მათი ხასიათის შეცნობის საშუალებას იძლევა. ბევრი არაფერია საჭირო. წაიკითხეთ ტესტი, ამოირჩიეთ თქვენთვის სასურველი ვარიანტი და ნახეთ შედეგები.***



*** ძვირფასი, ბრენდული საათები** უყვართ ელეგანტურ, ორგანიზებულ, წარმატებულ, აკურატულ და მეტისმეტად მოწესრიგებულ ადამიანებს. მათ ყოველთვის ყველაფერი თავის ადგილზე აქვთ.

*** მოდურ საათებს** ანიჭებენ უპირატესობას თანამედროვე, კრეატიული ადამიანები და ყველა საქმეში წარმატებას აღწევენ.

*** ორიგინალურ, უცხო და უჩვეულო ფორმის საათებს** ანიჭებენ უპირატესობას (მაგალითად, საათი ორი ციფერბლატით) მხიარული, ცელქი, იუმორის კარგი გრძნობის მქონე ადამიანები. ისინი საკმაოდ დიდხანს რჩებიან ბავშვებად.

*** საიუველირო წარმოების საათები** (ოქროს, ძვირფასი თვლებით მორთული) უყვართ კომუნიკაბელურ, კეთილგანწყობილ, მეგობრულ ადამიანებს.

*** ტექნიკური სიახლეები** – ამ სიახლის პირმშო საათებს ატარებენ შემოქმედებითი ბუნების, გამომგონებლური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ისინი სწრაფად იღლებიან ერთგვაროვანი საქმიანობისგან, ზოგადად, ერთფეროვნებისგან. უყვართ ყველაფერი ახალი.

*** საათები რომაული ციფრებით** – ადამიანებს, რომლებიც ასეთ საათებს ანიჭებენ უპირატესობას, უყვართ კლასიკური მუსიკა, ძვირფასი რესტორნები, კარგი ტანსაცმელი. ბუნებით კონსერვატორები არიან, აკურატულები და პუნქტუალურები.

*** როცა საათს ციფერბლატზე ციფრების ნაცვლად ნიშნულები აქვს** – იცით, როგორი ადამიანები ირჩევენ ასეთ საათებს? ვინც შესანიშნავად იცის, რა უნდა ცხოვრებისგან. ისინი საქმიანები არიან, მახვილი ჭკუით და კარგად განვითარებული ინტუიციით.

*** ჩვეულებრივი მაჯის საათი, ჩვეულებრივი ციფრებით** – ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ პრაქტიკულობა მთავარია და არაფერი ზედმეტი. სისადავე და უბრალოება, ისინი ამ თვისებას ყველაფერში ავლენენ.

*** თუ საათს საერთოდ არ ატარებთ,** არ ხართ ზარმაცი და თქვენი აყოლიება, ნებისმიერ საქმეში ძალიან იოლია. ისეთი ცნობისმოყვარე ხართ, საშიშ ექსპერიმენტებზეც არ იხევთ უკან. პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტასაც ადვილად პოულობთ.

## სიმახინჯე – მხიარულებისთვის

***ვინ თქვა, რომ საზოგადოება არ გაიზარდა და ადამიანი თავისი ბუნებით ისეთივე დარჩა, როგორიც დიდი ხნის წინათ იყო?! ყოველ შემთხვევაში, ისე უკვე აღარ ვერთობით, როგორც ამას არცთუ შორეულ წარსულში აკეთებდნენ.***

სპარტაში ფიზიკური ნაკლით დაბადებულ ან ძალიან სუსტ ჩვილებს გაჩენისთანავე ხოცავდნენ. მაშინ ყველაზე ჰუმანური აზრი პლატონს გაუჩნდა. მან თქვა, რომ ფიზიკური ნაკლის მქონე ან დეფექტით დაბადებული ადამიანებისთვის სპეციალური რეზერვაციები უნდა შექმნილიყო...

მაგრამ, ვილაცეებმა მათ სხვა დანიშნულება მოუძებნეს... პირველად რომის იმპერატორებმა მოისურვეს, ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვები სასახლის კარზე ჰყოლოდათ. მალე მახინჯ ბავშვებზე და მოზრდილ ადამიანებზე მოთხოვნილება ისე გაიზარდა, „ბაზრის" მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ბუნებრივად გაჩენილი მახინჯების რაოდენობა საკმარისი აღარ იქნებოდა და, ამიტომ, ფიზიკური ანომალიების ხელოვნურად შექმნა დაიწყეს. ხელოვნურად „გამოყვანილი" ჯუჯები პირველად ძველ რომში გაჩნდნენ. სპეციალური აგენტები ყიდულობდნენ ჩვილებს ღარიბი ოჯახებისგან და საიდუმლო მეთოდით ზრდიდნენ: ცნობილია, რომ თავიდან მათ ძალიან ცოტას აჭმევდნენ და ასუსტებდნენ. უვითარებდნენ რაქიტს, ასმევდნენ ალკოჰოლს და ღვინოშიც კი ბანდნენ. ბევრი ბავშვი ვერ უძლებდა ასეთ ექსპერიმენტს და კვდებოდა, გადარჩენილებში კი მათ წონა ოქროს იხდიდნენ – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით...

რომის იმპერია რომ დაემხო, თითქოს სასტიკი ცდები ბავშვებზე შეწყდა, მაგრამ, მალე ევროპაში მოხეტიალე ბოშები შევიდნენ ინდოეთიდან, რომლებიც ბავშვების დამახინჯების დიდოსტატები იყვნენ: მათ „შექმნეს" ხელოვნური კუზიანები; ადამიანები მუდმივად მოცინარი, კლოუნის პირით; ცხვირ და ქვედატუჩმოჭრილი ადამიანები; ან, აცლიდნენ ღრძილების ნაწილს... „მოცინარ" ადამიანებზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო, განსაკუთრებით, აღორძინების ეპოქის ევროპაში. სხვათა შორის, თავად მშობლებიც კი ხშირად ამახინჯებდნენ შვილებს და მერე დიდებულებზე დიდ ფასად ყიდდნენ, ან – ათხოვებდნენ.



განსაკუთრებულ „ოსტატობას" ამ საქმიანობაში ძველ ჩინეთში მიაღწიეს. აქ სხეულის ნებისმიერი ნაწილის მოდელირებას ახდენდნენ. 1912 წლამდე ქალებს ტერფებს ბინტით იმგვარად უკრავდნენ, რომ ფეხი არ იზრდებოდა და ჩვილის ფეხივით პატარა რჩებოდა. ამ ტრადიციას საფუძველი ჩვენს ერამდე მეორე საუკუნეში ჩაეყარა და მას სათავე იმპერატორის ცოლმა – ტან ლი იუიამ დაუდო, რომელმაც, სპეციალური სახვევის დადებით, საკუთარ ტერფებს ნახევარმთვარის ფორმა მისცა. ფეხის სიგრძე 7-9 სანტიმეტრი უნდა ყოფილიყო – ეტალონად ეს ზომა ითვლებოდა. ჩინეთში ამაზე გაცილებით სარისკო ექსპერიმენტებსაც ატარებდნენ: ჯუჯების „გამოსაყვანად" 3 წლის ბავშვს სპეციალურ, ფაიფურის უფსკერო ლარნაკში სვამდნენ. პატარას მხოლოდ თავი და ფეხები მოუჩანდა. ღამით ლარნაკს ჰორიზონტალურად დებდნენ, რომ ბავშვს ცოტა მაინც დაეძინა. ამ ფორმით ის სიმაღლეში ვეღარ იზრდებოდა. მხოლოდ სიგანეში იმატებდა. რამდენიმე წლის შემდეგ, ძვლები საბოლოოდ რომ დეფორმირდებოდა, ლარნაკს გატეხავდნენ და ჯუჯაც „მზად" იყო.

ჩინელები ბავშვებისგან ცხოველებსაც „ამზადებდნენ:" პერიოდულად მათ კანს ნაჭერ-ნაჭერ უცვლიდნენ მგლის ან დათვის სხეულიდან აჭრილი ტყავით. უმრავლესობა კვდებოდა, ვინც ცოცხალი რჩებოდა, ის ჭკუიდან იშლებოდა, მაგრამ, ეს ექსპერიმენტს ხელს არ უშლიდა. მსხვერპლს უზიანებდნენ ხმის იოგებსაც და ის ლაპარაკის ნაცვლად მხოლოდ ღმუოდა. უკვე ბოლოს, უმტვრევდნენ რამდენიმე სახსარსაც და საცოდავი ოთხზე იწყებდა სიარულს. 1930 წელს ამერიკაში „მახინჯთა ცირკიც" კი არსებობდა...

**გვერდი მოამზადა ელენე წულუკიძემ**

# აჩქარება მკვლელია

## აგათა კრისტი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ, დილით, როცა ქმარი სამსახურში გააცილა და ბაღში ყვავილებს რწყავდა, ალექსმა ქმრის უბის წიგნაკი იპოვა, სადაც მარტინი ჩანაწერებს აკეთებდა ხოლმე. ალექსი სამი თვის გათხოვილი იყო და თავს ბედნიერად გრძნობდა. ქმარი ძალიან უყვარდა. მართალია, დაქორწინებამდე მხოლოდ ორი კვირა იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ, ის მაშინვე მოიხიბლა ამ მამაკაცით. მანამდე თითქმის ექვსი წელი ხვდებოდა თავის თანამშრომელს, ბილი სტივენსონს. ბილი სულ უმტკიცებდა, რომ ძალიან უყვარდა, მაგრამ, დაქორწინებაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ალექსი ამას იმით ხსნიდა, რომ მათი შემოსავალი ოჯახის შესანახად საკმარისი არ იყო. მერე უცებ ალექსის შორეული ნათესავი გარდაიცვალა და, სრულიად მოულოდნელად, ქალს მემკვიდრეობა დაუტოვა. თანხა ძალიან ბევრი არ იყო, მაგრამ, ერთი სახლის ყიდვასა და ოჯახის მოწყობას თავისუფლად ეყოფოდა. ალექსმა ეს სასიხარულო ამბავი მაშინვე აცნობა ბილის, რაც, ფაქტობრივად, წინადადებას ნიშნავდა, მაგრამ კაცი არ აღფრთოვანებულა – მისთვის მიუღებელი იყო ცოლის ხარჯზე ცხოვრება. ალექსს ლამის დეპრესია დაეწყო და სწორედ ამ დროს გამოჩნდა მარტინი – სიმპათიური და მტკიცე ხასიათის მამაკაცი, რომელმაც სამ დღეში სიყვარული აუხსნა, ორ კვირაში კი დაქორწინდნენ და ვინდიფორდის საგრაფოში ულამაზესი პატარა სახლი შეიძინეს. ერთადერთი ნაკლი ამ სახლს ის ჰქონდა, რომ დაბას საკმაოდ იყო მოშორებული და მეზობლები პრაქტიკულად არ ჰყავდათ. მაგრამ ალექსი ამას არ შეუწუხებია. ის თავით გადაეშვა საოჯახო საქმეებში: ხან სამზარეულოში ფუსფუსებდა და მეუღლეს გემრიელ კერძებს ახვედრებდა, ხან ულამაზეს ბაღს უვლიდა. მის ბედნიერებას ჩრდილი მხოლოდ ორჯერ მიადგა და მიზეზი ორჯერვე ბილი იყო, რომელმაც დაურეკა და საყვედურებით აავსო: როგორ გაჰყევი ცოლად კაცს, რომლის შესახებაც საერთოდ არაფერი იცოდი, იქნებ მკვლელი ან ყაჩაღია... თაღლითი და მანიაკიო... ჩემი ამდენი წლის სიყვარული როგორ უარყავი, ცუდ დღეში ვარ, მხოლოდ შენზე ვფიქრობ, სხვაზე ვერაფერზეო... ალექსს ეს ამბავი ქმრისთვის არ უთქვამს, მაგრამ, აფორიაქდა... რამდენჯერმე გაახსენდა ფრაზა – როგორ გაჰყევი ცოლად კაცს, რომლის შესახებაც არაფერი იცოდიო და, მიუხედავად იმისა, რომ მარტინის საქციელში არაფერი იყო საეჭვო, მაინც უსიამოვნო განცდა დაეუფლა. მართლაც, რა იცოდა ქმრის წარსულზე? სრულიად არაფერი. არადა, 43 წლის მამაკაცის ცხოვრებაში აუცილებლად იქნებოდნენ სხვა ქალები. რა თქმა უნდა, სისულელე იქნებოდა იმ ქალებზე ეჭვიანობა, მაგრამ, იქნებ მათზე ქმრისთვის რაღაც მაინც უნდა ეკითხა?! და, უცებ – ეს წიგნაკი... ალექსმა გადაშალა და პირველივე ჩანაწერი წაიკითხა: „სახლის არენდა – ათასი ფუნტი, ათასი ფუნტი დანაზოგი – პოზიტივია“. ალექსი შეფიქრიანდა. რა დანაზოგზე იყო ლაპარაკი? ქმარმა უთხრა, რომ სახლში ორი ათასი ფუნტი გადაიხადეს. ეს მისი ფული იყო, რომელიც ქმარს ანდო... ხელები აუკანკალდა. შემდეგი ფურცელი გადაშალა – ისევ ციფრები და ჩანაწერები, გაუგებარი თარიღები და უცებ, მომავალი დღის რიცხვი და დრო – საღამო, 9 საათი. ეს რაღას უნდა ნიშნავდესო, – შეიფქრიანდა, – ნეტავი, რისი გაკეთება უნდა ხვალ საღამოს ჩემს ქმარსო. ან, ეს ციფრები რას ნიშნავდა? ზოგიერთს გვერდით ეწერა: „დანაზოგი“, ზოგს – „პოზიტივი“... ალექსი კედელს მიეყრდნო. აშკარად რაღაც ხდებოდა. ინტუიცია გაუაქტიურდა... შინაგანი ხმა თითქოს განგაშის ზარებს რეკავდა... უცებ, გაიგონა, ვილაც ეძახდა. მათი მებაღე აღმოჩნდა – სასიამოვნო მოხუცი, რომელიც მათთან შაბათობით მოდიოდა ხოლმე. დღეს კი სამშაბათი იყო. გაკვირვებული მივიდა და ნაძალადევად გაუღიმა.

– როგორ მეწყინა, რომ აქ აღარ იცხოვრებთ, მისის. თქვენი ქმარი დაბაში შემხვდა და მითხრა, რომ ლონდონში გადადიხართ საცხოვრებლად, სახლს კი ყიდით. ჰოდა, ვიფიქრე, რადგან ხუთშაბათს უკვე მიემგზავრებიან, მივალ და ბაღს მოვაწესრიგებ, ახალ მობინადრეებს ყველაფერი ლამაზად რომ დახვდეთ-მეთქი. მყიდველების ამბავი ხომ იცით, ყველაფერს აკვირდებიან. საკმაოდ დაბალი ფასი გადაიხადა – ათასი ფუნტი. ორმაგად კი გაყიდით, მაგრამ, მე მაინც გული მწყდება.

ალექსი გაოგნდა:

– ჩემმა ქმარმა გითხრათ, რომ სახლს ვყიდით და ლონდონში გადავდივართ? ეს მარტინმა თქვა?

– დიახ, მემ... არადა, ისე შეგეჩვიეთ, ეს სახლიც მიყვარს. აქ ყოველთვის კარგი ადამიანები ცხოვრობდნენ, – განაგრძო მოხუცმა ისე, რომ ქალის გაფითრებული სახე არც შეუნიშნავს.

– დარწმუნებული ხართ, რომ არაფერი გეშლებათ? მგონი, ამ სახლშიც ორი ათასი ფუნტი გადავიხადეთ.

– რას ბრძანებთ, მემ. მე კარგი მახსოვრობა მაქვს, მიუხედავად ჩემი ასაკისა. სახლის ფასიც ზუსტად ვიცი. მე თავად ვიყავი მოწმე, როცა თქვენმა მეუღლემ ძველ მეპატრონეს თანხა გადასცა. გამიკვირდა კიდეც, ასე იაფად როგორ მოურიგდა-მეთქი...

ალექსს სმენა დაეხშო და ყურებში თითქოს ზარებმა დაიწყეს რეკვა. მუხლებში სისუსტე იგრძნო. მებაღისთვის არაფერი უთქვამს და გადაწყვიტა, იმ საღამოსვე დალაპარაკებოდა ქმარს...

მარტინის რეაქცია წარმოუდგენელი იყო. როგორც კი ალექსმა ჰკითხა, რატომ უთხარი მებაღეს, რომ ქალაქში გადავდივართ საცხოვრებლადო, კაცი ჭარხალივით გაწითლდა, თვალებში ბოროტი ნაპერწკალი გაუჩნდა და შეშლილივით წამოხტა ფეხზე:

– სად, სად ნახე მებაღე? ჩუმად დაბაში იყავი, ხომ?! ჩემს დაუკითხავად წახვედი... საინტერესოა, რას იძიებდი, კიდევ რა გაიგე? როგორ არ გრცხვენია, რომ ვილაც გამოშტერებულ მოხუცს ენდობი და საკუთარ ქმარს არა, რომელსაც ასე უყვარხარ?!

– მარტინ, რა დაგემართა, ასე რამ გადაგრია? მე შენ გენდობი. არც დაბაში ვყოფილვარ და არც არაფერი გამომიკითხავს. უბრალოდ, კითხვა გაჩნდა და დავინტერესდი. ამაში საშინელებას რატომ ხედავ?!

– შენ არ მენდობი... დილას ჩემი უბის წიგნაკიც ვერ ვიპოვე – ალბათ, ისიც შენ ამომაცალე.

– აი, შენი წიგნაკი, – ცრემლი მოერია ალექსს, – ბაღში ვიპოვე. საინტერესოა, ხვალ საღამოს რის გაკეთებას აპირებ? გული მატკინე...

ქალმა წიგნაკი მიუგდო და ოთახიდან გავიდა. უკვე სერიოზულად შეეშინდა. ამ კაცს აშკარად არ იცნობდა... „საფრთხე! საფრთხე!“ – ჰკარნახობდა ინტუიცია. იმასაც გრძნობდა, რომ საშიშროება სულ ახლოს იყო. უცებ მარტინის ხმა შემოესმა – ბაღიდან ეძახდა... სასოწარკვეთილმა მიმოიხედა. ხსნას არსაიდან ელოდა. ვერავინ უშველიდა. მთლიანად ამ კაცის ტყვეობაში იყო... გარეთ გავიდა. კაცი ვარდების ბუჩქთან იდგა, ხელში ახალთახალი ნიჩაბი ეჭირა და უღიმოდა:

– მაპატიე, რომ ავღელდი, საყვარელო... არ ვიცი, რა დამემართა. გეტყვი, რის გაკეთებას ვაპირებდი ხვალ შენთვის – იაპონური ვარდის ნერგი ვიყიდე და, მინდა, ჩვენი სიყვარულის ნიშნად დავრგოთ. ლონდონში გავგზავნე ადამიანი მის ჩამოსატანად. სწორედ ეს ვუთხარი ჩვენს სულელ, ბებერ მებაღეს და იმან ყველაფერი არასწორად გაიგო...

ალექსს „მექანიზმი“ ჩაერთო: ღმერთო!.. ბუჩქი, ბაღი, ნიჩაბი... ის ახლა მომკლავს მიწაში ჩამფლავს და ველარავინ მიპოვის...

– ალექს, ჩქარა, რაღას აყოვნებ? თუ, მე მოვიდე და ხელში აყვანილმა ჩამოგიყვანო ბაღში? ხომ იცი, რომ მოგერევი...

ქალს უკვე პასუხის გაცემის თავიც აღარ ჰქონდა, უცებ ნიჩბის სიმძიმეც კი იგრძნო საკუთარ თავზე, მუხლი მოეკვეთა და გონება დაკარგა... ბუნებრივია, არც გასროლის ხმა გაუგია.

თვალი რომ გაახილა, ბილ სტივენსონს ჰყავდა ჩაბღუჯული და მაგრად ჰკოცნიდა.

– ჩემი სულელი გოგო... სულზე მოგისწარი... ცოტა რომ დამეგვიანა, საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებდი. ყველაფერი ვიცი შენს ნაძირალა ქმარზე. ტყუილად კი არ შემეპარა მის მგზნებარე სიყვარულში ეჭვი. შენამდე სამი ცოლი ჰყავს მოკლული – ისინი უკვალოდ გაუჩინარდნენ და ვერც ვერაფერი დაუმტკიცეს. აი, საიდან ჰქონდა ფული. ნუ გეშინია, საყვარელო, ის უკვე მკვდარია და ველარასოდეს შეგაწუხებს... რაც ცოლად გაჰყევი, ერთი წუთითაც არ მომიდუნებია ყურადღება – სულ ვეძებდი, ვქექავდი და ამოვქექე კიდეც...

– ბილ... – ამოიკნავლა ქალმა სუსტი ხმით, – მეც მიკარნახა ინტუიციამ, რომ მკვლელი იყო, მაგრამ, დაგვიანებით. მართლაც, როგორ გავყევი ცოლად კაცს, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი?!

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მგლები 5

## უკანასკნელი ქურდი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №26-4(630)

– ძალიან მარტივად წარმოგიდგენია ყველაფერი, – განაგრძო პროკურორმა.

– ჩვენდა სამწუხაროდ, მალიშევი განსაკუთრებული გონიერებით არ გამოირჩეოდა. ის ორმოცდაათიანი წლების დეტექტივებში ამოკითხული მეთოდებით მოქმედებდა, – უპასუხა რიბკინმა, – მან ძალიან ბევრი უხეში შეცდომა დაუშვა. ავანტიურაში ჩაითრია კრილოვი და მასთან ერთად მთელი საგამოძიებო სამსახური. უთავბოლოდ დაგეგმა დოსიეების არქივიდან ჩემი სახელით გატანის ოპერაცია, რასაც, საბოლოო ჯამში, სრულიად უდანაშაულო ადამიანი – დიმიტრი გრომოვი შეეწირა.



– მაინც რას ისახავდა მიზნად დოსიეების შენთან გამოგზავნა? – ჰკითხა პროკურორმა.

– კრილოვს ჩემთან სავაჭრო მიზეზი სჭირდებოდა. ისეთი ფაქტი, რომლის გაბათილებასაც ვერ შევძლებდი.

– არა მგონია, რომ ეს მისი იდეა ყოფილიყო, – ჩაილაპარაკა პროკურორმა.

– რა თქმა უნდა. ის მხოლოდ იარაღი იყო მალიშევის ხელში, მაგრამ, ეს მაინც არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან. როგორი ყოვლისშემძლეც არ უნდა იყოს „ეფესბე“, ის შეუმჩნევლად მაინც ვერ შეაღწევდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის კაბინეტში. გარდა ამისა, არქივის სააღრიცხვო ჟურნალში აღნიშნულია, რომ დოსიეები არქივიდან მე გამოვითხოვე, ეს კი კრილოვის უშუალო მონაწილეობის გარეშე ვერ მოხდებოდა.

– გეთანხმები... – პროკურორი წამით ჩაფიქრდა და შემდეგ ჰკითხა – „ეფესბეს“ უკვე დაფიქსირებული აქვს დოსიეების შენი კომპიუტერიდან გაგზავნის ფაქტი. რა საჭირო იყო გრომოვის მკვლელობა?

– მგონია, რომ ეს შემთხვევითობა იყო. მალიშევის „ოპერები“ გვითვალთვალებდნენ და, დარწმუნებული ვარ, ჩვენს სატელეფონო საუბრებსაც ისმენდნენ. იმ დილით დიმიტრი თავად დამიკავშირდა და მისთვის გაგზავნილ მასალებზე წამოიწყო საუბარი. ბუნებრივია, გაოცებული დავრჩი – მე ხომ არაფერი გამიგზავნია მისთვის. მაშინ გრომოვმა შეხვედრა და მასალების ჩვენება შემომთავაზა. მალიშევის „ოპერებისთვის“ წინასწარ იყო ცნობილი ჩვენი შეხვედრის დრო და ადგილი. მათ ფაქტით უნდა ავეყვანეთ – ნოუთბუქით, რომელშიც ინახებოდა დოსიეები. მაგრამ, ისინი ძალიან უხეშად მოქმედებდნენ. ჩვენ კაფედან გამოსვლისთანავე შევამჩნიეთ, რომ გვითვალთვალებდნენ და გაქცევა ვცადეთ. ამის საპასუხოდ „ოპერებმა“ პისტოლეტები მოიმარჯვეს და დაგვედევნენ. იარაღი ამოვიღე მეც. ახლა მომხდარის აღდგენაც კი მიჭირს. ყველაფერი წამიერად მოხდა. ერთმანეთში აირია სროლის ხმა, გამვლელების კივილი... დიმიტრი მანქანისკენ გარბოდა, ტყვია რომ მოხვდა...

– „ოპერები“? ვინ დახოცა ისინი? – შეაწყვეტინა პროკურორმა.

რიბკინმა მზერა აარიდა და ისე უპასუხა:

– დიმიტრის დაღუპვის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ მეც იგივე მელოდა!

– გინდა თქვა, რომ ისინი შენ დახოცე?! – ეჭვით ჰკითხა პროკურორმა.

– მე თავს ვიცავდი!

– „ეფესბე“ ამტკიცებს, რომ გრომოვიც და „ოპერებიც“ გეგეშიძემ დახოცა!

– ტყუილია... თავისთავად გასაგებია, რომ ისინი არასოდეს აიღებენ თავზე ჟურნალისტის მკვლელობას!.. ეს მალიშევის მიერ მოფიქრებული სისულელე იყო. მას გეგეშიძის თანამშრომლობაზე დათანხმება სურდა, ამის სანაცვლოდ კი გრომოვის მკვლელობის ბრალდების მოხსნას შეჰპირდებოდა.

– რა სისულელეა! – უკმაყოფილოდ შენიშნა პროკურორმა, – გეგეშიძე რიჟკოვის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ასეთ ფონზე ჟურნალისტის მკვლელობა უმნიშვნელო ანცობად გამოიყურება!

– თავისთავად... „ეფესბე“ ხომ გეგეშიძის სასამართლოსთვის გადაცემას არ აპირებდა – ეს მის ინტერესებში არ შედიოდა. მას, უბრალოდ, გააქრობდნენ. გამოიყენებდნენ და შემდეგ თავიდან მოიშორებდნენ, – უპასუხა რიბკინმა, – მე მაშინ მიმაჩნდა, რომ მალიშევი მხოლოდ ერთი მოსაზრებით მებრძოდა – მეგონა, რომ „ეფესბე“ მუნდირის ღირსებას იცავდა. სპეცსამსახურს არ სურდა რიჟკოვის დაღუპვის გარემოებების გახმაურება, ეს კი აუცილებლად მოხდებოდა თუკი მე გეგეშიძის აყვანასა და სასამართლოსთვის გადაცემას მოვახერხებდი. მაშინ იმის წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ „ეფესბეს“ მიერ დაგეგმილ ოპერაციას ვუშლიდი ხელს.

– რომელ ოპერაციაზეა საუბარი? – დაინტერესდა პროკურორი.

– საქმე უკრაინაში მიმდინარე ოპერაციას ეხება. უკრაინის მთავრობას გაზსადენ „ნორდსტრიმის“ აქციების გასხვისება ჰქონდა გადაწყვეტილი, „ეფესბე“ კი აქციების რუსული გაზპრომისთვის გადასაცემად იბრძოდა.

– არა მგონია, გეგეშიძე ასეთ სიმაღლეს შესწვდეს! – თავი გაიქნია პროკურორმა.

– ცდებით, კონსტანტინ მიხაილოვიჩ, გეგეშიძე ჩვეულებრივი კრიმინალი არ არის. მაგალითისთვის გეტყვით, რომ აქციების გასხვისების საქმეში მისი ჩართვის შემდეგ, უკრაინის მთავრობის რამდენიმე წევრმა, რომლებიც „გაზპრომს“ ლობირებდნენ, პოზიცია შეიცვალეს და აქციების ევროპაში გაყიდვას დაუჭირეს მხარი.

– ესე იგი, გეგეშიძე მალიშევის წინააღმდეგ მოქმედებდა?

– დიახ... მალიშევმა ვერ შეძლო თანამშრომლობაზე მისი დათანხმება.

– ამისთვის გრომოვის მკვლელობის ბრალდების მოხსნა არასაკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა?

– რა თქმა უნდა. მაგრამ, მალიშევი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა – თავისი პოზიციების გამყარება მან საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობით სცადა.

– არ მესმის, რაზეა საუბარი?

– მალიშევთან შეთანხმებით, საქართველოს პროკურატურამ გეგეშიძის მეგობარი ქალი დააპატიმრა, – თქვა რიბკინმა.

– რა ინტერესი ამოძრავებდა ამ შემთხვევაში საქართველოს პროკურატურას? – ჰკითხა პროკურორმა.

– ქალის დაპატიმრების სანაცვლოდ, მალიშევმა თბილისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში „ეფესბეს“ სასარგებლოდ მოქმედი რამდენიმე აგენტის ვინაობა გაუმჟღავნა.

– ესეც ორმოცდაათიანი წლების დეტექტივებში ამოიკითხა?! – ზიზღით თქვა პროკურორმა.

– არა მგონია, ეს უფრო ოცდაათიანი წლების სტილია! – უპასუხა რიბკინმა.

– ესე იგი, გეგეშიძეს ქალით ევაჭრებოდნენ?

– დიახ.

– უცნაურია... – ჩაილაპარაკა პროკურორმა, – ზოგადად, კრიმინალები ძალიან გულგრილები არიან ქალების მიმართ. ისინი მათ მხოლოდ სექსუალური ურთიერთობის ობიექტებად მიიჩნევენ და მათ გამო საკუთარ თავს შეზღუდვებს არ უწესებენ.

– ნუ შეადარებთ გეგეშიძეს კრიმინალური სამყაროს თქვენთვის ცნობილ წარმომადგენლებს. მერწმუნეთ, ის სრულიად სხვა ღირებულებების მქონე ადამიანია. როგორც წესი, მისი ქცევის განსაზღვრა შეუძლებელია და ძალიან ხშირად ის საერთოდ არ ჯდება ლოგიკის ჩარჩოებში. იმის ნაცვლად, რომ საერთო ენა გამოენახა მალიშევთან, გეგეშიძე საქართველოში ჩავიდა და თავისი მეგობარი ქალი მოიტაცა.

– რატომ იყო მალიშევი ასე დაინტერესებული ამ პიროვნებით? მის განკარგულებაში იყო იგივე დოსიეები, რომელთა არქივიდან გატანაშიც დაგადანაშაულეს. ელემენტარულად, მას შეეძლო საქმეში სხვა კანონიერი ქურდები ჩაერთო, – შენიშნა პროკურორმა.

– შეეძლო, მაგრამ მას სხვა პიროვნება სჭირდებოდა. მერწმუნეთ, უკრაინაში და მის ფარგლებს გარეთაც არ მეგულება კრიმინალი, რომელიც მასთან დაპირისპირებას გაბედავს. გეგეშიძე თავის სამყაროში უდავო ავტორიტეტია და მასთან დაპირისპირება ძალზე სახიფათოა. ის არ არღვევს კანონიერი ქურდების კოდექსს. მასზე პირდაპირ თავდასხმას კი მხოლოდ თვითმკვლელი თუ გაბედავს. ის მარტო არ არის. გეგეშიძის უკან დგას ძალიან მძლავრი კრიმინალური დაჯგუფება, რომლის საქმიანობის შესახებ უკრაინელ სამართალდამცველებს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. სწორედ ეს დაჯგუფება აკონტროლებს კომპანია „ვერშინას“. მათ განკარგულებაშია მრავალმილიონიანი საბანკო ანგარიშები, უძრავ-მოძრავი ქონება უკრაინის ტერიტორიაზე და, მის ფარგლებს გარეთ. მათ ანგარიშს უწევენ და რიგ შემთხვევებში, პირდაპირ ემსახურებიან სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლები. ესაა უხილავი იმპერია თავისი კანონებით, მკაცრად განსაზღვრული საზღვრებითა და ერთობ ეფექტური არმიით. მერწმუნეთ, კონსტანტინ მიხაილოვიჩ, გეგეშიძის ყოველი განკარგულება უფრო სწრაფად და ეფექტურად აღსრულდება, ვიდრე თქვენი, ან, თუნდაც, რუსეთის „ეფესბეს“ ხელმძღვანელისა!

– ამლაშებ, იგორ. ჩვენ ერთ რიგით კრიმინალზე ვსაუბრობთ და არა არარსებული იმპერიის მმართველ ახლად მოვლენილ ალექსანდრე მაკე-





გოჩა მანველიძის
„მგლების“
სრული ვერსია
ბოლო, მესამე წიგნი
28 იანვრიდან
ჟურნალ
„თბილისელებთან“
ერთად

დონელზე! – უკმაყოფილოდ შენიშნა პროკურორმა.

– პიროვნებამ, რომელსაც თქვენ რიგით კრიმინალად მოიხსენიებთ, „ეფესბეს“ პოლკოვნიკი რიჟკოვი თავხედურად მოკლა გენერალური პროკურატურის წინ! – უპასუხა რიბკინმა.

– ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ შენ სიმპათიით ხარ განწყობილი ამ პიროვნების მიმართ, – თქვა პროკურორმა.

– არ დაგიმალავთ, კონსტანტინ მიხაილოვიჩ, – გულწრფელად უპასუხა რიბკინმა, – თქვენ მართალი ხართ. გეგეშიძის ცხოვრების დეტალების გაცნობამ გარკვეული სიმპათია აღმიძრა მის მიმართ. პარადოქსია, მაგრამ, ჩემთვის ცნობილ ყველა შემთხვევაში ის არავის დასხმია თავს, როგორც წესი, ის ყოველთვის თავს იცავდა. მე მას გარემოებათა მსხვერპლად მივიჩნევ!

– შენი აზრით, რიჟკოვის თავხედური მკვლელობისას გეგეშიძე თავს იცავდა?! – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა პროკურორმა.

– ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. ჩემი აზრით, რიჟკოვი სრულიად სამართლიანად დაისაჯა. ეს პიროვნება „ეფესბეს“ ოფიცრისთვის სრულიად შეუფერებელი, უფრო მეტიც – აშკარად კრიმინალური საქმიანობით იყო დაკავებული!

– რას გულისხმობ რიჟკოვის კრიმინალურ საქმიანობაში?

– რიჟკოვმა აფხაზეთში კარგად ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება შექმნა. დაჯგუფების ბირთვს წარმოადგენდნენ: ჩეჩენი კანონიერი ქურდი გამზათი, აფხაზი კანონიერი ქურდები გუმბა და ჩაჩბა, იორდანიელი ტერორისტი ნეჯეთი. ამ სუბიექტზე დამატებით მოგახსენებთ. ეს ტერორისტი აქტიურად ებრძოდა ფედერალურ ძალებს ჩეჩნეთში. მის ანგარიშზეა რამდენიმე ტერორისტული აქტი, ტყვე სამხედროების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობები. ოფიციალურად ის ფედერალურ ძებნაში ირიცხება და, ასეთ ვითარებაში, რიჟკოვმა მას აფხაზეთში სასათბურე პირობები შეუქმნა.

– რა ინტერესი ამოძრავებდა რიჟკოვს? – ჰკითხა პროკურორმა.

– ეს დაჯგუფება ნარკოტრასის შექმნით იყო დაკავებული. ნეჯეთის კავშირებით ჰეროინი ავღანეთიდან ტაჯიკეთში უნდა შემოეტანათ; შემდეგ ნარკოტიკი რუსეთში მოხვდებოდა, რუსეთიდან კი აფხაზეთში. მარშრუტის ამ ნაწილზე გამზათი იყო პასუხისმგებელი – მისი ხალხი უზრუნველყოფდა ჰეროინის ტრანსპორტირებას. აფხაზეთში კი ნარკოტიკებზე გუმბა და ჩაჩბა აგებდნენ პასუხს. მათ ქართველი კრიმინალების მეშვეობით საქართველოში უნდა გაეტანათ ჰეროინი. საქართველოდან თურქეთში და შემდეგ – ევროპაში. არსებული მონაცემები იმაზე მიანიშნებს, რომ რიჟკოვი უბრალოდ კრიმინალურ დაჯგუფებას კი არა, საერთაშორისო ნარკოკარტელს ხელმძღვანელობდა. ნებსით თუ უნებლიეთ, საქმე, რომელიც ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა, გეგეშიძემ გააკეთა. მისი და რიჟკოვის დაპირისპირებას მოჰყვა პროცესი, რომელმაც ნარკოტრასის ფუნქციონირება შეაჩერა. დაიღუპნენ ჩაჩბა, გუმბა, ნეჯეთი და მათი დაჯგუფების ათზე მეტი წევრი. მერწმუნეთ, კონსტანტინ მიხაილოვიჩ, გეგეშიძე რომ არა, რიჟკოვი დაუსჯელი დარჩებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ვერასოდეს შევიტყობდით ამ ნარკოტრასის არსებობის შესახებ! და თუ რიჟკოვი ცოცხალი დარჩებოდა, ის სხვა კრიმინალებს შემოიკრებდა გარშემო და კვლავ აამოქმედებდა ნარკოტრასას!

– ესე იგი, შენ პროკურატურაში დაბრუნება და ამ საქმის ბოლომდე გამოძიება გსურს?

– არა! – მოკლედ უპასუხა რიბკინმა.

– არა?! – გაუკვირდა პროკურორს, – მაშ, რას მოითხოვ ჩემგან?

– საქმეს თქვენ გამოიძიებთ. მე ვიცი, რომ პროკურატურაში ბევრი საქმის მცოდნე და პრინციპული გამომძიებელია. ჩემი მხრივ კი ყველაფერში დაგეხმარებით.

– მაინც რით დამეხმარები? – დაინტერესდა პროკურორი.

– თავის დროზე მე გრომოვს გარკვეული მონაცემები გადავეცი. ამჟამად გრომოვის მეგობრები ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებენ – მათ თავად სურთ ჟურნალისტის მკვლელობის გარემოებებში გარკვევა. ეს გარემოებები კი პირდაპირ უკავშირდება რიჟკოვისა და მალიშევის საქმიანობას. ისინი უარს არ იტყვიან მოპოვებული მონაცემების გენერალური პროკურატურისთვის გაზიარებაზე.

– პროკურატურაში რატომ არ გსურს დაბრუნება?

– მე საკუთარ თავზე გამოვცადე, რას წარმოადგენს „ეფესბე“. ამ ჯოჯოხეთურ მანქანას ვერავინ შეუშლის ხელს ჩემთვის ანგარიშის გასწორებაში. ვიდრე ეს საქმე საზოგადოების განხილვის საგნად არ იქცევა მშვიდად ცხოვრება არ მიწერია.

– გასაგებია... საქმის გამოძიების შემდეგ ხომ შეძლებ პროკურატურაში დაბრუნებას? – ჰკითხა პროკურორმა.

რიბკინი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მხარე უნდა ავირჩიოთ. არ მინდა ისეთ სამსახურში ყოფნა, სადაც გარკვეულ შეზღუდვებს დამიწესებენ. სხვა სფეროში ვცდი ბედს.

– მაინც რომელ სფეროში?

– ჟურნალისტიკაში... ჩემი გამოცდილების მქონეს, ნებისმიერი მედიასაშუალება მიმიღებს სამსახურში. თუმცა, ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიმიღია. ყველაფერი გამოძიების შედეგზეა დამოკიდებული, – თქვა რიბკინმა.

– კეთილი... გეგეშიძის შესახებ რა აზრისა ხარ? – განაგრძო პროკურორმა.

– ჩემი აზრით, მის მიმართ ძიების შეწყვეტა მოგიწევთ.

– ძიების შეწყვეტა?! – გაუკვირდა პროკურორს, – სწორედ ამის გამო დაუპირისპირდი კრილოვსა და მალიშევს და ახლა ძიების შეწყვეტას მირჩევ?!

– ეს, უბრალოდ, საპროცესო კოდექსის მოთხოვნების აღსრულება იქნება. მე ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე და ასეთ დასკვნამდე მივედი: გვამი, რომლითაც უნდა მომხდარიყო გეგეშიძის იდენტიფიკაცია, განადგურებულია. მას შემდეგ გეგეშიძე არსად გამოჩენილა. ანუ არ არსებობს პიროვნება, რომელიც მას პირადად შეხვდა. ამიტომ, ძიება ვერ შეძლებს იმის დოკუმენტურად დადასტურებას, რომ გეგეშიძე ცოცხალია.

– როგორც ჩემთვის ცნობილია, „ეფესბე“ მას ადანაშაულებს ორი კანონიერი ქურდის მკვლელობაში.

– მარჩუკსა და ციგანოვს გულისხმობთ?

– დიახ, – დაუდასტურა პროკურორმა.

– დარწმუნებული ვარ, რომ „ეფესბე“ ამ განცხადებას ვერ გასცდება. მარჩუკი და ციგანოვი მალიშევის ინფორმატორები იყვნენ. ისინი „ეფესბეს“ მითითებით მოქმედებდნენ გეგეშიძის წინააღმდეგ. ჩემთვის უცნობია მათი დაღუპვის გარემოებები, მაგრამ, შემიძლია ვივარაუდო, რომ ისინი ქურდების თავყრილობაზე დახოცეს. გეგეშიძის დოსიე იმაზე მიუთითებს, რომ ის ყოველთვის სასტიკად სჯის ქურდული კოდექსის დამრღვევებს. სავარაუდოდ, მარჩუკმა და ციგანოვმა მასთან დაპირისპირებისას უხეში შეცდომა დაუშვეს და ქურდების თავყრილობაზე თავი ველარ გაიმართლეს. შესაძლოა, იმ თავყრილობას „ეფესბეს“ სხვა ინფორმატორებიც ესწრებოდნენ, მაგრამ, ისინი ოფიციალურად არასოდეს დაადასტურებენ, რომ მარჩუკი და ციგანოვი გეგეშიძემ დახოცა – ეს ხომ საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იქნება.

– უკრაინულ მხარეს მის შესახებ გარკვეული მონაცემების მოწოდება შეუძლია, – თქვა პროკურორმა.

– ცდებით, – სწრაფად უპასუხა რიბკინმა, – უკრაინა არასდროს აღიარებს, რომ ის ცოცხალია. ოფიციალური ვერსიით, გეგეშიძე რამდენიმე წლის წინ დაიღუპა და ცხედარს კრემაცია ჩაუტარდა.

– შენი აზრით, რა მოტივით უნდა შევწყვიტოთ ძიება?

– სამხილების უქონლობის მოტივით. პრინციპში, გეგეშიძის მიმართ ძიების შეწყვეტა თქვენ არაფერში გიშლით ხელს. თუ ძიებამ მის შესახებ ახალი მონაცემები მოიპოვა, თქვენ, ახლადაღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, ისევ განაახლებთ გამოძიებას. თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, მეეჭვება, ეს რომ მოხდეს.

– რატომ? – ჰკითხა პროკურორმა.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გეგეშიძე ძალიან დიდხანს აღარ შეგვახსენებს თავს – მან ყველაფერი მიიღო, რაც სურდა. „ნორდსტრიმის“ აქციების საქმეში ჩართვით, ის კიევის ინტერესებს იცავდა. ბუნებრივია, რომ ამით ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების კეთილგანწყობას დაიმსახურებდა. კიევი მის დევნას შეწყვეტს. უკრაინაში მის დაკავებასა და რუსეთისთვის გადმოცემაზე ხომ საუბარიც არ ღირს – კიევი არასოდეს წავა ამაზე. რჩება რუსეთი. თქვენ რომ რუსეთში მოახერხოთ მისი აყვანა, პროცესები სრულიად სხვა მიმართულებით განვითარდება. მაგრამ, გეგეშიძეს აღარაფერი ესაქმება რუსეთში. მისი ყველა მოწინააღმდეგე მკვდარია, მას კი სრულიადაც არ იზიდავს მძაფრი შეგრძნებები და მაქსიმალურად მოერიდება რუსეთში ჩამოსვლას. გასათვალისწინებელია „ეფესბეს“ ფაქტორიც. ის არასდროს შეურიგდება თავისი მაღალი რანგის ოფიცრების დაღუპვას და არც კიევის უარი შეაჩერებს. „ეფესბე“ ყველაფერს გააკეთებს გეგეშიძის დასასჯელად, მაგრამ, ეს სრულიად სხვა მეთოდით მოხდება და ჩვენ ვერაფერს შევიტყობთ ამის შესახებ!

– შესაძლოა, ეს უკეთესიც კი იყოს.

– შეიძლება, – დაეთანხმა რიბკინი, – გეგეშიძეს შესანიშნავად ესმის, რომ „ეფესბე“ არასდროს დაუშვებს, ის სასამართლოში მოხვდეს და თავადაც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სპეცსამსახურების ხელში არ აღმოჩნდეს! – რიბკინმა ნოუთბუქი ახლოს მიუწია პროკურორს და ლაპარაკი განაგრძო – რაც შეეხება დოსიეებს, პირობას გაძლევთ, რომ ჩემი და გრომოვის გარდა, ეს მასალები არავის უხილავს. არც მისი ასლი არსებობს და ამის შემოწმება ტექნიკურადაც შეიძლება. თქვენი სპეციალისტები ძალიან იოლად გაარკვევენ, რომ მასალების შენახვის შემდეგ, კომპიუტერზე რაიმე მანიპულაცია არ ჩატარებულა.

– სიტყვაზე გენდობი, – უპასუხა პროკურორმა.

– ეს ყველაფერია, რისი თქმაც მინდოდა, – რიბკინმა მზერა გაუსწორა პროკურორს, – ახლა კი თქვენს პასუხს ველი.

პროკურორი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– კეთილი... პირობას გაძლევ, რომ საქმეს სხვა გამომძიებელს გადავცემ და პირად კონტროლზე ავიყვან!

– თქვენგან სხვა პასუხს არც ველოდი, – თქვა რიბკინმა.

პროკურორმა ფურცელზე ტელეფონის ნომერი დაწერა და რიბკინს მისცა:

– ეს ჩემი მობილურის ნომერია. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლია, დამიკავშირდე... და, კიდევ ერთი რამ, იგორ: მაქსიმალურად ფრთხილად იყავი. ხომ ხვდები, რომ შენზე ნამდვილი ნადირობა გაიმართება... ვიდრე ვითარება არ გაირკვევა, ნურავის მისცემ შენი გაჩუმების შესაძლებლობას!..

* * *

ლუკა და ჯაბა ყურადღებით ისმენდნენ ვოვას ნაამბობს, რომელიც იმ დღეს დაბრუნდა კიევიდან.

– ვითარება ასეთია: კლიმის სასტავი რამდენიმე ჯგუფად დაიშალა და ახლა მათ შორის დაპირისპირება იწყება – ყველას თავისი წილის მიღება უნდა კლიმის მემკვიდრეობიდან.

– ვინაა მათ შორის ყველაზე ძლიერი? – ჰკითხა ლუკამ.

– ანტონოვის გჯუფი.

– რა ტიპია? ადრე არასოდეს მსმენია მისი სახელი, – განაგრძო ლუკამ.

– ჩვეულებრივი ბესპრიდელშჩიკია. მერკულოვივით, ისიც ყოფილი სამხედროა. სასტავში ავ-

ტორიტეტით სარგებლობს, მაგრამ, მაინც ვერ გაქაჩავს, – თქვა ვოვამ.

– რატომ? – ჰკითხა ჯაბამ.

– კლიმის მემკვიდრეობას ბუცამ დაადგა თვალი. ანტონოვი ვერაფრით დაუპირისპირდება მის ხალხს, სხვებზე ხომ ბაზარიც არ ღირს. ბუცამ ყველას აგრძნობინა, რომ ლაი-ლაის არავის დაუწყებს და ჯიუტებს საქმიდან გასვლა მოუწევთ. კლიმის ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ, როგორც ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავს! თანაც, როგორც ჩანს, ბუცამ პეტრე ტიხონოვთანაც გამონახა საერთო ენა. ტიხონოვი ხომ კლიმის საქმიანი პარტნიორი იყო. ახლა იმავე საქმის ბუცასთან ერთად გაგრძელებას აპირებს.

– ბუცა ნაგლობს – იმას ეპოტინება, რაც მას არ ეკუთვნის, – ცივად ჩაილაპარაკა ლუკამ.

– რას გულისხმობ? – გახედა ჯაბამ.

– ვისაც თევზი უყვარს, უკანალის დასველებისაც არ უნდა ეშინოდეს! ბუცას ტრაკის გაუნძრევლად უნდა კრეშჩატიკზე მოჯდომა. მე ვიცი, რომ თავის დროზე გუსმანმა მას შესთავაზა კლიმთან დაპირისპირება. სტავკა იგივე იყო: აქციების პაკეტი, პლუს – კლიმის მემკვიდრეობა. მაგრამ, ბუცამ უარი თქვა. მას, უბრალოდ, შეეშინდა კრეშჩატიკელებთან დაპირისპირების. განზე გადგომა ამჯობინა და გუსმანს ჩვენთან დაკავშირება ურჩია. კლიმი ჩვენ გავიყვანეთ საქმიდან; როგორ, – ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი სიტყვა ჩვენ ვთქვით და, ამ დროს, ბუცამ სუფრის თავში დაჯდომა მოინდომა. ჩვენ გადავწყვეტთ, ვინ რა ადგილს დაიკავებს იმ სუფრასთან. ყოველ შემთხვევაში, იმ ხალხში ბუცა არ იქნება, – ლუკა წამით ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო, – ვოვა, შენს ხალხთან ერთად კიევში უნდა დაბრუნდე.

– რისთვის?

– კლიმის ხალხს უნდა შეხვდე. ერთად მოუყარე თავი და ჩემი დანაბარები გადაეცი. უთხარი, რომ მფარველობას ვპირდებით. ამის სანაცვლოდ კი ერთმანეთში ჭიდაობას შეწყვეტენ და ობშჩიაკის შევსებაზე იფიქრებენ. თუ ამას შეასრულებენ, ბუცა მათ ვერ შეეხება.

– ბუცა არ მოითმენს, მას განსაკუთრებით აღიზიანებს კიევში ჩვენი გამოჩენა, – თქვა ვოვამ.

– მაშინ, მასაც მოუწევს საქმიდან გასვლა, – უპასუხა ლუკამ.

– რისთვის უნდა ვეფეროთ იმ ნაბიჭვარს? ბაზარი არაა, მე თვითონ ჩავალ კიევში და... – ბრაზით წამოიწო ჯაბამ, მაგრამ ლუკამ არ დაასრულებინა:

– არა!.. – თქვა სწრაფად, – ვიდრე ბუცა ქურდის სახელს ატარებს ვერავინ შეეხება. მე წოდებას ვცემ პატივს და არა პიროვნებას!

– ტიხონოვზეც უნდა ვიფიქროთ. კიევში გადაბარგებით მასთანაც მოგვიწევს დაპირისპირება, – ჩაურთო ვოვამ.

– კიევში გადაბარგებას არ ვაპირებ. თავი და თავი ბუცაა. ის დღესაც უკავშირდება ქურდებს და ჩვენთან რუსულ დოსიეებზე ბაზარის აწევას სთხოვს! – თქვა ლუკამ.

– თვითონაც ხომ არ არის იმ სიაში?! – იკითხა ჯაბამ.

– არა... მაშინ სხვანაირად დაიჭერდა თავს.

– აბა, რატომ იბრძვის იმ დოსიეებისთვის?

– ადვილი მისახვედრია. წარმოიდგინე, რამდენი მასკიანი ნაბოზარი აღმოჩნდება მის ხელში. ბუცა მათი სულების მფლობელად იქცევა და ხელს მოაწერინებს ყველაფერზე, რაზეც კი მოისურვებს, – უპასუხა ლუკამ, – ბინძური ბაზარია. ქურდი კაცის საქმე არ არის მასკიანების დოსიეებში ქექვა, ამაში სახელმწიფო პროკურორებს უხდის ხელფასს. ქურდმა კაცმა კი საქციელით, სიტყვით უნდა გაშიფროს ნაბოზარი!.. ბუცამ ძალიან მაღლა მოინდომა აფრენა. ასეთ სიმაღლეზე კი ძალიან ძნელია თავის შენარჩუნება. შენ ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ ბუცა თავად წამოვიდეს კონფლიქტზე. როცა მას საქმიდან გავიყვანთ, მის სასტავსა და ობშჩიაკს კი ჩვენი კაცი ჩაიბარებს!

– მაგალითად, ვინ? – ჰკითხა ვოვამ.

– კოპაძე!..

– კოპაძე?! – გაუკვირდა ჯაბას, – ის ხომ ბუცას სასტავშია!

– ვიცი და ეს ჩვენთვის მომგებიანია, – განაგრძო ლუკამ, – ბუცა ანგარიშგასაწევი ძალაა. მისი სასტავი ასე იოლად არ შეეგუება მის წასვლას, გარეშე კაცს კი საერთოდ არ მიიღებს. ბავშვობაა იმაზე ფიქრი, რომ ბუცას ჩვენი წრის კაცით ჩავანაცვლებთ. ამ შემთხვევაში კოპაძე ჩვენთვის ყველაზე კარგი ვარიანტია: კიევში ახალი კაცია. დიდი საახლობლო არ ჰყავს. ბუცას გვერდით მუდამ ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ, სასტავში პატივს სცემენ და მის სიტყვას ანგარიშს უწევენ. ბუცას წასვლის შემდეგ სასტავს არ გაუჭირდება მასთან შეგუება. მეორე მხრივ კი, კოპაძეს მუდმივად ემახსოვრება, რომ ჩვენი ჩარევის გარეშე სასტავსა და ობშჩიაკს ვერ მიიღებდა. ემახსოვრება და ყველაფერში გაითვალისწინებს ჩვენს აზრს. მის სასტავს კლიმის ხალხი გააწონასწორებს. ოფიციალურად მათ საქმეებს კოპაძე მიხედავს, მაგრამ, კლიმის ხალხი გააკეთებს იმას, რასაც ჩვენ მოვთხოვთ. ბუცას სასტავს კი ეცოდინება, რომ, თავს თუ წამოყოფენ, ჯერ კრეშჩატიკელებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა, შემდეგ კი – ჩვენთან.

– წამოვლენ კრეშჩატიკელები ამაზე? – იკითხა ჯაბამ.

– ჰო... ეგეც საფიქრალია, – ჩაურთო ვოვამ, – რაც არ უნდა იყოს, მოსისხლე მტრებად მივაჩნივართ!

– მთლად ეგრეც არ არის საქმე, – უპასუხა ლუკამ, – სასტავი უკმაყოფილო იყო კლიმის გადაწყვეტილებებით. ბევრს არ მოსწონდა „ეფესბეს“ განკარგულებების შესრულება. ანდა, ჩვენ რაში უნდა დაგვადანაშაულონ? საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ცოფიანი ძაღლებივით ამოხოცეს ერთმანეთი. მე თავიდანვე შევთავაზე მერკულოვს ყველაფრის მშვიდად მოგვარება. სასტავი წინააღმდეგი არ იყო, თუმცა, კლიმმა არაფერი შეისმინა. ახლაც მივცემთ შანსს, მაგრამ, ძველ პირობებზე ბაზარი აღარ იქნება. კლიმის ხალხს ასე დაუყენებ საკითხს: ვინც არ გამოგვყვება ჩვენ, გაჰყვება კლიმს!..

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ვოვამ, – მაგრამ, რა მოვუხერხოთ ტიხონოვს? ის ყველაფერზე წავა იმისთვის, რომ თავის სიახლოვეს არ დაგვინახოს.

– ცოტა ხნის წინ ტიხონოვი მართლაც ძალას წარმოადგენდა, მას გუსმანიც კი უწევდა ანგარიშს. მაგრამ, მალიშევისა და „ეფესბეს“ მხარდაჭერის გარეშე, ის საფრთხეს აღარ წარმოადგენს, – უპასუხა ლუკამ, – ვასილიჩმა ბევრი რამ გაარკვია მის შესახებ. ახლო მომავალში მას თანამდებობიდან გაუშვებენ – მას მაინც არ აპატიეს „ნორდსტრიმის“ საქმე. მართალია, საბოლოოდ, უკრაინულ პროექტს დაუჭირა მხარი, მაგრამ, რა ფასად – რამდენი ადამიანი შეიწირა მისმა ავანტიურამ?! ის, რომ მალე უმუშევარი დარჩება, ტიხონოვმაც კარგად იცის. ამიტომაც ცდილობს ბიზნესში დამკვიდრებას და სხვა გამოსავალი არცა აქვს. „ნორდსტრიმის“ საქმის ჩაფლავების შემდეგ, რუსეთში აღარ ჩაესვლება და როგორმე უკრაინაში უნდა გაიდგას ფესვები. მაგრამ, აღარ ჰყავს კლიმი და მისი საძმო და ამიტომაც დაუახლოვდა ბუცას. მისი ხელით სურს კლიმის ხალხის მოთოკვა. ამას ნაღდად მოახერხებს, მაგრამ, ჩვენ ვერ დაგვიპირისპირდება – თანამდებობისა და „ეფესბეს“ მხარდაჭერის გარეშე ტიხონოვი პარკეტზე გაზრდილი ერთი ჩვეულებრივი სირია!..

კლიმის დაღუპვის შემდეგ ღამის კლუბმა „ვეგასმა” დროებით შეწყვიტა მუშაობა, რაც კლიმის მიერ შექმნილი მართვის მექანიზმის მოუქნელობის ბრალი იყო. ის არავის ენდობოდა და, როგორც წესი, უშუალოდ წარმართავდა კომპანიის ბიზნესსაქმიანობას. მისი დაღუპვის შემდეგ კი კომპანიაში არ აღმოჩნდა პიროვნება, რომელიც საქმის მართვას საკუთარ თავზე აიღებდა. კომპანიის აქციების წილი, კლიმის ოჯახის წევრებს ერგოთ. მაგრამ, მათ აღარ იზიდავდათ სკანდალურად ცნობილი ღამის კლუბი და ისინი თანახმა იყვნენ კუთვნილი წილის გაყიდვაზე. მაგრამ, ეს გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საქმე ის იყო, რომ აქციების წილს ტიხონოვი ფლობდა, რომელსაც სამომავლოდ ბიზნესსაქმიანობის უცნობ პარტნიორთან გაგრძელება არ სურდა. ის კლიმის ოჯახის წევრებს აქციებში იმაზე ნაკლებ ანაზღაურებას სთავაზობდა, ვიდრე მათ სურდათ, მიეღოთ. ყოველივე ეს კი „ვეგასის” მუშაობის შეჩერების მიზეზად იქცა. ოდესღაც ხმაურიანი ღამის კლუბი მდუმარებაში ჩაიძირა და იქ მხოლოდ „კრეშჩატიკელთა” ის ნაწილი იყრიდა თავს, რომელიც თავის ახალ ლიდერად ანტონოვს აღიარებდა.

ანტონოვი აუჩქარებლად წრუპავდა კოქტეილს და მომავლის განჭვრეტას ცდილობდა. მისი აზრით, ხვალინდელი დღე კარგს არაფერს უქადდა. ის ერთ-ერთ პირველი იყო, ვინც კლიმს უარი შეჰბედა მალიშევის დავალებების შესრულებაზე. ანტონოვი დარწმუნებული იყო, რომ შურისმაძიებლობით ცნობილი „კრეშჩატიკელთა” ლიდერი ამას არ აპატიებდა, ამიტომ, დროზე გაერიდა კიევს და უკან მხოლოდ კლიმის დაღუპვის შემდეგ დაბრუნდა. იმ დროისთვის ყველაფერი დამთავრებული იყო: კლიმი და მერკულოვი ცოცხლები აღარ იყვნენ. „კრეშჩატიკელთა” ნაწილმა, მთავრობის მიერ რეპრესიების გატარების მოლოდინში, რუსეთს შეაფარა თავი. კიევში დარჩენილები კი სრულ გაურკვევლობაში იმყოფებოდნენ. არავინ იცოდა რა იქნებოდა ხვალ. „კრეშჩატიკელები” ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კლიმის დაღუპვით მათ დაკარგეს კავშირები მთავრობის იმ წევრებთან, რომლებიც მათ მფარველობდნენ. ერთადერთი პიროვნება, რომელსაც ანტონოვი ამ შემადგენლობიდან იცნობდა, ტიხონოვი იყო, მაგრამ, ის უშუალოდ იყო ჩართული „ნორდსტრიმის“ საქმეში და ანტონოვმაც სწორედ მისი და მალიშევის ბრძანებების შესრულებაზე უთხრა უარი კლიმს. ბუნებრივია, ამის შემდეგ ტიხონოვი მასთან ურთიერთობას აღარ მოისურვებდა და ასეთ ვითარებაში ანტონოვს „კრეშჩატიკელთა” შეკოწიწება და წარსული ძლიერების აღდგენა შეუძლებლად ეჩვენებოდა. დანარჩენი კი დროის ამბავი იყო: კონკურენტი დაჯგუფებები მალე ისარგებლებდნენ „კრეშჩატიკელთა” დასუსტებით და დაიწყებოდა ტერიტორიის გადანაწილება. იმ ორმოცდაათიოდე „მებრძოლით”, რომელთა შეგროვებაც შეძლო, ანტონოვი ვიღაცის მოგერიებას მოახერხებდა, მაგრამ, ეს არაფერს შეცვლიდა. ადრე თუ გვიან, მაინც გამოჩნდებოდა ვინმე, ვისაც „კრეშჩატიკელები” ვერაფერს დაუპირისპირებდნენ და სამუდამოდ დატოვებდნენ ასპარეზს.

ასეთი ადამიანი იმაზე მალე გამოჩნდა, ვიდრე ანტონოვი ელოდა...

ბუცას ხალხი უცერემონიოდ შეიჭრა „ვეგასში” და ანტონოვს გაყოლა უბრძანა.

– სად? – ჰკითხა მან.

– იქ გაიგებ! – მოკლედ მოუჭრეს მათ.

ანტონოვმა თავის ხალხს გახედა. ისინი მის ნიშანს ელოდნენ თავხედების დასასჯელად. „კრეშჩატიკელებსა” და ბუცას ხალხს ერთმანეთთან არასოდეს ჰქონიათ კარგი ურთიერთობა, თუმცა, კონფლიქტიც არასდროს მოსვლიათ. უბრალოდ, ორივე მხარე მკაცრად იცავდა უხილავ საზღვარს, რომელიც მათ შორის არსებობდა. ბუცა მათ საქმეებში არ ერეოდა და არც „კრეშჩატიკელები” აწუხებდნენ კანონიერ ქურდს. მაგრამ, ახლა ეს საზღვარი ბუცას მხრიდან იყო დარღვეული და „კრეშჩატიკელებს” შესაბამისი პასუხი უნდა გაეცათ.

– კარგი, წავიდეთ... – ანტონოვმა ჟესტით ანიშნა თავის ხალხს, არაფერი მოიმოქმედოთო. მისთვის გასაგები იყო, რომ ბუცას მასთან საუბარი სურდა. „ვეგასში” თავხედური შეჭრა კი მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებდა: კანონიერი ქურდი აგრძნობინებდა, რომ ამიერიდან პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა და ის უყოყმანოდ უნდა შესრულებულიყო.

ბუცა კიევის გარეუბანში, გზის პირას მდებარე რესტორანში შეხვდა ანტონოვს. კუპეში სუფრა მხოლოდ ორ კაცზე იყო გაწყობილი, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მასპინძელს პირისპირ სურდა ანტონოვთან საუბარი.

ანტონოვი მიპატიჟების გარეშე მიუჯდა სუფ-

რას, ბუცას სახეში შეხედა და ჰკითხა;

– რისთვის გინდოდა ჩემთან შეხვედრა?

– ნუ ფაფხურობ! – ცივად უპასუხა ბუცამ, – ქურდს ელაპარაკები, პროკურორს კი არა!

– შენ კარგად იცი, რომ მე არ მაინტერესებს თქვენი ქურდული ფილოსოფია!

– დღეიდან დაგაინტერესებს! – განაგრძო ბუცამ, – ახლა კი საქმეზე გადავიდეთ. რა ხდება კრეშჩატიკზე?

– განსაკუთრებული არაფერი. მართალია ბოლო ხანებში რაღაც-რაღაცები შეიცვალა. მაგრამ, რა ვუყოთ, ცხოვრება გრძელდება. წარსულზე ტირილს მომავალზე ფიქრი ჯობია, – უპასუხა ანტონოვმა.

– მორჩი, ანტონ, – მეტსახელით მიმართა ბუცამ, – რამდენიც არ უნდა იფიქროთ, თქვენს ბრიგადას მომავალი აღარ აქვს!

– მაგას დრო გვიჩვენებს! – არ შეეპუა ანტონოვი.

– დრო, რომელიც შენ არ გაქვს!.. თქვენთან დიდ ბაზარს არ ვაპირებ, ყველაფერი აქვე უნდა გადაწყდეს!

– რა გინდა? – ჰკითხა ანტონოვმა.

– ღიად ვილაპარაკოთ: შენ კარგად იცი, რომ კლიმთან არასდროს მომსვლია კონფლიქტი. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეს ბაზარიც არ შედგებოდა, მაგრამ, როგორც შენ ამბობ, წარსულზე ტირილს მომავალზე ფიქრი სჯობია, მომავალი კი ასეთია: კლიმისა და მისი კავშირების გარეშე თქვენ ვერ გაქაჩავთ...

– გაგვიჭირდება, მაგრამ, გულხელდაკრეფილებიც არ ვაპირებთ ჯდომას! – შეაწყვეტინა ანტონოვმა.

– ნუ იპრანჭები! – შეუბღვირა ბუცამ, – მე გადარჩენის გზას გთავაზობ. შემიძლია, გვერდზე გავდგე და მშვიდად ვადევნო თვალი, როგორ იომებ რომელიმე კიევურ ბესპრედელურ ბრიგადასთან და შემდეგ წამოვკრიფო თქვენი ნარჩენები, მაგრამ, მე კიევში მეორე ომს არ დავუშვებ. კლიმს ისედაც ზედმეტი მოუვიდა.

– პირდაპირ მითხარი, რას მთავაზობ? – ჰკითხა ანტონოვმა.

– ასე ჯობია, – ბუცამ ჭიქები კონიაკით შეავსო და ახლოს მიუწია, – მე არ დავშლი თქვენს სასტავს – დარჩით ისე, როგორც აქამდე იყავით. უფრო მეტიც, ყველა პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებით. თქვენს ტერიტორიასა და ბიზნესს ვერავინ გაეკარება.

– ტიხონოვი?.. ის კლიმის მოწილე იყო და როგორ შეხვდება ამ ამბავს?

– ტიხონოვთან მე მოვაგვარებ ურთიერთობას.

– და რას ითხოვ სანაცვლოდ? – ჰკითხა ანტონოვმა.

– ორმოცდაათ პროცენტს!.. ტიხონოვი თავის წილს მიიღებს – ის კომპანიის აქციონერია. დანარჩენი მოგება კი შუაზე გატყდება!.. რა არ მოგწონს?! – ხმას აუწია ბუცამ, როგორც კი ანტონოვის უკმაყოფილო მზერა შენიშნა.

– ბევრია... კაპიკებზე გინდა გვამუშაო?! – თქვა მან.

– თქვენ ძალიან დიდხანს არიდებდით თავს გადასახადებს! – ხაზგასმით წარმოთქვა ბუცამ, – ჩათვალე რომ დაჯარიმებული ხართ!

– ჩემი ხალხი არ წავა ამაზე!

– ეს უკვე შენი მოსაგვარებელია, მე არ ვაპირებ შენს ხალხთან ბაზარს. პირობები გითხარი. მოელაპარაკე შენს ხალხს და შემდეგ დამიკავშირდი!.. ერთი რამ გაითვალისწინე, ანტონ: უპირველესად, თქვენს ინტერესებშია ჩემთან კარგი ურთიერთობის დამყარება. ერთმანეთს თუ ვერ გავუგეთ, მეორედ სხვა ადგილასა და სხვა პირობებში მოგიწევს ჩემთან ბაზარი! – დაასრულა ბუცამ და კონიაკის ჭიქას მისწვდა.

იმ შეხვედრის შემდეგ სამი დღე იყო გასული. ანტონოვმა წინასწარ იცოდა, რომ მისი ხალხი ასეთ პირობებს არ დასთანხმდებოდა და ახლა მხოლოდ ლოდინი დარჩენოდათ. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული თუ როდის და როგორ დარტყმას მიაყენებდა მათ ბუცა.

– ანტონ... – ანტონოვი ფიქრებს „ვეგასის" ერთ-ერთი მცველის ხმამ მოსწყვიტა, – შენი ნახვა უნდათ.

– ვის?

– აზრზე არ ვარ, ვიღაც ტიპია. გარეთ სხვებიც ელოდებიან. რამდენი არიან, არ ვიცი. კლუბის წინ ოთხი მანქანა დგას.

– ბუცას ხალხია!.. – წამოიძახა ანტონოვმა და ელვის სისწრაფით მოიმარჯვა პისტოლეტი.

– არა... – თქვა მცველმა, – იმათ ვიცნობთ. ეს სხვა ხალხია.

ანტონოვმა „კრეშჩატიკელებს" ანიშნა, მზად იყავითო და შემდეგ მცველს უბრძანა, მოიყვანეო.

ორიოდ წუთში მცველმა დარბაზში შუახნის, ტანმაღალი მამაკაცი შემოიყვანა. ანტონოვს ნაცნობად ეჩვენა მისი სახე, ოღონდ, ვერ გაიხსენა სად და რა ვითარებაში შეხვედროდა მას.

– ეს გეგეშიძის პადელნიკია, მასთან ერთად იყო მოსული „ვეგასში", – ჩასჩურჩულა ერთ- ერთმა მცველმა.

ამასობაში მამაკაცი მის პირისპირ შედგა და მიესალმა.

– ვინ ხარ? – დაძაბული ხმით ჰკითხა ანტონოვმა. ის ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, რისი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო გეგეშიძის „პადელნიკის" „ვეგასში" გამოჩენა.

– თქვენს დაწესებულებაში ასე იღებენ სტუმრებს? – მშვიდად ჰკითხა ვოვამ.

– ალბათ, ვერ შენიშნე, რომ დაწესებულება დაკეტილია! – უპასუხა ანტონოვმა.

– კარგია... ასე უფრო მშვიდ ვითარებაში ვისაუბრებთ. გავიცნოთ ერთმანეთი – მე „ჩუმას" მეძახიან.

„ჩუმა"... – ელვასავით დაურბინა ანტონოვს. მას ადრეც სმენოდა ეს სახელი და იცოდა, რომ ის გეგეშიძის დაჯგუფების ერთ-ერთი საშიში წევრი იყო.

– აქ ვილაპარაკოთ? – ვოვამ დარბაზს მოავლო თვალი.

– რატომაც არა. შეგიძლია, მაგიდა ამოირჩიო. ყველა თავისუფალია.

ვიდრე ვოვა მაგიდას მიუჯდებოდა, ანტონოვმა ბარიდან ვისკის ბოთლი მოიტანა, მის პირისპირ ჩამოჯდა, ჭიქები შეავსო და მოსასმენად მოემზადა.

– როგორც ვხედავ, კარგი დრო არ გიდგათ, – ვოვამ აუჩქარებლად მოსვა ვისკი.

– არა... უბრალოდ, სანიტარული დღე გვაქვს, – გამომწვევად უპასუხა ანტონოვმა.

– დღე თუ კვირა? – ვოვამ ზუსტად შეახსენა, რამდენი ხნის დახურული იყო ღამის კლუბი.

– არა მგონია, მაგის გასარკვევად იყო მოსული...

– პრინციპში, ესეც მაინტერესებს... მე ერთხელ უკვე ვიყავი თქვენს კლუბში. მომეწონა აქაური ატმოსფერო და, მინდა, რომ ისევ ამუშავდეთ. რაა ამისთვის საჭირო?.. თქვი, იქნებ შევძლოთ თქვენი დახმარება, – უპასუხა ვოვამ.

– ვისი სახელით მელაპარაკები?

– შენით ვერ ხვდები?

– გეგეშიძის! – თქვა ანტონოვმა.

– ლუკამ ერთხელ უკვე შემოგთავაზათ მშვიდობა, მაგრამ კლიმმა არაფერი შეისმინა. როგორც ვიცი, მაშინ შენ მშვიდობის მომხრე იყავი და ამის გამო უთანხმოებაც კი მოგივიდა მასთან, – განაგრძო ვოვამ, – ეს მართლა ასე იყო?

– ასე იყო, – დაუდასტურა ანტონოვმა.

– ლუკა იმავეს გთავაზობთ და, ამასთან ერთად – დახმარებასაც.

– რაზე გვატყობ, რომ თქვენი დახმარება გვჭირდება? – ჰკითხა ანტონოვმა.

– ამ სანიტარული დღით თუ ვიმსჯელებთ, ბუცასთან და ტიხონოვთან საერთო ენა ვერ გამოგინახავთ, – შენიშნა ვოვამ.

ანტონოვმა დუმილით უპასუხა – ის არ აპირებდა ვოვასთან ბუცასთან შეხვედრის დეტალების განხილვას.

– მოდი, ალალად ვიბაზროთ: მე ვიცი, რომ ბუცა უკვე შეგხვდა. იმასაც ვხვდები, რასაც შემოგთავაზებდა, მაგრამ, მაინც შენგან მინდა ამის მოსმენა... მაინც, რამდენი მოგთხოვა ბუცამ?



– ორმოცდაათი პროცენტი, – ყრუდ ჩაილაპარაკა ანტონოვმა.

– ოჰო! თუმცა, დედაქალაქში ხომ ყველაფერი უფრო ძვირია!.. – გაეცინა ვოვას, – თქვენ გაწყობთ ასეთი სტავკა?

– არა... ბუცას ფული თუ სჭირდება, თვითონ იშოვოს. ჩვენ მის რჩენას არ ვაპირებთ.

– გამოდის, რომ მართლაც გქონიათ პრობლემები!

– მე კი მგონია, რომ ბუცას აქვს პრობლემები! – უპასუხა ანტონოვმა.

– მოდი, არ გვინდა საპირველმაისო ლოზუნგები. თქვენი დღევანდელი მდგომარეობით ბუცას ვერ დაუპირისპირდებით – მისი ხალხი გადაგთელავთ.

– თქვენ უკეთეს პირობებს შემოგვთავაზებთ? – ჰკითხა ანტონოვმა.

– ჩვენ პროვინციალები ვართ და დიდ სტავკებს არ დავდევთ, მცირედითაც ვკმაყოფილდებით.

– და, რამდენია თქვენთვის ეს მცირედი?

– თქვენი შემოსავლის ოც პროცენტს შეიტანთ ობშჩიაკში. ყველა სერიოზულ გადაწყვეტილებას შეათანხმებთ ჩვენთან და ამისთვის მიიღებთ ჩვენს მხარდაჭერას. პრობლემებს მოგიგვარებთ მთავრობასთანაც.

– სულ ეს არის? – უნებურად წამოსცდა ანტონოვს.

– სულ ეს არის.

ანტონოვმა თავის ხალხს გახედა. ისინი დარბაზში იმყოფებოდნენ და მათი საუბრიდან არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვიათ. მათმა გამომეტყველებამ მიახვედრა, რომ ასეთი პირობები ყველასთვის მისაღები იყო.

– რა მოვუხერხოთ ბუცასა და ტიხონოვს? – თანამოსაუბრეს მიუბრუნდა ანტონოვი, – ისინი არ მოგვეშვებიან!

– შენ ჯერ არ გითქვამს, წამოხვალთ ამ პირობებზე თუ არა.

– ჩვენს საქმეებში არ ჩაერევით?

– ჩავერევით... თქვენ აღარ გექნებათ საქმეების კლიმის მეთოდებით წარმოების უფლება. არავითარი სროლა, არავითარი აფეთქებები. პალაჟენიის გაფუჭებისთვის ნებისმიერს მკაცრად დავსჯით. თუ პრობლემები შეგექმნებათ, დაგვიკავშირდებით ჩვენ, დანარჩენში კი სრულიად თავისუფლები იქნებით.

– მოსულა, – ანტონოვმა მარჯვენა გაუწოდა ვოვას.

– კეთილი. ესე იგი, შევთანხმდით, – განაგრძო ვოვამ, – ახლა, რაც შეეხება ბუცასა და ტიხონოვს: ეს თქვენთვის პირველი გაკვეთილი იქნება. ჩავთვალოთ, რომ თქვენ გარკვეული პრობლემები შეგექმნათ, ჩვენთან მოხვედით და დღეიდან ეს ჩვენი პრობლემაა. მაგრამ, შენ ერთი რაღაც უნდა გააკეთო ჩემთვის.

– რა? – სწრაფად ჰკითხა ანტონოვმა.

– დაუკავშირდი ბუცას. უთხარი, რომ ვერ შეთანხმდით და, თუ მას რამის გარკვევა უნდა, ხარკოვში ჩუმას დაუკავშირდეს!

ანტონოვმა გამომცდელად შეხედა, შემდეგ ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და სწრაფად აკრიფა ბუცას ნომერი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# რატომ არის ელისო ჩაფიძე ორჯერ ნასამართლევი და რაში ემადლიერება ის პავლე კუბლაშვილის მეზობლებს

(მეთხუთმეტე გვერდიდან)

დაჭრილის ოჯახის წევრებთან ერთად ვიყავი, რომლებიც მას ეჩხუბებოდნენ. მას ყველა ერთად დაესხა თავს, დამნაშავე რატომ არ დააპატიმრეთო. მე ვიჯექი ჩემთვის წყნარად. ის კი თავის გასაჭირს მე შემომჩიოდა, როგორც ერთადერთ ადამიანს მათ შორის, ვინც არ ჩხუბობდა. ამ საუბარში მთელი ინფორმაცია მომაწოდა თავიდან ბოლომდე ***(იცინის).*** სწორედ ამ საქმიანობის დამსახურება იყო, რომ 1998 წელს მივიღე გაეროს მეორე ხარისხის პრემია ადამიანის უფლებების დაცვისთვის. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საპატიო პრემია. 2004 წელს მივიღე ევროპაში ყველაზე პრესტიჟული ჟურნალისტური ჯილდო, რომელიც დაახლოებით ნობელის პრემიაა და მას გადასცემენ ოსლოში, ნობელის ცენტრში. ხშირად ვხუმრობ, რომ წაგება არ ვიცი-მეთქი. შეიძლება, გარეგნულად ვჩანდე სუსტი, არ მიმაგრებდეს ზურგს მდიდარი ბიძა-ბაბუა, მაგრამ მე ვარ ადამიანი, რომელიც ყოველთვის იმარჯვებს.



რომანტიკული და ემოციური პერიოდი მაქვს, გაზაფხულისთვის გაგიმხელთ ყველაფერს

**– ამ არჩევნებშიც ასე არ მოხდა. ტყიბულში, ისეთი მოწინააღმდეგე დაამარცხე, ამის წარმოდგენა რთული იყო.**

– მე არჩევნებზე წავედი აბსოლუტურად შიშველი ხელებით. საარჩევნო კამპანიას ოჯახის წევრებისა და მეგობრების შემოწირულობებით ვუძღვებოდი, ხან გვქონდა ბენზინის ფული, ხან – არა. დღეს მინდა, მადლობა გადავუხადო იმ ხალხს, ვინც გვერდით დამიდგა. ახლაც რომ ვაანალიზებ იმ მონაცემებს და პირობებს, რომელშიც მე ვიყავი, კიდევ არ მჯერა, რომ არჩევნები მოვიგე. ადამიანები უფრო ახლოს რომ გამეცნო, ტყიბულის ატელიეში დავდიოდი და იქ ვიკერავდი კაბას. სხვათა შორის, ძალიან კარგად კერავენ იქ კაბებს ***(იცინის).***

**– იმ პოლიტიკურ ორომტრიალში კაბებისთვის გეცალა?**

– თბილისის ქუჩაზე, სადაც პავლე კუბლაშვილი ცხოვრობს, ჩემმა კოორდინატორმა ვერ შეკრიბა მოსახლეობა, რომ შეხვედრა გამემართა. ამ ადამიანებთან რაღაც ფორმით უნდა მოვხვედრილიყავი. ზოგთან მივედი ქარხანაში, ზოგთან რესტორანში, ზოგთან – სალონსა და ატელიეში. ეს მეთოდი ძალიან გამომადგა. იმ ქუჩაზე ხმების 67 პროცენტი ავიღე, რის გამოც ძალიან მადლობელი ვარ პავლე კუბლაშვილის მეზობლების. აღარაფერს ვამბობ ჩემი ულამაზესი სოფლის, მუხურას მცხოვრებლებზე, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მე მომცა ხმა. პავლე კუბლაშვილის მეზობლები ჩემი მეზობლების შემდეგ აღმოჩნდნენ მხარდამჭერთა პროცენტული მაჩვენებლით.

**– ახლა ცოტა პირად ცხოვრებაზეც მითხარი რამე, შენი ხაჭაპურის ცხობისა და გათხოვების ამბავი, სრულიად „ქართული ოცნების" განხილვის თემა რომ გახდა.**

– სადედამთილოებს ნუ დამიფრთხობ და ვაღიარებ, რომ საოჯახო საქმეში მთლად მარჯვე არ ვარ ***(იცინის).*** პოლიტიკოსისთვის ხომ ნეკროლოგის გარდა ყველაფერი რეკლამაა. ჩემზე ვერავინ იტყვის, რომ ვინმეს რამე წავართვი, ან მოვიპარე. ამიტომაც ხუმრობა ჩემსა და ხაჭაპურის „მეგობრობაზე," არ მიმაჩნია მძიმე ბრალდებად. რაც შეეხება ჩემს პირად ცხოვრებას, ამ მხრივ მაქვს ცვლილებები. საკმაოდ რომანტიკული და ემოციური პერიოდი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ამ თემაზე საუბარს ნუ მომთხოვთ.

**– ეს სიყვარული ახლა დაიწყო?**

– არა, ეს ძველი ისტორიაა. რაც თავი მახსოვს, ის ადამიანიც არსებობს ჩემ გვერდით. ბავშვობის წლები ერთად გვაქვს გატარებული, მაგრამ რაღაც პერიოდში ერთმანეთს უფრო დავუახლოვდით.

**– ისიც პოლიტიკაშია ჩართული?**

– არა, პოლიტიკოსს ცხოვრებას არასდროს დავუკავშირებ, რადგან პოლიტიკოსები ოჯახისთვის არ არიან. მე გვერდით მჭირდება ისეთი ადამიანი, რომელიც ჩემი ცხოვრების რიტმსა და ვალდებულებებს „გაუძლებს" და იზრუნებს ჩემზე. ის ადამიანი ყოველთვის ხელოვნებასთან იყო ახლოს. დღეს საქართველოში არ ცხოვრობს, მაგრამ მალე ჩამოვა – გაზაფხულისთვის და მაშინ გაგიმხელთ ყველაფერს ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**

# რატომ მოხვდა მეტაფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი გუანტანამოს ციხის ნაცვლად გლდანის ციხეში და რა სახის მედიტაციას ეწეოდა ის საკანში

(მეთოთხმეტე გვერდიდან)

ახერხებდა, რომ საკანშიც შემოეწოდებინა ცოტაოდენი უნალექო ყავა. მე არც მქონდა პრობლემები არავისთან, ხელშეუხებელი ვიყავი – კარანტინშიც კი არ ვყოფილვარ. საკანში შესულმა ვუთხარი ჩემს თანამოსაკნეებს: რომ იცოდეთ, ბინ ლადენი ვარ-მეთქი. ცოტა ხანში ჩემი პირობაც წავაყენე: მე ნურავინ შემეხება, გინდ ქურდები იყავით და გინდ შავები-მეთქი. არც მე ვარღვევდი ეტიკეტს და არც სხვას ვაძლევდი ამის უფლებას. ზოგი ისეთიც იყო ჩემს საკანში, მათთან ურთიერთობა მეც მომწონდა. სალექციო კურსებიც კი მქონდა საკანში როგორც მეტაფიზიკაზე, ასევე, სხვა საინტერესო თემებზე.

ახლა ერთ ისტორიას მოგიყვებით: ერთ დღეს ლადო ბედუკაძემ მითხრა, ერთ კაცს შენთან უნდა გადმოსვლა და პრობლემა ხომ არ გაქვსო? არა-მეთქი, – ვუპასუხე. ეს კაცი იყო გიორგი ლომია – ადამიანი, რომელმაც ციხის ცნობილი კადრების გადაღება უზრუნველყო. მას 200 ათასი გადაახდევინეს, რომ ციხიდან გამოეშვათ. გიორგი განათლებული, კულტურული კაცი იყო, სპორტული ფედერაციის თავმჯდომარე და ტაიბოქსის ოსტატი, სხვადასხვა შეჯიბრებაში გამარჯვებული. მასთან ურთიერთობა ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით პოლიტიკურ სიტუაციებზე, ვარჩევდით თითოეულ პიროვნებასა თუ სიტუაციას მეტალოგიკის კანონებითა და მათემატიკური წყობებით. მე ვამბობდი: ერთადერთი შანსი, რომ ეს ყველაფერი დაირღვას და დამთავრდეს, სიტუაცია შიგნიდან უნდა გატყდეს-მეთქი. ეს ხდებოდა 2010 წლის დასაწყისში. გიორგიმ ძალიან ბევრის ცხოვრება, საქართველოს ცხოვრება შეცვალა. ციხიდან გამოსულმა, გააკეთა ყველა ის კადრი, რომელიც მთელმა საქართველომ ნახა, მან უზრუნველყო იმ ვიდეოთვალით გადაღება, რომელიც დაიმაგრა ბიჭმა ქამარზე და გადაიღო კარანტინის დაშლა. თავისი სახსრებით და სხვათა დახმარებით, გიორგიმ შეძლო ამ კადრების გატანა უცხოეთში, მან თავისი გასაკეთებელი გააკეთა და ბევრი ადამიანი იხსნა.

**– თქვენ იცოდით ამის შესახებ?**

– მე ვიცოდი, რომ მსგავსი რაღაც უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ, არ ვიცოდი რა გზით გაკეთდებოდა. ლადო ბედუკაძის „დაკერვა" გიორგიმ ციხიდანვე დაიწყო. მან დიდი როლი შეასრულა იმ ყველაფერში, რაც საქართველოში მოხდა. ახლა ეს დეტალები დასამალი აღარაა, ამ ყველაფერზე საუბარი გიორგის პრეროგატივაა და არა ჩემი, თუმცა მე მას ვუთხარი, რომ, ვაპირებ, გავხსნა კარტები-მეთქი. გიორგიმ, პრაქტიკულად, გრაფი მონტე კრისტოს როლი ითამაშა, მე კი დამცინიან – შენ აბატი ფარია იყავიო? არ მინდა აბატი ფარიობა, ის მოკვდა, მე კი ცოცხალი ვარ და ვიქნები ***(იცინის).***

**– პატიმრობის დროს ახერხებდით მეტაფიზიკასა და თქვენს სხვა თემებზე მუშაობას?**

– მე პატიმრობის დროს დავრწმუნდი ჩემი ბევრი თეორიის სიზუსტეში. საკანში ვმუშაობდი, რაღაცეებს ვწერდი, მაგრამ, ერთ დღეს, როცა საკანში არ ვიყავი, ციხის ოფიცერმა დახია ჩემი ჩანაწერები: წავიკითხე, ვერ გავიგე და დავხიეო, არადა, ჩანაწერების უმეტესობა მოთხრობები და ლექსები იყო. სამოცამდე ლექსის გამოგზავნა მაინც მოვასწარი. ასევე, გაკეთებული მქონდა მეტალოგიკის მონახაზები, რაზეც წიგნის დაწერას ვაპირებ – ეს იქნება პირველი წიგნი მეტალოგიკაზე დღევანდელ სამყაროში, რაც, პრაქტიკულად, თანამედროვე კვანტური ფიზიკის საფუძველია.

**– ციხიდან გათავისუფლების შემდეგ როგორ მიდის თქვენი ცხოვრება?**

– ციხეში გატარებული მთელი ოთხი წელი იყო ერთი დიდი დღე. მე სხვა სამყაროში ვცხოვრობდი და ამის გამო ვარ ახლა ცუდად. ციხიდან რომ გამოვედი, პირველ ღამეს, რბილ საწოლზე არ დამეძინა, ახლაც ვერ ვიძინებ ღრმად, ისე შევეჩვიე ფხიზელ ძილს, მუდმივ კონტროლზე რომ უნდა გქონოდა ყველაფერი. ახლა მოვეშვი და უცებ „დამარტყა" ყველაფერმა. გარეთ გამოსულს მამა გარდაცვლილი დამხვდა; დედამ მნახა და გაითიშა კიდეც – იმ დღეს დაკარგა მხედველობა და მეტყველება. გარეთ გამოსულს კარგი რაც დამხვდა, ახალდაბადებული შვილიშვილია. ახლა ჩემთვის მთავარია აღვიდგინო ჯანმრთელობა და მივხედო საქმეს: სამი წიგნი მაქვს დასაწერი, რომელთაგანაც ერთი იქნება თანამედროვე ალქიმიაზე. ჯერ არ ვიცი, როგორ დავარქმევ ჩემს წიგნს, რომელიც ცნობიერების ტრანსფორმაციაზე იქნება. მყავს მოწაფეები, რომლებიც ძალიან მაგრები არიან და მათთან ერთად „ჩავუჯდები". დარწმუნებული ვარ კარგი წიგნების გაკეთებას შევძლებ. სხვათა შორის, ციხეში შემომიტანეს წიგნი, რომელშიც წავიკითხე, რომ ყველა მეტაფიზიკოსი, თვით სენჟერმენით დაწყებული, სხვადასხვა ასაკში, ციხეში პოლიტიკურზე მოხვდნენ, ასე რომ, ტრადიცია არც ჩემს შემთხვევაში არ დარღვეულა ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**

## „ორბი ჯგუფის" საჩუქარი ბავშვებს

სტუდია „გვირილამ," სამშენებლო კომპანია „ორბი ჯგუფთან" ერთად, დაგეგმა პროექტი – ფესტივალი „ზამთრის მელოდიები". პროექტში მონაწილეობას იღებდნენ სტუდია „გვირილა" და საზოგადოებისთვის საყვარელი მომღერლები და სახეები: თემურ წიკლაური, მამუკა მესხი, ბესიკ კალანდაძე, ანსამბლი „ფორტე", ნუგზარ კვაშალი, გივი სიხარულიძე, ეთერ კაკულია, გია ჯაჯანიძე, სოფო ბედია. სპეციალურად თბილისელი მსმენელისთვის აჟღერდა უამრავი საყვარელი, ძველი ქართული მელოდია.



**მაკა გუჯაბიძე** ***(სამშენებლო კომპანია „ორბი ჯგუფის" მენეჯერი):*** ჩვენ ყოველთვის ვუჭერთ მხარს სტუდია „გვირილას" პროექტებს, რადგან ისინი გამოირჩევა ინოვაციით და ინტეგრაციის შინაარსს შეიცავს. ფესტივალი „ზამთრის მელოდიები" იყო დაუვიწყარი დღესასწაული, რომელიც სამშენებლო კომპანია „ორბი ჯგუფმა" აჩუქა პატარებს.

**ნინო ჩიხლაძე** ***(პროექტის წამყვანი):*** ტელეწამყვანმა გია ჯაჯანიძემ სტუდია „გვირილას" ბავშვებთან ერთად ძალიან მოიწადინა მაყურებლის გამხიარულება, მათთვის სპეციალურ კოსტიუმშიც კი გამოეწყო და ქუდზე გვირილები დაიმაგრა. წელს სტუდია „გვირილას" 20 წელი უსრულდება და, ვფიქრობ, მომზადდება ახალი საინტერესო პროგრამა საიუბილეო თარიღისთვის.



**ბესო კალანდაძე** ***(მომღერალი):*** ძალიან დიდი სიამოვნებაა სტუდია „გვირილას" ბავშვებთან ურთიერთობა. 3 წლის ნუციკო გოგუაძესთან ერთად მე შევასრულე სიმღერა კინოფილმიდან „კუჩხი ბედინერი", რომელიც ძალზე თბილად მიიღო მაყურებელმა.

**ნუგზარ კვაშალი** ***(მომღერალი, წამყვანი და კეთილი მეზღაპრე):*** სტუდია „გვირილამ" აღზარდა ბევრი ნიჭიერი მომღერალი, ძალიან მიყვარს „გვირილას" პატარები.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდა ქართველი „პავაროტი" – მომღერალი მამუკა მესხი, რომელმაც ანსამბლ „გვირილას" სოლისტთან, გიორგი ღოღობერიძესთან ერთად შეასრულა ცნობილი სიმღერა „გრანადა", რომლითაც მოიხიბლა მაყურებელი.

**ერნა წიფურია** ***(სტუდია: „გვირილას" ხელმძღვანელი):*** სტუდია „გვირილას" ბევრი მეგობარი ჰყავს. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ: ანსამბლი „ლაშქრული", სტუდია „კაი ყმა", სტუმარი გურჯაანიდან – გვანცა ზირაქაშვილი. დიდი მადლობა ჩვენს პედაგოგებს, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით. ამ საახალწლო პროექტისთვის სამი თვე ვემზადებოდით და, ვფიქრობ, ძალიან ლამაზი საღამო გამოგვივიდა.

## ანა რეხვიაშვილის წიგნის პრეზენტაცია „თბილისი მარიოტში"

„ეფ 63.9" – ასეთია სახელწოდება ანა რეხვიაშვილის ახალი რომანისა, რომელიც მარადიულ თემას – სიყვარულს ეძღვნება. ჩვენ თავად ვირჩევთ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენი ქვეცნობიერი უკვე კარგად იცნობს... ანას რომანში ბევრი სიმბოლოა, სიმბოლურია სახელწოდებაც. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ სიყვარული ფსიქოლოგიური ვირუსების სიაში შეიტანა, საიდენტიფიკაციო ნომრით – ეფ 63.9 და დაასკვნა, რომ ეს ვირუსი, რომლის საწყისი ეტაპია ვნება, მეორე – სინაზე და ბოლო – მობეზრება, ოთხ წელიწადში ქრება. ანა რომლის რომანიც ოთხ სეზონზე ვითარდება ერთგვარად ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას – არის თუ არა სიყვარული დაავადება, თუ, ის მარადიული გრძნობაა რომლისთვისაც ვცოცხლობთ? წიგნისთვის არაჩვეულებრივი, საოცრად ნაზი, სევდიანი და, ამავდროულად, ოპტიმისტური მუსიკა დაწერა ლილიკო ნემსაძემ, მუსიკა უხდებოდა 24 იანვარს გამართული პრეზენტაციის სიტუაციასაც. ანა რეხვიაშვილის დებიუტის წარმდგენი იყო თეონა დოლენჯაშვილი, რომელმაც წიგნი ღრმად და საინტერესოდ შეაფასა. თავად რომანი ნაწილია იმ დიდი პროექტისა, რომელსაც ასევე „ეფ 63.9" ჰქვია და რომელიც გულისხმობს სცენარების შექმნასა და ფილმის გადაღებას რამდენიმე რეჟისორის მიერ. სცენარისტებს შეუძლიათ, რომანის ფინალი თავად შეცვალონ. ეს არის საერთაშორისო პროექტი, რომელშიც ჩართულია მოსკოვი და ბრიუსელი. თებერვალში დაგეგმილია მოსკოვში წიგნის რუსულენოვანი ვერსიის პრეზენტაცია, ხოლო გაზაფხულზე ინგლისურენოვან ვერსიას ანა ბრიუსელს წარუდგენს. გამოცხადდება სცენარისტების კონკურსი და საუკეთესო ფინალის ავტორს პრიზიც კი გადაეცემა. „თბილისი მარიოტში" ზუსტად ისეთი გარემო იყო, როგორიც წიგნს შეეფერება – კარგი მუსიკა, გულის ფორმის ტკბილეული, წითელი ღვინო და ახალი სურნელები „ვულე ვუსგან", რომელთა პრეზენტაციაც იმ დღეს მოხდა.





## ნანა მელქაძის ბრენდის ათი წლის იუბილე



26 იანვარს დიზაინერმა ნანა მელქაძემ ბრენდის დაარსებიდან ათი წლის იუბილე პომპეზურად, თავის მომხმარებელთან ერთად იზეიმა – ასე აღნიშნა ნანამ ამ დღეს საკუთარი სახელობის მოდის სახლის გახსნა და მოდის სფეროში მოღვაწეობის მრგვალი თარიღი. საღამოზე მისულ სტუმრებს უამრავი სიურპრიზი დახვდათ. პირველად საქართველოში, დიზაინერმა ქართველ მომხმარებელს შესთავაზა როგორც ყოველდღიური, ასევე საღამოს სამოსი, საქორწილო კაბები და ქურქები. გახსნაზე იმყოფებოდნენ ცნობილი ქალბატონები, რომლებმაც დიზაინერის პირველ ჩვენებაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც თუმანიშვილის სახელობის თეატრში რამდენიმე წლის წინ ჩატარდა, სახელწოდებით – „ცნობილი ქალები პოდიუმზე". ამ ჩვენებამ მაშინ საზოგადოება აღფრთოვანებაში მოიყვანა. ინოვაციებით გამორჩეულმა დიზაინერმა ამჯერადაც გააკვირვა სტუმრები თავისი ხელწერით. საღამოს ცნობილი სახეები ამჯერადაც არ აკლდა. გათამაშდა პრიზები. სასიამოვნო გარემოს საქსოფონის ცოცხალი მელოდია კიდევ უფრო კომფორტულს ხდიდა.

## „მისტერ ვალენტინი" 2013-ის კასტინგი 28 იანვარს გაიმართება

გია ჯაჯანიძის იდეითა და ინიციატივით საქართველო ყველაზე მიმზიდველ მამაკაცს აირჩევს. თავად კონკურსი „პირველი რადიოსა" და „საქართველოს ხმის" მხარდაჭერით 13 თებერვალს გაიმართება. ვინ იქნება ის ბედნიერი, ვინც ვალენტინობას „მისტერ ვალენტინის" ტიტულით შეხვდება და ვინ იქნება ის გოგონა, ვინც ვალენტინობაზე შოკოლადის ნაცვლად შეყვარებულის სტატუსს მიიღებს – ამას ყველა ერთად გავიგებთ. ჟიურის თავმჯდომარე კრისტი ყიფშიძეა. მისტერ ვალენტინის არჩევაში, ასევე, მონაწილეობას მიიღებენ ჟიურის წევრები: ნანუკა ჟორჟოლიანი, დალი ჩიტალაძე, გიორგი ყიფშიძე, საშა პრიშვინი, შოთიკო ბოჭორიშვილი, ნინო წულუკიძე, დათუნა სულუაშვილი, თამარ პოპიაშვილი, „მისტერ ვალენტინი 2010", გია ჯაჯანიძე, კახი ხაბეიშვილი, ნათია დუმბაძე. კონკურსში მონაწილეობას იღებენ სამოდელო სააგენტოები: „იმიჯ-ცენტრი", „ნატალი", „ლუქმოდელი", „კატრინი", BEST MODELS, „მაქსიმუმი", „ფამეჯენსი". ღონისძიების სპონსორები არიან: დევიდ ჯონსი, „ერგოლაინი", სალონი „ამარტა", „OVS ინდუსტრი", რესტორანი „კონკადური", კინოთეატრი „ამირანი", „რივერ აილენდი", „სელიო".



**მოამზადა სალომე გველესიანმა**



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# როგორ უნდა დავბლოკოთ ორგანიზმიდან სასიცოცხლო ენერგიის გადინება და რას აფიქსირებს ადამიანის ქვეცნობიერი საშიშროების მოლოდინში

ადამიანებს შორის ენერგიის გაცვლა ყოველწამიერად ხდება. ჩვენი ენერგეტიკული ველის ურთიერთობას გარშემო მყოფთა ველებთან ქვეცნობიერად ვგრძნობთ და მათზე განწყობით ან ფიზიკური ცვლილებებით ვრეაგირებთ.

ადამიანი არა მარტო მატერიალური სხეულია, არამედ, ენერგიების კრებულიც. ენერგია – ეს არის ტვინის ელექტრონული გამოსხივება, კერძოდ, ნეიტრონები, რომლებისგანაც ატომი შედგება. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ბიოენერგია, რომლის შემსწავლელ მეცნიერებას ბიოენერგეტიკას უწოდებენ.

თუ გარშემო მყოფებთან ურთიერთობა გიადვილდებათ, მათ გვერდით ყოფნა გსიამოვნებთ, ესე იგი, თქვენ შორის ენერგეტიკული ცვლა კარგად მიმდინარეობს. მაგრამ, თუ გრძნობთ, რომ ზოგიერთ პიროვნებასთან ურთიერთობისას ძალას კარგავთ, განიცდით დისკომფორტს, ღიზიანდებით ან გეწყებათ უეცარი თავის ტკივილი, ორი აზრი არ არსებობს, რომ ეს პიროვნება თქვენგან ენერგიას „იწოვს“ და ამ ენერგიის წართმევით გიქმნით გარკვეულ პრობლემებს.

ბიოენერგია ყველა ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მძიმე ავადმყოფობის დროს მას ვკარგავთ და, ამიტომ, აუცილებელია მისი აღდგენა. ადამიანს ისე ვერაფერი აუძლურებს, როგორც გაბრაზება, გაღიზიანება, სიძუნწე, ეჭვიანობა, დანაშაულის შეგრძნება და ასე შემდეგ. ენერგეტიკულ ველში სწორედ ამ მიზეზებით იქმნება „ხვრელები”, საიდანაც ძალა გამოედინება, დაკარგული ენერგიის შევსება კი ნათესავების, ახლობლებისა და გარემოცვის ხარჯზე ხდება. ანუ, ადამიანს ისე ვერაფერი აუძლურებს, როგორც ემოციური გადაღლა (და არა ფიზიკური) და ამას აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება.

მშვიდ, მხიარულ ადამიანებს გაწონასწორებული ბიოველი აქვთ და მისი დარღვევა ძალიან ძნელია. თუმცა, ენერგოვამპირები სწორედ მათ ირჩევენ სამიზნედ და ცდილობენ, მსხვერპლი წონასწორობიდან გამოიყვანონ: გააბრაზონ და, ემოციებთან ერთად, ენერგიის დიდი ნაწილი წაართვან. ჩხუბი და დავიდარაბა ყველაზე უტყუარი და ადვილი საშუალებაა, რომ ადამიანისგან სასიცოცხლო ენერგია მეტად „გამოქაჩო”. დავის შემდეგ, გამანადგურებელი გამოცარიელება იმ ენერგიის დაკარგვითაა გამოწვეული, რომელიც მოწინააღმდეგემ თავის „საკვებად“ წაიღო. ამ დროს ფრთხილად უნდა იყოთ და საკუთარი თავის დაცვა შეძლოთ.

მსხვერპლად ან ენერგოვამპირად რომ არ იქცეთ, აუცილებელია, საკუთარი ენერგეტიკული პოტენციალი აკონტროლოთ, დროდადრო შეავსოთ ის და სწორად მართოთ ემოციები. ასევე, ეცადეთ, მაქსიმალურად დაიტვირთოთ დადებითი, პოზიტიური ემოციებით. სხვათა შორის, ენერგეტიკული ბალანსის მიღწევა შესაძლებელია იოგის, რელაქსაციის, მედიტაციისა და ლოცვის საშუალებით, ეს უკანასკნელი კი ყველაზე ძლიერმოქმედი საშუალებაა. ენერგეტიკული დამუხტვა შეუძლია ფიზიკურ დატვირთვასაც; აგრეთვე, კარგია ბალახზე ფეხშიშველი სიარული, გამდინარე წყლის ან აგუზგუზებული ცეცხლის დიდხანს ყურება, სეირნობა ბუნებაში, საღამოს, ძილის წინ კონტრასტული შხაპი და მეგობრებთან ხშირი ურთიერთობა.

თუ ხვდებით, რომ მოსაუბრეს თქვენგან ენერგია მიაქვს, მასთან ურთიერთობისას ნელ-ნელა გრძნობთ დაღლასა და სისუსტეს, ხელები გულმკერდზე დაიკრიფეთ, ფეხები გადააჯვარედინეთ და ასე დაბლოკეთ „მტრული თავდასხმის“ დროს თქვენი ორგანიზმიდან ენერგიის გადინება. ასეთი ქმედებით საკუთარ უსაფრთხოებას უზრუნველყოფთ და დაიცავთ საკუთარ ორგანიზმს.

მოკლედ, დედამიწაზე აბსოლუტურად ჰარმონიული არაფერია, შესაბამისად, ენერგიების მიმოქცევასაც თავისი დარღვევები გააჩნია და ეს განსაკუთრებით ადამიანებში შეიგრძნობა.

ეთერულ სხეულში ხშირად ირღვევა ენერგეტიკული მერიდიანები და იქ ენერგიის ცირკულაცია არასწორად ხდება. ამ დროს არ არის გამორიცხული, ადამიანს ჯანმრთელობის პრობლემები გაუჩნდეს.

ადამიანი ძირითადად კოსმიური და მიწიერი ენერგიებით „იკვებება“, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მას არ ჰყოფნის ამ გზით მიღებული ენერგია და ვერც ბუნებიდან ახერხებს მის მიღებას, ის იწყებს მსხვერპლის ძებნას. შესაძლოა, ეს მსხვერპლი, ანუ, ენერგოდონორი, უახლოესი ადამიანიც აღმოჩნდეს. ყველას ვურჩევ, ყურადღებით იყოს, რადგან, თავის დაცვა არა მხოლოდ უცხოებისგან, არამედ, შესაძლოა, ახლობელი ადამიანებისგანაც მოგიწიოთ.

სამყაროში ყველა ცოცხალ ორგანიზმს თავისი ენერგია აქვს. ხშირად ხდება ენერგიის ცირკულაციის დარღვევა. როცა ადამიანს არ ჰყოფნის საკუთარი ენერგია, ამ დროს ირთვება ენერგიის ქვეცნობიერად მიღების კოდი. კერძოდ, ადამიანი ხდება ენერგოვამპირი და ცდილობს, იპოვოს ენერგოდონორი თუნდაც უახლოეს გარემოცვაში. თუ ენერგოვამპირს დროზე არ გაეცალეთ, შესაძლოა, მან თქვენგან იმდენი ენერგია „გამოქაჩოს,” რომ თავი შეუძლოდ იგრძნოთ. ამიტომ, უნდა შეგეძლოთ მისი იგნორირება. მაგალითად, არ მიაქციოთ ყურადღება და გულთან ახლოს არ მიიტანოთ მოსაუბრის სიტყვები; ან, პირიქით, „შეტევაზე“ გადადით – სანამ ის ხმას აუწევს და თავის პრობლემებზე დაიწყებს წუწუნს, თქვენ დაასწარით, არ მისცეთ საუბრის საშუალება და მეტი ილაპარაკეთ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1994 წლის 28 თებერვალს. რომელი ასტროლოგიური ქვებია ჩემთვის მისაღები და რომელი ქვეყნები და პროფესიებია წარმატების მომტანი?**

**პასუხი:** ქვებიდან თქვენთვის მისაღებია: მწვანე ან ყვითელი იასპი, ონიქსი, ქრიზოპრაზი, მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი და ამეთვისტო; პროფესიებიდან წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი, მედიცინა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, პედაგოგიური მოღვაწეობა ან ბიზნესი, სპორტული ცეკვები, ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სფეროები, პოლიტიკის ფართო სპექტრი, მშენებლობა, საინჟინრო სფერო, სამხედრო სტრუქტურები, საგამომძიებლო ორგანოები, უშიშროების სფერო. უცხოეთი თქვენი კოსმიური მისია არ არის, ის საშუალოა. ქვეყნებიდან კი შედარებით უკეთესია: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე, ლიტვა, საბერძნეთი, ესპანეთის ანდალუზიის მხარე, კუნძული კრეტა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ვირჯინიის შტატი, შვეიცარიის ჩრდილოეთი ნაწილი, თურქეთის დასავლეთი მხარე, ბელორუსია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ირლანდია, მექსიკა, ბოლივია, ჩინეთის სამხრეთი ნაწილი, სირია, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ალბანეთი და მაკედონია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1988 წლის 4 აპრილს. მაინტერესებს, რომელ სფეროში და რომელ ქვეყანაში მიაღწევს წარმატებებს?**

**პასუხი:** თქვენი შვილისთვის წარმატების შანსი სწორედ უცხოეთს უკავშირდება. იქ წარმატებებს ადვილად მიაღწევს და ცხოვრებაშიც წინ წაიწევს. ქვეყნებიდან კი კარგია: ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, სლოვენია, კუნძული მადაგასკარი, ესპანეთი, პორტუგალია, კუნძული მალტა, იტალიის სამხრეთი ნაწილი, უნგრეთი, ინგლისის დასავლეთი მხარე, კანადა, ბელგია, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი ნაწილი, კუნძული სარდინია, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, საბერძნეთი. პროფესიებიდან კი მისაღები და წარმატებების მომტანია: პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია – საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, იურისპრუდენცია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სპორტის ფართო სპექტრი, ტურიზმი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, სამეცნიერო კვლევა, სავაჭრო-სამაკლერო საქმიანობა, საავიაციო ბიზნესი ან შემოქმედება, ავტომატიკის სფერო, სატელეფონო კომუნიკაციების ბიზნესი ან შემოქმედება.

**კითხვა: ჩემი შვილიშვილი დაიბადა 1997 წლის 12 სექტემბერს, სამშაბათ დღეს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე. რომელი პროფესიები იქნება მისთვის წარმატების მომტანი, გაუმართლებს თუ არა უცხოეთში და, კერძოდ, რომელი ქვეყნებია მისთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი მისი კარმული მისია არ არის, თუმცა, არც ეკრძალება, ის მისთვის საშუალოა. ქვეყნებიდან კი მისაღებია: გერმანიის ბავარიის მხარე, მალაიზია, ალჟირი, მაროკო, კუნძულები – სიცილია და კორსიკა, ნორვეგია, სირიის ჩრდილოეთი ნაწილი, ტაჯიკეთი, შვედეთის დასავლეთი ნაწილი, კუბა, მექსიკა, ბრაზილია, ირანი, ერაყი, ლიბია, ლიბანი. მოერიდოს ინდოეთის აღმოსავლეთ მხარეს, პორტუგალიას, ისლანდიას, მონღოლეთს, ჩინეთის ცენტრალურ ნაწილს, ფილიპინებს, ტაილანდს, ისრაელს, ახალ ზელანდიას, კუნძულ შრი-ლანკას, ურუგვაის, კუნძულ მალტას, ბანგლადეშს. დანარჩენ ქვეყნებთან კი ურთიერთობა საშუალოა. რაც შეეხება წარმატებულ პროფესიებს, ასეთებია: მედიცინიდან – სასწრაფო დახმარება, რეანიმატოლოგია, სტომატოლოგია, ქირურგია, გინეკოლოგია, ფსიქიატრია, არატრადიციული მედიცინა; ასევე: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პარაფსიქოლოგია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი, სამხედრო სტრუქტურები, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო, სამეცნიერო კვლევითი სფერო, მაკონტროლებელი ორგანოები, საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო საქმიანობა და პედაგოგიკა.

## ვერძი



უამრავი საქმე გექნებათ. მეტად უსმინეთ ინტუიციას და ეცადეთ, მოერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს. თქვენს კარიერასა და პირად ცხოვრებას სასიკეთოდ წაადგება იმიჯის შეცვლა. უცხოელებთან კონტაქტი კარგ პერსპექტივებს გთავაზობთ. გაგიჩნდებათ მეტი თავისუფალი დრო, რაც, უმჯობესია, დასვენებას დაუთმოთ.

## კურო



კარგი დროა ახალი სამსახურის დასაწყებად. შესაძლოა ფინანსური და სოციალური მდგომარეობის გამოსწორება – გაზრდილი შრომისუნარიანობა ამის საშუალებას მოგცემთ. დაოჯახებულ კუროებს მეტი თავშეკავება გმართებთ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან. მოერიდეთ ხშირ გადაადგილებებსა და დიდ ფიზიკურ დატვირთვას.

## ტყუპები



ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ძველ მეგობრებს მიმართეთ დახმარებისთვის. იმისთვის, რომ საყვარელმა ადამიანმა არ მოგატყუოთ ან არ დაგიმალოთ სიმართლე, ეცადეთ მეტად ყურადღებიანი იყოთ მის მიმართ. სიფრთხილე გმართებთ ჯანმრთელობის მხრივაც. არ გირჩევთ ფიზიკურ გადატვირთვას.

## კირჩხიბი



საყვარელ ადამიანთან სერიოზული უთანხმოებაა მოსალოდნელი. გართულდება მატერიალური პრობლემებიც. მდგომარეობის გამოსასწორებლად მეტი იკონტაქტეთ ხალხთან. ეს კარგი დროა სწავლისთვის და უცხო ენების ასათვისებლად. ხშირად დაისვენეთ და გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

## ლომი



აქტიური შეხვედრებისა და კავშირების დამყარების დროა, თუმცა, მიზნის მისაღწევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. მატერიალური კეთილდღეობა დამოკიდებული იქნება სწრაფ მოქმედებაზე. საყვარელ ადამიანზე ზრუნვა და მისი მოვლა იდილიურ სასიყვარულო ატმოსფეროს შექმნის. მოგზაურობას კი არ გირჩევთ.

## ქალწული



საყვარელმა ადამიანმა, შესაძლოა, პრეტენზიები წამოგიყენოთ, რის გამოც, მეგობრების დახმარების გარეშე მასთან ურთიერთობა გაგიჭირდებათ. კარგია ახალი კავშირების დამყარება. ეცადეთ, საქმეს გართობაც შეუთავსოთ. თუ იგრძნობთ, რომ ჯანმრთელობის მხრივ პატარა პრობლემები გაქვთ, დროულად მიმართეთ ექიმს, რათა სიტუაცია არ გაართულოთ.

## სასწორი



არახელსაყრელი დროა ფინანსური გარიგებებისა და ოპერაციებისთვის. მატერიალური პრობლემების გამო ბევრი რამის შესრულება გაგიჭირდებათ, რაც დაძაბავს თქვენს სასიყვარულო ურთიერთობასაც. კარგია მოგზაურობა და ახალი კავშირების დამყარება.

## მორიელი



გაგიჩნდებათ მატერიალური კეთილდღეობისა და სიმდიდრის მოხვეჭის სურვილი. უცხოელებისგან მიღებული ინფორმაცია მომავალში კარგ პერსპექტივას გპირდებათ. პატივი ეცით სხვის აზრს და ამგვარად აიცილეთ უსიამოვნებები საყვარელ ადამიანებთან და საქმიან პარტნიორებთან.

## მშვილდოსანი



ორგანიზატორული თვისებების გამოვლენა და რეფორმატორული იდეები სათანადოდ დაფასდება ხელმძღვანელი პირების მიერ, მაგრამ, მატერიალური მდგომარეობა სახარბიელო მაინც ვერ იქნება. საყვარელი ადამიანის მდგომარეობამ, შესაძლოა, გარკვეული მიზნების მიღწევაში შეგიშალოთ ხელი. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში გაიცნოთ ადამიანი, ვისთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა გელით.

## თხის რქა



მოერიდეთ ხალხმრავალ საზოგადოებრივ ადგილებს და ხელმომჭირნედ ხარჯეთ ფული. არ გირჩევთ ცვლილებებს საცხოვრებელში. სასიყვარულო სფეროში გაუგებრობები ადვილად მოგვარდება, თუ ზედმეტად ემოციური არ იქნებით. ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეგიწყობთ ხელს გადაადგილებებსა და მოგზაურობაში.

## მერწყული



ნუ შეიზღუდავთ თავს და თამამად იმოქმედეთ. კარგი დროა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. გაგიადვილდებათ გადაადგილებები და ახალი კავშირების დამყარება. ძირითადად ყურადღება მიაქციეთ კარიერასა და დამატებითი ცოდნის მიღებას. ფინანსურ საკითხებში დაიხმარეთ ნათესავები. სასიყვარულო ურთიერთობამ, შესაძლოა, აგირიოთ გონება და დიდ პერსპექტივებზე გათქმევინოთ უარი.

## თევზები



თქვენს მომხიბვლელობას ამ პერიოდში მშვიდად ვერავინ აუვლის გვერდს. ფინანსური გარიგებებისთვის კი ცუდი დროა, რადგან, დიდია დანაკარგის ალბათობა. საყვარელ ადამიანთან გაუგებრობა დროულად გაარკვიეთ, უცხოელებთან კონტაქტი კი მინიმუმამდე შეამცირეთ და შეინარჩუნეთ ემოციური მდგომარეობა.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 10 თებერვალი, 7 სთ: 20 წთ.**

## ორშაბათი

აკონტროლეთ გადამეტებული სიამაყე და ემოციურობა, იმოქმედეთ უანგაროდ. კარგია მასაჟი. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ბეჟი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, სარდიონი, ქარვა, მთის ბროლი ან სარდონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ხელშეკრულებების დადებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სასიყვარულო შეხვედრებს, ხელმძღვანელების კრიტიკას. კარგია იურიდიული საკითხების მოგვარება, ახალი სამსახურის დაწყება, მშენებლობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

## სამშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

ნუ შეასრულებთ რთულ საქმეებს. კარგია მონანიება. ატარეთ მწვანე, ყავისფერი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ოპალი, ზურმუხტი, მალაქიტი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ფარული სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია თმის შეჭრა, საფინანსო-საბანკო ოპერაციები, დალაგება, ვაჭრობა, დიეტის დაწყება. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## ოთხშაბათი

მაღალია ტრავმების ალბათობა, ამიტომ იყავით განსაკუთრებულად ფრთხილად. ნუ აიღებთ საკუთარ თავზე ისეთ ვალდებულებებს, რის შესრულებასაც ვერ შეძლებთ. მოერიდეთ საქმიან შეხვედრებს, სასიყვარულო კავშირებს, ახალ ნაცნობობას, გამოცდების ჩაბარებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. ატარეთ ყავისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, მწვანე ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, ონიქსი ან ჯესპილიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, თმის შეჭრა, დიეტის დაწყება, ვაჭრობა, სწავლა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

## ხუთშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

ყველა სიტყვა და გადაწყვეტილება კარგად აწონ-დაწონეთ. მოერიდეთ დაპირისპირებებს. დაიცავით სამართლიანობა, იმუშავეთ შემოქმედებითად. მეტი დრო დაუთმეთ საოჯახო საქმეებსა და ახლობლებს. იმოქმედეთ ენერგიულად და აქტიურად. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ბეჟი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ჟადეიტი, ნეფრიტი, ციტრონი ან აკვამარინი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს, რადგან მათი ახდენა სათუოა. კარგია ტანსაცმლისა და აპარატურის შეძენა. სუსტდება ყელი, თირკმელები, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის.***

## პარასკევი

კარგია ახალი საქმის დაწყება, ახალი კავშირები, შემოქმედებითი მუშაობა, სამართლიანობის დაცვა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, კრემისფერი, მწვანე, ნაცრისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან საფირონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია სწრაფად შესასრულებელი საქმეები, სასიყვარულო კავშირები, გართობა, მეგობრული ურთიერთობები, ხელოვნებასთან კონტაქტი, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## შაბათი

მეტი დრო დაუთმეთ ნათესავებთან ურთიერთობას, ტრადიციებს. ატარეთ წითელი, შავი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, ბეჟი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ოპალი, ლალი ან იაგუნდი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია სასიყვარულო კავშირები, გართობა, მეგობრული კონტაქტები, საჩუქრების შეძენა, ექიმებთან კონსულტაცია. სუსტდება ყელი, თირკმელები, შარდსასქესო სისტემა, ფარისებრი ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის.***

## კვირა
## გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს ემოციურობა. ეცადეთ, მშვიდად გაატაროთ დღე. მოერიდეთ მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, ფულის ვალად აღებას. კარგია მონანიება და პატიება. არ გირჩევთ თმის შეჭრას. კარგია ვარჯიში. ატარეთ წითელი, ყვითელი, შავი, მწვანე ან შინდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ალექსანდრიტი, იასპი, ქრიზოპრაზი ან ჯესპილიტი. ამ დღეს ნანახი სიზმრის ახდენა საეჭვოა. კარგია კომპეტენტურობის გამოვლენა, ახალი საქმის დაგეგმვა, მანქანის ყიდვა-გაყიდვა, თვითშემეცნება, კოსმეტიკური პროცედურები და მასაჟი. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**ქეთი ქემოკლიძე წლების წინათ წავიდა უცხოეთში და დღეს იქ ოპერის ცნობილი მომღერალია. ის ვენაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მან საოპერო სცენაზე, ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ მსოფლიო საოპერო ვარსკვლავების სიმპათია დაიმსახურა. ქეთის ცხოვრებაში წელს ბევრი სასიამოვნო სიახლე მოხდა და იმედია, მომავალი წელიც არანაკლებ წარმატებული იქნება მისთვის. ნოსტალგიური ბუნების მიუხედავად, სამშობლოდან შორს მაინც ბედნიერია. უამრავი მიწვევაც აქვს და საყვარელი მეუღლეც ხშირად ანებივრებს. ის ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანია, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნის თეატრების დიდ სცენებზე სიამოვნებით იწვევენ. ქეთიმ მონაწილეობა მიიღო პლასიდო დომინგოს „ოპერელიაში”. დიდმა მაესტრომ ის თავად დააჯილდოვა პრიზით და მისი სტიპენდიანტიც გახდა. ქეთი დღეს მის გვერდით არაერთ პარტიასაც ასრულებს. ქართველი მომღერლის ნიჭიერება ცნობილმა ესპანელმა კინორეჟისორმა კარლოს საურამაც დააფასა და ათამაშა ფილმში „მე, დონ ჯოვანიში“. საურამ მას ადრიანა ფერარეზეს როლი ანდო. ასე რომ, ქეთევანმა თავისი ნიჭიერებით, სილამაზითა და მონდომებით არაერთი ცნობილი უცხოელი ვარსკვლავი მოხიბლა, უამრავი თაყვანისმცემელი გაიჩინა და თვით პლასიდო დომინგოს ერთ-ერთი რჩეული მომღერალი გახდა.**

# რამ შეცვალა ქეთი ქემოკლიძის ცხოვრება და როგორ გახდა ის კარლოს საურასა და პლასიდო დომინგოს ახლობელი, საყვარელი ადამიანი

**ქეთი ქემოკლიძე**: ევროპისა და ამერიკის საოპერო სცენებზე დაახლოებით ოცამდე პარტია მაქვს ნამღერი და ამით ძალიან ამაყი ვარ. თუმცა, გამოგიტყდებით და, საკუთარ ქვეყანაში გაცილებით ემოციურად, სიამოვნებითა და პასუხისმგებლობით ვმღერი. ამჟამად, ვენაში ვცხოვრობ, ჩემი მეუღლის სამსახურიდან გამომდინარე გადავედი ამ ულამაზეს ქალაქში. ბედნიერი ვარ, რომ გამიმართლა როგორც პროფესიულ, ისე პირად ცხოვრებაში. მართალია, სულ მოგზაურობაში ვარ, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ისე მიყვარს ჩემი საქმე, დაღლას ვერც ვგრძნობ. ძალიან შთამბეჭდავია ბევრი ქვეყნისა და ქალაქის ნახვა, საინტერესო ხალხის გაცნობა და მათთან ურთიერთობა. წინა ახალ წელს ქალაქ გრაცში, ავსტრიაში შევხვდი, სადაც ვმღეროდი ვერდის ოპერა „ნაბუკოში“. ამას მოჰყვა ვენეცია, სადაც ჩემი სპექტაკლები ცნობილ ვენეციურ კარნავალს დაემთხვა და ის დღეები არასდროს დამავიწყდება. ვენეცია ხომ თავისთავად ზღაპრული ქალაქია. მის ქუჩებში მოსიარულე სხვადასხვა საკარნავალო კოსტიუმში გამოწყობილი ხალხის გვერდით რომ დავდიოდი, მერწმუნეთ, სხვა სამყაროში მეგონა თავი. ორი თვის განმავლობაში მანქანა არ მინახავს თვალით, მარტო ფეხით ან გონდოლებით მიწევდა გადაადგილება. ვენეციას მოჰყვა ბარსელონა, შემდეგ – კვლავ ავსტრია, მერე ვაშინგტონი და ამის შემდეგ გავემგზავრე ირლანდიაში ვექსფორდის ფესტივალზე. არასოდეს დამავიწყდება ბერლინში გამართული საქველმოქმედო საღამო, სადაც მე ვიმღერე. იქ ბილეთის ფასი 500 ევროდან იწყება და მთელი გერმანული ელიტა, პოლიტიკური ფიგურები ესწრებოდნენ ამ კონცერტს. ასე რომ, ყველა ქალაქთან განსაკუთრებული მოგონებები მაკავშირებს და ვერც ერთს განსაკუთრებულად ვერ გამოვყოფ.



რვა თვის ორსულმა ბარსელონას ლისეუს თეატრში პრემიერა რომ ვიმღერე, პრესაში წერდნენ, უდიდესი წარმატებით იმღერა ქეთევან ქემოკლიძემ, მაგრამ მისი მუცელი უკვე რამბლაზე გამოდიოდაო

**– მსოფლიოში ცნობილი რეჟისორის, კარლოს საურას ფილმში თამაშობ. ეს ფილმი არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე წარადგინეს. როგორ დაგამტკიცეს როლზე?**

– სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი კარლოს საურას ფილმის „მე, დონ ჯოვანის“ ქასთინგზე. ქასთინგი გავიარე და ადრიანა ფერარეზეს როლზე დამამტკიცეს.. ვის მიხედვითაც შეიქმნა მოცარტის „დონ ჯოვანში“ დონა ელვირას სახე. გადაღებები მიმდინარეობდა რომში, ოპერატორი კი ოსკაროსანი ვიტორიო სტორარო გახლდათ. ის დღეები დაუვიწყარ მოგონებად ჩაიწერა ჩემი ცხოვრების დღიურში. ფილმმა გამარჯვება მოიპოვა ტორონტოსა და რომის საერთაშორისო კინოფესტივალებზე. სამწუხაროდ, მე ვერ გავიარე წითელ ხალიჩაზე, რადგან იმ დროს პრემიერა მქონდა ვექსფორდის საერთაშორისო ფესტივალზე.

**– პრემიერები, სპექტაკლები, რეპეტიციები, გასტროლები... როგორ ეგუება ყოველივე ამას შენი მეუღლე?**

– მიუხედავად დატვირთული დღის რეჟიმისა, ქმარ-შვილისთვის დრო სულ მრჩება. მიყვარს, როცა დაღლილი მოვდივარ და მერე სახლის საქმეებს ვაკეთებ. არავინ მყავს დამხმარე, თავად ვუვლი პატარა ოჯახს. ერთი სიტყვით, მიყვარს დიასახლისობა და მერე იმის მოსმენა, სამსახურიდან მოსული დაღლილი მეუღლე რომ მეტყვის, ეს რა გემრიელი საჭმელი დამახვედრეო ***(იცინის).***

**– ალბათ, შვილის დაბადებამ, საერთოდ შეცვალა შენი ცხოვრება და სამომავლო გეგმები?**

– ჩემი შვილი, ლუკა, ახდენილი ოცნებაა. რასაკვირველია, ბავშვმა სრულიად შემიცვალა ცხოვრების რიტმი და იმის გამო, რომ ხშირი მოგზაურობა და ცვლილებები გვიწევს, ყველანაირად ვცდილობ, სანიმუშო დედა ვიყო. ერთი კვირისას უკვე პასპორტი ჰქონდა და ერთი თვისამ პირველად იმგზავრა თვითმფრინავით. მე და ჩემი მეუღლე მარტო ვზრდით ბავშვს. ლუკა 8 თვისაა, ბუნებრივ კვებაზეა და ამის გამო რეპეტიციებსა და სპექტაკლის შესვენებისას თეატრში მიწევს მისი კვება. უნდა ნახოთ, რა გაოცებული და შეშინებული თვალებით მიყურებს, ხოლმე უცნაურად შეღებილს და გადაპრანჭულს რომ მხედავს. მისი ბედნიერება და მომავალი სწორედ ახლა მიღებულ სითბოსა და სიყვარულზეა დამოკიდებული ამიტომ, ვცდილობ, მაქსიმალურად ერთად ვიყოთ მთელი ოჯახი. ერთი სიტყვით, წლევანდელი წელი, მართლაც პოზიტიური ცვლილებების მომტანი იყო ჩემთვის. რამდენიმე თვით სასიამოვნო პაუზის აღება მომიწია, რადგან მარტში შემეძინა ვაჟი. მაგრამ, ძალიან გამიმართლა, რომ მალევე ჩავდექი ფორმაში მშობიარობის შემდეგ და მანამდეც ორსულობის ბოლომდე ვმღეროდი. რვა თვის ორსულმა ბარსელონას ლისეუს თეატრში პრემიერა რომ ვიმღერე, პრესაში წერდნენ, უდიდესი წარმატებით იმღერა ქეთევან ქემოკლიძემ, მაგრამ მისი მუცელი უკვე რამბლაზე გამოდიოდაო ***(იცინის).*** რამბლა ბარსელონას ცენტრალური ქუჩაა, სადაც ოპერაა. როგორც უკვე დედა მაყურებლის წინაშე პირველად დიუსელდორფის თეატრში ჩემს დაბადების დღეს გამოვედი. ძალიან ლამაზი დაბადების დღე მქონდა. ჩემმა მეუღლემ დილით ტორტი და ულამაზესი საჩუქარი დამახვედრა, საღამოს კი სპექტაკლზე მოხდა საოცრება: ეს სპექტაკლი დაემთხვა სეზონის დახურვას და მის ბოლოს, რეჩიტატივში ჩემმა კოლეგამ ტექსტი შეცვალა და წაიმღერა, რომ ჩემი დაბადების დღეა, რაც მთელმა დასმა, ორკესტრმა და დარბაზმა აიტაცა. სცენაზე მიმღერეს „ჰეპი ბორსდეი.” უნდა ვთქვა, რომ ასეთი ემოციური დაბადების დღე მართლაც არ მქონია. შემდეგ დაიწყო საკონცერტო ტურნე სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიასთან ერთად. იური ტემირკანოვის შესანიშნავი დირიჟორობით გამოვდიოდით ულამაზეს ქალაქებში: სან-სებასტიანში, ანსში, მილანში, რიმინში ვცხოვრობდი სასტუმროში, სადაც ჩერდებოდა და ფილმებს იღებდა ლეგენდარული იტალიელი რეჟისორი – ფელინი. ამ სასტუმროს ფედერიკო ფელინის სასტუმროს ეძახიან.

**– მართალია, თითქოს ბუფონი შენი ფანია?**

– ძალიან სასიამოვნოა ცნობილ ხალხთან ურთიერთობა, მით უმეტეს, ისეთებთან, ვისთანაც ბევრი ნატრობს შეხვედრას. ვაშინგტონში რომ ვიყავი, ჩემს მოსასმენად ჩამოვიდნენ მაესტრო პლასიდო დომინგო და მისი მეუღლე. ეს უდიდესი პატივი იყო ჩემთვის. რაც შეეხება ბუფონს, ცნობილ იტალიელ მეკარეს, ტურინში სცენაზე ამოვიდა, ხელი ჩამომართვა და დიდი ხნის ნაცნობივით გადამკოცნა. გამიხარდა, რომ ჩემი სიმღერით ისიც მოვხიბლე ***(იცინის).***

**– ამბობენ, ქეთის ხშირად „უტევს“ ნოსტალგია, სულ საქართველოში დაბრუნებას ნატრობსო.**

– მართალია. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენატრება ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები და ჩემი პედაგოგი. ნოსტალგია ხშირად შემომაწვება ხოლმე და, როცა თბილისში ჩამოვდივარ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს. განსაკუთრებული, საოცარი ემოცია მეუფლება, როცა ქართულ სცენაზე ვმღერი, როცა ქართველი მაყურებელი მიყურებს და მისმენს. თუმცა, ჩემი გადატვირთული გრაფიკის გამო, ნოსტალგიისთვისაც დრო აღარ მრჩება. სულ ვცდილობ, ჩემი ქართველობა უცხო ქვეყნებში დავამტკიცო და სიმღერით ვთქვა, რომ ქართველები მაგრები ვართ. მიმაჩნია, რომ ძალიან ნიჭიერი და ორგინალური ერი ვართ და მიხარია, ეს გენი რომ მაქვს. მაგრამ, ეს ასევე, დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ვინც ბევრი არაფერი იცის შენს ქვეყანაზე და შენით ექმნებათ წარმოდგენა, მაქსიმალურად უნდა დაუმტკიცო, რომ ღირსეული ერის შვილი ხარ, საინტერესო კულტურით და საქართველოც უნდა ჩაეწეროს მოსანახულებელ ქვეყანათა სიაში. უცხო მხარეში ცხოვრებამ მასწავლა დამოუკიდებლობა, შრომა, დროის გაფრთხილება, ფიქრი, სიმშვიდე, ადამიანების პატივისცემა. თითქმის 7 წელია, რაც უცხოეთში ვცხოვრობ და მინდა ვთქვა, რომ ბევრ რამეს სხვანაირად ვუყურებ. ამ ერებს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და ცივილიზაცია აქვთ მოპოვებული, რაც ასე სჭირდება ჩვენს ყოველდღიურობას. თავიდან უნდა გამოვტყდე, ძალიან გამიჭირდა მათ რიტმზე გადაწყობა, მაგრამ ნელ-ნელა შევძელი. თან, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხანდახან ყოველთვე მიწევს ქვეყნის გამოცვლა და ადაპტირება მათ ადათ-ჩვევებთან. მაგალითად, სულ მალე პლასიდო დომინგოს მოწვევით, ლოს-ანჯელესსა და ვაშინგტონში მაქვს დებიუტი. ამას მოჰყვება კარმენის დებიუტი ტოკიოში.

სამწუხაროდ, მე ვერ გავიარე წითელ ხალიჩაზე, რადგან იმ დროს პრემიერა მქონდა ვექსფორდის საერთაშორისო ფესტივალზე

**ნონა დათეშიძე**

**21 წლის ქართველი კალათბურთელის, თორნიკე შენგელიას სპორტული კარიერა 10 წლის ასაკიდან დაიწყო, ხოლო 15 წლიდან საქართველოს ფარგლებსაც გასცდა. ჩვენი რესპონდენტის ოჯახის ყველა წევრის ცხოვრება სპორტის ამ სახეობას უკავშირდება. ასე რომ, თორნიკე კალათბურთისადმი სიყვარულს ბავშვობიდანვე ეზიარა. მისთვის განსაკუთრებით წარმატებული 2012 წელი აღმოჩნდა – სწორედ ამ წელს აიხდინა მან ოცნება და NBA-ს წევრი გახდა. მან „ბრუკლინ ნეთსთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 20-ნომრიანი მაისური მოირგო.**

# როგორ ეჩვევა თორნიკე შენგელია ამერიკულ ცხოვრებას და რატომ არასდროს ეგება ის მოწინააღმდეგის პროვოკაციაზე

**– გასული წელი შენთვის, როგორც კალათბურთელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ელოდი ასეთ წარმატებას?**

– ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის გასული წელი. წარმატებას ველოდი და ამის დიდი სურვილიც მქონდა. ყველაფერს ვაკეთებდი მიზნის მისაღწევად და თავს არ ვზოგავდი. მიხარია, რომ, ღმერთის წყალობით, შრომა დამიფასდა.

**– NBA-ში მოხვედრა ყველა კალათბურთელის ოცნებაა. როგორც ვიცი, გუნდმა, რომელმაც აგიყვანა, შემდეგ გაგასხვისა, თუმცა, იმდენად კარგი შედეგი აჩვენე, რომ უკან დაგიბრუნა.**

– როცა ამიყვანეს, მათ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ევროპაში გამოვეშვი. საზაფხულო კემპსაც თუ ვითამაშებდი, არ ეგონათ. მინდოდა, ჩემი აყვანის შემდეგ, პირველივე წელს აქ დავრჩენილიყავი. ამიტომ, როცა შევთავაზე, საზაფხულო კემპზე ვითამაშებ-მეთქი, გაუკვირდათ, რადგან, არ ელოდნენ. თანხმობა რომ მივიღე, ძალიან გამიხარდა. ღმერთის წყალობით, კემპი კარგად ჩავატარე და მას მერე მიიღეს გადაწყვეტილება, „ბრუკლინ ნეთსში“ დავეტოვებინე.

**– 20 ნომრით პირველად თამაშობ თუ ადრეც გეცვა ამ ნომრის მაისური?**

– შარშან ბელგიაშიც 20 ნომერი ვიყავი.

**– ალბათ, შეგრძნება, რომელიც მოედანზე პირველად გასვლის დროს გქონდა, არასდროს დაგავიწყდება.**

– ძალიან მაგარი შეგრძნება იყო. მოთამაშეები, რომლებთან ერთადაც მოედანზე ვიდექი, ტელევიზორში თუ მყავდა ნანახი. როცა მოედანზე ერთად დგახართ და, ხან შენ უტევ და ხან ისინი, ენით აუწერელი შეგრძნებაა, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ძალიან გახარებული ვიყავი.

**– როგორ შეეგუე ქვეყანას, სადაც ბოლო პერიოდში გიხდება ცხოვრება?**

– ჯერ კიდევ შეგუების პროცესში ვარ. ნიუიორკი ძალიან აქტიური ქალაქია, ყველანაირ ხალხს შეხვდებით აქ, რომლებსაც შესამჩნევად აქტიური ცხოვრების რეჟიმი აქვთ. ასე რომ, ჯერ ბოლომდე არ ვარ აქაურობას შეჩვეული, ნელ-ნელა კიდევ ვერგები ამ ყველაფერს.

**– გუნდმა როგორ მიგიღო?**

– თვითონ ორგანიზაციამაც და გუნდელებმაც ძალიან კარგად და თბილად მიმიღეს. ეს ყველაფერი ძალიან დავაფასე, რადგან, ასეთ დახვედრას არ ველოდი – ცოტა სხვანაირი წარმოდგენა მქონდა აქაურობაზე.

**– ალბათ, გადატვირთული რეჟიმი გაქვს ყოველდღიურად.**

– თვითონ, როგორც ობლიგაცია, იმდენად გადატვირთული არ მაქვს, რადგან, ევროპის გუნდებთან შედარებით, დღეში ერთი ვარჯიში გვიტარდება, მაგრამ, ყოველ მეორე-მესამე დღეს თამაშები გვაქვს. ვცდილობ, რომ დამატებითაც ვივარჯიშო ყოველდღიურად.

**– შენც ახსენე და ბევრს აინტერესებს, რატომ არის ევროპასთან შედარებით NBA-ში ნაკლები ვარჯიში?**

– ევროპაში კვირაში ერთი თამაშია, აქ კი კვირაში ხუთი თამაში გვაქვს და ეს არის მიზეზი. რადგან მე დიდხანს არ მიწევს თამაში, ამიტომაც ვვარჯიშობ დამატებით და მაქსიმალურად ვცდილობ, ფორმა შევინარჩუნო.

**– დღეში რამდენ საათს ვარჯიშობ?**

– დილით გუნდთან ერთად საათი, საათ-ნახევარი გვაქვს ვარჯიში, ხოლო საღამოს დამატებით კიდევ ორ საათს ან უფრო მეტს ვვარჯიშობ.

**– რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს გაფორმებული?**

– ორწლიანი.

**– მართალია, წარმატებას უკვე მიაღწიე, მაგრამ მჯერა, რომ საოცნებო გუნდი მაინც გექნება, სადაც დიდი სიამოვნებით ითამაშებდი.**

– ახლა სადაც ვარ, ახალი და ძალიან კარგი გუნდია და, ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა. პირველივე წელს გვაქვს შანსი, რომ პლეიოფებში გავიდეთ და იმის შანსიც არის, რომ შორს წავიდეთ. ამიტომ, გეტყვით, რომ ერთ-ერთ ყველაზე მაღალი დონის გუნდში ვარ.

**– მართალია, ძალიან ბევრ ადამიანს უხარია შენი წარმატება, მაგრამ, ყველაზე დიდი გულშემატკივარი მაინც შენი ოჯახია, რომლის**



**მოთამაშეები, რომლებთან ერთადაც მოედანზე ვიდექი, ტელევიზორში თუ მყავდა ნანახი**

**ყველა წევრი, ასევე, ძალიან ახლოს არის სპორტის ამ სახეობასთან.**

– ჩემი ოჯახის ყველა წევრს ჰქონდა კალათთან შეხება – მამით დაწყებული, ჩემი დით დამთავრებული, ყველა კალათბურთს თამაშობდა. რა თქმა უნდა, ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ჩემი ოჯახია, ასევე, ჩემი მეგობრები.

**– ამერიკაში მარტო ხარ თუ ოჯახის რომელიმე წევრი გყავს სტუმრად?**

> **ჩემში არაფერი შეცვლილა და, ვცდილობ, არც შეიცვალოს, რადგან, ადამიანში ყოველთვის იმას ვაფასებ, რასაც არ უნდა მიაღწიოს, ისევ ისეთად დარჩეს**

– სხვათა შორის, გუშინ წამოვიდა დედაჩემი საქართველოში. მალე ისევ ჩამოვა, უკვე ჩემს დასთან ერთად.

**– საქართველოში ჩამოსვლას როდის გეგმავ?**

– ჯერ ჩამოსვლას ვერ ვგეგმავ, რადგან, არ ვიცი, ზუსტად როდის მოვრჩები. ალბათ, უფრო ზაფხულის პერიოდში.

**– რა შეიცვალა შენში პიროვნულად მას შემდეგ, რაც ამერიკაში გადახვედი საცხოვრებლად?**

– ჩემში არაფერი არ შეცვლილა და, ვცდილობ, არც არაფერი შეიცვალოს, რადგან, ადამიანში ყოველთვის იმას ვაფასებ, რასაც არ უნდა მიაღწიოს, ისევ ისეთი დარჩეს. ასე რომ, მეც ისეთივე თორნიკე შენგელია ვარ, როგორიც ვიყავი ყოველთვის.

**– თამაშის საოცრად კარგი ტექნიკა გაქვს, რაც დაგიფასდა კიდეც. როგორ ფიქრობ, ეს ყველაფერი გენეტიკურად გამოგყვა თუ მხოლოდ საკუთარი შრომის შედეგია?**

– გენეტიკურიც არის ჩემი მშობლებიდან გამომდინარე და, თან, ძალიან დიდი შრომაც ჩავდე ამაში. ასე რომ, ალბათ, ორივემ ერთად გამოიღო შედეგი.

**– დასახულ მიზანს რამდენად ხშირად აღწევ?**

– ძალიან მიზანდასახული ვარ და, თუკი რამეს ჩავიფიქრებ, მაქსიმალურად ვცდილობ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ბოლომდე მივიყვანო.

**– ამ ეტაპზე შენი მიზანი რა არის?**

– ვისურვებდი, რომ „ოლ სტარში” მეთამაშა.

**– შენს მიზანდასახულობას თუ გავითვალისწინებთ, არც ეგ არის გამორიცხული, მით უმეტეს, რომ ასაკიც ხელს გიწყობს და ჯერ ყველაფერი წინ გაქვს. როდისმე თუ ყოფილხარ იმ ზღვარზე, რომ სპორტზე უარი გეთქვა?**

– არა, პირიქით, როცა რთული მომენტები მქონია ცხოვრებაში, საკუთარ თავს ყოველთვის მოტივაციას ვუკეთებ.

**– არაერთი კალათბურთელისგან გამიგია, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, ვერასდროს გახდება მწვრთნელი. მართალია, ჯერ 21 წლის ხარ და კარიერის დასრულებაზე ადრეა ლაპარაკი, მაგრამ, თავად თუ ისურვებდი წლების შემდეგ სპორტსმენების გაზრდას?**

– არ გამოვრიცხავ და ვერ ვიტყვი, რომ მწვრთნელი ვერასოდეს გავხდები. კალათბურთი იმდენად მიყვარს, რომ, შეიძლება, ჩემი გამოცდილება გამოვიყენო და, რაც ვიცი, ბავშვებს ვასწავლო.

**– რჩევებს თავადაც იღებ?**

– რა თქმა უნდა, რჩევას ყველასგან მოვისმენ, შემდეგ კი უკვე თავად ვიღებ გადაწყვეტილებას რომელი გავითავისო.

**– ევროპაში უფრო უხეში თამაშის სტილია თუ ამერიკაში?**

– უხეშობა ორივეგან ერთნაირია, უბრალოდ ინდივიდუალურია გუნდების მხრივ. არის გუნდები, რომლებიც ძალიან უხეშად გეთამაშებიან, არიან ისეთებიც, რომლებიც ასეთ რამეს არ აკეთებენ.

**– როცა მოწინააღმდეგე უხეშად გეთამაშება, ძალიან დიდი ნებისყოფა გჭირდება მის პროვოკაციაზე რომ არ წამოეგო. წონასწორობას ყოველთვის ინარჩუნებ?**

– ბავშვობიდან რომ თამაშობ კალათბურთს, ამ ყველაფერს ნელ-ნელა ეჩვევი. თავიდანვე თუ გაითავისე, რომ პროვოკაციას არ წამოეგო, მერე უკვე აღარ გაგიჭირდება და ჩვეულებრივად თამაშობ, თუ მეუხეშება მეც ვეუხეშები და მეც ვეცდები, ისევე მოვუშალო ნერვები, როგორც ის მომიშლის.

**– გარდა იმისა, რომ ბევრს ვარჯიშობ, კიდევ რით ხარ დაკავებული?**

– ინტერნეტისა და ტელეფონის საშუალებით ვსაუბრობ მეგობრებთან. ამისთვის სპეციალურად მაქვს დრო გამოყოფილი, რადგან, დროში ცხრა საათია განსხვავება და, თუ დროზე არ დაველაპარაკე, მერე იძინებენ. თანაგუნდელებთან და მეგობრებთან ერთად ხან კინოში დავდივარ, ხან ვსეირნობ და ასე შემდეგ.

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**სენეკა:** ჩვენ გვჯერა დაახლოებით, მაგრამ გვეშინია ზუსტად.
**ლაროშფუკო:** ლაპარაკი მაშინ არის ძნელი, როდესაც სირცხვილია დუმილი.
**ეჟი ლეცი:** ჩვენს ბედს განსაზღვრავს ჩვენი არჩევანი და არა იღბალი.
**ბუასტი:** როდესაც ასაკიან ადამიანს არა აქვს მიღწევები, სკოლაში კარგი სწავლით ტრაბახობს.
**ოთარ ჭილაძე:** ხალხს შიშის გრძნობა არა აქვს, პოლიტიკოსები არიან მშიშრები.
**რენარი:** არაფერია გასაოცარი, თუ პოეტი ბინის ქირასაც გადაიხდის.
**მოპასანი:** თუ არ არის ის, რაც გიყვარს, მაშინ შეიყვარებ იმას, რაც არის.
**ვოვენარგი:** თავისუფალია ის, ვისაც აღარ აქვს სურვილები. რა საჭიროა მაშინ თავისუფლება?!
**ჰეროდოტე:** მილოცვა შურის ყველაზე შენიღბული ფორმაა.
**ტვენი:** ადამიანს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია სიყვარულისთვის, მაგრამ ყველაფერს გააკეთებს სხვაში შურის აღსაძვრელად.
**მონტესკიე:** უსარგებლო კანონები მნიშვნელოვან კანონებს ასუსტებენ.

***

ღირსეული კაცი თავის დამარცხებას საკუთარ თავს აბრალებს, უღირსი – სხვას.
**სმაილსი:** სოკრატესნაირ ადამიანს მეტი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისთვის, ვიდრე ამერიკის რამდენიმე შტატს.
**დარვინი:** კაცი, რომელიც განიზრახავს, დახარჯოს თუნდაც ერთი საათი და არ დაინანებს დაკარგულ დროს, ჯერ კიდევ ვერ გაზრდილა იმდენად, რომ შეიგნოს მთელი სიცოცხლის ფასი.
**ბლეიკი:** ყოველ კაცში იმდენი პატივმოყვარეობაა, რამდენიც ჭკუა აკლია.
**ადისონი:** მე ყოველთვის უფრო თავშეკავებულ მეგობარს ვამჯობინებ, ვიდრე მეტისმეტად გულმოდგინეს.
**ჯორდანო ბრუნო:** ღვთაებრივს ეზიარება მხოლოდ ის, ვისაც არ ეშინია მიწიერი ტანჯვისა.
**კონსტანტინე:** ლომები და ვეფხვები უფრო გაუფრთხილებლები არიან, ვიდრე ვირთხები და თრითინები.
**აკაკი:** თუ კაცი სულ ბედნიერებაში ყოფილა, ის სულით ვერ ამაღლებულა.
**ილია:** ავი კაცი რამდენადაც მეცნიერია, დიდად სწავლული, იმდენად უფრო ძლიერ საშიშია, უფრო დიდად მავნებელია.
**სუვოროვი:** სადაც ნაკლები ჯარია, იქ მეტი სიმამაცეა.
**კანტი:** მხოლოდ მაშინ გახდები ადამიანი, როცა ისწავლი სხვაში ადამიანის ხილვას.
**ბერცენი:** ჭკვიანმა იცის და გკითხავს, უჭკუომ არ იცის და არც გეკითხება.
**როლანი:** შექმნა – ნიშნავს გზამდეს.
**ბაირი:** წელში მწყვეტს იმისი სიმძიმე, რაც არ გამიკეთებია.
**ენგელსი:** იდეოლოგია ლაპარაკობს, ვაჭარი კი განაგებს.
**გოეთე:** ყოველდღე უნდა მოისმინო თუნდაც ერთი სიმღერა, შეხედო კარგ სურათს, წაიკითხო ერთი ბრძნული აზრი მაინც.
**ტოლსტოი:** ბევრად უფრო კეთილშობილურია საკუთარი შეცდომების აღიარება, ვიდრე მისი მიყვანა გამოუსწორებელ შეცდომამდე.
**ვეგა:** ის, ვინც ქალებს აქებს, მათ კარგად არ იცნობს, ხოლო ვინც ლანძღავს, მათ საერთოდ არ იცნობს.

# თუ გამოიცნობთ

1. პადუანის სამლოცველოს ფრესკების მოხატვაზე მუშაობისას იმპერატორ კლავდიუსის თანამედროვე მხატვარმა ჯოტო დი ბონდონემ პირველმა გამოსახა ის სურათზე „იესო ქრისტეს შობა“. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი ბუნება რეალურად დახატა, მაშინ მისი სახელი არავინ იცოდა და ნახატზე სულ სხვა როლს ასრულებდა. **რის როლს?**

2. ავსტრიული ტრადიციის მიხედვით, მას რამდენიმე სახელი დაარქვეს, მათ შორის ვოლფგანგი, ასევე ლათინური – თეოფილესი... შინაურულად კი, გერმანული მანერების მიხედვით, გოტლიბს ეძახდნენ. მაგრამ იტალიაში მოგზაურობის შემდეგ მისი სახელი შეიცვალა. **რა სახელებით ვიცნობთ ჩვენ ამ ცნობილ ადამიანს?**

3. ბიბლია, როგორც დასახელება, უძველეს წმიდა წიგნებში არ გვხვდება. პირველად ის მეოთხე საუკუნეში, იოანე ოქროპირმა და ეპიფანე კვიპროსელმა ორი შემდგენლის გაერთიანებით მიიღეს. **დაასახელეთ, რა გააერთიანეს მათ?**

4. ამ ცნობილმა ფირმამ ამერიკის ნაკრების ფეხბურთელს, ტულიოს სთხოვა მაისურზე ნომერი 9, უფრო პრესტიჟული ნომრით – 7-ით შეეცვალა. **რომელი ფირმის რეკლამას აკეთებდა ტულიო?**

5. ნეტარი ავგუსტინი ადამისა და ევას ცოდვით დაცემას „ბედნიერ ცოდვას“ – Felix culpa-ს უწოდებდა. **რას მიიჩნევდა მათი ცოდვის ყველაზე ბედნიერ შედეგად?**

6. ალბათ, ძალიან ცოტა იცნობს მას, როგორც ოპერების: „არმიდას“, „აღიარებული ევროპის“, „დანაიდას“ ავტორს. არადა, 1778 წელს მისი ოპერით გაიხსნა „ლა სკალას“ თეატრი მილანში. სამაგიეროდ, ყველა მოგიყვებათ მის მიერ ჩადენილი, თუმცა დაუმტკიცებელი, დანაშაულის შესახებ. **დაასახელეთ ეს იტალიელი, რომელიც 1766 წელს ვენაში გადავიდა საცხოვრებლად.**

7. 1943 წელს მხატვარმა ევგენი ლანსერემ დახატა მთა მატერხორნი, რომელიც აღიქვა რა მყინვარწვერად, მისმა კოლეგამ ძალიან მოხერხებულად გამოიყენა. **რა სახელით ვიცნობთ ამ ნახატს ჩვენ?**

8. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ზოგიერთი თეოლოგი ამტკიცებდა, რომ ინდიელები არ არიან ნამდვილი ადამიანები. ისინი შექმნა სატანამ თავისი ბოროტი ზრახვების განსახორციელებლად – სწორედ ასე ამართლებდნენ თავიანთ სისასტიკეს ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ. თუმცა, ორთოდოქსულმა ეკლესიამ ეს აზრი არ მიიღო. **რით ხსნიდნენ ამას?**

9. ალაჰის მოციქულის – მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ არაბული სამყარო გაიყვეს მისმა მემკვიდრეებმა. **როგორ ჟღერს სიტყვა „მემკვიდრე“ არაბულად?**

10. ვაზარიმ ეს სიტყვა გამოიყენა ამა თუ იმ მხატვრის გამომსახველობითი უნარის გამოსახატავად. ეს სიტყვა შემდეგ იქცა ახალი იტალიური სტილის სინონიმად, რომელშიც გარეგანი მიმზიდველობა დომინირებდა შინაარსზე. **დაასახელეთ სიტყვა.**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

*1898 წელს სოფია ჰესმა წააგო სასამართლო პროცესი რაინარ სულმანისა და რუდოლფ ლომენკვისტის წინააღმდეგ. დავის საგანს ნობელის მემკვიდრეობა წარმოადგენდა. შედეგად, ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი სამი წლის შემდეგ დასახელდა. ის იყო არმან სიული-პრიუდომი.

* შშს კანადელები 144 უჯრაზე თამაშობენ, ფრანგები და პოლონელები – 100-ზე, ინგლისელები, რუსები და ჩვენ – 64-ზე.

* კუჭქვეშა ჯირკვლების კუნძულები – ასე უწოდეს კანადელმა მეცნიერებმა, ფრედრიკ ბანტინგმა და ჯონ მაკლეოდმა 1922 წელს მათ მიერ აღმოჩენილ ჯირკვალს, რომელიც ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელ ინსულინს გამოიმუშავებს.

* რომს „დედამიწის ჭიპს“ უწოდებენ, ევერესტს – „თხემს“, „დედამიწის ფილტვებს“ კი – ამაზონის ჯუნგლებს.

* გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში პოკერში მსოფლიო ჩემპიონატი ლონდონში დაიწყო, სადაც 63 ქვეყნიდან 300-მდე მოთამაშე მონაწილეობდა. გამარჯვებულმა 1 500 000 დოლარი მიიღო. ორგანიზატორებმა, გადასახადებისთვის რომ თავი აერიდებინათ, ჩემპიონატის ფინალი კუნძულ მეწზე ჩაატარეს.

* 1911 წელს ინდოეთის დედაქალაქი კალკუტიდან დელიში გადაიტანეს.

* მამა – ასე უწოდებენ მანჯურიის შამანურ მითოლოგიაში სულებს, რომლებსაც ქალის სახე აქვთ და ბავშვების, შთამომავლების მფარველად ითვლებიან. ეს სიტყვა, ასევე დედის, ქალის მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

* ქარვას მრავალი ლეგენდა და ამბავი უკავშირდება. მასზე წერდნენ ლექსებს ჰომეროსი, ოვიდიუსი, პუშკინი და მიცკევიჩი... აუცილებელია რადიოტექნიკაში, ქიმიაში, მუსიკალურ ინსტრუმენტებში, ასევე გენურ ინჟინერიაში. ყველაზე ცნობილი კი – ქარვის ოთახი არქიტექტორმა ანდრეას შლიუტერმა და გოტფრიდ კუსომ 1701 წელს ააგეს ფრიდრიხ პირველის ბრძანებით.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლc3-d4!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



სანამ მამა ნაძვის ხეს რთავდა, შვილის ლექსიკური მარაგი საგრძნობლად შეივსო.

***

ქმარი: რას აკეთებს თოვლის ბაბუა კარადაში?




ცოლი: ჩემს სურვილებს ასრულებს.

***

შეტყობინება გოგონებს, რომლებიც ელოდებიან თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს: „ცხენი გზაში დამელუპა, მოვდივარ ფეხით, მაგვიანდება.“

***

რაც უფრო დაბალი თანამდებობა გიკავია, მით მეტად შესამჩნევია შენი სამსახურში არყოფნა.

***

გამოკითხვაში: „ვისი კოცნა უფრო ტკბილია – ქმრის თუ საყვარლის“ 500 გამოკითხულიდან 300-მა უპასუხა – ქმრის, 200-მა – საყვარლის. არც ერთის პასუხი არ იყო: „არ ვიცი“.

***

– გაიგე? ჟურნალ „გლამურის“ სექტემბრის ნომერში ორსულობის ტესტი ჩაუდევთ...

– მაგას აჯობებდა, ივნისის ნომერში პრეზერვატივები ჩაედოთ...

***

სიძის წერილი:

„ძვირფასო სიდედრო!

ძალიან გთხოვთ, ნუ მასწავლით, როგორ აღვზარდო ჩემი შვილები. მე დაქორწინებული ვარ თქვენს ქალიშვილზე და, მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენი აღზრდის შედეგი არცთუ სახარბიელოა.“

***

– აბა, როგორ ხარ?

– კარგად. არანაირი პრობლემა...

– ო, ესე იგი, ცოლის მოყვანის დროა...

***

თქვენმა დაქალებმა დაგივიწყეს? სასწრაფოდ დადეთ სტატუსი: „როგორ მოვიქცე?! ჩემი დაქალის ქმარს ვუყვარვარ!“

***

გადატვირთული ავტობუსი. ქალის ხმა:

– ეე, რას აკეთებ, კაცო?

პაუზა. ისევ ქალის ხმა:

– რას აკეთებ-მეთქი?

პაუზა... ქალმა მესამედ უყვირა – რას აკეთებო. ისევ პაუზა. სიჩუმეს ბოხი ხმა არღვევს:

– ე ბიჭო, ნუ დაგვტანჯე, უპასუხე, რას აკეთებ!

***

ახალგაზრდა კაცი კაფეში ყავას სვამს. ხედავს, მეზობელ მაგიდასთან ძალიან ლამაზი გოგონა ზის. ყოყმანის შემდეგ, როგორც იქნა, მივიდა და ხმადაბლა ეკითხება:

– შეიძლება, თქვენს მაგიდასთან ჩამოვჯდე?

– რა?! როგორ მაკადრეთ? ვინ გგონივართ? – იყვირა გოგომ მთელი კაფეს გასაგონად.

ბიჭი უხერხულად აიწურა და თავის ადგილს დაუბრუნდა. ცოტა ხანში კი გოგო მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა:

– მაპატიეთ... იცით, მე ფსიქოლოგი ვარ და ვმუშაობ თემაზე – „ადამიანთა ქცევები არაადეკვატურ სიტუაციაში“.




ახლა ბიჭმა იყვირა ხმამაღლა:

– 100 ლარი? რა ამბავია?!

***

როდესაც პატარა ვიყავი, ვოცნებობდი პრინცზე, რომელიც წამიყვანდა... ახლა ამაზე ჩემი ქმარი ოცნებობს.

***

არაფერი არ არის მამაკაცისთვის ისეთი მძიმე, როგორც ბეჭედი მარჯვენა ხელის არათითზე...

***

არ იცი, რა უპასუხო?! გაიღიმე და გაისწორე ლიფი...

***

– მამი, საშინლად დავიღალე, ძალიან მძიმეა... მოდი, ლიზი შენ აიყვანე, არ დამივარდეს... მე კი მაგ ბოცას წამოვიღებ.

– გაგიჟდი, შე შობელძაღლო? რო გაგიტყდეს?!

***

– მამი, გველები ლაპარაკობენ?

მიხომ სიდედრს შეხედა და უთხრა:

– რაღა ეხლა გაჩუმდი, ხო ხედამ, ბავშვი ინტერესდება!

***

უცნაური მშობლები მყავს: ჯერ მეჩხუბებიან, ერთ ამბავს დამაწევენ, მერე კი მეგობრებს ამაყად უყვებიან – იცით, ჩემმა შვილმა რა გააკეთა? დიდი ვერ მოიფიქრებდაო...

***

– აი, მესმის ღვინო! პარასკევს დავლიე და დღეს თავიც კი არ მიბრუის, არადა, წინ ორი დასვენების დღე მაქვს, – ჩაილაპარაკა ახალგამოღვიძებულმა რაჟიკუნამ და აზრზეც არ იყო, რომ უკვე სამშაბათი გათენდა.

***

– ბიჭო, მშობიარობის შემდეგ ჩემი ცოლი მოსუქდა და ძალიან ნერვიულობს. იყიდა გას-




ახდომი ჩაი, ზის და სვამს... ტორტთან ერთად.

***

ძვირფასო გეებო! თუ ქუჩაში მიდიხართ და გესმით, როგორ აგინებენ პედერასტებს, ნუ შეწუხდებით – ისინი პოლიტიკოსებსა და მთავრობას აგინებენ, ან – ფეხბურთელებსა და მსაჯებს...

***

ტიპი შაყირის ხასიათზეა. დაინახავს გოგოს, მიდის და ეუბნება:

– ალბათ, თქვენ შინაგანად ხართ მშვენიერი, რადგან, გარეგნობით ასეთი მახინჯი ხართ...

ყველა ნაწყენი და გაბრაზებული რჩება.... მიუახლოვდა ერთსაც და შეამკო თავისებურად. გოგომ ახედ-დახედა და უთხრა:

– თქვენი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ამსიგრძე ენა რომ გაქვთ, ალბათ, სხვა რაღაც გაქვთ მოკლე...

***

ახალგაზრდა რადიოში რეკავს:

– იცით, ჩემმა შეყვარებულმა კატის მოყვანა მთხოვა. მეც, ვიშოვე ფუმფულა ფისო... მივუყვანე და გადაიფიქრა – არ მინდაო... ახლა რა ვქნა?

– ეგ კატა სახლამდე მიაცილე და მშობლებს ჩააბარე, ფუმფულა ფისო კი შინ წაიყვანე.

***

– მამი, რით განსხვავდება სანტა კლაუსი თოვლის ბაბუისგან? – ეკითხება მთვრალ მიხოს შვილი.

– თოვლის ბაბუა, შვილო, ფიფქიასთან ცხოვრობს, სანტა კლაუსი კი – ირმებთან.

***

ჩაფიქრდა ვანია:

– წელს კარგად უნდა მოვიფიქრო, რა ვთხოვო თოვლის ბაბუას, თორემ, შარშან ჩავიფიქრე, ჟერარ დეპარდიეს თანამემამულე ვიყომეთქი და ის გახდა რუსეთის მოქალაქე...

***

სვანი მობილურს ყიდულობს.

– ნახეთ, ამ მოდელს როგორი ფუნქცია აქვს? ზარები სხვადასხვა სიტუაციებისთვის: „უხმო“, „ვიბრაცია“, „ოთახში“, „ქუჩაში“...

– „მესტიაში“ თუ აქვს?..

# როგორ მიართვეს ხევსურეთში ჩასულ სტუდენტებს პენსიონერი ცოლ-ქმრის „გარშოკით“ ხინკალი

1978 წელია. ჩემს დას, ციცოს, ექსკურსიაზე მიჰყავს თავისი, სულ გოგოებისგან შემდგარი ქუთაისის სტენოგრაფიული სასწავლებლის სტუდენტები და მეც არ გამრია ამ „გაუგებრობაში“! წამოდი, ხევსურეთი ვნახოთ, შე ლოთო და გადარეულო (მაშინ ასეთი ვიყავი). ცოტა ხნით მაინც მოწყდები სმას და დროსტარებასო.

ნამდვილად დროული იყო. სანამ თეთრი „ბელაიე“ მომაკითხავდა – „გარიაჩკას“ რომ ეძახიან, განტვირთვა აუცილებელი იყო. მაგრამ ღმერთი ერთხელ რომ გაგიმეტებს და გაგწირავს, გამოსავალი სადღაა. ის ავტობუსი გატენილი იყო შემწვარი გოჭებით, ვარიებითა და ნუნუათი, რომლისგან, ჩემი მოკლე ჭკუით, თავის დაღწევას ვცდილობდი...

„მოკლას ხარი თივამ!“ – შევუძახე თავს და მოვილხინე!

პარტნიორად გიდი მყავს – დემური.

პირველ ღამეს ხომ კოკისპირული დავუშვით. მსმელ კაცს სულ არ აინტერესებს შატილში დალევს თუ თერჯოლაში.

მოკლედ, პირველი დღე ასე ავითვისეთ.

მეორე დღე „ნამცეცობას“ დაეთმო და კვლავ ჩავიძირე რძისფერ ბურუსში.

ექსკურსია სამდღიანი გახლდათ.

მესამე დღეა და უკან ვბრუნდებით.

სურსათ-სანოვაგე შემოგველია და ცოტა მოვიწყინეთ, მაგრამ „თუ ჯიბეში ფული ჭყავის,“ რა მოგაწყენს?

– ახლა კი ხინკალი, ხევსურული ხინკალი დავაგემოვნოთ, – შემოგვთავაზა დემურმა, ჩვენმა გიდმა.

ქუთაისელი „ჯამაათისთვის“ რა საკადრისი




იყო სასადილოს ხინკალი. ყოველდღე კი არ მოვდივართ, კაცო, ხევსურეთში.

ვიღაც გამვლელმა დედაკაცმა მიგვასწავლა – ეი, იქ, იმ სახლში აკეთებენ ხინკალს, ისეთს, რო ხინკლის უნახავს გაგხდითო.

ჩვენი ავტობუსით იმ სახლს მივადექით.

– 200 ხინკალი! – გასცა ბრძანება ჩვენმა გიდმა, დემურმა.

ასეთ სიტუაციებს შეჩვეული ოჯახი დატრიალდა. დაინთო ცეცხლი, ავარდა კვამლი, რომელსაც სულ მალე დამათრობელი ხინკლის არომატიანი ოხშივარი შეუერთდა. სწორედ ამ არომატმა მიგვკრიბა გარეთ გამართულ ხის გრძელ მაგიდასთან.

ხინკლის პირველი პარტია მოვიდა. უჩვეულოდ გავმხიარულდით. რომ არა ერთი მოულოდნელობა, ყველაფერი რიგზე იყო.

ხინკალი... უზარმაზარი „გარშოკით“ მოგვიტანეს და გადმოასრიალეს თეფშებზე („გარშოკი“ – ღამის ქურქელია, კოხტა და აუცილებელი).

გაკვირვებულმა გადავხედე დანარჩენებს. აიმრიზნენ. სიტუაცია ჩემმა დამ განმუხტა.

– ეს უძველესი სოფელია... მერე რა... უბრალოდ, არ იცოდნენ, ალბათ, ამ ჭურჭლის მნიშვნელობა. წავიდნენ, იყიდეს... ცალი ხელით უფრო ადვილი მისატანია სუფრასთან... ჩვეულებრივი ჭურჭელია.

უხერხულობა არავის გვიგრძნია.

ხინკალი მართლაც დიდებული იყო და დიდებულადაც მოვილხინეთ. ცნობისმოყვარეობამ მაინც არ მომასვენა და ოჯახის პატარა წევრი ბიჭი, რომელიც შესანიშნავად „ოფიციანტობდა“ ჩემთან მოვიხმე.

– პატარა ბიჭი, შენ გეხუტუნე, ერთი მითხარი, ეს ჭურჭელი ხინკალს რომ მოარბენინებდი, სად იყიდეთ?

– არც სადა... გასუხ ზაფხულს რუსი, დნეპროპეტროვსკელი „დაჩნიკი“, პენსიონერი ცოლ-ქმარი ისვენებდა აქა და იმათ დარჩათ სიჩქარეში...

– აუუუ! – დაიძახა კუჭმა და...

ალბათ, გასაგებია.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 237-79-91(საავარიო); 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 240-40-45; 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი); 243-81-78 (კანცელარია)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 11, 111, 275-20-85, 241-17-71, 241-17-72
35. საპატრულო პოლიცია 122
36. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 133“ 13; 254-70-04; 254-70-03
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 247-87-78; 571 478-778
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისალები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24-01 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაციები 177
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების გატანა 245-20-23
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-85-71
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 251-70-34; 241-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 239-95-08 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11



ეკა ჩხეიძე: „ჩემი ქმარი დღის შუქზე არ მყავს ნანახი“

რატომ არ უნდოდა თემურ ჩხეიძეს 37 წლის პენსიონერი ქალიშვილი და რა ოცნებები დაუმსხვრია მან ეკა ჩხეიძეს

გვ. 38

ISSN 1987-569X